114
1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15 ᲓᲙᲔ

მნათობი

4

თბილისი
1942

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა
Тбилисский филиал
Библиотека
имени Ленина при ЦК ВКП

მნათობი

სრულიად საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეცხრამეტე

4192
3830

4

19 აპრილი / სახელგამი 42

საქართველოს
პარლამენტ
ეროვნ
ბიბლიო
ეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ა. მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV-1942. წ. უე 6304. ანაწყობის ზომა 7×12. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 13,8 შეკვეთის № 915. ტირაჟი 2400.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელ. 3-53-80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით სულიაშვილი

მეგობრის სისხლი

I

მატარებელი ნელი მსვლელობით გაჰყვა ლიანდაგის გრძელ რელსებს, მძიმე ბორბლებით დაზნიქა ისინი და მერე, თითქო ამჩატდაო, ტაკა-ტუკით გადასჭრა ელექტრონის შუქით განათებული ისრები. აპრიალებული ფანჯრების მინები მიაბრუნა და სივრცეში თეთრი კვამლი გაჰფანტა. ერთი კიდევ იკივლა და გასცილდა თბილისს.

ტასო ჯერ კიდევ ფანჯარასთან იდგა და ქალაქის მივარდნილ უბანს გასცქეროდა. თვალწინ თავისი ქმარი, ცნობილი ქირურგი გიორგი ქებულიძე ესახებოდა. პირველად შორდებოდა შეუღლების შემდეგ და ორი კვირა სამკურნალო წყლებზე, წყალტუბოში, უიმისოდ უნდა გაეტარებინა. თითქო ენანებოდა მისი დატოვება და თითქო ეხალისებოდა კიდეც, რომ სულ სხვა, უცნობ პირობებში იცხოვრებდა.

— წერილი ჩასვლისთანავე მოიწერე, არ დამიგვიანო!.. — ეუბნებოდა ქმარი და მატარებელს მისდევდა.

— შენც მოიწერე, ჩემი ჯავრი ნუ გექნება.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

და მატარებელმაც მიუხვია.

ტასომ ერთი კიდევ მოავლო თვალი ვარსკვლავებივით აციალებულ ქალაქის შორეულ ელექტროს სხივებს და რბილ სავარძელში ჩაეფლო.

კუპეში ორი ქალი და ერთი ვაჟი ისხდნენ. დგრიალით მიჰქროდა მატარებელი. მგზავრები ჯერ დუმილით უყურებდნენ ერთმანეთს, როგორც შორეულნი. მერე ბაასი გააბეს და გამოკითხვით გაიგეს, რომ ყველა წყალტუბოში მიდიოდა. ამან თითქო უცბად დაუახლოვა ერთმანეთს.

კუთხეში დარბაისელი თავდახურული ქალი იჯდა. შავგვრემან სახეს კავები და ნიკაპთან მარყუჟად შეკრული ბაღდათი უმშვენებდა. დახუთული ჰაერის გამო იგი მალე ჩიხტაკოპის მოხსნას შეუდგა. ლეჩაქს რომ აფრიალებდა, ყველა ცნობისმოყვარეობით და გაოცებით უყურებდა.

— როგორც სჩანს, საქართველოში ჯერ კიდევ ზღაპრების ბუხარი არ ჩაქრალა! — სთქვა ქერა კაცმა, როცა მანდილოსანმა თავსართავი ჩააწყო.

— თქვენ საიდან მობრძანდებით? — შეეკითხნენ მას.

— მოსკოვიდან მოვდივარ, თქვენს წყლებზე სამკურნალოდ.

— პირველად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ბატონო, სამი წლის წინათ ვიყავი აქ და მას შემდეგ არ შემიძლიან ყოველ წელს არ ვეწვიო ამ უცნაურ ნაკადებს.

— მოგწონთ?

— ძალიან. უსათუოდ მრგებს. რევმატიზმით ვარ დაავადებული და უნდა მოგახსენოთ, ძალიან მიშველეს მისმა აბანოებმა.

ტასომ ახლა შეამჩნია ქერა კაცის წაბლისფერი წარბები და შუბლზე გადმოყრილი ჩალისფერი თმა, მის თეთრ სახეს რომ უხდებოდა.

მატარებელი ღამის წყვდიადში მიჰქროდა. ელექტრონის შუქი მკრთალად ეფინებოდა რბილ კუპეს და მგზავრების სახესაც მკრთალად ანათებდა. ვაგონის რწევამ და შუაღამეზე გადასულმა დრომ თავისი გაიტანა და მგზავრები თავიანთ სავარძლებში მიაძინა...

რიონის სადგურს რომ გასცდნენ, ვაგონში ფანჯრიდან თეთრი სინათლე შეცურდა. ახლა მატარებელი მიხვეულ-მოხვეული გზით ნელა მიდიოდა ნისლიან მიდამოში. შორით მოსჩანდა გრძელი ჩრდილებით მოფენილი კოლინდრიანი ეზოები და ბროწეულის ყვავილებით დამშვენებული ორღობეები, ეზოების სიღრმეში კი — მრავალტოტებიანი კაკლის ჩრდილქვეშ. რიკულიანი აივნით მორთული, დაბალჭერიანი სახლები. იქვე, სახლის გვერდით, სამზარეულოს ყავარზე ზლაზვნით იფინებოდა კვამლი და სივრცეში იფანტებოდა. ეზოში დარბოდა და იყეფებოდა ფინია ძაღლი,—ხან ჭისკრისაკენ გაიქცეოდა, ხან ისევ უკან მირბოდა, ჰყეფდა, არ ისვენებდა, მიყუჩებულ გარემოს აღვიძებდა. რომელიმე თავშალიანი დედაკაცი აივანზე გადმოდგებოდა, შუბლზე ხელის გულს მოიჩრდილებდა და ჭისკრისკენ გაიხედავდა.

მატარებელი მალე მოხვეულიდან სწორსა და პირდაპირ გზაზე გავიდა. უცბად თეთრი შენობები გამოჩნდა. მგზავრები წამოდგნენ და ფანჯარას მისცვივდნენ.

— წყალტუბო?

— დიაღ. აი, ის გრძელი დიდი სახლი პროფკავშირთა შენობაა, იქით სასტუმრო, მერე პირველი სანატორიუმი, მაღლა მესამე.

— აბანოები სადღაა?

— დაბლა, აგერ ხეების ჩრდილში, თეთრი ბატებივით რომ ჩამჯდარან მწვანე მინდორში.

გაფართოებული თვალებით უყურებდა ტასო გორაკებით მორკალულ ტაფობს. განცვიფრებული აკვირდებოდა გაბნეულ შენობებს. მას სხვანაირად ჰქონდა იგი წარმოდგენილი: მჭიდროდ შეკრული სახლები და ქუჩები უნდა ენახა, ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულების ბადით და ბოძებით დასერილი.

— უცნაურია! — წარმოსთქვა მან თავისთვის რუსულად.

— უცნაურია, დიაღ! — უპასუხა გვერდში მდგარმა მოსკოველმა. — მისი ნაკადები ფრიად უცნაურია. თქვენ პირველად მოდიხართ წყალტუბოში? — შეეკითხა მას და მოიღუნა, სახეში ჩახედა.

— დიაღ, პირველად! — ისე სთქვა. მისკენ არ გაუხედნია.

— ამ ნაკადებს დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი ჩვენში, — განაგრძო მოსკოველმა. — საერთოდ მდიდარია თქვენი ქვეყანა მზით, ბუნებით, წყლებით და კიდევ ლამაზი ქალებით!..

ტასომ თავი უფრო დაღუნა. არაფერი უპასუხა.

მორიდებით ეჭირა უცხო კაცთან თავი და, როგორც ქართველი ქალი,

დაახლოებას გაურბოდა, მოსკოველი-კი ენაწყლიანობდა. ცოცხლად ძოძრაობდნენ მისი კუნთები, სახე უღიმოდა, თეთრი კბილები ელვარებდნენ. ცდილობდა ტასოს ყურადღება მიეზიდნა, საუბარში ჩაება. ხოლ[illegible]ბული თვალებით შორს გაიცქირებოდა. შეკითხვაზე „ჰოს“ [illegible] „[illegible]“ [illegible]ნებოდა. მოსკოველი გაბრუებული პეპელასავით ამოჩემებულ ყვავილთან ტრიალებდა, თავს არ ანებებდა, არა სცილდებოდა. მოსწონდა მისი შავი თვალები, შეკრული წარბების ქვეშ რომ მომხიბლავად ბზინავდნენ, აბურცული, აზიდული გულმკერდი, სუნთქვასთან ერთად რომ ირხეოდა, და წითელი პატარა ტუჩები, შავგვრემან სახეს რომ უხდებოდა.

მატარებელი ნელა უახლოვდებოდა სადგურს. მგზავრები ჩქარობდნენ, ფაციფუცობდნენ, ბარგს ამზადებდნენ და გასასვლელ კართან ჯგუფდებოდნენ.

— მიბოძეთ, მიბოძეთ! — წაეშველა მოსკოველი ტასოს ბარგის ჩამოღების დროს.

— ნუ სწუხდებით, მე თვითონ წავიღებ.

მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. ტასოს ჩემოდანს ეტანებოდა. ყველა მირბოდა. კიბეზე ჩასვლისას ერთმანეთს ეჯახებოდნენ და სირბილით სადგურის მეორე მხარეს გადიოდნენ. ავტობუსის შესასვლელ კართან გროვდებოდნენ.

— რომელი სანატორიუმია აღნიშნული თქვენს საგზურში? — შეეკითხა მოსკოველი.

— პირველი.

— ოჰ, ჩემშიაც! — ისე შესძახა, თითქო ძვირფასი განძი იპოვაო.

ავტობუსი დაიძრა. ბრიგინით მიჰქროდა იგი რკალივით მოხვეულ შარაგზაზე, თეთრი სარტყელივით რომ ლაპლაპებდა. უკან რჩებოდა გორაკის კალთებზე გადმომდგარი შენობები და მწვანე მინდორზე გაფანტული თეთრი აბაზანები. ივნისის მზის თბილი სხივები უხვად ეფინებოდნენ მიდამოს და გულს ესალმუნებოდნენ.

— აი ჩვენი სანატორიუმიც, — სთქვა მოსკოველმა, ავტობუსი რომ გაჩერდა.

მზით აპრიალებული თეთრი შენობის ხუთსაფეხურიანი კიბე აირბინეს, კანტორაში შევიდნენ და საგზურები წარადგინეს.

დერეფანში დამსვენებლები მიმოდიოდნენ, ერთმანეთს გაუცინებდნენ, შეებაასებოდნენ და მხრებზე პირსახოცებ და ზეწრებ გადაკიდებულნი, გარეთ გადიოდნენ. დამხდურები ახლადმოსულთ ათვალიერებდნენ, ცნობისმოყვარეობით უმზერდნენ და გებულობდნენ, ვინ საიდან იყო მოსული.

გამოკითხვისა და ჩაწერის შემდეგ ტასო ზევითა სართულში აიყვანეს. ოთახი მიუჩინეს. როცა მარტო დარჩა, ღრმად ამოისუნთქა, ოთახი მიმოათვალიერა. თვალგაშტერებული ერთ ალაგს შეაჩერდა, თითქო ვერ გაერკვია, ახლა რა უნდა გაეკეთებინა, რა უნდა ემოქმედნა.

— მოისვენეთ, დაღლილი იქნებით! — უთხრა მოსამსახურემ, მის ლოგინს რომ თეთრეულს უცვლიდა. — დასვენების შემდეგ ჰიგიენური აბაზანა მიიღეთ, მერე ექიმი გაგსინჯავთ და თქვენთვის საჭირო აბაზანას დაგინიშნავთ. აი ზეწარიც თან წასაღებად.

ოთახში კიდევ ორი საწოლი იდგა. დამსვენებლები აბაზანის მისაღებად წასულიყვნენ. ტასომ მოსამსახურისაგან გაიგო, რომ ორივე ახალგაზრდა იყო და რუსეთიდან ჩამოსული.

— მალე მეორე საუზმისთვის დაერკავენ და ქვევით ჩამობრძანდებით, — უთხრა მოსამსახურემ, პირსახოცი ლოგინზე გადაუკიდა და გავიდა.

ტასომ ჩემოდანი გახსნა, ტანისამოსი გამოიცვალა, ხელპირი დაიბანა, მაგიდასთან დაჯდა, სარკეში ჩაიხედა. შავგვრემანი სახე პუდრით მოიფრქვია, ტუჩებზე საღებავი წაისვა. პატარა წითელი ტუჩები კურდღლის ტუჩებივით ცმაცურებდნენ. ერთმანეთს ეკვროდნენ, ისევ სცილდებოდნენ. სარკეში აკვირდებოდა, როგორ უხდებოდა ოდნავ გაპობილ ტუჩებს თეთრი და წკრიალა კბილები. მზრუნველობით ისწორებდა წარბებს და ჩამოშვებულ თმას. ამჩნევდა, რომ ასე დაკვირვებით არასდროს არ მიუქცევია თავის თავისთვის ყურადღება. ერთი წუთით ჩაფიქრდა, თითქო თავში გავლილმა ფიქრმა უკბინა, — უცბად წამოდგა.

ზარი დარეკეს. ამ დროს მისი ამხანაგები შემოცვივდნენ, ერთი ქერა, წაბლისფერი თმით და ცისფერი თვალებით, მეორე შავგვრემანი შავწითელი ლოყებით. ახალმოსული რომ ნახეს, გამოკითხვა დაუწყეს, — როდის ჩამოვიდა, საიდან, რა სტკივა და პირველადაა წყალტუბოში თუ წინადაც ყოფილა; ერთმანეთი გაიცნეს და უცბად დაუახლოვდნენ კიდეც. მათაც ტანისამოსი გამოიცვალეს, ლოყებზე პუდრი იფრქვიეს, ტუჩები გაიწითლეს და ტასოსთან ერთად სასადილოში დაეშვნენ.

ახალგაცნობილ ამხანაგებს ტასო ისე მისდევდა, როგორც ბავშვი, პირველად რომ სკოლაში შევა, აქეთ-იქით იყურება და ყველაფერს დაკვირვებული და გაოცებული თვალებით უცქერის.

— ჩვენ აი ამ მაგიდასთან ვისხდებით! — უთხრეს ამხანაგებმა, როცა მაგიდების რიგი გაიარეს.

სასადილოში შედიოდნენ ჯგუფებად, ხმაურით და სიცილით; ერთმანეთს ესალმებოდნენ, გასძახოდნენ და პატარა მაგიდებს გარს უსხდებოდნენ.

უცბად ტასოს გვერდით ნაცნობმა მოსკოველმა გაიარა, მიესალმა და იქვე მაგიდასთან დაჯდა.

ამხანაგებმა ტასოს მის შესახებ გამოჰკითხეს და გაიგეს, რომ ტასომ ის გზაში გაიცნო, მოსკოველია და სხვა კი არაფერი იცის.

— ვიცი, ვიცი, ვინც არის! — წამოიძახა ქერა ქალმა, — ეგ მფრინავი ტარდოვსკია... შარშანაც იყო წყალტუბოში, ხოლო მე მაშინ მეორე სანატორიუმში ვიყავი.

— მერე რატომ ფორმა არ აცვია? — შეეკითხა მეორე.

— შვებულების დროს შეუძლიან სამოქალაქო ტანისამოსის ტარებაც. შარშან ხშირად ეცვა ხოლმე ფორმის ტანისამოსი. როგორი მოარშიყეა, რომ იცოდეთ! ქალებიც ძალიან ეტანებიან, უნდა ითქვას.

ტასო სდუმდა. ხოლო მისი აზიდული გულმკერდი, მაგიდას რომ დაყრდნობოდა, ხშირი სუნთქვისაგან ირხეოდა.

მისმა ამხანაგებმა შეამჩნიეს, მფრინავმა რომ ორიოდეჯერ ტასოსკენ ყურადღებით გამოიხედა.

საუზმე რომ დაამთავრეს, სამივე ერთად გავიდა სასადილოს დარბაზიდან.

II

ივნისის მზე თეთრ კედლებს გაჰკვროდა. აცხუნებდა. დამსვენებლები ნაირ ტანისამოსში გამოწყობილიყვნენ. ზოგი იქით ეშურებოდა, ზოგი აქეთ. ზე-

წრებს მიაშრიალებდნენ. ერთმანეთს ესალმებოდნენ, ლაღობდნენ, ოცინოდნენ...

ტასოც მიდიოდა. გულში სითბო და ნეტარება მიჰქონდა. პირველად გრძნობდა ასე თავისუფლად თავს და განმარტოებული რომ [illegible], ქვეყნიერებამ სულ სხვა სახე მიიღო. ეღიმებოდა, გული გამალებით ცემდა, მზის სხივებს შეჰხაროდა...

დედ-მამის ოჯახში ტასოს უზრუნველყოფილი ცხოვრება არ გაუტარებია. მცირე მოხელე იყო მისი მამა, ძლივს ახერხებდა ხუთი სულის შენახვას. ტასომ დაამთავრა უმაღლესი სწავლა და მაშინვე სამსახურში შევიდა, რომ ოჯახს დახმარებოდა. უმცროსი და-ძმების მოვლა, სახლის დალაგება, სტუმრებ, ნათესავები. სარეცხი და სხვა ათასი რამ ფრთებს უკვეცავდა მის ახალგაზრდულ აღმაფრენას. მას არ ღირსებია სიყვარული, გატაცება, აღფრთოვანება და ტოლ-ამხანაგებში დროს გატარება. თუმცა ერთხელ, ჯერ კიდევ ბავშვს, სკოლას რომ ამთავრებდა, მეზობლის შვილი ზურაბი შეუყვარდა. მალულად ხვდებოდნენ, ერთმანეთს სიყვარულს შეჰფიცებდნენ და ზომავალ ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ. ხოლო შემდეგში, როცა მას გიორგი ქებულიძემ მიაქცია ყურადღება, აღფრთოვანებულმა დედ-მამამ მას სიტყვა არ ამოაღებინა, და ცნობილ ქირურგს მიათხოვა.

ტასოც მდგომარეობას შეურიგდა. იზიდავდა ქმრის სახელი და ის, რომ ამხანაგები შენატრებდნენ და შურით აივსებოდნენ, რჩეულ საზოგადოებაში რომ მოექცეოდა და დედ-მამასაც გაახარებდა.

ტასოს ხიბლავდა ქმრის თვინიერი და კეთილი გული, პატივისცემა და უსაზღვრო სიყვარული. ისიც შეგნებული თავაზით და მორიდებული მოკრძალებით სცემდა პატივს, მუდამ ერთგულებას ეფიცებოდა... და ბედნიერად მიდიოდნენ მათი დღეები. ქმარი სამსახურში დადიოდა, მუშაობდა. დაღლილი რომ ბრუნდებოდა, შინ ხვდებოდა მყუდრო ცხოვრება, ტასოს ყურადღება, მისი ალერსი, სიყვარული. საღამოს კი მეგობრებთან და ნათესავებთან საუბარი, ან თეატრი და საზოგადოება...

ბედნიერი იყო ტასო. აქაც, წყალტუბოშიც, გრძელდებოდა ეს ბედნიერება. ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ ახლა დედ-მამის და ქმრის ზედამხედველობას, ზედმეტ მზრუნველობას მოცილებული იყო. ოცდაშვიდი-რვა წლის ტასომ მხოლოდ ახლა იგრძნო დამოუკიდებელი, შეუზღუდავი ცხოვრება და ეს ახარებდა. აღარავინ ეკითხებოდა: „სად იყავი," „სად მიხვალ", „როდის მოხვალ"... ასე განთავისუფლებული მიდიოდა და გულში მიიმღეროდა.

პირველ დღეს ერთი აბაზანა მიიღო. წყალტუბოს მიდამოები გაიცნო და ქმარს აღფრთოვანებული წერილი მისწერა. ეს დღე ისეთი ნათელი და უამრავი შთაბეჭდილებით იყო სავსე, რომ ტასოს დაღლილობა არ უგრძვნია. საღამოთი კონცერტის ბილეთი მისცეს. ბაღში ორკესტრი უკრავდა. სანატორიუმიდან გავიდა და განიერი ქუჩა გადასჭრა. ხეივანში რომ შევიდა, კონცერტზე მიმავალი მოსკოველი წამოეწია.

— როგორ მოეწყეთ? უკვე მიიღეთ აბაზანა? — შეეკითხა.

— დიაღ, მივიღე.

— კარგია?.

— ასეთი ტკბილი, თბილი, ალერსიანი მე არაფერი მინახავს! წყლიდან ამოსვლა აღარ მინდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკი გითხარით, უცნაური წყლებია მეთქი. კონცერტზე მიწვალთ?

— დიაღ.

— ჯერ ადრეა, ხეივანში გავიაროთ.

მიდიოდნენ და ერთმანეთს მიღებულ შთაბეჭდილებას უზიარებდნენ. მოსკოველი კარგად იცნობდა წყლების თვისებას და ტასოსაც აცნობდა.

— ჯერ კიდევ როდია მთლიანად ათვისებული წყალტუბოს ყველა ნაკადი, — ამბობდა მოსკოველი. — მისი დებეტი მილიონ ვედროს უდრის დღეღამეში, ჯერ კი ამის ნახევრითაც არა ვსარგებლობთ.

ტასო უსმენდა უცხო პირს წყალტუბოს მშენებლობის ამბავს. გებულობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამდე, ეს შესანიშნავი ნაკადები კერძო კაცის ხელში იყო და სამკურნალო წყალს არაფერი ყურადღება არ ექცეოდა. არც აბაზანები და არც შენობები ავადმყოფებისათვის არ ყოფილა აგებული. ურმებით მიდიოდნენ სოფლელები და უექიმოდ, თავიანთი მოსაზრებებით იღებდნენ აბაზანებს. მხოლოდ ახლა გაშენდა და აყვავდა წყალტუბო. ახლა აქ რამდენიმე სანატორიუმია, არის კლინიკა, სასტუმრო, რესტორანი, ფოსტა, კოოპერატივები და ყველაფერს ამას საკურორტო სამმართველო განაგებს. მატარებელიც ხომ გაიყვანეს და ის ღელე, რომელიც მოვარდნის დროს აბანოებს მღვრიე წყლით ავსებდა, არხით შეჰკრეს და მდინარე აბანოებს დაშორეს. უსათუოდ უნდა წავიდეთ და ვნახოთ ის ხელოვნური ტბა, რომელიც ამის გამო მდინარის გამოსასვლელთან გაჩნდა...

გატაცებით უსმენდა ტასო. ახლა ღა შენიშნა, რომ ბაღში მოსეირნეთა რიცხვი შემცირებულიყო და ისინიც საკონცერტო ესტრადისაკენ გაეშურნენ.

ღია ესტრადა ელექტრონის შუქით იყო გავარვარებული. კონცერტის მონაწილენი თბილისიდან იყვნენ მიწვეული. დაწყებას აგვიანებდნენ.

წყალტუბოს მიდამო ცივი, ნესტიანი ჰავით იყლინთებოდა. საზაფხულო ტანისამოსში ზურგს, მკლავებს და მუხლებს ეტანებოდა. სხეულს აკრჭოლებდა, კუნთებს ჰკუმშავდა.

— თქვენ კი უპალტოოდ წამოსულხართ. არ იცით, როგორი ნესტიანია წყალტუბო? — მზრუნველობით ჰკითხა მოსკოველმა.

— რომ მცოდნოდა, ასე არ წამოვდოდი. მაგრამ არა მიჭირს-რა!

— გთხოვთ, აი ჩემი პალტო, ძალიან განიერია: ნახევარი თქვენ წამოისხით, — და მოსკოველმა ტასოს თავისი პალტო წამოასხა.

— არა, არა, როგორ შეიძლება?

— მოითმინეთ, მოითმინეთ, აი, ასე: ბეჭები თუ დაფარული გექნებათ, არ გაცივდებით. მეც მყოფნის!

ტასო იშმუშნებოდა, პალტოს არ ისხამდა. მაგრამ მოსკოველი არ ეშვებოდა.

აძიგძიგებული სხეული დაამდა, გათბა. მაგრამ გული კი ათრთოლდა, — მოსკოველი ისე ახლო იჯდა მის მკლავთან მიკრული, რომ მის სუნთქვას გრძნობდა.

ესტრადაზე მომღერალი ქალი და ერთი ვაჟი გამოვიდნენ. წინ წამოდგნენ. რაღაც უცნაურად ერთმანეთზე გადანასკვული ხელები მუცლებზე დაიდვეს და სიმღერა დაიწყეს. ხან ერთად მღეროდნენ, ხან ცალ-ცალკე.

გრძელკაბიანი მომღერალი ქალი, ყელში ძარღვებ-დაჭიმული, ხმის აწევასთან ერთად ცახცახებდა. ზევით იწევდა. შიშველი მკლავები და გულმკერდი აქეთ-იქეთ ქანაობდნენ. ვაჟიც თრთოდა, ჭვინტებზე დგებოდა და თვალებს აბრიალებდა. სიმღერაში არ იყო უბრალოება და როგორც მელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია იყო დაჭიმული, ისე იჭიმებოდნენ ძარღვებიც... მაგრამ მსმენელებს მაინც მოსწონდათ, ტაშს უკრავდნენ და გასამეორებლად იწვევდნენ.

ტასო სულგანაბული იყო. მასთან ახლო უცხო კაცი იჯდა. ... ცემას გრძნობდა. სადღაც ერთი კუნთი უთრთოდა და, გაურკვეველი ფიქრებით მოცული, უაზროდ ესტრადისაკენ იცქირებოდა.

ანტრაქტში ბევრი წამოიშალა; სკამებიდან ადგნენ. ზოგი გარეთ გავიდა, ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და მომღერლების შესახებ შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

ტასო და მოსკოველი არ ამდგარან. ტასოს თავი ჩაეღუნა, თითქო ვინმეს ემალებაო. მისი მეზობელი კი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ლაპარაკში ჩაება, ცდილობდა მისი ყურადღება დაეპყრო, მიეზიდნა. დახელოვნებულ მეთევზესავით ბადეს შლიდა, რომ შიგ გაეხვია გუბეში მომწყვდეული თევზი. ხოლო ტასო დინჯად და წყნარად იჯდა.

— ამდენხანს თქვენი სახელი არ ვიცი. თუმცა მხოლოდ წუხანდელს აქეთია ერთმანეთს ვიცნობთ, — უთხრა მოსკოველმა.

— ჩემი სახელი ტასოა.

— მამის?

— საქართველოში არ არის მიღებული მამის სახელი, ამიტომ ქალბატონო ტასო, ასე მიწოდეთ.

— ქალბატონო ტასო. კარგია, მომწონს! — და კიდევ გაიმეორა: — ქალბატონო ტასო! მაშ, მეც მარტო სახელი მიწოდეთ — ვასილი.

— ბატონო ვასილ...

— შემოკლებით როგორ ამბობენ ქართულად თქვენს სახელს?

— ტასიკო.

— ჩემსას?

— ვასიკო.

— კარგია! ვასიკო, ტასიკო.... უცნაურია!..

ტასო ახლოლა დაფიქრდა. მიხვდა, რომ შესცდა, — არ უნდა ეთქვა შემოკლებული სახელი. თითქო ეს დაახლოებას ნიშნავს და როგორ შეიძლება გუშინ გაცნობილ უცხო კაცთან ასეთი საუბარი, ასეთი ინტიმობა? გული მოუვიდა თავის თავზე. გაჯავრდა და სახე მოიღუშა.

როცა კონცერტი დამთავრდა, ტასო წამოხტა და ყველაზე ადრე გასასვლელი კარებისაკენ გაეშურა. თითქმის მირბოდა. მოსკოველი ყუჩად მისდევდა და ვერ გაეგო ტასოს გაჯავრების მიზეზი. ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ჯერ კიდევ ნუ აიჩქარებდა სასტუმროში მისვლას. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო და გასეირნება დაწოლის წინ საამური და სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ ტასო მირბოდა. დაღლილობას იმიზეზებდა. უცბად კიბის საფეხურები აირბინა, ვასილს გამოემშვიდობა და აივანზე მიატოვა.

III

მეორე დღეს მოსკოველმა მფრინავმა ფორმის ტანისამოსი ჩაიცვა, პირი გაიპარსა, პუდრი იფრქვია და სასადილოში მოგვიანებით ჩავიდა. იცოდა შთაბეჭდილებას მოახდენდა.

ხოლო ვიდრე სასადილოში ჩავიდოდა, ტასოს ოთახის ამხანაგები მოსვენებას არ აძლევდნენ და რატომღაც მას ეკითხებოდნენ:

— რატომ არ მოდის? სად არის? რად იგვიანებს? ავად ხომ არ არის?

ეს კითხვები მასაც აწუხებდა, — მართლა ავად ხომ არ გახდა? — ფიქრობდა იგი. მაგრამ არ უპასუხებდა, თითქო მისკენ არ ყოფილიყო მიმართული ეს კითხვები. თან ჯავრობდა, გული მოსდიოდა, — რატომ [illegible] ებოდნენ და რატომ მას უნდა სცოდნოდა მფრინავის დაგვიანების [illegible] შეკავებული მღელვარებით ხელებს ამოძრავებდა, თეფშს გაასწორებდა, საჭმელს მიიზიდავდა და თავდაღუნული არავის არ უცქეროდა.

— აგერ მოდის. აკი გითხარით, მფრინავია-მეთქი! დღეს ფორმა ჩაუცვამს, — სთქვა ერთმა.

— როგორ უხდება! — დაუმატა მეორემ.

ტასოს იქითკენ არ გაუხედნია. ხოლო როცა მეზობელ მაგიდას მფრინავის ტანისამოსში გამოწყობილი მოსკოველი მიუჯდა, მაშინ შეხედა ერთი თვალის მოკვრით. შეამჩნია საჰაერო ნიშნებით მოქარგული ფრენჩის სახელო, მოხრილი მაღალი ტანი, მედიდური გამოხედვა და შუბლზე ჩამოცვენილი ქერა თმა.

ქალები ლაპარაკს განაგრძობდნენ:

— ჰხედავ, უფროსი ლეიტენანტია.

— ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

— თამამია და ამაყი. გრძნობს, რომ ყურადღება მისკენაა მიქცეული.

— არ მომწონს, კაცი რომ ამაყია და მოკრძალებას მოკლებული.

ლაპარაკობდნენ და თან აკვირდებოდნენ. მხედველობიდან არ გამორჩათ ქურდულად მათკენ გამოხედვა, ტასოსკენ რომ იყო მიმართული.

ტასო გრძნობდა, რომ მოსკოველი გაჯავრებული იყო მასზე, რადგან წუხელ სასეირნოდ არ გაჰყვა. ამხანაგებს თავის მღელვარებას არ ამჩნევინებდა, თავს იკავებდა. ის კი ხმაურით მოძრაობდა, ფარეშ ქალს ხმამაღლა შენიშვნებს აძლევდა, უყვიროდა, რაღაცას მოითხოვდა.

ტასო და მისი ამხანაგები წამოდგნენ და სასადილოდან გავიდნენ. მაგიდებთან სამიოდე ალაგას ისხდნენ კიდევ.

მალე დარბაზი დაიცალა, ხოლო მფრინავი ისევ მაგიდასთან იჯდა, პაპიროსის ბოლს სივრცეში ჰფანტავდა და ფიქრობდა.

გუბეში მომწყვდეული თევზი ფრთხილი აღმოჩნდა, ბადეს არ მოედო. ახლა საჭირო იყო, მეთოდური ხერხებით მისი ხელში ჩაგდება, მისი მოხიბლვა, — არა ძალით, არა უცბად, ან შემთხვევით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა მის ცხოვრებაში, არამედ ისე, რომ ის თვითონ მისულიყო, რომ სურვილი ორივე მხრიდან თანაბარი ყოფილიყო.

უცბად წამოდგა. ცარიელი სასადილო მოათვალიერა და ჩქარი ნაბიჯით გარეთ გავიდა. აივანზე ტასო და მისი ამხანაგები დაინახა. ისინი ჩალის სკამებზე ისხდნენ და ბაასობდნენ. ვასილი უცბად შედგა, თითქო დაიბნა. ისევ გადადგა ნაბიჯი, წასვლა დააპირა.

— სად მიეშურებით, ბატონო ვასილ! — შემოესმა ტასოს ტკბილი ხმა.

მიბრუნდა.

— არსად, უნდა გამევლო! — კუთხეში მდგარი სკამი მიიწია და მათთან დაჯდა.

— გაიცანით ჩემი ამხანაგები.

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. გამოკითხეს, საიდან ჩამოვიდა და რას მკურნალობდა.

— შარშანაც იყავით თქვენ აქ, ხომ? — შეეკითხა ერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიყავი.

— ამავე თვეში, არა?

— დიაღ.

გაიხსენეს გაზაფხული, ზოგიერთი საერთო ნაცნობი პირები და ისე მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, თითქო დიდიხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

კითხვების მიცემას ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. უცბად გამონახეს საერთო ენა. კისკისებდნენ, სასაცილო ამბებს ჰყვებოდნენ. მოღიმარი სახით შესცქეროდნენ ავიატორს და მისკენ იხრებოდნენ.

ტასო ჩუმად იჯდა. ვასილის ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი.

ქალებთან საუბრის დროს ის მთლად იცვლებოდა. ივიწყებდა ყველაფერს და ხედავდა მხოლოდ ქალს, სხვა არაფერს. მაშინ ის ენაწყლიანი, მიმზიდველი და აღტაცებული მოსაუბრე ხდებოდა. ისინიც შესცქეროდნენ და პირში შესცინოდნენ. ვასილი ეალერსებოდა მათ, შეაქებდა, ხელს ჰკიდებდა და არწმუნებდა, რომ მხოლოდ ის მოსწონდა, ის უყვარდა და სხვა არავინ... ქალსაც მეტი რა უნდა?

ასე ექცეოდა ყოველ ახლად გაცნობილ ქალს. ახლა კი დაბნეული შესცქეროდა ტასოს და მის ყურადღებას რომ ვერ იპყრობდა, ნერვიულობდა.

საუბარი შენელდა, თითქო საკითხები ამოწურესო. მაშინ ვასილიმ მათ ტბაზე გასეირნება შესთავაზა.

დიდის აღტაცებით წამოხტნენ, წინადადება მოიწონეს. მხოლოდ ტასო არ წამომდგარა, უარი განაცხადა.

სახტად დარჩა ვასილი. მას სწორედ ის უნდოდა, რომ ტასო წასულიყო, იქნებ გზაში მისცემოდა მასთან გამოლაპარაკების შესაძლებლობა, თორემ ახლად გაცნობილებმა უკვე თავი მოაბეზრეს.

— ქალბატონო ტასო, მართლა არ წამოხვალთ?

— არა.

— რატომ?

— შეუძლოთა ვარ, თავი მტკივა.

ტასომ თვითონაც არ იცოდა, რატომ მოიმიზეზა თავის ტკივილი, რატომ განაცხადა უარი და არ წავიდა ტბაზე.

როცა მათ ოთხსაფეხურიანი კიბე ჩაირბინეს და შარაგზაზე გავიდნენ. ვასილიმ ერთი კიდევ გაიხედა ტასოსკენ. მალე ისინი ბაღში შევიდნენ და ხეების ჩრდილში მიიმალნენ.

ტასო მარტო დარჩა. ერთხანად თვალგაშტერებული სივრცეში იცქირებოდა. არა, რატომ აწყენინა ახალ გაცნობილს? რას იფიქრებს? წუხელისაც არ წავიდა მასთან სასეირნოდ... იქნებ სთქვას, ჩამორჩენილი ქართველი ქალია, და ბევრი არ მოეთხოვებაო. თვალწინ წარმოუდგა მისი საყვედურით სავსე გამოხედვა.

აივანს რომ გახედა, შენიშნა, კუთხეში ქართველი ქალები ღა ისხდნენ, სხვა ყველა სასეირნოდ წასულიყო. ისინი სკამებით ერთმანეთს მიკვროდნენ და რუს ქალებზე ჭორიკანობდნენ.

შორეული ბაღიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ხის ტოტებში შეპარული მზის სხივები გიზგიზებდნენ. თეთრი შენობების ფანჯრები ბზინავდნენ.

ტასო წამოდგა.

— მოვალეობა უპირველეს ყოვლისა! — შემოესმა კუთხეში მოსაუბრე ქალის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანი გაიარა. კიბეზე მთვარეულივით ავიდა. უგუნებოდ შეავიდა თავის ოთახში. ლოგინი გაშალა, ზედ წამოწვა. ბალიშზე თავი მისდო და თვალები ჭერს მიაშტერა.

„მოვალეობა!.. მერე, რა არის მოვალეობა? — გაუელვა თავში. — მოვალეობა, რისთვის, ვისთვის? მერე, ჩემი სურვილები?.. მაგრამ, არა, არის რაღაც, რაც დაგტანჯავს, იგრძნობ სინდისის ქენჯნას და ეს არის საშინელება...“

შეკულულებული შავი თმა თეთრ ბალიშზე აქეთ-იქით გაიშალა, მხრებთან შეგროვდა და შავგვრემანმა სახემ ჩარჩოში ჩასმული სურათივით გამოანათა.

ჯერ კიდევ გუშინ, სულ რამდენიმე დღის წინად უდარდელი, დამშვიდებული და მხიარული დაიარებოდა. ახლა კი რა გაუჩნდა საფიქრელი ტასოს? როდის დაიწყო ეს? იგონებდა მგზავრობას და გუშინდელ კონცერტს, ერთ პალტოში გახვეული რომ იჯდა მასთან გვერდით. გულის სიღრმეში რაღაც იდუმალი და გამოუცნობი ჩხრიალი იგრძნო მაშინ. შეტორტმანდა სხეული და აფორიაქდნენ ფიქრები.

მედიდურია მოსკოველი. ქალებს მოსწონთ ის. და ეს აღიზიანებს ტასოს. ამიტომ უნდა მოდრიკოს მისი ამპარტავნება, დაარღვიოს მისი ასეთი თავის რწმენა. მაგრამ თან ეშინიან, თითქო გრძნობს, რომ გაუძნელდება.

„იქნებ ფუქსავატი ვინმეა და მხოლოდ იმას ცდილობს, ქალს შეურაცხყოფა მიაყენოს, ადვილად ჩაიგდოს ხელში, გაერთოს კურორტზე და დრო გაატაროს?“

არა, იგი სულ სხვაა! მან შეარყია მისი არსება. რაღაც თბილი და მწვავე გაიბნა კუნთებში და ტასო ვერ მოსცილებია მას...

IV

დილით ტასომ ბაზარი მოიარა. გაზეთის ქაღალდში გახვეული ბალი ხელში დაიჭირა და სანატორიუმისაკენ შარაგზას გაუდგა. ფოსტის შენობას რომ ჩაუარა, შენიშნა — მისმა ნაცნობმა მოსკოველმა ყუთში წერილი ჩაუშვა. რატომღაც ტასო შეკრთა. ვის უგზავნის წერილს? იქნებ რუსეთში დატოვებულ რომელიმე თავის საყვარელს? გაიფიქრა და ის იყო მეორე მხარეს უნდა გადასულიყო. რომ მოსკოველმა გზა გადაუღობა.

— საით მიეშურებით, ქალბატონო ტასო! — შეეკითხა, ხელი ჩამოართვა და გვერდით გაყვა. — რატომ გამირბიხართ? ხომ არაფერი დამიშავებია თქვენთვის?

— არა. რატომ ფიქრობთ მაგრე, ბატონო ვასილი! როგორ გეკადრებათ!

— მაშ, ნებას მომცემთ, გაგაცილოთ?

— როგორ არა, აი ბალი, მიირთვით! — შესთავაზა ტასომ.

მიდიოდნენ ბაღისკენ, თან ბალს შეექცეოდნენ.

ტასოს თითქო შეეცოდა, ასეთი მოკრძალებით რომ მიმართა და უნდოდა როგორმე ესიამოვნებინა მისთვის. ამიტომ ახლო მიდიოდა მის გვერდით, გატაცებით ლაპარაკობდა.

ბაასობდნენ უმნიშვნელო რამეებზე — კურორტის ზნეჩვეულებაზე, წყალტუბოს მნიშვნელობაზე და ახლადგაცნობილ პირებზე. ვასილმა გაიხსენა ანეკდოტისებური ამბავი ნაკადების ძლიერების შესახებ: ერთმა მისმა მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოველმა ამხანაგმა შარშან აქედან ათი ბოთლი პირველი აბაზანის წყალი ფოსტით გაუგზავნა თავის მოხუც დედას.

— რისთვის? დასალევად? — განცვიფრებით შეეკითხა ტასო.

— არა. მისი მოხუცი დედა სიბერის გამო წყალტუბოში ვერ ჩავიდოდა სამკურნალოდ. ნაკადების სასწაულმოქმედება კი ძალიან სწამდა. შვილის მიერ ბოთლებით გაგზავნილ წყალს დედა ათბობდა, ღრუბელს ეღინთავდა და სხეულს იბანდა. ეს უხდებოდა, რგებდა, ტკივილებს ანელებდა.

— დაუჯერებელია!

— რწმენა სასწაულს ახდენს, მთებს აზანზარებს.

ბაღში ჯაზი უკრავდა. შეერთებული საკრავების ხმა სივრცეში აბეზარად იფანტებოდა, ხმაურით გარემოს აყრუებდა. დოლის ბრახუნი და დიპლიპიტოების ხრიალი ერთმანეთში ირეოდა. ამას ქალის სიმღერა მოჰყვებოდა და ერთმანეთში აიბნეოდა ცოცხალი ადამიანის აწეული სიმღერა და საკრავების ეღარუნი და წივილი.

ივნისის მზე საკმარისად აცხუნებდა. ამიტომ ყველა ჩრდილს ეტანებოდა, სკამებზე სხდებოდნენ.

— არ მიყვარს ჯაზი! — სთქვა ტასომ.

— სიმებიანი ორკესტრი?

— ო, ის ძალიან მიყვარს, მუსიკა უწინარეს ყოვლისა!

— რომელი კომპოზიტორი უფრო მოგწონთ?

ტასომ არ იცოდა, რომელი კომპოზიტორი უფრო მოსწონდა. ვერც ერთი ვერ დაასახელა. ოპერები კი ჩამოთვალა და ამაში გამოიხატა მისი მუსიკის მცოდნეობა.

— თქვენ მუდამ თბილისში სცხოვრობთ? — ჰკითხა ვასილიმ.

— დიახ! ჩემი ქმარი იქ მსახურებს, — უპასუხა ტასომ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე თავის ფიქრს მიეცა.

— თქვენ ვინა გყავთ მოსკოვში? — დაარღვია სიჩუმე ტასომ.

— დედა.

— სხვა არავინ?

— არავინ!

და მას რომ მხოლოდ დედა ჰყავდა მოსკოვში და სხვა არავინ, ტასოს შეეცოდა იგი. დედის სახე ცხოვლად წარმოიდგინა. მისი მაღალი ტანი, გრძელი შავი კაბა. სიყვარულით და მზრუნველობით რომ მუდამ შვილზე ფიქრობდა, ფუსფუსებდა და გარს ევლებოდა ვასენკას.

კიდევ ილაპარაკეს მოსკოვზე, თბილისზე, იქაურსა და აქაურს ჰავაზე.

დრო ისე სწრაფად გავიდა, ვერც კი შენიშნეს, ბაღში რომ მოსეირნეები შემცირებულიყვნენ. ვასილიმ საათს დახედა.

— უი! — შეკივლა ტასომ, როცა გაიგო, რომ საუზმის დრო გადასულიყო.

— ცავიდით, — სთქვა ვასილიმ ქართულად.

— თქვენ ქართულიც გცოდნიათ?

— შენი ჩირიმე! — უთხრა უკვე გათამამებულმა ვასილიმ.

— კიდევ რა იცით?

— მოდი, მაკოცე. ამხანაგო. ბაკაკი ცხალში კიკინებს...

ტასომ გაიღიმა და ქართულის ცოდნა მოუწონა.

— როგორ უნდა ვსთქვა ქართულად „люблю", — შეეკითხა ვასილი.

— მიყვარხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიკვარხარ, — გაიმეორა მან.

— მე თქვენ მიყვარხართ.

— მე თქვენ მიკვარხართ.

სიცილით და კისკისით უახლოვდებოდნენ სანატორიუმს.

იმ საღამოს ტასო რომ აბაზანაში ჩავიდა, განსაკუთრებული სიამით იგრძნო ნაკადის ტკბილი, დამაამებელი და საამური ალერსი. თეთრი ბურთულები ბუტბუტით გულმკერდზე მიცოცავდნენ, ღუტუნით მკლავებსა და მხრებს ეალერსებოდნენ. ხშირად დახედავდა მკვრივ თეთრ ძუძუებს, ხელის გულს დაუსვამდა, მრგვალად მოხრილ მხრებს ლოყას დაადებდა. მოღერილ კისერს ბუჩქად შეკრული შავი თმა ეფინებოდა. ზურგი და მკერდი გამსჭვირვალე წყალში თეთრად ლივლივებდნენ, ელვარებდნენ. მეზობელი მოხუცი ქალი თვალს ვერ აშორებდა მის შავთვალწარბით შემკულ მშვენიერ სახეს. წყლის ფერიას მსგავსად იზიდავდნენ იმისი პატარა ნაზი ტუჩები და ნიკაპი ყველა ბანოვანის ყურადღებას.

თითქო მრგვალ სარკეზე მოჭრილი თავები დაუწყვიათო, ისე მოსჩანდა წყლის ზედაპირზე განლაგებული მობანავეების ხილაბანდებში გახვეული თავები. ყველა სდუმდა და ჩაფიქრებული და თვალგაშტერებული გამოიცქირებოდა.

ტასოს გონების თვალწინ ხშირად ისახებოდა თეთრი კბილებით მოღიმარი ქერა სახე. ჩაფიქრდებოდა. მერე თავს გააქნევდა, თითქო თავიდან უნდა მოიშოროს აბეზარი ფიქრიო...

როდიღა ახსოვს, როგორ გაიარა ოცმა წუთმა, როგორ შევიდა აბაზანაში მედიცინის და და განაცხადა, რომ აბაზანაში ყოფნის დრო გავიდა. მის გვერდით წყალი ამღელვარდა, აქოჩრდა, — დამსვენებლებმა ახლა ჭყუმპალობა დაიწყეს და ერთმანეთს წყალი შეასხეს. ისიც უნდა ამდგარიყო, მაგრამ ძალიან ენანებოდა აბანოს დატოვება, ისეთი მიმზიდველი და საამური იყო თბილი წყალი.

როცა აბაზანიდან ამოვიდა და ზეწარში გაახვია სველი სხეული, ძველ ქანდაკებას წააგავდა მისი ტანი. მის გარშემო თეთრი ზეწრები ფრიალებდნენ. დამსვენებლები ერთმანეთს უსწრებდნენ და გარეთ გადიოდნენ.

V

გორაკის ძირში ხელოვნური ტბა ჩამავალი მზის სხივებით ბზინავდა. სარკესავით გამსჭვირვალე ტბის ზედაპირი ციმციმებდა და თვალს იტაცებდა.

შორით მოსჩანდა ბროწეულის, კაკლისა და ლეღვის ტოტებით დაჩრდილული ორღობეები. აქეთ-იქით კოლინდრიან მწვანე მინდვრებზე აივნიანი სახლები კიაფობდნენ. ეზოებში წითელლაბაბიანი ინდოურები ყიოდნენ და იფხორებოდნენ. გორაკების კალთებზე ვენახები, დობილოები, კლდიანი მაღლობები და ყანები ერთმანეთს მისდევდნენ. ვერ გაავლებდი ერთ სწორ ხაზს, ვერ შეამჩნევდი პირდაპირ და სწორი მიმართულებით გაბმულ შარაგზას.

ტბის ზევით, ბუჩქნარიან გორაკზე, ტასო და ვასილი ისხდნენ.

რამდენიმე დღის ერთად ყოფნის შემდეგ ისინი თითქო შეეჩვივნენ ერთმანეთს, დაუახლოვდნენ. და თუ ვერ ნახულობდნენ, ეძებდნენ და ერთმანეთისაკენ ილტოდნენ. ერთად ყოფნის დროს კი თრთოდნენ და ერთმანეთთან ახლო მისვლას გაურბოდნენ. ვასილის ხმა ლაპარაკის დროს იმსხვრეოდა.

თვითონაც ვერ გაეგო, რატომ ხდებოდა ასე. რატომ იყო, რომ სხვებთან ლაღ და ენაწყლიანი, ტასოსთან გაუბედავად მიდიოდა.

ტასო სივრცეში გაიცქირებოდა. სდუმდა. რაღაცაზედ ფიქრობდა.

— რაზე ჰფიქრობთ, ტასო, ასე გატაცებული? — ჰკითხა ვასილიმ.

— არაფერზე.

— მე კი მუდამ თქვენზე ვფიქრობ! — მოულოდნელად უთხრა მან, — არა გჯერათ? — სთქვა და ყელი ბურთით დაეცო. მერე ძლივს წარმოსთქვა: — მას შემდეგ, რაც თქვენ გაგიცანით, ჩემი ფიქრები აიბნა. მაშინაც კი, როცა ამხანაგებში ვიმყოფები, ვიცინი და ვმხიარულებ, თქვენ მიდგეხართ თვალწინ და მინდა... მეც არ ვიცი, რა მინდა... — სული ძლივს მოითქვა და შემდეგ განაგრძო: — თქვენთან პირველ შეხვედრისთანავე ვიგრძენი გაურკვევი ძალა. არასდროს სხვა ქალთან არ განმიცდია ასეთი გრძნობა... თითქო თქვენ მოხვედით და დაიპყარით ჩემი გული, სული და მთლად ჩემი არსება...

ტასო სდუმდა. არ იცოდა, რა ეთქვა. მოულოდნელი იყო მისთვის ვასილის სიტყვები.

— არაფერს მეტყვით?

— რა უნდა გითხრათ? მე ხომ ისეთი ქალი არა ვარ, თქვენ რომ შეგხვედრიათ სხვა მრავალი...

— არა, ღმერთმა დამიფაროს! მაგას არ ვფიქრობ. მხოლოდ იქნებ ვცდები... ალბათ, ვცდები... ხან კი, ასე მგონია... თითქო ჩვენ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი... ოჰ.. არა, არა, ნუ გაჯავრდებით! მე მხოლოდ ისე გავიფიქრე...

— თქვენ ხომ იცით, რომ...

— ოო... ვიცი, ვიცი, თქვენი ქმარი. რა უბედური ვარ, რა უბედური! მაშ, რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

ტასოს თითქო შეეცოდა. მიუახლოვდა, მკლავში ხელი მოჰკიდა.

— არ შეიძლება, გესმით? არ შეიძლება! — უთხრა.

— ოღონდ ნუ დამემდურებით, ნუ გამკიცხავთ. თქვენთან ვიყო მხოლოდ, ეს მინდა, სხვა არაფერი...

ჩუმად, მოწიწებით აიღო მისი ხელი და აკოცა.

— მეტი რა მინდა. თქვენთან ყოფნა და სხვა არაფერი!..

ახლო მიიწია. თვალებში შეხედა.

— ოო, რომ იცოდეთ, რა რიგ მიყვარხართ! მე მგონია, ჩვენ რომ ერთად ვიცხოვრებდეთ, ქვეყანას დავიპყრობდი, მიუღწეველს მივაღწევდი. ჩვენი ცხოვრება სიამოვნება და ნეტარება იქნებოდა...

— როგორ დაგიფიცოთ, მეც მომწონხართ. თქვენთან ყოფნა ჩემთვისაც აუცილებელი შეიქნა... მაგრამ...

— ოო, ვიცი. ნულარ მეტყვით, თქვენი ქმარი...

— ვიყვეთ მეგობრები. განა არ შეიძლება?

— არა, არ შემიძლიან. ისეთი ძლიერი სიყვარულით მიყვარხართ, რომ ეგ არა კმარა ჩემთვის. ჩემი სიყვარული უსაზღვროა და ისეთი ძლიერი, რომ მას ვერ შეხუთავენ ვიწრო ფარგლები... განა შემიძლიან უთქვენოდ გაძლება? აი გიყურებთ და მავიწყდება ქვეყნიერება, მოვალეობა. მხოლოდ თქვენით ვსუნთქავ, თქვენით ვაზროვნებ... ისე ძლიერად სცემს ჩემს ძარღვებში სისხლი, რომ, მგონია, ამ მთას დავანგრევ.

ვასილი თრთოდა, ვერაფერს ხედავდა. სასოწარკვეთილი განაგრძობდა:

— რატომ არ შეგიძლიანთ ბედნიერება მომანიჭოთ? მე ბედკრულს არას-

დროს არა მყვარებია ვინმე ასეთი ძლიერი სიყვარულით, ასეთი სიმწვავით, გატაცებით! მერე, ასეთი ბედი!

ტასო გრძნობდა მის გულწრფელობას, მის პატიოსნებას, მის ნამდვილ სიყვარულს... გრძნობდა, რომ ასე ახლო მასთან დიდი სიყვარული სჭირდება. მაგრამ თვითონაც ვერ ეპოვნა გამოსავალი. უნდოდა მიალერსებოდა, ნუგეში მიეცა...

— მითხარით, მითხარით რამე! — იძახდა იგი გამწარებით.

ტასო შეკრთა. უნდა ეთქვა რამე. აღელვებისაგან ძლივს წარმოსთქვა:

— რა ვქნა, რომ არ შემიძლიან. არ შემიძლიან შევასრულო ის, რასაცა მთხოვთ. არ შემიძლიან, მაგრამ თქვენი დაშორებაც არ მინდა...

ჩამავალმა მზემ უკანასკნელი სხივები მოსტაცა გორაკს. მიდამოს ლილისფერი გადაეკრა. ბუჩქში ჩიტმა გაიფრთხიალა.

ვასილი ბორგავდა, ხელებს ისრესდა, ტასოს შესცქეროდა. კვლავ არწმუნებდა, რომ ძლიერ უყვარს, რომ უიმისოდ ცხოვრება არ შეუძლიან, რომ მასთან ყოფნა მისთვის მთელი სიცოცხლეა...

ტასომ მკლავში მოჰკიდა ხელი, ოდნავ თავისკენ მიიზიდა. შეეცოდა, როგორც დედას შეეცოდება ავადმყოფი ბავშვი, რომელიც შველას ითხოვს, მას კი არ შეუძლიან ტკივილები შეუმსუბუქოს.

ვასილი თრთოდა, უნდოდა ხელი მოეხვია მისთვის, მაგრამ ვერ გაბედა, შეეშინდა. თან ჰფიქრობდა, რატომ ემართება ასე. სხვა ქალთან თუ კი თამამი იყო, არ ეშინოდა? მუდამ დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა, უარს არ მიიღებდა. სხვასთან ლაღად გრძნობდა თავს, მასთან კი მოკრძალებული იყო და ვერ ბედავდა ვერაფერს.

— ოო, რა უბედური ვარ! ისეთი უბედური, რომ წარმოდგენაც არ შეგიძლიანთ. ასე მგონია, ყველამ მიმატოვა, შემიძულა, დამივიწყა. — გაიძახდა.

— ვიყვეთ მეგობრები. ამის მეტი არაფერი შემიძლიან.. აგერ ბინდდება... უკვე დროა სანატორიუმში დავბრუნდეთ.

— არა, არ შემიძლიან ასე დაბრუნება... კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი...

ტასომ ბუჩქს მოჰკიდა ხელი და წამოდგა.

ისიც წამოდგა, მივიდა ახლო მასთან და კვლავ უთხრა:

— მიყვარხართ! მითხარით, რომ თქვენც გიყვარვართ!

— დამიფიცეთ, რომ თქვენ ჩემი მეგობარი იქნებით. არ მინდა დაგკარგოთ. **გესმით?** — მიმართა თავის მხრივ ტასომ.

ახლო მიიზიდა იგი. მისი სუნთქვა ვაჟის ყნოსვას უერთდებოდა. ვასილი თრთოდა. ერთ წუთს თვალთ დაუბნელდა. უცბად მივარდა, ხელები მოხვია.

— რას სჩადიხართ! — შესძახა ტასომ. ხელი ჰკრა. ათრთოლებული სხეულით მოსცილდა, გაექცა...

ისიც უკან დაედევნა.

დუმილით მიდიოდნენ. დამნაშავე მოწაფესავით მიყვებოდა გვერდით ვასილი. არაფერს ამბობდა. ეშინოდა, იქნებ გაჯავრდა, იქნებ აღარ გამიკაროსო. დუმილით მოადგნენ სანატორიუმს. აივანზე შეგროვილ დამსვენებლებს შეერივნენ...

VI

მეორე დღეს მოსკოვიდან რადიოთი გადმოცემული ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა დამსვენებლებში. შემკრთალნი, განცვიფრებულნი და

ერეკლეულის ბიბლიოთეკა

აღელვებულნი დაიარებოდნენ დერეფნებში. გაფითრებული სახით ხედებოდნენ ერთმანეთს, დიდხანს ხმას ვერ იღებდნენ.

— გაიგე?

— როგორ არა!

— განა შესაძლებელია?

— რა ვერაგული, რა მოულოდნელი თავდასხმაა!

— ამას მოველოდით?

მოკრიალებულ ცაზე რომ უცბად შავი ღრუბლები აირევა, ჭექა-ქუხილი ატყდება, დამფრთხალი პირუტყვი გარბის და მიდამოც სიბნელით მოიბურება, ისე შეიცვალა უცბათ ყველაფერი.

გერმანელი ფაშისტების მოულოდნელი თავდასხმა, შესაზარი და დაუჯერებელი, ყველას აშფოთებდა. დარბოდნენ, ერთმანეთს ეძებდნენ. მახლობელნი რომ შეხვდებოდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა უნდა ვქნათ ახლა? როგორ უნდა მოვიქცეთ?

— დღესვე უნდა მივატოვო სანატორიუმი, — იტყოდა ერთი.

— მეც დღესვე უნდა წავიდე, — უპასუხებდა მეორე.

და რკინიგზის სადგურისაკენ გარბოდნენ. ბილეთებს ყიდულობდნენ. ფაციფუცობდნენ, ჩქარობდნენ...

— სამშობლო განსაცდელშია!

— ჩვენ უნდა ჩვენი ვალი მოვიხადოთ!

— უნდა ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! — ერთსულოვნად გაიძახოდა ყველა.

იღებდნენ ჩემოდნებს, კალათებს და პალტოებს. ალაგებდნენ ბარგს და ემზადებოდნენ წასასვლელად.

საღამოს ხუთ საათზე გადიოდა წყალტუბოდან პირველი მატარებელი და ვისაც ბილეთები ნაყიდი ჰქონდა, სანატორიუმის აივანზე გამოჰქონდა ჩემოდნები და კალათები. იქ იცდიდნენ ავტობუსის მოლოდინში.

ვასილი, ავიატორის ფორმაში გამოწყობილი, თავის ბარგთან იდგა. ისიც ავტობუსს უცდიდა. პაპიროსის ბოლს სივრცეში ჰფანტავდა, ცახცახებდა, ნერვიულობდა. თითქო წალკოტიან მდელოზე მოულოდნელმა ქარიშხალმა მოუსწრო, მოსხლიტა და სადღაც შორს გაისროლა. და უცბად შეიცვალა ყველაფერი... ახლა ის ხედავს მხოლოდ თავის ამხანაგებს, აეროდრომს და იმ თვითმფრინავებს, შევარდნებივით რომ ჩამწკრივებულან ტრიალ მინდორზე და უცდიან პილოტ-მფრინავებს, რომ აძიგძიგდეს მოტორი, ახმაურდეს პროპელერი და შეირხეს სივრცე. ხედავს მუშებს, წითელარმიელებს, გლეხებს. ხედავს მათ აღტაცებულ თვალებს, დაჭიმულ კუნთებს. ესმის მათი ძახილი, მათი ყვირილი და მოწოდება: ყველა ერთი კაცივით, სამშობლოს დასაცავად. აგერ მაღლა, მიუწვდომელ სიმაღლეზე ბელადის სახე და მისი სივრცეში გაშვერილი ხელი. ესმის მისი ხმა, მისი ძახილი და გული უძგერს, გრძნობს მის მოწოდებას, მის გამხნევებას...

ვასილის კუნთებიც თრთიან და გულის სიღრმიდან ისიც შესძახებს, მოვდივარ! მოვდივარ, რომ სამშობლოს ვანაცვალო ჩემი ... ჩემი თავი და სიცოცხლე! შენ მიხმობ და მეც მზადა ... ! ... , რა წარმტაცი ყოფილა შენი ძახილი, ჩემო სამშობლო! ... ! ...

ერეკლეულის ბიბლიოთეკა

ლია ყიჟინა ახალგაზრდა ხმებისა, შენს დასაცავად რომ გაისმის!... და ვფიცავ გმირთა აკლდამებს, ვფიცავ მათ მიერ დატოვებულ ანდერძის ძალას, რომ შენს თავისუფლებას შევწირო ჩემი აგზნებული გული! ვფიცავ, შევწყვიტო ფიქრი ყველაფერზე, გარდა შენზე ზრუნვისა, შენი დაცვისა და კვლავ აყვავებისა! სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მზადა ვარ დაგეხაცვლო შენ, სამშობლოვ ჩემო!

უეცრად ოცნებით სივრცეში მიპყრობილი მისი თვალები ძირს დაიხარნენ და მხედველობაში ტასოს ცრემლმორეული სახე აისახა.

— თქვენც მიდიხართ? — შეეკითხა ტასო.

— უპირველესად მე!

— წასვლა აუცილებელია?

— სამშობლოს ძახილი მესმის, ძლიერია იგი! და აი მივდივარ! ის მეძახის და მეც მივდივარ, რომ მის ტკივილებს ვანაცვალო ჩემი ბედკრული თავი!

— მერე? გუშინ რომ...

— დიაღ, გუშინ... რა წარმტაცი, რა მწვავე და აღმაფრთოვანებელი იყო გუშინდელი დღე!

— მერე?

— ახლა სულ სხვა ხმა მომიწოდებს!

— მე კი მეგონა, ყველაფერს დაივიწყებდით ჩემთვის...

— დიაღ, ყველაფერს, ერთის გარდა... მაგრამ არა, მე თქვენ ვერ დაგივიწყებთ. თქვენ იქნებით ჩემთან, როცა მტერს გააფთრებით ვეკვეთები, თქვენ იქნებით ჩემთან, როცა ჩემი შევარდენის შტურვალი ხელში მეჭირება და მტრის ქალაქებზე ნავარდს დავიწყებ, როცა საჭირო იქნება თავდადება და სიცოცხლის შეწირვა... ჩემს წინ იქნება თქვენი სახე, რომ თქვენი გამხნევებით აფრთოვანებული გმირად ვგრძნობდე თავს! დამლოცეთ! დამლოცეთ!..

ის დაიღუნა. ხელში აიღო ტასოს ათრთოლებული ხელი და აკოცა.

— მშვიდობით. — უთხრა გულამომჯდარმა ტასომ.

— არა, ნახვამდის! ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, განა შეიძლება, რომ ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდეთ?

— ნახვამდის, ნახვამდის! — გაიმეორა ტასომ.

— ოო, რა უბედური ვარ! რა უბედური ვარ! — წამოიძახა ვასილიმ.

— უბედურიო?

— რომ შეიძლებოდეს, რომ შეიძლებოდეს თქვენც ჩემთან იყვეთ!

— გამაგრდით! გამხნევდით!

— არ დამივიწყებთ? წერილს მომწერთ?

— არ დაგივიწყებთ, მოგწერთ!

ამ დროს ავტობუსი მოგრიალდა. წამსვლელებიც და გამცილებლებიც აჩოჩქოლდნენ. ზოგს ბარგი მიჰქონდა, ზოგი იცრემლებოდა, ზოგი ქვითინებდა.

ტასო ყველაზე მეტად ღელავდა. მაგრამ თავშეკავებული იღიმებოდა. გული უჩუყდებოდა, ცრემლი ეძალებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

— ნეტა რა მომელის? განახავთ კიდევ როდისმე? — სთქვა ვასილიმ.

— უთუოდ, უთუოდ! ომი მალე გათავდება, ძალიან მალე. ჩამოდით თბილისში. ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს...

— იკურთხოს თქვენი სახელი, ქალბატონო ტასო, იკურთხოს! ნახვამდის! არ დამივიწყოთ, წერილი მომწერეთ...

— ნახვამდის!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავტობუსი დგრიალით წავიდა...

მოწოლილი ბოლმა ტასომ ვეღარ შეიკავა. აჩქარებული ნაბიჯით აირბინა კიბე, შევარდა თავის ოთახში, პირქვე დაემხო და თქრიალით წასკდა ცრემლები...

VII

მეორე დღეს ტასომ ქმრისაგან დეპეშა მიიღო. ატყობინებდა, გამიწვიეს და შენი ჩამოსვლა აუცილებელიაო.

ისევ თბილისი, ნაცნობი ქუჩები! მაგრამ რატომ ასე უცნაურად გამოიცქირებიან ეს ქუჩები? რამ შესცვალა? ასე ცივად რატომ შეხვდნენ? ცოცხალი, მუდამ მხიარული, ახმაურებული ქუჩები ახლა თითქო დამწუხრებულან, მოღუშულან, სახე შეუცვლიათ...

ტასოს ქმარი სადგურზე არ დახვდა. არც ვინმე ნათესავი. არასოდეს მას ასეთი კაეშანი არ უგრძვნია. თითქო მაღლობიდან უფსკრულში ჩავარდა, ჭაობში ცოცავს და გასავალი არსაით არისო. სულ სხვანაირად გესმის ქუჩის ხმაური, ტრამვაის ხრიგინი და ტროლეიბუსების გრიალი...

თავის ბინას რომ მიადგა, კარზე გაკრული ქაღალდი წაიკითხა: „მე გვიან მოვალ, გასაღები მეზობელს ექნება“.

კარი გააღო და ეს დუმილით მოცული ბინა, მიუღაგებელი ოთახები, დახუთული ჰაერი, მტვერი, სიჩუმე და მოწყენილ-მოღუშული ნივთები — მაგიდები, სკამები, სარკეები, ნოხები და კარადები — ისე შეიგრძნო, თითქო დასაფლავების შემდეგ დაბრუნდა შინ, თითქო რაც წარმტაცი, რაც ძვირფასი იყო მისთვის, დასტოვა იქ, სადღაც შორს, და ახლა გარიყული და შეუსაფარი მარტო ზის ჩაფიქრებული.

დიდხანს ზის რბილ სავარძელში, პალტო-გაუხდელი, ქუდ-მოუხდელი, ჩემოდან-გაუხსნელი და ფიქრობს. ფიქრები კი, ქარბუქივით არეული, თავში რბიან, არ ასვენებენ. ხან ერთ ადგილს შეჩერდებიან, ტკივილებს აგრძნობინებენ და ისევ გაქრებიან, თითქო დაცარიელდა გარშემო, აღარავინ არის, — არსაიდან აღარ ისმის არც გამამხნევებელი ძახილი, არც ნათესაური ალერსი... მარტოობა, მარტოობა აუტანელი.

უცბად წამოდგება. ოთახში გაივლის და თავისივე ხმაური შეაკრთობს. ფანჯარაში გაიხედავს და ეუცხოება ქუჩა. ნივთებს მოათვალიერებს და თითქო უცნობ გარემოში მოხვედრილიყოს,—თვალგაშტერებული გასცქერის სივრცეს, იგონებს წყალტუბოს. მწვავეა მოგონება იმისი, რაც აღარ გამეორდება.

ზარი დარეკეს.

„ღმერთო ჩემო, ქმარი მოდის და მე კი ჯერ პალტოც არ გამიხდია!“

გაიძრობს პალტოს და კარს რომ გააღებს, შეკრთება, შედგება: სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ქმარს ვეღარა სცნობს.

— რა გემართება, ტასო, ვეღარ მიცანი? — და ქმარი მოხვევს მკლავს, გულზე მიიკრავს. ამოსუნთქვის ნებას არ აძლევს: ჰკოცნის ტუჩებში, თვალებში, შუბლში...

— ძალიან გამომცვალა ამ ტანისამოსმა? არ მიხდება?

ტასომ ახლოდა დაინახა თავისი ქმარი მოღიმარი, კეთილი, ალერსიანი თვალებით, გრძელი სახით, ღილებზე შეკრული მიხაკისფერი ფრენჩით, და თვითონაც გაიღიმა და რომ გაიღიმა, გაუკვირდა.

— გიხდება, ძალიან გიხდება, — და ახლა თვითონ წაეტანა — საკუთარ ...

— სხვა, როგორ გაატარე დრო? მოგიხდა წყალტუბო?

— ოჰ, რომ იცოდე, რა კარგია. რა კარგი! შენ არ მოგეწყინა უჩემოდ?

— როგორ არა... შენ-კი იქ ახალი ნაცნობები გაიჩინე, ალბათ, არა?

— არა, არა! აბა, ათი დღეც არ დავრჩენილვარ!

უეცრად გაახსენდა, რომ ცრუობდა. არ უნდოდა ქმრისთვის როდისმე ტყუილი ეთქვა და უცბად განაგრძო: — თუმცა არა, რას ვამბობ? მართალი უნდა გითხრა. იქ ერთი ავიატორი გავიცანი. ძალიან კარგი ყმაწვილი, დავმეგობრდი კიდეც. ხომ შეიძლება მყავდეს მეგობარი, ნამდვილი მეგობარი?

— მეგობარი? რატომ!.. რა ვიცი... შეიძლება...

— აი, აი, გატყობ, იეჭვიანობ, გოგი. განა შეიძლება? კარგად არ მიცნობ...

— იმ მეგობარს მეც უნდა ვიცნობდე, უნდა ვიცოდე ვინ არის, რა კაცია.

— **სჩანს, არ მენდობი!**

— არა, როგორ არა, მაგრამ მაინც...

— მადლობა ღმერთს, აღარ შევხვდები! ის ახლა უკვე ფრონტზეა წასული. შეიძლება დაიღუპოს კიდეც, უკან ვერც კი დაბრუნდეს!

და გიორგისაც შეეცოდა ის უცნობი კაცი. უნდოდა ისეთი გრძნობა თვითონაც გამოეწვია ცოლში. მოაგონდა, რომ მასაც მალე გაგზავნიან ფრონტზე.

— ხომ იცი, რომ მეც მალე წავალ იქითკენ.

— როგორ?

— ქირურგები იქვე. ახლო უნდა იყვნენ ფრონტთან.

— მერე, მე?

— თუ გინდა, შენც წამოდი. მედიცინის დად ჩაგწერ ჩემს ჰოსპიტალში.

— მართლა?

— თუ გინდა...

— მინდა, მინდა, უსათუოდ! მეც შენთან ვიმუშავებ. დაჭრილებს მოვუვლი, ჭრილობებს შევუხვევ! აქ რომ დავრჩე, რა უნდა გავაკეთო? როგორ გავძლებ უშენოდ? მუდამ შენთან უნდა ვიყვე. მაშ, ასე, მალე მედიცინის და გავხდები. შენ კი ერთი წუთითაც არ გაივლო გულში ეჭვი, გესმის? უწინამც დღე დამელიოს, რომ შენ გიღალატო. გესმის? მითხარი, — ხომ, გოგი?

— რასაკვირველია! რასაკვირველია!

როცა ტასო თავის ოთახში მარტო დარჩა და თავის საწოლ ლოგინებს და ნაცნობ ნივთებს გადახედა, შვება იგრძნო.

გადიოდა დღეები, კვირეები. გამხეცებული, აზვირთებული ტალღა ფაშისტებისა ჯერ კიდევ წინ მოიწევდა. ვერაგული, მოულოდნელი თავდასხმა მათ მსვლელობას ჯერ კიდევ ზურგს უმაგრებდა. ქვეყანა მძლავრ ალში იყო გახვეული, მძაფრად განიცდიდა ომიანობის საშინელებას, მის სიმკაცრეს და ვერაგობას.

ტასო სამედიცინო დების კურსებზე დადიოდა, მეცადინეობდა, ერთობოდა. მისი გონება და ფიქრი მაინც შორს მიდიოდა, რაღაც აწუხებდა. ხშირად ერთ ადგილას შედგებოდა, ჩაფიქრდებოდა. „რა ბედნიერი ვიყავი. არაფერი ფიქრი, არაფერი დარდი ჩემს გულს არა ღრღნიდა. თითქო შორიდან მაღლა აზიდული სინათლე მოსჩანდა, გზას რომ მინათებდა. მივდიოდი ერთი

გზით, უზრუნველი, უდარდელი. მივიმღეროდი და არაფერზე არ ვფიქრობდი. ახლა კი გულს რაღაც კაეშანი მაწვება. აღარ არის ... ბელი სინათლე და ჩაფერფლილი ჩემი გული სწუხს, ჰგოდებს ... ვიცი, რა მინდა, რატომა ვარ ასეთი თავშეუსაფარი"...

ფიქრობდა ასე ტასო და ერთ წერტილს მიაშტერდებოდა, მერე უეცრად წამოხტებოდა, თმაზე ხელს გადაისვამდა... „გადის თვე და იმისგან არაფერი ცნობაა... იქნებ დაიღუპა კიდეც, იქნებ ცოცხალი აღარ არის?"...

დადიოდა როგორც მთვარეული. თითქო ცხოვრება იქით, სადღაც მეორე მხარეს, თავისი გზით მიემართებოდა, ის კი გარიყული ერთ ადგილას ბორგავდა. არ იცოდა, რა უნდა ეღონა, როგორ უნდა დაეღწია ფიქრებისთვის თავი და სხვებივით ჩვეულებრივ ცხოვრებას გაჰყოლოდა?

ხოლო ეს ჩვეულებრივი ცხოვრება უკვე დარღვეული იყო ომის მიერ გამოწვეული პირობებით და კიდევ იმითი, რომ ტასოს გული ახლა აღარ იყო მთლიანი, მოსვენებული. ის არწმუნებდა თავის თავს და ქმარსაც, რომ წყალტუბოში გაცნობილი პირი მხოლოდ მეგობარი იყო მისი, რომ სხვა გრძნობა მისდამი არ ჰქონდა გულში. მაგრამ ხშირად ფიქრებში წასული თვითონ დაიჭერდა ხოლმე მიმდინარე აზრებს და თავის თავს ეკითხებოდა: ვატყუებდი ქმარს, თუ მართალს ვეუბნებოდი? არა, არა, როგორ შეიძლება! მიყვარს მხოლოდ გოგი და სხვა არავინ! — თითქმის ხმამაღლა წარმოსთქვამდა, თავს გააქნევდა და სამუშაოზე მიდიოდა...

VIII

ტასომ მოკლევადიანი სამედიცინო დების კურსები დაამთავრა.

ომი თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობდა. შორეულ ზურგში მოქცეული მხარეც იმნაირადვე განიცდიდა ომს, როგორც ახლო მყოფი. ვერაგი ფაშისტების ურდოები, პირველი გამარჯვებით თავბრუდახვეულები, წინ მოიწევდნენ და მშვიდობიან ხალხს არბევდნენ.

მალე ტასოს ქმარმა ბრძანება მიიღო, ფრონტის ერთ მახლობელ ქალაქში გამგზავრებულიყო, სადაც მძიმე დაჭრილთათვის ჰოსპიტალი მოქმედებდა.

იმ დღეს ტასო რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე იყო — მღეროდა, მხიარულობდა და ბარგს ისე ალაგებდა, თითქო დღეობაში მიდისო. თვითონაც არ იცოდა, რატომ იყო ასე მხიარულად განწყობილი. უეცრად სევდა შემოაწვებოდა, შეჩვეული ბინისა და კარმიდამოს დატოვება დაენანებოდა, დამწუხრდებოდა, თვალი გაუშტერდებოდა, ჩალაგებას მიატოვებდა და ჩაფიქრდებოდა.

მისი ქმარი საწერ მაგიდასთან იდგა. ქაღალდებს არჩევდა, — ზოგს ჰხევდა, კალათაში ჰყრიდა. კარადიდან წიგნებს იღებდა, გადაფურცლავდა, ისევ დაკეცდა. უკანვე აწყობდა ან ჩემოდანში ალაგებდა. დახეული ქაღალდის ნაკუწებს იქვე იატაკზე ჰყრიდა.

დიდ კალათთან დაჩოქილი ტასო თეთრეულს აწყობდა. ყველა ოთახის კარი ღია იყო და ყველგან მიულაგებელი ნივთები ეწყო. სკამებზე, დივანზე, მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა მუთაქები, ბალიშები. დაუთოვებული ზეწრები და ჰურჭელი...

გრძელ შუშაბანდიდან დერეფანში მუშებს გაჰქონდათ ჩემოდნები, კალათები და მაფრაშა. ერთად აწყობდნენ და მსხვილი თოკებით ჰკრავდენ.

უცბად ზარის რეკა გაისმა. ტასომ ფანჯრიან კარებთან მდგარი წერილების დამტარებელი დაინახა. უეცრად მოსწყდა ალაგს, კარს მივარდა, გაღება და დამტარებელს ხელიდან წერილი გამოსტაცა. მთრთოლვარე ხელით გახსნა იგი და რუსულად დაწერილი წერილის კითხვა დაიწყო. ერთ ადგილას იდგა, ქანდაკებასავით უძრავი. ხოლო მისი გულმკერდი ტალღასავით ღელავდა და გახშირებული სულისთქმა სულს უხუთავდა.

ქმარმა ოთახიდან თვალი მოჰკრა, გაშლილ წერილს გატაცებით რომ კითხულობდა. მერე მიუახლოვდა, გვერდში ამოუდგა. ტასომ ვერც კი შეამჩნია მისი მისვლა და მხოლოდ მაშინ, როცა ქმარი შეეკითხა: რა ამბავია, ტასო, ვისგან არის წერილიო, ტასო შეკრთა. მაგრამ თავშეკავებით გაიღიმა და გაშლილი წერილი ქმარს გადასცა.

— აი წაიკითხე. წყალტუბოში რომ ვიყავი, აკი გითხარი, იქ ერთი მფრინავი გავიცანი-მეთქი. ის მწერს...

— მერე რასა გწერს?

— არაფერს. იქაურ ამბავს. წაიკითხე!

გიორგი ქებულიძე კითხულობდა მოწიწებით დაწერილ წერილს, პატივისცემით ტასოსადმი ავსილს და აფრთოვანებულს წყალტუბოში ყოფნის დროს გატარებული დროით. წერილის კითხვა რომ გაათავა, დაკეცა და ისევ ტასოს გადასცა.

— ყოჩაღი ყოფილა: მტრის ორი თვითმფრინავი დაუღუპავს, — უთხრა და ისევ წიგნების კარადას მიადგა.

ტასოც თავახდილ კალათასთან შედგა. მერე დაიღუნა, საცვლები დაკეცა, ჩააწყო. ფათურებდა, დაკეცილ თეთრეულს ისევ შლიდა, კვლავ ჰკეცდა, ალაგებდა... თავში კი უამრავი ფიქრი ირეოდა. ქმართან გამოლაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. თითქო ნაძალადევი გამოდიოდა, არც ხმა ემორჩილებოდა. ცდილობდა შესაფერი სიტყვები მოეძებნა და ჩვეულებრივი კილოთი მიემართნა, და სწორედ ეს უფრო აძნელებდა გამოლაპარაკებას. იცოდა, რომ მისი ქმარი, ახლა რომ კარადასთან იდგა და სდუმდა, იჭვიანობდა, იტანჯებოდა. ტასო ხედავდა, როგორ აბნეული დაიარებოდა მისი ქმარი კარადიდან მაგიდამდე და მაგიდიდან კარადამდე,—წიგნებს ჰფურცლავდა, სათაურებს ვერ არჩევდა და არ იცოდა, რომელი წიგნი წაეღო და რომელი დაეტოვა. ტასოს ეცოდებოდა იგი. მისი უმწეო მდგომარეობა გაჯავრებული ბავშვის გაბუტვას წააგავდა...

ტასო წამოდგა. ცალი თვალით ქმარს შეხედა. ნაბიჯი გადადგა, ისევ შეჩერდა... შეხედა, — იგი მოწყენილი სახით ისევ წიგნებს ფურცლავდა... უცბად გაექანა მისკენ, მკლავები გაშალა და მკერდზე მიიკრა მისი თავი. მერე გაუშვა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— არ შეგშვენის, გოგი!

— რა არ შემშვენის? რას ამბობ?

— იჭვიანობა.

— მერე, ვინ გითხრა?

— ვიცი. რამდენჯერ მითქვამს, მუდამ შენი ვიქნები და მხოლოდ შენი! არავისში არ გაგცვლი. გაიგე? მე ვიცი, რომ გიყვარვარ და მეტი არაფერი მინდა. გესმის? განა არ შეიძლება ნაცნობმა ან მეგობარმა წერილი მოგწეროს?

— როგორ არა, როგორ არა! ვინ ამბობს? — გიორგიმ არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. ისევ წიგნებს ფურცლავდა, ტასოს ყურადღებას არ აქცევდა.

— ჰი-და, მეც ერთი წერილი მივიღე. მერე რა იყო?

— არ ვიცი, რა ვიცი...

— გოგი, მომხედე! ეგ ჩემი შეურაცხყოფაა!

— რა, რა?

— რა და ის, რომ შენ იჭვიანობ, როცა ამის მიზეზი არა გაქვს!

— მე ხომ არაფერს ვამბობ.

ტასო არ დაკმაყოფილდა ამ პასუხით. გრძნობდა, რომ გიორგი უგუნებოდ გახდა წერილის მიღების შემდეგ და საჭირო იყო ჩვეულებრივი მდგომარეობის აღდგენა. მისი ქმარი კი, მოულოდნელობისაგან დაბნეული, არეული ფიქრებით იყო მოცული. უნდოდა გაეგო, რა კაცია ის, რატომ სწერს ასეთ თბილ წერილს... იქნება ეს პირველი წერილი არ არის? იქნებ მათი კავშირი მარტო წერილის მოწერით არ თავდება? იქნებ უყვართ ერთმანეთი? იქნებ... და კიდევ მრავალი პასუხმიუცემელი კითხვა ებადებოდა თავში.

— არა, გოგი, დამიჯერე! გეფიცები, ეს წერილი მხოლოდ კარგი ნაცნობობის შედეგია და სხვა არაფერი. შენ ასეთი კარგი ხარ... მიყვარხარ... მე შენი ღირსიც არა ვარ, გესმის? შენ ჰფიქრობ, რომ მე.. აღარ გაბედო ასეთი ფიქრების თავში გავლება. ნუ თუ ამდენხანს ვერ გამიცანი? არ იცი, რომ შენ ჩემთვის უძვირფასესი არსება ხარ? მე ხომ ქართველი ქალი ვარ და ჩემი მოვალეობა კარგად მესმის.. როგორი პირითღა უნდა შემოგხედო, შენ რომ გიმტყუნო, გიღალატო? შეუძლებელია ეგ, ჩემო გოგი, და შენს იჭვებსაც არავითარი საფუძველი არა აქვს.

გიორგი თანდათან მოლბა. წიგნების ფურცვლა შეაჩერა. ტასოს თვალებში შეხედა. იგრძნო მისი გულწრფელობა, დაუჯერა და მხარზე დაადო ხელი.

ტასოს გული აძგერდა, გვერდზე გაჰხედა და შესძახა:

— დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი... ამდენი წიგნები სულ იქ უნდა წამოიღო? — შეეკითხა.

— განა ბევრია? ესენი მუდამ საჭირონი არიან ჩემთვის.

ამ დროს შოფერი შევიდა ოთახში და განაცხადა, რომ საბარგო ავტომობილი უკვე მოიყვანა და ბარგის წასაღებად მზად არის...

ბარგი გაგზავნეს. თვითონ კი პატარა ჩემოდნებით საღამოს მატარებლით წავიდნენ.

IX

ქალაქის განაპირა უბანში ბაღნარში მოთავსებული საავადმყოფო მყუდროებით იყო მოცული. საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა დაჭრილ-დაავადებულთა დასამშვიდებლად და დასაწყნარებლად.

ჰოსპიტალში მიჰყავდათ მახლობელ ფრონტზე დაჭრილი წითელარმიელები. მძიმე ავადმყოფებს ჭრილობას უხვევდნენ, საოპერაციო დარბაზში აწვენდნენ. უფრო მსუბუქად დაჭრილებს-კი შიდა ქალაქებში ჰგზავნიდნენ.

დაუსვენებლად მუშაობდა მედპერსონალი. გიორგი ქებულიძე, თეთრი ჭუდით და თეთრი სამოსით შემოსილი, მხნე და ენერგიული, მკლავებ-დაკარწახებული, საოპერაციო ოთახში შედიოდა. მუშაობაში ჩაფლული, არ ისვე-

ნებდა, არ იღლებოდა. თითქო გაერთებულიყო მისთვის დღე და ღამე, თითქო არ არსებობდა სხვა რამე, გარეშე დაჭრილთა მოვლისა. მიტოვებული ჰქონდა პირადი ცხოვრება და მხოლოდ ავადმყოფებზე ფიქრი ეძლეოდა ძალას შვებას.

ტასო მთლად გამოიცვალა, — მას აღარა ჰქონდა დრო ფიქრებისათვის, ოცნებისათვის, მელანქოლიისათვის. მუდამ დაჭრილის გვერდით იჯდა, ჭრილობას უხვევდა, ან ესაუბრებოდა, მდგომარეობას უმსუბუქებდა. მისუსტებულს, სასოწარკვეთილს ეალერსებოდა, უვლიდა და იმედს აძლევდა. ავადმყოფებსაც უყვარდათ იგი და მუდამ მას უხმობდნენ, მასთან ყოფნით შვებას ჰპოებდნენ.

თეთრი ტანისამოსი და ქუდი, შავი წარბები და თეთრი ხალათით შეკრული სავსე ყელი, დაკარწახებული ტიტველი მკლავები და აზიდული გულმკერდი, — ყველაფერი ეს ტასოს უხდებოდა. მიმზიდველი და მომხიბლავი დაიარებოდა იგი გრძელ დერეფნებში და მუშაობისაგან არ ისვენებდა.

მისი სამუშაო დღე ღამის სამ საათზე თავდებოდა. რიჟრაჟი მას პალატებში უსწრებდა. იგი აკვირდებოდა მძინარეთა სახეებს და თავის მეხსიერებაში აღადგენდა თვითეული მათგანის ავადმყოფობის ისტორიას. მედიცინის დათა შორის იგი უფროს დად ითვლებოდა. თავის თანაშემწეების მუშაობას აფასებდა, ენდობოდა მათ. მაგრამ თვითონაც მუდამ ესწრებოდა მძიმე დაჭრილის ოპერაციას. ტასოს აწუხებდა არა მარტო ის, რომ გაჯამრთელებული მებრძოლი კარგად არ გამოიყურებოდა, არამედ ისიც, რომ მისი საცვლები დაუუთოვებელი არ ყოფილიყო. ზრუნავდა იმისთვის, რომ მიკერებული ყოფილიყო თეთრი საყელო და სხვა... თუ ვისმეს მოწყენილს შენიშნავდა, ორიოდე წუთით გვერდით მიუჯდებოდა, მოუყვებოდა რამე საამო ამბავს, იპოვნიდა მისთვის ტკბილ სიტყვებს, გაამხნევებდა და ისევ გავარდებოდა სხვა ავადმყოფების სანახავად...

მტერმა იმ ქალაქის მოწინავე პოზიციებთან, სადაც ჰოსპიტალი იმყოფებოდა, მნიშვნელოვან ძალებს მოუყარა თავი, იგი დიდ ზარალს განიცდიდა, უამრავ მსხვერპლს იღებდა, მაგრამ ყოველი საშუალებით ცდილობდა წინ წამოწევას.

ჰოსპიტალში კი ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა. შესახვევი ოთახი ერთი წუთითაც არ იხურებოდა. საოპერაციო დარბაზი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდა. დაძინებულს ვერ ნახავდა მაშინ ვერავინ გიორგი ქებულიძეს და როცა ძილს გაახსენებდნენ, უპასუხებდა, სად არის ძილის დროო, და მკლავებ-დაკარწახებული ებრძოდა სიკვდილს...

საღამოს, პალატების ჩამოვლის წინ, გიორგი ქებულიძის კაბინეტში თავს იყრიდნენ ექიმები, და მაშინ ჩამოვარდებოდა საუბარი ომისა და ომის გმირების შესახებ. მოუცლელობის გამო ყველა ვერ კითხულობდა გაზეთს და ის, ვინც წაიკითხავდა, თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა და ცალკეულ ეპიზოდებს გადასცემდა თავის ამხანაგებს.

— გუშინ, — ჰყვებოდა ერთი, — მტრის ესკადრილია აპირებდა მოულოდნელად თავს დასხმოდა ჩვენს აეროდრომს. მაგრამ ჩვენებმა დროზე გაუგეს და ისინი ჯერ კიდევ არ შემოფრენილიყვნენ აეროდრომის ზონაში, რომ მათ ზურგს უკან გაჩნდნენ მარდი წითელვარსკვლავიანი გამანადგურებელნი და მამაცურად გააჩაღეს სივრცეში ბრძოლა...

ამას არ მოელოდნენ ფაშისტები და თავგზა აებნათ. გეზი შეცვალეს და შეეცადნენ გაქცეულიყვნენ. მფრინავმა გამანადგურებელმა კუდრიავცევმა ტყვიამფრქვევით ცეცხლი გაუჩინა ერთ მონოპლანს. მეორეს ოკეანიდან დაეტაკა და მიწაზე დაანარცხა...

— თავგანწირვა, სამშობლოს სიყვარული, მტრის დამარცხება, — აი რა აფრთოვანებს ჩვენ გმირებს, — ამბობდა ერთი.

— ჩვენ საავადმყოფოში რამდენია ისეთი შემთხვევა, როცა ავადმყოფი გვეხვეწება, ჩქარა გამწერეთ, რომ ისევ ბრძოლის ველზე წავიდეო. — იტყოდა მეორე.

— დიდია ჩვენი მებრძოლების გმირობა, თავდადება და სიმამაცე, — ამბობდა გიორგი ქებულიძე, — ისინი სიცოცხლეს სწირავენ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას. ჩვენ კი მხოლოდ ჩვენი შრომა უნდა შევწიროთ და განა ეს უნდა დავინანოთ?

უცბად წამოდგებოდა. სხვებიც წამოცვივდებოდნენ და აჩქარებული ნაბიჯით ეშურებოდნენ პალატების ჩამოსავლელად...

ტასო და გიორგი რამდენიმე წუთით თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს დღის განმავლობაში. ტასო თავის ქმარს შეაჩერებდა, თეთრ საყელოს შეუკრავდა, დაკარწახებულ მკლავებს გაუსწორებდა, გახსნილ ღილს შეუბნევდა, რა არის, ასე გაღეღილი რომ დაიარები და ღილიც ვერ შეგიკრავსო, — ეტყოდა, გაუღიმებდა და ისევ კიბეზე აირბენდა.

მათი ბინა იქვე მახლობლად მეორე ეზოში იყო, სახლი-კი მუდამ დაკეტილი ჰქონდათ.

შრომასა და მუშაობაში გადიოდა დღეები. მხოლოდ იშვიათად, როცა საავადმყოფოს მიეძინებოდა, მორიგე ტასო ცოტა ხნით სკამზე ჩამოჯდებოდა, თვალს მილულავდა და რაღაც გაურკვეველ ფიქრებში წავიდოდა... მერე უცბად წამოდგებოდა. „ალბათ, ცოცხალი აღარ არის,“ — თავისთვის წაილულლუღებდა. ავადმყოფს ჩამოვარდნილ სახურავს გაუსწორებდა. ახლა სხვა პალატაში გარბოდა და დაჭრილებს დაათვალიერებდა...

X

ერთ დილას ქირურგიულ საავადმყოფოში მძიმედ დაჭრილები მოიყვანეს. მედპერსონალი დარბოდა, ფაცი-ფუცობდა, ლოგინებს ასწორებდა, სუფთა ზეწრებს ჰფენდა, დაჭრილებს საოპერაციო მაგიდებზე აწვენდა, ჭრილობებს უხვევდა. ისმოდა კვნესა, ოხვრა და გოდება. სანიტრებს მძიმე დაჭრილები საკაცეებით საოპერაციო დარბაზებში შეჰყავდათ, მერე ისევ გარეთ გარბოდნენ და განკარგულებას უცდიდნენ. მედიცინის დები თეთრი ხალათების შრიალით ერთი პალატიდან მეორეში გადიოდნენ, მძიმე ოპერაციების ჩატარებას ესწრებოდნენ და ექიმებს ეხმარებოდნენ. თუმცა მიმოსვლა ხშირი და აჩქარებული იყო, მუშაობა მაინც წყნარად და დალაგებულად მიმდინარეობდა ჰოსპიტალში. ლაპარაკიც კი ჩურჩულად ისმოდა. მხოლოდ შიგადაშიგ გაისმოდა დაჭრილის მტკივნეული ყვირილი ან კვნესა.

მალე ყველაფერი დალაგდა. ექიმების ჩამოვლას უცდიდნენ. კიბესთან ქვედა სართულში, საკაცეზე ერთი მძიმედ დაჭრილი ესვენა. არ იცოდნენ, რომელ ოთახში წაეყვანათ იგი. მედიცინის დებმა ვერ გაარკვიეს მისი ავადმყოფობა. სიკვდილის ფერი დასდებოდა. სხვებივით არა ყვიროდა, არც ოხრავ-

და, არც კვნესოდა, არც ტკივილებს უჩიოდა და არც არაფერს მოითხოვდა. სხეული გაცივებული ჰქონდა, სახე მკრთალი, გახედვა გაშტერებული, ოფლს ასხამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიცინის დებმა მორიგ ექიმთან გაგზავნეს სანიტარი. ექიმმა მაჯა გასინჯა.. ძლივს უცემდა, ძაფივით მისუსტებულიყო. დაჭრილი შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. სუნთქვა ოდნავ ემჩნეოდა. სახის კუნთებს შიგადაშიგ კუმშავდა.

— შოკი, მკვეთრი უღონობა! — წარმოსთქვა ექიმმა და განკარგულება გასცა ავადმყოფი ზედა სართულის გაცალკევებულ ოთახში დაეწვინათ.

ავადმყოფთან მედიცინის და ტასო შევიდა. როცა მან დაჭრილის გაფითრებულ სახეს დახედა, უეცრად ორი ნაბიჯით უკან დაიხია, უცნაურად შედგა, ათრთოლდა. მფრინავის გახსნილ ფრენჩს მოჰკრა თვალი. ახლო მივიდა, სულ ახლო, — დააკვირდა. ავადმყოფი ბოდავდა. ტასო უმწეოდ ოთახში დარბოდა.

ქარბუქივით აბნეული ფიქრები, მწვავე და მტკივნეული, ისეთი მოძალებით სძრავდნენ ტვინს, თითქო უნდა გასკდეს თავის ქალა, თითქო უნდა შეირყეს გონება. კიდევ მივარდებოდა ავადმყოფს, დააკვირდებოდა. ხედავდა, ტკივილებისაგან დამანჭულ, ფერმკრთალ სახეს, გაუპარსავ წვერს და ღრმად ჩაცვივნულ ცისფერ, უძრავ თვალებს. ნიკაპის კუნთები შიგადაშიგ შეიკუმშებოდნენ და მაშინ სახეზე ტკივილისა და ტანჯვის ხაზები ალინიშნებოდნენ. ტასო დასცქეროდა შუბლზე გადმოყრილ ქერა თმას და მისი სახეც იმანჭებოდა. მაინც არა სჯეროდა... გაციებულ მკლავს ჰკიდებდა ხელს და უნდოდა შველა ეთხოვა ვისთვისმე...

უცბად ადგილს მოსხლტა, დერეფანი გაირბინა, კიბეზე დაეშვა. ქვევით რომ ჩავიდა, თეთრხალათიან ექიმებს შეეფეთა, — ისინი ჩამოსავლელად მიდიოდნენ პალატებში... თავის ქმარს მივარდა:

— იქ, ზევით, მძიმედ დაჭრილია! სასწრაფო შველა სჭირია. ჯერ იქ წამოდით, ჯერ ის ნახეთ!

და წინ გაუძღვა ექიმებს.

— ეგრე რად ღელავ? რადა ხარ გაფითრებული? — ჰკითხა გიორგიმ ტასოს.

ოთახში რომ შევიდნენ, ავადმყოფთან მისი ქმარი მივიდა. მაჯა ხელში აიღო. მერე უშვა, მოიღუნა და ავადმყოფს გულზე დაადო ყური.

— უნუგეშო მდგომარეობაშია! — წარმოსთქვა.

— ვაიმე! არაფერი ეშველება? — შესძახა ტასომ.

— შოკია. ყოველი ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. ეს დაავადება გამოწვეულია საერთო ნერვიული ფუნქციების, სუნთქვისა და გულისცემის დაზიანებით, რაც შედეგია მძიმე დაცემის და სხეულის ნაწილის უეცარი და მძლავრი დანჯღრევისა ან ყუმბარის ნატეხით დაჭრისა. მას რეფლექციურად შეკავებული აქვს ტვინის მუშაობა. ამისთანა შემთხვევაში ხშირია სიკვდილი, მაგრამ განკურნებაც შეიძლება...

ავადმყოფთან სხვა ექიმებიც მივიდნენ. ძლივს პოულობდნენ, სად უცემდა მაჯა. იღუნებოდნენ და გულის მოძრაობას აკვირდებოდნენ.

— რა ეშველება? — შეეკითხა ტასო.

— სისხლი უნდა გადავუსხათ! — უპასუხა ქმარმა.

— სწორედ გუშინ გამოგველია!

— როგორ შეიძლება? რატომ არ შემატყობინეს? — შესძახა გაოგნებულმა გიორგი ქებულიძემ. — ახლა რა უნდა ვქნათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სდუმდა. ხმას არავინ იღებდა.

ტასო თრთოდა. საფეთქელი გამალებით უცემდა. ხედავდა, რომ მისი მეგობარი განსაცდელშია. ხსნა შეიძლება, — საჭიროა მხოლოდ სისხლის გადასხმა, მაშინ სიცოცხლე დაუბრუნდება, კვლავ ამეტყველდება იგი. არ იცოდა, რა ეღონა, როგორ დახმარებოდა მას... და უცბად თავში ერთმა აზრმა გაუელვა, ქმართან მივარდა.

— მე მივცემ სისხლს! — ათრთოლებული ხმით სთქვა.

ყველა მისკენ მიბრუნდა.

— შენ?—განცვიფრებული შეეკითხა ქმარი და ავადმყოფს დახედა. მფრინავის ფრენჩი რომ შენიშნა, შეკრთა. დააკვირდა ტასოს გაფითრებულ სახეს. დაინახა, გადაწყვეტილება წრფელი გულით იყო ნათქვამი და ავადმყოფის სიკვდილისაგან ხსნის ძლიერი სურვილით გამოწვეული.

თითქო რაღაც გაახსენდა. თვალებში სისხლი მოაწვა. გაურკვეველი ფიქრები თავბრუდამხვევი სიმძიმით თავში აირია. თითქო ათრთოლდა, გაფითრდა.

არავის შეუნიშნავს, როგორ გადადგა ერთი ნაბიჯი ტასოსკენ, თითქო რაღაც უნდა ეთქვა. ისევ მიბრუნდა და ავადმყოფს დახედა. თვალში ეცა ტანჯვისაგან დამანჭული სახე. შორს სივრცეში მიშტერებული თვალები და უგრძნობელი გამოხედვა.

ტასო თრთოდა. თავის ქმარს შესცქეროდა. ის კი გარინდული იდგა და არაფერს ამბობდა. რაღაც ღრმა ფიქრებში იყო წასული, თითქო მოსწყდა სინამდვილეს, დაივიწყა მოვალეობა.

— ავადმყოფს შველა უნდა! — დაარღვია დუმილი ტასომ.

— შველა უნდა! — უცბად გაიმეორა იმანაც და თითქო ახლაღა დაინახა თეთრხალათიანი ექიმები, სიკვდილის პირზე მყოფი ავადმყოფი და ტასო.

— გაშინჯეთ სისხლი! ნუღარ ვაგვიანებთ! — მხნედ, ენერგიულად უთხრა ექიმს და მეორე პალატაში გავიდა.

ტასოს სისხლი ამოუღეს. მფრინავის სისხლს შეადარეს და ნახეს, რომ იმავე ჯგუფს ეკუთვნოდა.

ავადმყოფს იმ წამსვე გადაუსხეს და ელექტრონის სათბურები გარს შემოუდეს.

თუმცა ამოღების შემდეგ ტასოს თავბრუ ესხმოდა, მან მაინც განაცხადა სურვილი ავადმყოფთან დარჩენის და ყურისგდებისა.

იჯდა და უცდიდა გადასხმის შედეგს. აკვირდებოდა მის სახეს — თვალებს, უპეებს, ლოყებს, მაგრამ ცვლილებას ვერ ამჩნევდა.

გადიოდა საათები და ავადმყოფი იმავე მდგომარეობაში რჩებოდა.

იმ ღამეს ტასოს თვალებს არ მიჰკარებია რული. იჯდა და უცდიდა. მაგრამ ცვლილება მაინც არ ემჩნეოდა. ტასო სწუხდა. დარბოდა, ხან ერთ ექიმს, ხან მეორეს შესჩივლებდა ავადმყოფის მდგომარეობას. გვბულობდა, რომ ავადმყოფისთვის საჭირო იყო სითბო და ისიც მატყლის რამდენიმე ლეიბზე აწვენდა, რამდენიმე საბანს ხურავდა და ყოველი თხუთმეტი წუთის შემდეგ ელექტრონის სათბურებს უცვლიდა.

გიორგი ხედავდა, როგორი მზრუნველობით და თავდადებით იბრძოდა ტასო მფრინავის სიკვდილისაგან დასახსნელად. ხედავდა, როგორ იტანჯებოდა,

როცა სისხლმა სასურველი შედეგი არ გამოიღო და ავადმყოფი იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ღვინოს შეეძლო ორგანიზმის გალიზიანება, მუშაობის გაცხოველება, და ტასო ასმევდა პორტვეინს, კონიაკს. ჰკვებავდა სპირტში [illegible] შაქრით. მაგრამ ავადმყოფი მაინც უგრძნობლად იწვა...

XI

უკვე გავიდა დღე-ღამე მისი მოყვანის შემდეგ და ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში მფრინავის მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვეულებრივი მხნეობით ჩამოივლიდა გიორგი პალატებს და ებრძოდა სიკვდილს. მის შესვლასთან ერთად მწოლარე დაჭრილები სასოებით მიაპყრობდნენ მისკენ თვალებს.

ხედავდა, როგორ დაიღალა ტასო, როგორ მოიქანცა და სასოწარკვეთას მიეცა.

— უნდა დავიხსნათ სიკვდილისგან, უნდა დავიხსნათ! — ამბობდა მოლლილი ტასო.

— ბრძოლა უნდა განვაგრძოთ. უნდა შევუშხაპუნოთ გლიუკოზა, ქაფური...

— არის კიდევ იმედი?

— არის! — და ერთმანეთს შეხედეს. დიდხანს უყურეს ერთმანეთს ასე. თითქო იდუმალი კითხვებით უნდოდათ გაეგოთ ერთმანეთის გულისნადები.

— გოგი! — უთხრა ტასომ. — ვხედავ შენს კეთილშობილ გულს, ვგრძნობ შენს ჩემდამი ცხოველ სიყვარულს და გეფიცები, გოგი, რომ შენს კეთილდღეობას შევწირო ჩემი თავი! გეფიცები, არაფერი გავივლო, რაც შენს პატიოსნებას და სინდისს შებღალავს... — მერე ავადმყოფს დახედა და სთქვა, — ეს იქნება ორივეს მეგობარი — შენი და ჩემი...

— დაიღალე, აღარ შეგიძლიან!

— არა, თავს ვერ დავანებებ! ხომ მალე უნდა გამოირკვეს მისი მდგომარეობაც?

და ტასო გამუდმებით ავადმყოფის ოთახში იჯდა და თვალს არ აშორებდა მის სახეს...

ოო... როგორ გაიხარებდა ახლა, რომ ავადმყოფი გონს მოვიდოდეს, დაილაპარაკებდეს! განიკურნებოდეს!.. იგონებდა მის დედას, მასზე ფიქრით რომ ძილი აქვს ახლა გატეხილი. აჩრდილივით დადის დუმილით მოცულ ოთახებში, თითქო ეძებს ვიღაცას, რაღაცას... გავა მეორე ოთახში, შვილის მაგიდაზე ლამფას აანთებს და დასცქერის მის სურათს. ჩურჩულებს გაურკვევ სიტყვებს, ლოცულობს... თვალებს აღაპყრობს ზევით უცნობ, უხილავ სივრცეში და ევედრება ზეცას, დაუბრუნოს ერთადერთი შვილი ცოცხალი და ჯანმრთელი, რომ კიდევ შეხედოს მას ლურჯ თვალებში, კიდევ მოეხვიოს მის ქოჩორა თავს და კიდევ დასტკბეს მისი ალერსით, კოცნით და სიყვარულით... ცრემლებით ევსება უპეები, ნაკადით ჩამოდის მის დამჭკნარ სახის კანზე...

ტასოს უპეშიც ერთი ცრემლი აციალდა, ლოყაზე ჩამოგორდა... თითი მოისვა. ავადმყოფს დახედა. კიდევ უგრძნობლად იწვა იგი.

გადიოდა მწვავე, გრძელი საათები, კიდევ საათები — აღარ იყო იმედი... ტასო მაინც იქ იჯდა.

უკვე ახლოვდებოდა მომენტი, როცა ადამიანის ბედი სწყდება. ტასო მის სასთუმალს არა სცილდებოდა, მის გაფითრებულ სახეს შესცქეროდა...

უცბად ტასო სკამიდან წამოხტა, ავადმყოფის ლოყას დააკვირდა. მოეჩვენა, თითქოს ვასილს ლოყაზე სიწითლე შეეპარა, თითქოს წითელი [illegible] ნიშნა სახეზე; ცოტაც კიდევ და სიწითლე მთელ ლოყას მოედო...

ტასო სულგანაბული, დაყურსული შესცქეროდა ავადმყოფს. საკუთარი გულის ძგერა ესმოდა, საფეთქლები ბამალებით უცემდა. წელში მოხრილი აკვირდებოდა. ამჩნევდა, როგორ შეინძრენ მისი თვალები, აციმციმდნენ წამწამები. მერე როგორ გადიხარა გვერდზე თავი... ისევ ერთ წერტილს მიაცქერდა, ხოლო ახლა აზრიანად, თითქო რაღაცას იგონებსო. დიდხანს იყო ასე განაბული, სივრცეში გაშტერებული აზრიანი თვალებით...

ტასოს გული მძლავრად სცემდა. სიხარულის ღიმი ტუჩებს ეკვროდა, თვალები უბზინდებოდა, მუხლები კი უსუსტდებოდა, — ეშინოდა არ წაქცეულიყო. სუნთქვაშეკავებული იდგა და ავადმყოფის მოძრაობას შესცქეროდა.

ვასილიმ ერთ წერტილისკენ მიპყრობილი თვალები მიატრიალა და ტუჩები შეანძრია...

— ხომ არაფერი გინდათ? — ჩურჩულით, მოწიწებით შეეკითხა ტასო.

— სადა ვარ?—მისუსტებული ხმით წარმოსთქვა ავადმყოფმა.

— საავადმყოფოში. ძალიან მძიმე ავადმყოფობა გადაიტანეთ. უგრძნობლად იყავით დიდხანს... — საბანი გაუსწორა. ბალიში ზევით აუწია.

ის კიდევ სივრცეში იცქირებოდა. მერე ოთახი მოათვალიერა, თითქო მიხვდა, სადაც იყო. გონებამ სწრაფად იწყო მოძრაობა. გაახსენდა ყველაფერი. ჰო, ლურჯ სივრცეში მაღლა გაფანტულ ღრუბლებში გერმანელი ფაშისტის აეროპლანი მიფრინავდა. მას უბრძანეს გამკლავებოდა. დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა ჰაერში, დიდხანს იფრქვევოდა ორი მხრიდან ტყვია. მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ის მტერს პირდაპირ შეეტაკა... იგი ხელიდან გაუსხლტა და მოჰკურცხლა. ვასილი გამოუდგა. უკანიდან დასცხო. მტრის თვითმფრინავი გადაბრუნდა და ცეცხლმოკიდებული დაეშვა ძირს მაშხალასავით... მაგრამ მისი აეროპლანიც დაზიანებულიყო. გვერდზე დაწოლილი აეროპლანი მაინც მოაბრუნა და აეროდრომისაკენ გამოსწია. დანიშნულ ადგილამდის მიაღწია და აეროპლანიც გადაბრუნდა. ძირს დაეშვა. მერე არაფერი აღარ ახსოვს...

— მკლავები რათა მაქვს დამძიმებული? ვერ ამიწევია, ვერ გადავბრუნებულვარ. — შეეკითხა ტასოს.

— ეგ არაფერია, მალე კარგად გახდებით.

ავადმყოფმა თავი მოაბრუნა და ტასოს თვალებში შეხედა.

— თქვენ მივლიდით? — დააკვირდა. დიდხანს უცქირა თვალებში, სახეზე. მერე წამოიწია, მისკენ მიზიდა თავი და გაფართოვებული თვალებით შეხედა.

— არ შეიძლება, რატომ წამოიწიეთ? რა გინდათ? — მივარდა ტასო და თავი ისევ ბალიშზე დაუდო.

— არაფერი, არა! მე მეგონა... მომეჩვენა თითქო... — და ისევ დააკვირდა ტასოს.

ახლა კი ორი წყვილი თვალი ისე შეხვდა ერთმანეთს, როგორც სიზმარში ნახული მოგონება...

— ტასიკო! — შესძახა. — მითხარით, მართლა თქვენა ხართ? განა თქვენა ხართ?

— დაწყნარდით. აღელვება არ გარგებთ... ხომ ხედავთ, მე ვარ?

— თქვენა ხართ? ღმერთო ჩემო!.. განა ეს შესაძლებელია? მერე, როგორ... საიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაწყნარდით, ახლა დაწყნარდით. მერე გეტყვით ყველაფერს.

— რა ბედნიერი ვარ! რა უსაზღვროდ ბედნიერი! რატომ არ ვიცოდი, თუ ოცნება და სინამდვილე ასე ახლო ყოფილან ერთმანეთთან? ქალბატონო ტასო! უცნაურია, უცნაური! როგორ გიხდებათ თეთრი ხალათი...

ბავშვივით ხარობდა, იღიმებოდა და ტასოს შესცქეროდა....

XII

მფრინავის მორჩენა ჰოსპიტალში ყველას უხაროდა. ექიმები შედიოდნენ და კარგად ყოფნას ულოცავდნენ.

— ახლა მხოლოდ სულ მცირედი ოპერაცია და სავსებით განიკურნებით, — ეუბნებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰოსპიტალის მედპერსონალმა გაზეთებში წაიკითხა: გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა, სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მფრინავ უფროს ლეიტენანტს ვასილი პავლოვიჩ ტარდოვსკის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და დაჯილდოვებულ იქნას ლენინის ორდენით.

ავადმყოფნიც და საავადმყოფოს მოსამსახურენიც, ყველანი ხარობდნენ და ამაყობდნენ, რომ მათთან იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის გმირი და ორდენოსანი. მის ოთახთან მიდიოდნენ, კარებში იჭვრიტავდნენ და მფრინავს ისე უყურებდნენ, როგორც ბავშვები უცნაურ სათამაშოს უყურებენ.

ვასილის მცირე ოპერაციამ უმტკივნეულოდ ჩაიარა. ორი-სამი დღის შემდეგ კიდეც ადგა და სეირნობის ნებაც მისცეს.

— შენი ავადმყოფი მორჩა, კარგად არის, — ეუბნებოდა გიორგი ტასოს.

— დადის კიდეც, — უთხრა ტასომ.

—ახლა ისევ ფრონტზე წავა? რას ამბობს?

— ჰო, ეჩქარება მალე გავიდეს ჰოსპიტალიდან.

გიორგი მიუახლოვდა, მკლავში ხელი მოჰკიდა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— ის საბჭოთა კავშირის გმირია.

— შენ კი ჩემი გმირი ხარ, გოგი! ჩვენი კავშირი ურყევია. მე ვიცი შენი კეთილი გული და გეფიცები ყველაფერს, გოგი, რომ...

— აგერ ისიც, ჩვენსკენ მოდის, — სთქვა გიორგიმ.

გრძელი ხალათით, მხნე ნაბიჯით, მოღიმარი სახით ვასილი მათკენ მიემართებოდა. ექიმის წინ შეჩერდა და უთხრა:

— უღრმესი, უსაზღვრო მადლობა, ძვირფასო ექიმო, თქვენი ესოდენი მზრუნველობისათვის... და თქვენც, ქალბატონო ტასო, რომ ამდენი ენერგია დახარჯეთ და ასეთი მხნეობა გამოიჩინეთ ჩემი გადარჩენისათვის.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! ჩვენ მოვალენი ვართ, — ეუბნებოდა ექიმი ქებულიძე.

— დიაღ, ვიცი და მეც ფიცსა ვდებ თქვენს წინაშე, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო და საერთო საქმეს, მშობლიურ ქვეყნის კეთილდღეობას მოვახ-

მარო ჩემი აწ განკურნებული თავი... მხოლოდ მე გთხოვთ. ექიმო, ნუღარ აყოვნებთ და ჰოსპიტალიდან გამომწერეთ...

— რა გეჩქარებათ? ყველაფერს მოასწრებთ, — უთხრა ექიმმა და წავიდა.

— ბედნიერი ხართ, საბჭოთა კავშირის გმირი, ორდენოსანი! — უთხრა ტასომ, ქმარი რომ წავიდა.

— დიაღ, ბედნიერი, ქალბატონო ტასო, ორდენოსანი, ორჯერ ორდენოსანი... ლენინის ორდენით და თქვენი სისხლით. ლენინის ორდენი მკერდს მიმშვენებს, კვლავ ბრძოლისაკენ მიმიწოდებს, სამშობლოსათვის თავგანწირვას და გმირობას მომთხოვს... თქვენი სისხლი-კი კუნთებში სჩქეფს, მაღელვებს და გულს მიჩქროლებს...

— ხომ კარგად გრძნობთ თავს?

— ძალიან კარგად. ოპერაციის შემდეგ, განსაკუთრებით.

— ის ხომ ჩემმა ქმარმა გაგიკეთათ?

— დიაღ, ვიცი.

— დიდ მონაწილეობას ღებულობდა თქვენს მორჩენაში.

— ყველაფერი ვიცი. ისიც კარგად დავინახე, როგორ გიყვართ და პატივსა სცემთ ერთმანეთს. ჰო-და, მე შევურიგდი ჩემს ბედს... ახლა ჩვენ მეგობრის სისხლითა ვართ შეერთებულნი... სხვა არაფერი შეიძლება და მე ბედნიერი ვარ... მეყოლებით თქვენ და თქვენი ქმარი, როგორც მეგობრები და გამამხნევებელნი ჩემი ბრძოლების დროს...

— დედა? თქვენი დედა? — შესძახა ტასომ.

— დედა, მართლა! საცოდავი დედა ჩემი! სულ დამავიწყდა.

ვასილი აღელვებისაგან შეჩერდა. ღრმად ამოისუნთქა. მერე წარმოსთქვა:

— იმანაც გმირობა უნდა გამოიჩინოს... სამშობლოსათვის უნდა დასთმოს თავისი შვილი. იმის მაგიერ კი თქვენ დამლოცეთ. ქალბატონო ტასო, დამლოცეთ! თქვენგან გამხნევებული, წავალ, გავწევ ბრძოლის ველზე. ჯერ კიდევ მთლიანად არ დამიმსახურებია ლენინის ორდენი და თქვენი სიხლი, ჩემს კუნთებში რომ სჩქეფს...

ორი დღის შემდეგ, როცა ჩვეულებრივ ჩამოვლისას ექიმები ვასილის ოთახში შევიდნენ, ის იქ აღარ დახვდათ.

მაგიდაზე პატარა ბარათი იდო: „სრულიად ჯანმრთელი ვარ. დიდი მადლობა. გამოწერას ვეღარ დავუცადე, მაპატიეთ. მიგულებდეთ ფრონტზე. ვასილი ტარდოვსკი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

სიმღერის ძალა

როცა ქვეყანა განრისხებული
მტერს დაეჯახა მტკიცე ჯავშანით,
როცა მზის ულევ სხივთა ისრებით
ღამის ოდენა ჯანღი დავშალეთ,
ქედმოუხრელი დედა-სამშობლო
შვილებს მიუძღვის წითელ თავშალით,

მინდა მოვახტე ცხენს ალქარივით,
ქარზე უსწრაფესს დავსძრა მერანი,
სივრცეს ჰზარავდეს ფლოქვების ელვა
და უზანგების მძლავრი ჟღერანი,
მხნედ გავყიოდე ორბებს, არწივებს,
ძრწოდეს ყორნების რაზმი ვერანი,

მინდა ხიშტს გავდეს ამ დროს კალამი,
გულში მახვილად ხვდებოდეს ჯალათს,
მინდა მგზნებარე ჩემი სიტყვებიც
მტრის ბანაკებში სკდებოდეს ალად,
თუ არა მამულს, — ვის შეეწიროს
ჩემი ჯანი და სიმღერის ძალა?

დაე, დავეცე, ვითარცა ელვა,
ქვეყნად სიბნელის დამამხობელი,
ვეთხოვებოდე მზეს და სიცოცხლეს,
სხივთა სიმების ჰანგთა მპყრობელი,
სისხლით შეღებილ მკერდზე მეფინოს
ჩანგი, შუქივით ჩაუქრობელი,

მხოლოდ ცოცხლობდეს ჩემი სამშობლო,
მისი ლამაზი მთები და ჭალა,
მუდამ ჰყვაოდეს დროშა წითელი
ხალხთა ძმობის და სიმართლის ალად,
თუ არა მამულს,—ვის ენაცვალოს
ჩემი ჯანი და სიმღერის ძალა?

8. 4. 42.
ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

თქვენი სიმღერა

ერთი დაჭრილი ვაჟკაცი ვნახე
უცხო, აქ, მთაში
მოეყვანათ
შორს ლაშქრობიდან.
უნათდებოდა ღიმილით სახე
აფრთოვნებული იყო თქვენი ვაჟკაცობითა!

ერთი სიმღერა ახსოვდა ამბად, —
ჩუმად უსმენდენ
მოხუცები
და ფანდურები!..
თქვენ კი ამ წუთის ბნელშიაც ალბად
იყავით ცეცხლის ნაპერწკლებად გაფანტულები...

აქ საქართველოს თეთრი მთებია,
არც სახელოვანთ
ივიწყებენ,
არც უგულებელთ! —
თქვენი სიმღერით ამღერდებიან...
გუნდად დამსხდარნი კლდეებიც კი ბანს გუგუნებენ.

«ველზე ვეგდეო, — დაჭრილი სწუხდა, —
სიბნელეს ჰგლეჯდენ,
მიწას სთხრიდენ
მტრის ყუმბარები!
აკვამლებული ცისკიდე ჰქუხდა, —
წუთი ხან გრგვინვით შემაკრთობდა, ხან მდუმარებით!

«უღონოდ ვლევდი სულს ნაღვლიანი,
მაგრამ სიმღერა
უეცარი,
ბნელში მომესმა,
ჩამომიქროლა ბორბლის ტრიალით,
როგორც გრიგალთა გულისძგერამ უახლოესმა! —
«და გაჰქრა... ბნელში გაშლილის მკერდით,
ვიცოდი, ისევ
თავგანწირვით
უნდა ეომათ!
და მე გონს მოველ, აღვსდექი მკვდრეთით,
მათი სიმღერა ჩამეწვეთა გულში მხნეობად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ხმა სიზმარივით მებრძოდა მღვიძარს,
ბედკრული თურმე
თოფს უხელოდ
ვეტანებოდი!
ვერ ვცილდებოდი გათოშილ მიწას
და მეც თოვლივით ჭრილობების სისხლით ვთბებოდი...

«დღეს კი აქა ვარ. გული არ კვნესის,
ტკივილს მიყუჩებს
გულითადი
ზრუნვა დებისა...
და ისევ იგი სიმღერა მესმის
ალაზნის მხრიდან, მეგობრებო, დაბინდებისას!

«მიხვდით? იქ ბნელში რომ ჩამიქროლეს,
ბორკილაყრილი
ხეობების
მკვიდრნი ყოფილან!
ამღერებული გულით იბრძოლეს,
დაეცნენ კიდეც... და მათი ხმა არ შეკრთობილა!»

ეს გაიხსენა დაჭრილმა ამბად.
მას მღერით აჰყვა ხმა ფანდურების.
თქვენ კი
ამ წუთის ბნელშიაც ალბად
ხართ ნაპერწკლებად გაფანტულები!..

შორს საქართველოს თეთრი მთებია,
არ დაგტოვებენ მანდ უგულებელთ,
თქვენი სიმღერით ამღერდებიან,
გუნდად დამსხდარნი ბანს გუგუნებენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

ᲞᲝᲔᲛᲐ

„ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას“.

ლ. პ. ბერია.

I

კარვის კარებთან მისწყდა ჩურჩული,
დუმილი დადგა წინანდებური.
ჩაფიქრებული და მოღუშული,
ტახტზე მდუმარედ იჯდა თემური.

თითქო ნახტომის სურდა მოსწრება,
კარს უსწორებდა თვალებს მრისხანეს.
გაიღო კარი და შუბოსნებმა
უცხო ვაჟკაცი შემოიყვანეს.

თვალახვეული იყო მოსული,
აყრილი ჰქონდა ხმალიც, მახვილიც
და გუშაგებით გარემოცული
მოაბიჯებდა დინჯად, დაღლილი.

აუხსნეს თვალი. გაეხსნა ზეცა,
თითქოს აფეთქდა ვრცელი დარბაზი,
თვალებში შუქი ოთხიმხრივ ეცა
და ნელა წადგა ფეხი ბარბაცით.

ტახტის პირდაპირ დადგა დიდგულად,
არ მოუცვლია წამით ადგილი,
სალამზე წელში არ მოშვილდულა,
ისე გადასცა გრძელი გრაგნილი.

თემურმა ვეზირს ანიშნა წამსვე,
და სმენად იქცა დიდი სარდალი.
მუქარით იყო მისდამი სავსე,
ქართველთა მეფის შემონათვალი.

სწერდა: „ჯარი მყავს, სიმაგრე მაკრავს,
ღვთის ძალით ვზივარ ტახტზე სვიანი,
სამჯერ შეგვმუსრე სიმრავლით, მაგრამ
სამჯერვე დიდი ნახე ზიანი.

მაინც ვერ გასძეღ ქართველთა სისხლით,
ბავშვთა ცრემლით და ქალთა გოდებით,
კვლავ აღვსებულხარ ჩვენდამი რისხვით,
კვლავ ასაკლებად გვიახლოვდები.

მიზეზს დაეძებ, მიზეზო თვითონ,
გამოგვიცდიხარ ბევრჯერ, მაცდურო,
ხლებას მიბრძანებ, მატყუებ, ვითომ
გსურს ხელმწიფობა დამიდასტურო!

მეფობას შენ გთხოვ? მეფედ დამბადა
ღმერთმა და ტახტზე ვზივარ ურყევად,
მამაშენისთვის ჩემთა მამათა
არ უთხოვიათ მეფედ კურთხევა.

შენ თავი მოგაქვს უშიშარ სარდლად,
მე კი ოდესმე მნახე შემკრთალი?
მოსვლითა მაშინებ?—მოდი, თუ მართლა
არ ხარ დიაცი და სეფექალი.

მოდი, რას მივლი საზღვრებგადაღმა,
როგორც აფთარი გაუმაძღარი,

თორემ მე თვითონ მოვალ ხმალდა-
ხმალ,
მოვალ ღვთითა და ჩემი ლაშქარით!..“

II

შედგა ვეზირი, კითხვა მოთავდა,
შიშით ტახტის წინ განერთხო უცებ.
თემური ტახტზე იჯდა, შფოთავდა
და გაბრაზებით იკვნეტდა ტუჩებს.

რისხვით დახედა გრაგნილს ერთჯერაც,
მოსულს წერილი ახლო აჩვენა:
„— იქნებ არ იცი აქ რა ეწერა?“
„— თვითონ დასწერა ჩემმა
მარჯვენამ!“

თვალში შეხედა უცხომ თავხედად,
და მიახალა უშიშრად სიტყვა,
მაშინ თემური უფრო გახელდა,
სახეზე ცეცხლად მოედო რისხვა!

წამოხტა, ხელი დაავლო ხანჯალს,
მარჯვენა ხელში ხელი ჩასჭიდა,
შემოუქნია, მოჰკვეთა მაჯა
და ითქრიალა სისხლმა მაჯიდან.

დახედა დაჭრილს, ჩაჰკითხა თანაც
(არ უტეხავდა თვალს ფერმიხდილი):
„— არ მოელოდი მოგკლავდი განა?“
„— ველოდი, თვითონ მსურდა
სიკვდილი!“

თქვა და მრისხანეს შეხედა მშვიდად,
სახეზე შერჩა სიკერპე ურჩთა,
საშინელ ტკივილს არაფრად თვლიდა,
ისევ უკრთოდა ღიმილი ტუჩთან.

შვებას თუ გრძნობდა
თავგანწირვაში, —
არ ეტყობოდა შიშის ნასახი...
შედრკა თემური მსხვერპლის წინაშე
და ძირს დაუშვა ხელი ცახცახით.

დაჭრილი თემურს უცქერდა მშვიდი,
როგორც უცქერენ უძლურ კაცუნას...
მის თვალში რაღაც სიკვდილზე დიდი
ეჩვენა თემურს და შეაძრწუნა...

III

სარკმელში ჩაჭრა შუქი გვიანი,
ტუსაღის თვალში ჩადგა ნათელი,
ხელმოკვეთილი [illegible]
დილეგში ეგდო გვარამ მარგველი.

სამარის მსგავსი იყო ჯურღმული,
არსით ჩურჩული, არსით ყიჟინა,
იწვა გვარამი თვალმოხუჭული,
მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიძინა.

ეწვოდა მხარი და გამწარებით
კვნესოდა, ბნელში სულშეხუთული.
უცებ შეირხა ციხის კარები
და ძირს დაეცა მძიმე ურდული.

არ მოელოდა, შეკრთა ანაზდად,
კედელს გაეკრა ბნელში გართხმული,
შედგა მოსული, შემოანათა
და მიესალმა ტკბილი ქართულით.

გადაივიწყა დაღლა და ტკენა,
ტუსაღმა მუხლში იგრძნო ძალღონე,
წამოიძახა: „ქართული ენა!
კიღევ მითხარი და გამაგონე!“

მოსულს არ ეცვა თუმცა ღარიბად,
მაგრამ გლეხთაგანს გავდა უბრალოს.
„მე ლანგთემურის დოსტაქარი ვარ,
მიბრძანეს, მოველ, რომ გიმკურნალო!“

„მე არ მოვრჩები, გვიან მანიჭებთ
სიცოცხლეს, ალბად უნდა მაწამოთ“.
„იყუჩე, ყმაო, ჯერ თურმანიძეს
არ დაუხარჯავს უქმად მალამო!“

„მაშ თურმანიძე ხარ ჩვენებური?
შემეხე, მოდი, არ მომელანდოს,
რატომღაც ვიყავ დაჯერებული,
რომ ვეღარ ვნახავ ქართველს
ვერასდროს“.

„— იყუჩე, ყმაო!“ დასწვდა მკურნალი
დაჭრილს, მოჰბანა წყნარად მარჯვენა,
დასდო მალამო, მკლავი მხურვალი
რბილად შეუკრა და დაასვენა.

მიწვა. მალამომ ტკივილი მკლავის
ძლივს დაუამა და გაუყუჩა,
დოსტაქარს მუხლზე დაუდო თავი,
დამძიმებული და თმახუჭუჭა.

ექიმი წყენით და საყვედურით
ეტყვის მწუხარე და მოწყენილი:
„— ამპარტავნული და თავხედური
რად მოიტანე მეფის წერილი?“

„— მკურნალო, ალბად მე აქ
მოვკვდები,
აქედან გასვლას აღარ მოველი,
ჩემი სიმართლე, ჩემი ცოდვები
შენ მიითვალე წვრილად ყოველი.

განა იმად ღირს კაცთა დიდება,
რომ სიკვდილისთვის მან გაიძულოს!
მე დავეძებდი სხვა დამშვიდებას,
მე მაწუხებდა სხვა საიდუმლო!

IV.

„რაც ღმერთმა ქვეყნად სიცოცხლე
მომცა,
არ იქნა ბედმა არ დამასვენა...
თურმე პატარა ვიყავი, როცა
მიყვარდა დედის ძუძუ მარცხენა.

იმ ძუძუს მსხვილი შავი ხალები
კამათელივით სამგან ეხატა,
მან გააოცა ჩემი თვალები,
გავეთამაშე და გამეხარდა.

ის ტკბილი ძუძუ მთლად რძეს აევსო,
მთელი დღეებით და საათობით
აღარ მახსოვდა სხვა საალერსო,
სხვა სათამაშო და გასართობი.

მაგრამ ქართლიდან დედას ერთ
დილით
მეფე ბაგრატის პირმშო მოგვარეს,
მივეალერსე გულით კეთილით,
თითქო მოსულში ვიცან მოყვარე.

უცხომ ჯერ იწყო ოდნავ დარცხვენა,
აკვირდებოდა ყველას ფიცრთად,
მაგრამ, რომ ნახა ძუძუ მარცხენა,
წაეპოტინა და ჩაეჭიდა.

შემოეხვია მსუქანთათება,
გადააფარა თავი პატარა,
გავბრაზდი, ვცადე მისი გაგდება,
მან კი ახლოსაც არ მიმაკარა.

დედას იამა, გულმკერდი მისი
ტახტის მემკვიდრემ რომ დაამშვენა,
თითქო არ ვიყავ მარცხენას ღირსი,
შვილს მომაწოდა ძუძუ მარჯვენა.

შურით დავხედე ტახტის მემკვიდრეს,
მიბრიალებდა თვალებს ზვიადი,
მარჯვენა ძუძუს არ დაეკიდე,
პირი ვიბრუნე და შევტრიალდი.

უჭმელ-უსმელმა ორ დღეს ვიარე,
თურმე სახეზე დამეტყო სევდა,
რძე მარტო დარჩა ჩემს მოზიარეს
და ჩემი დარდით შეწუხდა დედა.

მესამე დილით, როცა წუწუნით
ორივემ ერთად ავწიეთ თავი,
ვერ გავარჩიეთ დედის ძუძუნი,
ორივეს ასხდა ხალები შავი.

ორივეს ჰქონდა ხალი სამსამი,
ვერ ავარჩიეთ ერთნაირები.
შედგა გიორგი, შევდექ გვარამიც,
მოწყურებული, როგორც ირემი.

უცებ ვწვდით თითოს და მივეტანეთ,
ვით ლეკვნი შიმშილგამოვლილები
და ვულიმოდით თვალით ერთმანეთს,
ჩვენჩვენი ხვედრით კმაყოფილები.

ბოლოს გავიგე, მიამბო დედამ:
თურმე შეწუხდა ჩემი წვალებით,
მარცხენას მსგავსად მარჯვენაზეც
ხალით დაეხატა შავი ხალები.

V

შევრიგდით, მასზე კარგი ვინ შეაკვდა,
იმ დღიდან ერთად ვიწყეთ ლაღობა,
ერთი მეორე რარიგ გვიყვარდა,
რა კარგი იყო ჩვენი ბალღობა!

ჯიხვი, არჩვი და კალმახი ბლომად,
ხევზე გარბენა ბეწვის ხიდებით,
ჩქერებში ცურვა, კლდეებზე ხტომა,
გვირგვინი იყო ჩვენი დიდების.

ორივე ერთად ვცდიდით იარაღს,
ერთად ვისწავლეთ გასროლა ისრის
და როგორც ძუძუ გვქონდა ზიარად,
ზიარი გვქონდა გრძნობა და ფიქრიც.

ქვეყნად არაფრის არ გვქონდა ჯავრი,
ვიყავით მხნენი და უბადლონი,
ის უფლისწული, მე—შვილი მთავრის,
მოდინახის და კაცხის პატრონი.

VI

ძუძუმძე ჩემი—მემკვიდრე ტახტის
ჭირსა და ლხინში არ მიშორებდა,
და თუმცა უკვე დიდები გავხდით,
გული გვიწევდა მაინც სწორებთან.

ამიყოლია ერთხელ ზაფხულში,
მოუნდა ხალხში გავლა გლეხურად,
ტანთ გადავიცვით გლეხის ტყაპუჭი,
თავზეც გლეხური ქუდი გვეხურა.

დავვლეთ მრავალი მწყემსთა კარავი,
რამდენი გლეხი ძმად გაგვეფიცა
და არ იცოდა მათში არავინ,
თუ პირმშო იძმო ბაგრატ მეფისა.

ვიხეტიალეთ.
სოფელში ერთგან
მოგვწყურდა, ცხენზე ჯდომაც
მოგვბეზრდა,
ვხედავ: გიორგი უზანგზე შედგა
და გააჩერა ცხენი ლობესთან.

ეზოს გასცქერდა თვალით მახვილით,
მიველ და თვალთა ხილულ ჩემთა:
ჭაზე გოგონა იყო [illegible]
და ნაწნავები წელამდის სცემდა.

დიდხანს ვუცქერდით თვალის
გასახარს,
მობრუნდა, როცა სურა აივსო,
მაშინ გიორგიმ კრძალვით გასძახა:
„—წყალი გვწყურია, დიასახლისო!“

შეგვხედა, შეკრთა, ვით მტრედის
ხუნდი,
თანხმობის ნიშნად თავი დახარა,
დარცხვენილივით შებრუნდა წუთით
და გაირბინა ეზო პატარა.

გაუთავებლად გვეჩვენა წამი,
ორივ ველოდით, ორივ ვლელავდით,
გამოჩნდა ისევ, მოჰქონდა ჯამი,
სინით ხილი და ღვინო ხელადით.

დავლიეთ, თითქო ცხენთაც ეგემოთ,
დასცეს ტორი და იწყეს ხვიხვინი...
გოგონამ გვითხრა: გთხოვათ მეფემო,
რომ დაულოცოთ მზე და გვირგვინი.

გავოცდით, მეფეს აქ არ ველოდით,
ვიყავით მეფის ნახვის მდომელი,
არ გაგვახსენდა: საქართველოში,
როცა ქორწილობს, მეფობს ყოველი.

არ გავუტეხეთ თხოვნა, შევყევით,
ტურფა მეგზური წინ მიგვიძღოდა,
გვხიბლავდა ეშხი ტანის მერხევის
და ნაწნავების, მაჯის სისხოთა.

დუღდა სისხლი და თვალი თვრებოდა,
კრთოდა გოგონა, ძუძუ-კოკობი,
წინ მიგოგავდა და წითლდებოდა
შეშინებული, როგორც ხოხობი.

VII

არ დაგვხვდა მეფე, არც დავეძებდით,
დაგვხვდა სუფრა და სჭექდა მაყრული,
მათ გაიხარეს ჩვენი შესწრებით,
ჩვენ გავახარეთ თვალი ნახულით:

გლეხის ოჯახში იყო ქორწილი,
ესვათ, ქვევრები აღარ დაენდოთ,
იდგა თამადა ყანწგამოცლილი
და ჯიხვს უვსებდნენ საალავერდოდ.

გაგიხარიან, კარგ სუფრას შევხვდით,
კვამლის, ღვინის და ორთქლის
ბურანში,
ამხედრებოდა დედოფალს მკერდი,
მეფეს აშლოდა ნორჩი ულვაში.

ჭორთული, ნაზი და მოკაზმული
სხვადასხვაფერად, როგორც პეპლები,
სუფრაზე ისხდენ ტურფა ასულნიც,
ვაჟკაცის გულის დამლონებლები.

დახატულთ გავდენ, ისხდენ კოხტანი,
მაგრამ ვერ იყო მათგან ვერც ერთი
ბოგონას მსგავსი, ჩვენი მომყვანის,
მასავით ტურფა და ტანწერწეტი.

არ აშორებდა თვალს უფლისწული,
არ იზიდავდა ღვინო ანკარა,
თითქოს დევებთან იყო მისული,
მათს საჭმელს პირიც არ დააკარა.

ბოგოს მეც ზოგჯერ თვალს
შევასწრებდი
და წითლდებოდა შუქის მთოველი,
მაგრამ მოვიდა სავსე ყანწები
და დამავიწყდა წუთით ყოველი.

VIII

გავიდა დრო და... მეგონა ცხადად
არც შემხვედრია, იყო სიზმარი...
სულ თვალწინ მედგა ბოგონა ხატად,
ვერ დავივიწყე დაუვიწყარი.

მის შემდეგ ცხადად ველარსად ვნახე,
ძილში ვხედავდი თვალდახუჭული,
ცისკარი — მისი მეგონა სახე,
ფოთლის შრიალი — მისი ჩურჩული.

დრო მიდიოდა, ღამეს დღე სდევდა,
კვლავ თვალწინ მედგა იმ დღის
ქორწილი.
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

მოანათებდა თვალთა ბრიალით,
მთლად ალეწილი და დაკაწრული,
პირდაბურული, თავსაფრიანი
მკლავზე ესვენა უცხო ასული.

გიორგიმ თვალით მანიშნა მუნჯად,
ცხენს მივსწვდი, აღვირს ხელი
დავტაცე
და წამსვე, როგორც მოვახტი
ლურჯას,
მან შემომიგდო ქალი ტახტაზე.

„— მღვიმისკენ ჩქარა. ერიდე მდევრის
შეხვედრას, აბა, გასწი ფრთხილადა!“
ვუშხუვლე ლურჯას, დავტოვე ტევრი,
მიჰქროდა ცხენი და მიფრინავდა.

აღარ მახსოვდა გაჭრილს თავბედი,
არ დავყურებდი სავსემკერდიანს,
ვის ვიტაცებდი, ვის მივაფრენდი,
ერთხელაც კი არ დამიხედია.

X

შორს სამშვიდობოს ვიყავ გასული,
ნელნელა გულსაც ყური ვათხოვე,
მუხლთან მესვენა უცხო ასული,
ვიგრძენი სითბო და სიახლოვე.

მარჯვენა ფრთხილად მოვხვიე წელთან,
მარცხენა რბილად დავუდე თავთან,
დავხედე სახეს და მეცა ელდა —
ქორწილში ნახულ გოგონას გავდა.

წამით წამწამთა ადგენ ჯარები,
ნელნელა ბნელი გახსნა ხილულად,
შემხედა, შეკრთა და ნეტარების
ღიმილით თვალი ისევ მილულა.

არა, ის იყო, არ მომეჩვენა,
ცეცხლს მიკიდებდა სითბო თეძოთა,
თავი ჩემს მკლავზე მშვიდად ესვენა,
სუნთქვაზე მკერდი მძიმედ ეძროდა.

გონების აღარ შემრჩა ნასახი,
თვალებზე ბინდი გადამებურა,
მივიახლოვე ხელის ცახცახით
და დავიხარე ჩემს უნებურად.

ნებაზე მომყვა, მოვხვიე ხელი,
და როს ბაგენი შეხვედენ ბაგეებს,
უცებ ფეხისსმა მეშინოდა
შევხედე, ვიღაც ცხენს მოაგელვებს.

გიორგი იყო, შორითვე ვიცან,
აღარ მრჩებოდა დრო შეჩერების,
დავკარ და თითქო ელოდა ნიშანს,
ისევ გაფრინდა ცხენი ჭენებით.

მივქროდი დიდხანს, ზღვასავით სავსე
გოგონას საფრთხე არაფრად უჩნდა,
დაქანცულს ისევ ეძინა მკლავზე
და შერჩენოდა ღიმილი ტუჩთან.

XI

მორჩა ბილიკი, მთაზე გაბმული,
გადავიქროლე ხრამები ზათქით,
ბოლოს გამოჩნდა გამოქვაბულიც,
ჩვენ რომ შეხვედრის ადგილად
დავთქვით.

შევჩერდი, უკან გავხედე წყენით,
წამომწეოდა გიორგი სწრაფად,
მან შეაყენა ჩემს გვერდით ცხენი,
ჩამოხტა ძირს და იხსნიდა ნაბადს.

ნაბადი რბილად დააგო ხავსზე,
ტყით და კლდით იყო მღვიმე
დაცული,
მომაპყრო თვალი მადლობით სავსე
და ჩამომართვა ფრთხილად ასული.

მღვიმისკენ წყნარად მიჰყავდა ქალი,
ნაბადზე რბილად რომ დაასვენა,
ვიბრუნე პირი. წამერთო ძალი
და აღარ მსურდა ახლო დარჩენა.

XII

გამოეღვიძა, იხილა გვერდით
გიორგი ეჯდა, შეკრთა ასული.
წამოიწია, შეჰკივლა ერთი
და ძირს დაეცა კვლავ გულწასული.

ვაპკურეთ წყალი, მაჯა ადვილად
მოეცა, ცივი წყალი იამა,
მაგრამ თვალები არ გაახილა,
კვლავ მიიძინა თვალცრემლიანმა.

ადგა გიორგი. გავდა ერთიან
მეხდაცემულს და მუხლებმოცელილა.
მთხოვა საჩქაროდ ამომერთმია
საუფლისწულო შესამოსელი.

მივხვდი: უბრალოდ ვერ შეაყვარა
თავი და ზრახვა ვერ აისრულა,
სატრფოს მოლბობას ცდიდა ამგვარად,
სურდა რომ ეცნო ქალს
უფლისწულად.

XIII

კვლავ გავქრი თვალის ერთი მოსწრება,
ისევ მივუშვი ლურჯას სადავე,
კვლავ დავუბრუნდი მასზე ოცნებას,
ალმართი როგორც ჩამოვათავე.

ჯერ არ ვიცოდი მისი სახელიც,
მაგრამ თან მსდევდა გასაკვირველად,
და მეშინოდა გულში გამხელის,
რომ შემიყვარდა ქალი პირველად!

მწყუროდა. პირი და ბაგე მშრალად
მქონდა უწყლობით, არ შევსვი წყალი,
ვშიშობდი, ტუჩზე არ წამეშალა
იმ წამიერი ალერსის კვალი.

XIV

სასახლე დამხვდა მთლად
გამოცვლილი,
წუხილი იყო ყოველ კუთხეში,
კვდებოდა ბაგრატ ძლევამოსილი,
მტრების რისხვა და ქვეყნის ნუგეში.

ვხვდებოდი, ხალხს რომ ვხედავდი
შემკრთალს,
გველოდა ცრემლი და განსაცდელი.
სწრაფად წავუღე უფლისწულს ერთად
ცუდი ამბავი და ტანსაცმელი.

მიველ, მივართვი დანაბარები,
მოწყენით შევხვდი ღიმილს იღბლიანს,
შემბრალდა გულში და აჩქარებით
ცუდი ამბავი არ მიმიხლია.

ჩქარა ჩაიცვა ახალთახალი
სტავრა უცხო და ფარჩა ძვირფული,
იდგა ბეჭბრტყელი, ბაგეტანმალული,
სახე-მკაცრი და წარბმოშვილდული.

XV

გაელვიძა და მღვიმიდან უცქერს
გაოცებული თვალით ასული,
ალბად ვერ იცნო გიორგი უცებ,
მეფე ეგონა უცხოდ ჩაცმული.

უკანკალებდა საყურე ყურთან,
ტუჩთან მიედო შემკრთალს მანდილი,
უფლისწულს მისი ალერსი სურდა,
მისკენ იწევდა ხელებგაწვდილი.

იხევდა უკან და ცახცახებდა,
ერეკებოდა თითქოს ნამქერი,
ვერც შეკივლება, ვერც დაძახება,
ვერ მოახერხა ველარაფერი.

როგორ გაუსხლტეს და მოიცილოს!
ცახცახებს, როგორც ვერხვის
ფურცელი,
და როგორც მისწვდა...
„— ბატონიშვილო!“
შევძახე, მეტი ვერ გავუძელი.

მობრუნდა, თითქოს მოხვდა ისარი,
თავს ვხრიდი, ღელვას ველარ
ვფარავდი.
„— პატიებას გთხოვ, გვიან გითხარი,
კვდება და გიხმობს მეფე ბაგრატი“.

გაფითრდა, თითქო მოსწყდა სხეული,
უცებ მოეშვა დაუცხრომელი.
მომიახლოვდა სმენად ქცეული
და მწუხარებით ვუთხარ ყოველი.

მძიმე ამბავი დაეცა ზარად,
მაგრამ არ შედრკა მაინც ლომგული.
შეხედა სატრფოს და ცხენზე წყნარად
შეჯდა მწუხარე და გულმოკლული.

გამომესალმა. სახეს წყვდიადის
ფერი დაკვროდა, მარტო გაბრუნდა.
თვალს მიეფარა. შემოვტრიალდი:
გოგონა იდგა გამოქვაბულთან.

ის, ვისი ჭვრეტის წყურვილიც
მკლავდა,
ვისი ღიმილიც იავარდს შლიდა,
შემომანათა სითეთრე მკლავთა
და წამოვიდა პირდაპირ მშვიდად.

ადგომა მსურდა, არ ამყვა წელი,
თითქოს სიმძიმე მძლევდა ბორკილთა,
მოვიდა, მხარზე დამადო ხელი
და უეცარი ჟრჟოლა მომკიდა.

კანკალით მითხრა, წყენის კილოთი:
„—კარგად გცოდნია მეფისთვის
გარჯა,
ასე მეგონა შენთვის გინდოდი,
თურმე გდომივარ ხელმწიფის ხარჭად.

ქვრივის და ობლის ცოდვა ემართოს
ყველას, ვინც ობლის დაღუპვას
ცდილა!..“
თქვა და რაღაცამ უცებ შემაკრთო,
მაჯასთან ცრემლი დამეცა წყვილად.

შევხედე, სველი მეჩვენა ლოყა,
ცრემლის დანახვამ დამცა თავზარი,
მოვხვიე ხელი, ნებაზე მომყვა,
ვსდუმდი და ენა ვეღარ დავძარი.

მომეყრდნო მკერდზე განაფითრები,
თრთოდა და ხვევნას აღარ მიშლიდა,
და ანათებდენ მისი თითები
ჩემი ხუჭუჭი თმების გიშრიდან.

მეკვროდა, იყო ჩიტის ოდენა,
მითხრობდა: „გნახე. ვერ დავივიწყე
ქორწილში მოსვლა, შენი მოლხენა,
ცხენოსნობაში შენი სიფიცხე.

მელანდებოდი, მეგონა ცხადი
შენზე ზმანება; ლანდად გამხადე,
თვალებში შენი ჩამიდგა ხატი
და გული ჩემი გახდა სახატე.

მთლად ჩამიშავდა შენზე ნადველით
თვალი, ისედაც შავი მაყვალი,
ღმერთს ვადიდებდი შენს სახელით,
შენზე ვფიქრობდი გზად ხმაყალი.

და ერთხელ, გზას რომ გავყევი ნელა,
ჯერ კიდევ ახლო ვიყავი სახლთან,
შარაზე შემხვდა მოულოდნელად
ჭაბუკი, შენ რომ ქორწილში გახლდა.

იგი არ იყო შენი ბადალი.
შენებრ კეთილი და მომხიბლავი,
შევხედე, გულმა მიწყო ფართქალი,
მეგონა, თუ შენც ახლო იყავი.

შემხედა, თითქოს ბავშვივით შერცხვა,
მომიახლოვდა წყნარად, მორჩილად,
მე რა ვიცოდი, უბრალოდ ეცვა,
დღეს მივხვდი. თურმე მეფე ყოფილა.

გული უცემდა, მესმოდა ჩქამი,
ვერ იმეტებდა სიტყვას გულუხვად,
მეგონა შენზე მეტყოდა რამეს,
მან თავის თავზე წაილუღლუღა.

არ ვუგდე ყური ნათქვამს საოცარს,
წაველ, ვიბრუნე სახე ზვიადად..
მაგრამ იმ დღიდან გზა აღარ მომცა,
და აჩრდილივით ამეკვიატა.

ვერ ამოგიგდე, რა ვქნა, გულიდან,
მას არ ვუსმინე ხვეწნა და ფიცი.
მევედრებოდა, არ გაუვიდა
და დღეს რაც მოხდა, შენ უკეთ იცი...

გულწასულს ცხენზე გამომეღვიძა,
ახლო არ ჩანდა მტერი არც ერთი,
ასე მეგონა ბედი მეღირსა,
ასე მეგონა შენ მიტაცებდი.

შენ კი“... მის ოხვრას ვერ გავუძელი,
აღარ შემეძლო უხმოდ დარჩენა,
უცებ აღმომხდა ფიცი გულწრფელი:
„—ჩემი იქნები, ვფიცავ მარჯვენას!

ჩემს სურვილს ვერვინ ამოდებს
ლაგამს,
არასდროს შენთავს არ დავთმობ,
არსად.
ლრუბელთ ბატონის ქალს მოვგვრი,
მაგრამ
შენთავს არ მივსცემ უფლისწულს
ხასად!"

დამშვიდებული, სავსე ნუგეშით
შემომყურებდა, როგორც მლოცველი,
მე ჩავხატვოდი თვალთა გუგებში,
თვალები ჰქონდა ტკბილსაკოცნელი.

XVI

აღარ ვამბობდი ბედის საჩივარს,
არ ვიყავ ღვთისთვის მეტის
მთხოვნელი..
ერთად ვიყავით ცეცხლი და თივა
და თავისთავად მოხდა ყოველი.

აღარ ეცალა უფლისწულს ჩვენთვის,
საქვეყნო ზრუნვა დაატყდა დიდი.
მე ფიცი მივეც საყვარელს შერთვის
და დაბრკოლებას არაფრად
ვთვლიდი!..

მალე მოვიდა წერილთან ერთად
სანდო მოხუცი, ჩვენი გადია,
წაველ და, როგორც გიორგი მწერდა,
მოხუცთან მარტო დარჩა ნათია.

ნათია"..
მკურნალს აღმოხდა ოხვრა,
ამოატანა გულის ნაღველი:
„—მეც მყავდა ქართლში ობოლი
ოხრად,
ნათია იყო მისი სახელი.

ნათია, ვაი ჩემი ნათია,
ნეტავ მის მიწას მე მიმაბარა,
აგერ მეოთხე წელიწადია,
რაც დამეკარგა ჩემი პატარა!.."

შედგა გვარამი, შეხედა რიდით
მოხუცის სახეს, ცრემლებით დამბალს,
და რომ მიყუჩდა მოხუცი მშვიდი,
კვლავ დაუბრუნდა გაწყვეტილ ამბავს:

„—დეზსა ვცემ ლურჯას და
მივაქროლებ,
წაველ და გული მღვიმეში დამრჩა,
ვფიქრობ: რაკი მსურს ქალი
საცოლედ,
როგორ წამართმევს გიორგი ხარჭად.

გული მეტყოდა: „ნუ მიხვალ ნურსად,
დაბრუნდი, ბეწვის ხიდზე შემდგარი!"
მე რა ვიცოდი, თუ უფლისწულსაც
ნამდვილად სწვავდა ცეცხლი
ჩემგვარი..

XVII

რა გადაურჩა სიკვდილს ურღვევად,
კვდებოდა მეფე, იყო აშკარა..
ტახტის მემკვიდრის მეფედ კურთხევა
დიდმა ხელმწიფემ თვით დააჩქარა.

და მიიცვალა ძლევამოსილი,
წინაპრის გზაზე წასვლა ეღირსა,
გადიდო ლხინი, შეწყდა ქორწილი,
გოდება იყო მთელი ქვეყნისა.

ჭაბუკი მეფე იგლოვდა ბნელში,
ტანზე ძაძით და თავზე ნაცარით.
მაშინ მოვიდა თემურის ელჩი
და საქართველოს დასცა თავზარი.

შემოეთვალა: „მიქცევ შეცდომით
გვერდს ქედმაღალი და უმადური.
მოდი, მეახელ, ვით ქვეშევრდომი,
თუ გსურს მეფობის მოგცე დასტური.

თუ მეურჩები, სასჯელი მკაცრი
გელის, სად წახვალ სამტროდ
გამდგარი!
სამეფოს შენსას ცეცხლით და ხანძრით
იავარს გახდის ჩემი ლაშქარი"..

XVIII

მეფემ საზღვრები სწრაფად ჩაჰკეტა,
ბალემსრბოლებმა მოვლეს მთაბარი,
სამეფოს ბედის გადასაწყვეტად
საჩქაროდ იხმო შვიდივ მთავარი.

ფიცხნი და ჩქარნი იყვნენ ბუნებით,
მამაპაპათა მსგავსად მხნეები...
სხვადასხვა კუთხის დიდებულებით
აივსო მეფის სასახლეები.

სხვაგან სად ნახო მათი ბადალი,
რად ღირდა მათი თვალის შევლება!
მეფემ გააცნო შემონათვალი
და დიდებულნი დასხდნენ
მრჩევლებად.

არ აშინებდათ თემურის რისხვა,
წესად არ ჭონდათ ჭირთა დაჩენა...
დიდხანს არჩიეს, მრავალი ითქვა
მეფის და ხალხის გადასარჩენად.

თქვეს: „მეფეს უგებს მახეს თემური,
რა სანდო არი მხეცი მაცდური,
ბეფეს დახვედრა მართებს მეფური,
კვლავ პირდაპირი და მამაცური!

რომ დამორჩილდეს, წავიდეს ურდოს,
დაღუპვა ელის მეფეს ნამდვილი,
ქართლს არ დაინდობს თემური უნდო,
ერჩის ღონე და შესწევს ქადილი.

გვყავს მეომრები ვეფხთა ბადალი,
რომ ვმუსროთ მტერი, შემოსეული,
მაგრამ, თუ დაგვთმობს მეფე-სარდალი,
უთავოდ რაღას გახდეს სხეული!

უმეფოდ რაღა გააწყონ ყმებმა,
ხელმწიფე მუდამ ქვეყნის ბურჯია..“
მეფეს თვით სურდა ბრძოლა და შებმა
და მორჩილებაც არვინ ურჩია.

მაშინ წამოვდექ შუბლშეჭმუხვნილი
და მოვახსენე: „მეფევ ბატონო,
გვიახლოვდება ჭექაქუხილი,
ნაბიჯი კარგად ავწონდავწონოთ.

სამძიმო არის მეფის ულელი,
თუ ქვეყნისათვის არის საჭირო,
თუ ერს დაიხსნი, თუ ხალხს ეხეკელი,
ვალდებული ხარ თავი გასწირო.

ეს იყო წესი, მუდამ, ჩვენშიაც
თავს სდებდნენ შენი მამაპაპანი,
სადაც არ სჯობდა, გაცლა ერჩიათ,
თუმც არვინ იყო მათში ჯაბანი.

მათ განიცადეს წამება მკაცრი,
ცეცხლში რვალივით გამოიკვეთენ..
ომს და სისხლისღვრას მაშინ აქვს
აზრი,
თუ ხალხისათვის მოაქვს სიკეთე.

არ ვგავართ დიდ ერს, მტერზე
უდარდელს,
გავწყდით და, რაღაც ერთი მუჭა
ვართ,
რა ჭკუა არი, თვით ჩავუვარდეთ
გახელებულ მტერს ჩასაბღუჯავად.

ნუ შეაშინებს გზა წამებულთა,
გზა ეკლიანი და სასახელო,
უნდა წავიდეს მეფე თემურთან,
რომ კიდევ უფრო არ გაახელოს.

ეახლოს მეფე, როგორც მორჩილი,
მტერს მტრობის ეჭვი აღარ ექნება,
ჩვენ აგვეხსნება ხელზე ბორკილი,
და ჩუმად ვიწყოთ ჯარის შეკრება.

კავკასიონის გავაღოთ კარი,
თოხთამიშს შემწედ ვთხოვოთ
ლაშქარი,
უეცრად დავსცეთ ლანგთემურს ზარი
და სასიკვდილო ჩავცეთ ლახვარი“.

არ დაუჯერეს ჩემს რჩევას სხვებმა:
მეფე მტერთანო არ წაისვლება,
ჯარის შეყრა და პირდაპირ შებმა
ერთხმად დაასკვნეს დარბაისლებმა.

XIX

ძილისწინ მეფემ მიხმო, მივედი,
შევატყვე, ჩემი მისვლა იამა.
ჯერ ომზე მკითხა რჩევა მცირედი
ხელმწიფემ მხნემ და იმედიანმა.

და რომ შემატყო მძიმე გუნება,
თითქო ყინულის სურდა გალღობა,
მიქო პირში თქმა და ერთგულება
და მოიგონა ჩვენი ბალღობა.

მეტყოდა: „შენებრ ერთგული სადმე,
ვინ მყავს სპერიდან დარუბანდამდის,
ნუ დავუმალავთ ერთმანეთს
სათქმელს,
როგორც ადრევე არ ვუმალავდით.

მაღალი ღმერთი არის თავდებად,
სამშობლოს მტრების ძლევა მწადია
და ომი კარგად თუ გათავდება,
უნდა შევირთო ცოლად ნათია“.

გავხევდი, თითქო დამეცა მეხი...
მითხრობდა მეფე დანაღონები:
„— იგი შვილია უბრალო გლეხის,
უდედმამო და არას მქონები.

მამა მკურნალი ჰყოლია, როცა
თბილისთან ეწყო თემური ბაგრატს,
როცა თემურმა თბილისი მოსწვა,
მკურნალი თურმე უკვალოდ გაქრა.

ეძებდნენ დიდხანს მეფის ექიმთა
უხუცესს, მაგრამ ვერ ნახეს
ვერსად“...
დოსტაქარს ცრემლი ჩამოეკიდა,
დილეგში ჩუმი გაისმა კვნესა.

მკურნალმა ხელი მოხვია გვარამს,
გვარამმა იგრძნო სითბო სხვაგვარი,
ამოიოხრა მოხუცმა წყნარად:
„—მე თვითონა ვარ ის დოსტაქარი!.“

ჩაესმა გვარამს, თითქოს შორიდან
ნათქვამს ათასი ხმა იმეორებს:
„—მტერი თბილისში რომ შემოვიდა,
წყლულებს ვუხვევდი დაჭრილ
მეომრებს.

ტყვედ ჩავუვარდი, ვერ გავასწარი
მოულოდნელთა და უეცართა,
თემურმა მნახა ტყვე! დოსტაქარი,
ბრძანა მალამო ჩემი შეცალა.

ბრძოლაში შვილი დაჭროდა მძიმედ.
ვნახე, მომაკვდავს გავდა შორითვე,
არვინ აძლევდა მორჩენის იმედს,
მე თემურს ვთხოვე ვადად ორი თვე-

დაჭრილი დავხსენ ტანჯვას საშინელს,
ორი თვის თავზე, როგორც ვუთხარი,
შვილი თემურის გადავარჩინე,
მაგრამ დავკარგე მე საკუთარი.

თემურს მემკვიდრე ძლიერ უყვარდა,
დამასაჩუქრა და თან მახარა:
თურმე გაეცა ჯილდო უხვადა,
რომ მოეძებნათ ჩემი პატარა.

ეძიეს მთაში, ეძიეს ბარში,
და ბოლოს ყველამ მითხრა ერთპირად:
თბილისის ახლო ბრძოლის დროს
ბავშვი
მეომრებს ცხენით გადაეთქირათ.

ნათქვამის გარდა სხვა რამ საბუთი,
თუმცა ვერ მითხრეს, მაგრამ
მჯეროდა,
თემურთან დავრჩი, აღარ დავბრუნდი,
საქართველოში რა დამრჩენოდა!

არ გავწირულვარ, ძლივს ახლა
მივხვდი,
შენ მოგიყვანა თვითონ განგებამ...
რად დასცინოდი რისხვას და
სიკვდილს, —
ლანგთემურს ჩემით სურდა გაგება.

იფიქრა: ქართველს იქნებ გაენდოს,
და შემომგზავნა შენთან, დიდგულო,
თურმე გვქონია დარდი საერთო,
შენსაში შევხვდი ჩემს საიდუმლოს.

ამას ველოდი, ეს მინატრია,
ჩოქვით, ლოცვით და საგალობელით,
მაშ, ისევ ცოცხლობს ჩემი ნათია?
შენა ხარ ჩემი მახარობელი!

თუ კიდევ დადის ქვეყნად ამაყად,
ციურ სიტურფის გამომსახველად?!"
„—შენ თუ ნამდვილად მისი მამა ხარ,
პაპუნა უნდა გერქვას სახელად".

„—სწორედ ისა ვარ, მომხვიე ხელი,
ნათიას მამა მე ვარ, პაპუნა.
იმ სოფლისაკენ გზა მქონდა ძნელი,
შენმა ნათქვამმა შემომაბრუნა".

„—ვერ მომეწია მაშინ მდევარი,
ახლა მორჩილად ვდგავარ მდევართან".
„—ჩემი ნათია ხომ კიდევ არი?..
მიამბე, შემდეგ რა დაემართა"!..

XX

„—შენს ამბავს მოჰყვა. ცოტახანს
სდუმდა,
კვლავ ამეტყველდა ჩემი ძმობილი:
„ნათიას მაინც შევირთავ, თუნდაც
ხელმწიფედ ვიქნე უარყოფილი!"

ვგრძნობდი, თანდათან როგორ
ვინთები,
მიმატა ღელვამ და გულის ფეთქვამ,
მაგრამ გავმაგრდი და მორიდებით
მაინც გავბედე მეფისთვის მეთქვა:

„—დიდიხანია ველით დედოფალს,
ღირსეულს ველით, ქვეყნის იმედო,
მაგრამ, ნუ იწყენ ჩემს თავხედობას,
მორჩილად რჩევა რომ გაგიბედო.

განა პატარა არის ქვეყანა,
თუ ქორწინების გახდი მდომელი?
მეფის ასული რომ მოგეყვანა,
უარს გეტყოდა მეფე რომელი?!"

შეწუხდა, მაგრამ რა მოხრის
ფოლადს?
ფოლადი იყო ჩემი ძმობილი.
მითხრა: „ნათიას შევირთავ ცოლად,
თუნდ მეფედ ვიქნე უარყოფილი".

მინდოდა მეთქვა სათქმელი ფრთხილი,
ჩვენს გარდა არვინ იყო მესამე,
მაგრამ შევატყე უნდოდა ძილი,
ავდექ და უხმოდ გამოვესალმე.

XXI

იმ ღამეს წვეთი არ მიძინია,
ვშფოთავდი, ცრემლიც ბევრი
დავღვარე,
ძალით გავტეხდი მეფეს ჟინიანს,
თუ არ მომცემდა ნებით საყვარელს.

მაგრამ არ იყო ბრძოლა ადვილი...
და გამახსენდა ძუძუ მარცხენა,
თვალწინ დამიდგა დედის აჩრდილი,
ძმის მტერი დამგმო და შემაჩვენა.

ვუთხარ: „რად მწირავ მეფის
ზვარაკად,
არ ძალმიძს ხათრით თვალის ახვევა,
სატრფო ერთია, სხვა ქალს არა გავს,
ვით ნახევარი მკერდის ნახევარს.

სხვადასხვა არის ყოველი არსი,
სხვადასხვაგვარად გამოკვეთილი,
რომ მომაჩვენოს ნათიას მსგავსი,
ღმერთი არ არის შენებრ კეთილი.

მე კი თავს მუდამ ვერ დავიჩაგრავ,
თუმც მეფე არის ქვეყნის მნათობი,
ძუძუ დავუთმე გიორგის, მაგრამ
არ ვარ გულის და სატრფოს
დამთმობი".

„—გახსოვს, მეტყოდი ხოლმე:
„დედილო,
ტკბილი რძით სისხლსაც
გვიკავშირებო",
ძმობილნი ერთურთს რომ
შეეცილოთ,
მე ძუძუები მტკივა. შვილებო!

თქვენ სხვაც გყავთ დედა, მან გზარდათ
უბით,
სწოვდით სამშობლოს ლამაზ ძუძუებს,
ძუძუებს ატკენს მას თქვენი ჩხუბი,
სამშობლოს ცუდ დროს
დააუძლურებთ!"

ეს სთქვა და სევდით უნაპიროთი
გამშორდა დედის მწუხარე ლანდი.
ვიწექ, ღამეში ჩუმად ვსტიროდი
და ბალიშს ცხელი ცრემლებით
ვბანდი.

XXII

კვლავ შეიკრიბა დარბაზის ერი,
და დაამტკიცეს მეფის უსტარი,
შენ თვითონ იცნობ ქართველთა
წერილს,
მტრისადმი სავსე იყო მუქარით.

დასწერეს, მაგრამ ნელნელა წახდა
მედიდურება აღტაცებულთა,
რადგან სიკვდილი ელოდა ნაღდად,
არავის სურდა წასვლა თემურთან.

არას იტყოდა ხელმწიფე თავად,
წამოდგა მისი თანამზრახველი:
„— კარგი იქნება, თუ ელჩად წავა
მეფის წერილით გვარამ მარგველი.

მეფის ერთგული წარვგზავნოთ ელჩი,
ნუ ვანდობთ წერილს სამტროდ
აშლილებს,
გვარამი მზნეა და გულიც ერჩის,
მას განსაცდელი არ შეაშინებს.

იგი თავადი არის ქებული,
ვერ ვირჩევთ მხდალთა და
უგვაროთა“...
შევხედე მეფეს: ჩაფიქრებული
იჯდა, უსმენდა და უხაროდა.

დარბაისელმა განაგრძო წყრომით:
„— ეჭვიანია ქართველთა მოდგმა,
მარგველს არ სურსო თემურთან ომი,
არის ჩურჩული და მითქმა-მოთქმა.

ტყუილად უთქვამთ, თითქოს გვარამი
ბრძოლის წინ კრთოდეს. ლხინს
მიჩვეული“.
გულს მიშფოთებდა მისი ნათქვამი
ბრაზით ვიწვოდი სირცხვილეული.

ჭორთაგან მსურდა დაცვა ღირსების,
წასვლად მიწვევდა ხმა ვაჟკაცური,
ელჩობას მთხოვდნენ დარბაისლები,
და მეც მაშინვე მივეც დასტური.

XXIII

მეფე კვლავ მოლბა [illegible] შემდეგ,
თურმე იდუმლად [illegible] მოგვერდი,
არ მიშორებდა, სანამ არ შევჯექ
ცხენზე და აქით არ წამოვედი.

გამოსალმება მსურდა სატრფოსთან,
მოხილვა მწადდა ჩემთა ციხეთა,
მეფე ჩქარობდა და ისწრაფოდა
და აღარცერთი არ მომიხერხდა.

როს დამილოცეს გზა ვაჟკაცებმა,
მზე მთაზე იყო ამოწვერილი,
ყმას დავუტოვე გადასაცემად
ხელმწიფისათვის ჩემი წერილი.

ჩუმად ვუთხარი (ხელმწიფის კაცთა
მახვილ თვალთაგან წერილს
ვფარავდი):
რომ თქვან: გვარამი დღეს საზღვარს
გასცდა,
მაშინ მიართვი ჩემი ბარათი.

ვწერდი: სიკვდილი ჩემი ადრეა,
მაგრამ სიცოცხლე რაა პირადი,
რამდენჯერ მითქვამს და მინატრია:
მეფის გულისთვის თავს გავსწირავდი!

როგორ მიყვარდი, რა ადვილია,
შენთვის სიკვდილი და თავდადება!
მე სიყვარულით გზა გამივლია,
ეს გზა სიკვდილით არ გათავდება.

მოვკვდები, ბოლოს სხვა რა მომივა,
მაინც ყველას კლავს სოფელი ფლიდი,
მე წინ არასდროს არ აღგდგომივარ
და შენს მტერს მუდამ ჩემს მტრადაც
ვთვლიდი.

გულის ამყოლი სხვა ვინ არ შეცდა...
გულს გატკენს, ვიცი, ეს აღსარება
და სასიკვდილოდ სისხლსმსმელ
მხეცთან
არ დაინანებ ჩემს გამგზავრებას.

მე რა ვიცოდი სად მიმიყვანდა,
გულს რომ ვანდობდი ქარში
იალქნებს,
მე რა ვიცოდი, შენც ის გიყვარდა,
მე ვისი დარდიც მაფორიაქებს...

ახლა მარტო ვარ, რა მაბადია,
რაღა მაქვს ქვეყნად დასაფარავი,
მიყვარდი ძლიერ, მაგრამ ნათია
მიყვარდა ისე, როგორც არავინ.

როგორ მეტყოდენ ხელის აღებას,
ვუყვარდი მასაც, მინდოდა ცოლად
და თუმც წინ მედგა შენი სახება,
არ ამიტანა შიშმა და ძრწოლამ:

გამოქვაბული და სიმარტოვე,
რა ტკბილი იყო, რა სამყოფელი!
წახველ, მღვიმეში მარტო დაგვტოვე
და თავისთავად მოხდა ყოველი.

მას არ მიუძღვის დანაშაული,
მას შეგავედრებ, ჩემთვის არ ვშიშობ!
მოხდა ყოველი, ვით სასწაული,
თავისთავად და უანგარიშოდ.

შენზე ვფიქრობდი, ღმერთების
მსგავსად
ბედნიერებით სავსე პირთამდის,
ასე მეგონა, გინდოდა ხასად,
გლეხის ქალს ცოლად არ შეირთავდი.

და შენს წინაშე ჩემს თავს პირნათლად
ვთვლიდი, ეჭვები აღარ მებრძოდენ..
მაგრამ იმედმა არ გამიმართლა
და შენს წინაშე გავხდი შემცოდე.

მე ორნაირად მკვდარი ვარ შენთვის,
კაცს შეცოდება განა ჩაუვლის?
ვედრებით გეტყვი, თუ კიდევ
მეთქმის:
მას არ მიუძღვის დანაშაული!

მას შემოგვედრებ. მახვილი ბასრი,
სამშობლოს მტრისთვის უნდა
გალესო,
მისი უმანკო სისხლით ნუ გასვრი,
ამას გთხოვ, ძმაზე უსაყვარლესო!"

XXIV

ნელა ვიარე, მინდოდა მოცდა,
უკან მიხმობდა [illegible].
ყმა მომეწია ერთგული, როცა
უკვე საზღვართან ვიყავ მისული.

მიამბო (ნეტავ იქვე სიკვდილით
გავშორებოდი სწრაფად ქვეყანას):
თურმე ნათია მეფეს იმ დილით
ბნელ მონასტერში გადაეყვანა.

და ჩაეცმიათ წმინდა დედათა
შავი და მძიმე ძაძა მხევლისა,
მზეს და ქვეყანას ვეღარ ხედავდა
მშვენება ბნელი საკურთხევლისა.

გამცემებს ცოდვა ღმერთებმა
ჰკითხონ,
იქვე ვყოფილვარ ბედდაწყევლილი, —
ხელთ ჩავარდნოდა ხელმწიფეს
თვითონ,
გადმოსაცემი ჩემთვის წერილი.

სატრფოს ნაწერი იყო უსტარი,
ნახა და თურმე ლახვრად დაესო:
სავსე ყოფილა ნახვის მუდარით
სიტყვები ტკბილი და საალერსო.

წერილზე ჩემთან სიტყვაც არ დაძრა,
მეფე ყველაფერს აზრად მიმხვდარა,
თურმე ჩემს დასჯას ფიქრობდა
მკაცრად,
მაგრამ პირდაპირ არა მითხრა რა.

ზურგში მახვილი რომ არ ჩაერჭოთ,
მეფე მტრებს შიგნით არ დაისევდა,
მან თურმე ჩემი წასვლა საელჩოდ
ჩუმად ურჩია დარბაისელთა.

XXV

მიამბო ყმამ და ისეც დარდიანს
უკანასკნელი დამცა თავზარი...
რომ წარმეტაცა უკან ნათია,
შემაჩვენებდა წმინდა ტაძარი.

ვფიქრობდი: სწრაფად გადავალ
ლიხით,
ყმებს მოვუწოდებ მთებში გამდგარი,
სანამ კედლები გარს მაკრავს ციხის,
ვერას დამაკლებს მეფის ლაშქარი.

მაგრამ რას ვაქნევ, თუნდაც ვერ
მძლიოს,
მეფეს ოდესმე თუნდ დავეზავო,
მაინც სიკვდილი უნდა ვეძიო,
ყველგან უძმომ და უნათესავომ.

რა გულით უნდა გავუღო კარი
მტერს ძმათა სისხლში გასვრილ
ხელებით,
დავეკარგები სამშობლოს მკვდარიც
და სამუდამოდ დავიწყევლები.

დავფიქრდი, გული არ ამიჩქარდა,
თუმცა ძლიერი იყო ცთუხება, —
არა იყო რა ღალატის გარდა,
უკან მიქცევა და მიბრუნება.

თვალთაგან ცრემლი წამსკდა
მდუღარე,
შემოვტრიალდი, ვძლიე მაცდური.
თემურისაკენ ცხენს ავუჩქარე,
რადგან სიკვდილი მსურდა კაცური.

XXVI

მოველ თემურთან და რაღად გიკვირს,
თუ ქვეყნის მპყრობელს შევხვდი
მკვახედა.
სიცოცხლე მძულდა, ვეძებდი
სიკვდილს,
სიკვდილის პოვნამ გამათავხედა.

„— ნუ ჩქარობ, სიკვდილს მოასწრებ
მუდამ,
მაგრამ თუ ახლა აქიდან გახვალ,
განა სიცოცხლედ არა ღირს, თუნდაც
საქართველოს და საყვარლის ნახვა“!?

„— არა, ახლოა სიკვდილი ბნელი,
ჩემი გზა მხოლოდ იქითკენ მიდის,
საქართველოში წამება მელის
და განსაცდელი სიკვდილზე დიდი“.

„— შემოიმტვრიე ფეხზე ხუნდები,
რად იწირები, როგორც ტარიგი,
საქართველოში თუ [illegible],
მე მანდე ზრუნვა [illegible]

ვეცდები მეფეს რომ შეგარიგო,
თუ გაპატიოს, ექმენ მორჩილი,
იქნება ტაძრის კარიც გაიღოს
და ნათიასთან გექნეს ქორწილი.

არ გმართებს ვაჟკაცს სულით დაცემა,
ბედთან ბოლომდის ვსინჯოთ ჭიდილი,
მაგრამ სიკვდილი თუ არ აგცდება —
სამშობლოს მტრისგან გიჯობს
სიკვდილი.

ომი გველის და სამშობლო ითხოვს
მტერს ვაჟკაცურად დახვდნენ
მხედრები.
ჩემი ნათია ცოცხალი იყოს,
ურდოში ვიღას გავუჩერდები!

მცველს მოვისყიდი. წავალ
ურდოდან...“
მოხუცმა ჩუმად თქვა და აჩქარდა.
გატყდა გვარამი: წასვლა უნდოდა,
მტრების დახვედრა ქართულ
ლაშქართან.

XXVII

ძახილი იყო გუშაგად მდგართა,
ჰყიოდა მოყმე კოშკზე შემდგარი.
განთიადისას თბილისის კართან
გუშაგებს გასცდა ორი მხედარი.

არ ააყენეს ჭენებით მტვერი,
არც ერთმა სახე ხალხს არ აჩვენა,
მოხუცს უჩანდა ჭაღარა წვერი,
გულზე ეკიდა ჭაბუკს მარჯვენა.

აკვირდებოდა მოხუცი ქუჩებს,
ბანდაბან იდგენ სახლები კოხტა.
ხალხმრავალ ქუჩებს გაშორდენ უცებ
და ქალაქგარეთ ჩამოხტენ ქოხთან.

XXVIII

მოხუცს სამშობლოს ნახვა იამა,
თითქოს ჭაბუკად იქცა ხელახლა,
უცხოდ ჩაიცვა ხალისიანმა
და სასახლეში მეფეს ეახლა.

გამოეგება მოსულს კარამდის
ჭაბუკი მეფე — ღმერთების სწორი,
ლომს დაეხურა თავს მუზარადი,
ტანთ საომარი ჩაეცვა თორი.

გვერდით დაისვა მკურნალი, დიდხანს
უსმენდა ტანბრგე და მკლავმაგარი,
მერე თემური სად იდგა ჰკითხა,
ან რაოდენი ჰყავდა ლაშქარი.

არას ამბობდა გვარამზე განგებ,
მოხუცი მეფეს მიუხვდა აზრად,
— სხვა დროს ვეტყვიო და უფრო
ვარგებ —
ეს სთქვა გულში და სიტყვა არ დაძრა.

იქნებ ელოდა მეფე სათხრობარს,
მარჯვედ უქცევდა სიტყვას სხვა
მხარეს.
ადგა ხელმწიფე, სწრაფად
დასტოვა, —
ქალაქში ლაშქრის მოსვლა ახარეს.

XXIX

შემოდიოდნენ ჩქარნი ჭენებით,
შუბთა სიხშირით ცა ჩააღამეს,
მხედრებს აღვირებს გლეჯდენ
ცხენები,
ვახურებულნი ხრავდენ ლაგამებს.

მინდორში ჯარი დადგა ქართული,
გამოერბინათ მერნებს მთაბარი,
იდგენ კოხტანი და დარახტულნი
და უღელავდათ ქარში ფაფარი.

ცა ზანზარებდა მათი სიმღერით,
და ფეხთა მტვერი ნისლს აყენებდა,
შვიდი სამთავროს დროშა შვიდფერი,
თავს დადგომოდათ ცისარტყელებად.

XXX

„...მაშინ ფრიად შეწუხნა მძლავრი ლანგთემურ ესრეთ რომე ამისთანა მარცხი და ზიანი მას არაოდეს შემთხვევია...“

ქართლის ცხოვრება.

ზღვის ქვიშასავით აურიცხველი
და უთვალავი, როგორც ფოთოლი,
ცეცხლად მოვარდა მტერი ფიცხელი,
ვერ გაუმაგრდა ვერსად გოდოლი.

ეწყვენ ქართველნი, მტრის სისხლით
ღებეს
ყოველ ნაბიჯზე ქართლის მთაბარი.
ბოლოს თბილისთან გამაგრდა მეფე
და შეაგება ძალა მთავარი.

და მიეტიენ, ვით თივას ცეცხლი,
სწრაფად წავიდა სისხლი ჩქაფანით,
ისმოდა ჩხერა ჯავშნების შეხლის
და ლაპლაპებდა ხმლებში ჩაჩქანი.

ხმლები კი არა, ალი კოცონის
ჰკვესავდა, რვალზე დაძგერებული
და უშიშარნი, ვით უხორცონი,
მტერს აწვებოდნენ გამგელებულნი.

ჰკვეთდა ლახვარი ელვად გაჭრილი,
ილეწებოდა მძიმე აბჯარი
და შედრკა ურდოს წინა ნაწილი,
როგორც ლომის წინ შედრკეს
კანჯარი.

მაგრამ ბოლომდის მაინც ვერ სჭრიდა
მტრების სიმრავლეს კვეთება ცხარე,
ვით ქარიშხალი ზღვის ერთი მხრიდან
ვერ სწვდება ხოლმე მეორე მხარეს.

მეფე მხეცქმნილი გლეჯდა ვეფხურად,
სჩეხდა, კისკასად სცემდა ფიცხელი,
სისხლი ეცვა და სისხლი ეხურა,
ცხენიც მტრის სისხლით ჰყავდა
წითელი.

მეხივით სტეხდა მისი მახვილი,
ქარიშხალივით ჰქროდა ხმლიანი,
ჯარს ამხნევებდა მისი ძახილი
და სეფე დროშა გორგასლიანი.

XXXI

ტყის ნადირივით სისხლი სწყუროდა,
განრისხებული იყო თემური,
არ მოდიოდა ჩვეულს ურდოდან,
გამარჯვების ხმა ადრინდებური.

იცოდა, ომში არის გამრჯელი
ქართველი პირველ დარტყმისას
მხოლოდ,
მაგრამ არა ჰყავთ ჯარი მაშველი
და დაღლილობა გასტეხავთ ბოლოს.

დღესაც იხილა წყობა ქართველთა,
და ომი ნახა მართლა ბრწყინვალე,
უკვე მზე მიდრკა, ბრძოლა
გაგრძელდა,
მაგრამ ქართველნი არ მოიღალენ.

მოსაღამოვდა, მინდვრად აგრილდა,
სჩეხდენ მხედრები და გაჰყიოდენ.
ხედავს თემური: წინა ლაშქრიდან
გადარჩენია სულ ასიოდე.

მაშინ ამხედრდა თვით ლანგთემური
და მუზარადიც არ დაიხურა,
ლაშქარს გაუძღვა გულანთებული,
მტრის გულისაკენ დასძრა ჯიქურად.

გადაერია ხმალშემართული,
უდაბნოს ქარი შეუდრეკელი,
არ შეუშინდა ჯარი ქართული
და მტკიცედ დახვდა, როგორც
კედელი.

მეფეს იამა არწივის ნახვა,
თან, რომ მოსდევდა გუნდი ციცართა,
ერთი დახედა სისხლიან ლახვარს
და ცხენი წამსვე მიუქცია.

გვერდიდან უცებ მოავლეს რკალი,
წინ გადაუდგა შავი მხედარი,
მეფეზე წამით ამართა ხმალი
მოულოდნელი და უეცარი.

მაგრამ მომხდური შეჩერდა ბედად,
და ხმლის დაშვება დააგვიანა,
ზურგიდან დაჰკრა მხედარმა მხედარს
და მოაცალა მკლავი ხმლიანა.

მეფის ცხენს დაჰკრეს ხმალი
გვერდიდან,
მეფე ცხენიდან გადახდა წყენით,
იმავ მხედარმა დაიქვეითა
და მეფეს თვისი დაუთმო ცხენი.

მოცვივდნენ მეფის გადასარჩენად
სხვებიც და მეფემ იხილა მხსნელი:
გულზე ეკიდა ვაჟკაცს მარჯვენა,
ალბად დაჭრილი თუ ჰქონდა ხელი.

შებრუნდა, სახე ჩაჩქნით ებურა,
მეფემ ყმის სახე ვერ დაინახა,
და რომ ამხედრდა კვლავინდებურად,
მიმავალს უხმო: „მითხარ, ვინა ხარ!“

მიმავალს თითქო გზა აერია,
ძახილზე წუთით შედგა შემკრთალად,
მაგრამ კვლავ ცეცხლში გადაერია,
მეფესაც მისთვის აღარ ეცალა.

XXXII

დაღამდა. ბინდში ბრძოლა გაძნელდა,
ერთიც არ იყო თუმცა ლაჩარი,
დაშვრა მარჯვენა გმირთა მხარ
გრძელთა
და დაელეწათ ტანზე აბჯარი.

წელზე არ შერჩათ აღარც ქარქაში
წყურვილითა და სიცხით ნაწამებს,
ბნელს აღარ ჰკვეთდა ხმლების
კაშკაში,
ცხენებიც აღარ გლეჯდენ ლაგამებს.

ძირს დაფენილი დარჩა დიდძალი,
როცა ორივ მხრით დაჰკრეს ნაღარას,
დაჯახებული ზღვა და გორიგული
განთიადამდის ღამემ გაჰყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურდომ ბანაკი მოძებნა დილის,
გაბრუნდა ფრთხილად და აჩქარებით,
ქართველმა ჯარმა მიჰმართა თბილისს
და ჩაირაზა ციხის კარები.

XXXIII

„იგიცა მოიცვეს და წარმოსტყვევნეს და ჰყვეს მრავალი ბოროტი გარეშე წმინდისა ეკლესიისა და ინებეს წმინდისა-მის ეკლესიისა ცეცხლით დაწვა და დარღვევა. რამეთუ შიგან ტაძრისა-მის შელტოლვილ იყუნეს ყოველნივე მუნ მყოფნი წმინდანი ძღუდელნი, დიაკონნი და ფიჩოსანნი, მღუდელ-მონაზონნი, გლახაკნი და უღონონი, დავრდომილნი და დედანი მონაზონნი, რომელნი მდგომ იყუნეს აზნაურთა და თავადთა ასულნი და დედანი...

...მათ ყოველთა შეუკრეს ხელნი და ფერხნი, და დაწყვეს საშუალ ეკლესიისა. რამეთუ იყო ხმა მათი ვაებისა და ოხრებისა ვითარცა ქუხილი ცისა. ხოლო მათ ყოველთა, უკეთურებითა აღსავსეთა, აღაგზნეს შიგან და გარეშე ტაძრისა-მის ცეცხლი მძაფრი, და დაწვეს ტაძარი იგი...

...ხოლო დამწვარნი-იგი წმინდათა გვამთა მათთა აჩრდილნი ვიდრე დღეინდლად დღემდე, მსგავსად კაცთა სახედ, იხილვების, იატაკსა-შინა, შიგან წმინდისა ტაძრისასა...“

ქართლის ცხოვრება.

ცხენი დაუთმო მეფეს და გაქრა
გვარამი, მოკლულ მტრის ცხენზე
შეჯდა.
მარცხენა ხელით იბრძოდა, მაგრამ
მახვილი დაჰკრეს მარცხენა ბეჭთან.

შეწყდა ბრძოლა და ქალაქში ჯარი
შებრუნდა, ისიც შეჰყვა დაჭრილი,
გვარამ მარგველი ლურჯაზე მჯდარი
შემოდიოდა, როგორც აჩრდილი.

კვლავ აეშალა ჯავრი ნელნელა,
წყნარად მოჰყავდა ცხენს
ფერმიხდილი,
უკვირდა: მეფეს რად მიეშველა,
რად ააშორა მეფეს სიკვდილი!?

იხსნა უეცრად და თავისთავად,
თითქოს ძმა იყო ისევ გულწრფელი,
ვერ გაიმეტა გასაწირავად,
თვით გამწირავი და დამლუპველი...

ჩაფიქრებული შეკრთა, მერანთა
ჩქარი ფეხის ხმა ესმა აბჯრიანს.
„— გიორგი იყო, თუ მომელანდა?“
მიჰქროდა შორს და ვერ გაარჩია.

მიჰქროდა სწრაფად, თავგამეტებით,
გახედა შორს და ეჩვენა ლანდად:
ცას შესდგომოდნენ ცეცხლის
სვეტები,
ალმოდებული ტაძარი ჩანდა.

გვარამს დანახვამ დასცა თავზარი,
წამსვე მოსწყვიტა ცხენი ჭენებით —
ქართველ დედათა წმინდა ტაძარი
ცას შესწვდომოდა ცეცხლის ენებით.

ხანძარი იყო, იგი იწვოდა!..
ცხენს შეუძახა კვლავ ვაჟკაცურად,
ჩავლო ნაპირი გზათა ვიწროთა,
გაასწრო სხვებს და მტკვარი
გასცურა.

ტაძარი ჩანდა მტკვრის ნაპირიდან,
გასცურა, ალმართს შეუდგა სწრაფად,
ვინც მეფის ხვევნაც კი აირიდა,
მას უკვე ცეცხლი ეხვია ალბად.

არ იყო შველა, ჩაეხშოთ კარი,
არ ჩანდა მხსნელი არსით, არავინ...
მიუახლოვდა, მოესმა ზარი
გულისმომკვლელი და შემზარავი.

ზრიალი ესმა ტაძრის ეზოდან,
მივიდა. ცხენი დადგა მორჩილი.
გვარამს ეძახდა და ცეცხლს ებრძოდა
ქალი სარკმელთან თმაჩამოშლილი.

ნათია იყო!
კორიანტელი
ნისლივით ერტყა ფერფლის და
ნაცრის...
ცხენით მიიჭრა გვარამ მარგველი
და შეამტვრია კარები ტაძრის.

მოვარდა მეფეც თავის სპიანა,
სისხლით შეღებილ ბაირაღებით...
და რომ იქუხა და იზრიალა,
კვამლში დაინთქენ ტაძრის თაღები.

და ქარმა მეფეს წამით აჩვენა,
წამით ასწია კვამლის საფარი:
დაკიდებული გულზე მარჯვენა
და შეტრუსული რაშის ფაფარი.

გადაიწერა მეფემ პირჯვარი,
წმინდა გიორგი ნახა ეგონა: —
ვაჟთან მიიჭრა ქალი, მზის დარი,
ჩამოეკიდა და ჩაეკონა.

ცეცხლი ერტყმოდათ გარს
დამლუპველი,
ხანძარში ორნი იყვნენ მარტონი,
და ცხენს რომ ადგა კვამლის
ღრუბელი, —
მეფეს ეგონა ღრუბელთ ბატონი.

წინ მოიწევდა, ქალს ხვევდა ცალ
ხელს,
შეკრთა ხელმწიფე, [illegible]:
შემოაბრუნა ვაჟკაცმა სახე
და მეფემ იცნო გვარამ მარგველი.

იცნო ნათიაც!..
ცეცხლის მკვეთელი
იბრძოდა ცალი ხელის ამარა,
უცებ მიაწყდა კედელს კედელი
და ჩამოიქცა ცეცხლში კამარა.
და ნაპერწკალმა ფრთა გაისწორა,
გაფრინდა ცისკენ ჩაუქრობელი...
არა ჩანდა რა, არა იყო რა,
ცეცხლმა და კვამლმა შთანთქა
ყოველი.

XXXIV

შედრკა ხელმწიფე, არ იყო გულქვა,
მხრებჩამომწყდარი გავდა ნაწამებს,
პირი იბრუნა, შეეკრა სუნთქვა
და წყვილად მოსწყდა ცრემლი
წამწამებს.

ცეცხლმა დამარხა, რაც სანუკვარი
გაჩნდა.. გაშრა, ჯავრით გახევდა,
გახედა მტრების ბანაკს მუქარით
და გაუშტერა თვალი თავხედად.

მერე მოზიდა ხმალს ჩაფიქრებით,
დაჭკრა და ისევ სწრაფად ჩაგო
და ღმერთს შეჰფიცა: „სანამ ვიქნები
თემური ვმუსრო და ვაჩანაგო!

არ გავხდე მისი ყმა და მორჩილი,
მეტი მივაგო ასჯერ ზიანი!“
იდგა გიორგი და ქუდმოხდილი
ცას შეჰყურებდა თვალცრემლიანი.

საბჭესთანო *)
ან
გაბაასება წარსულთან

როგორ წასულა დიდი წარსული,
გამქრალა, როგორც ზღაპრად
მომხდარი...
დგანან კედლები, შემოძარცული,
ნახანძრალები და ნაოხარი.

გარს აკრავთ მთები, ტყე და
ნაძვნარი,
შუაში დგანან, როგორც კუნძული
და გზას გვილოცავს ძველი ტაძარი,
ჩაშავებული და შერუჯული.

*) საბჭესთანო, ან საკართანო — უკანასკნელი სადღეგრძელოა, რომელსაც ლხინის დასასრულს სვამს წამსვლელი ბჭესთან (კართან).

მძიმედ ეცემა მხრებს ჩეროები,
დგება ლანდი და ანდერძს გვაბარებს
და კელაპტრების კენწეროები,
ბრწყინვით ეკვრიან მაღალ კამარებს.

ყველაფერს აჩნდა ხანძრის ბეჭედი,
მრავლის მთხრობელი და
მიმზიდველი,
შუა ტაძარში წამით შევჩერდით
და იატაკი ვნახეთ წითელი.

არ შერეოდა სხვაფერი არსად,
ჩანდა, ვით სისხლი, ღვარად წამდგარი,
ქვას აჩნდა შუბის ნალეწის მსგავსად,
წაშლილი სახის ნაწამწამარი.

ჩამოშლილ თმებში მიმქრალი თვალი
ძლივს გავარჩიეთ, როგორც
ცთომილი.
და ოდნავ ჩანდა თითები ქალის,
ვაჟკაცის ყელზე შემოჭდობილი.

ქვებში მიმქრალი და მიმალული,
გვეძახდა ლანდი გასაოცარი:
„— მტერს აღარ მისცეთ კარგი
მამული,
არ შემოუშვათ კართან მომდგარი!

ჩვენებრ გმირობას გთხოვთ
საქართველო,
ამაზე დიდი არის
მტერმა სამშობლო რომ გადათელოს,
საფლავში ფერფლიც აგვიტირდება!“

— არა! ჩვენც ვიცით გმირული
შებმა,
ჩვენც გვაღფრთოვანებს ბრძოლის
ნაღარა.
რომ გადათელონ სამშობლო მტრებმა,
მისთვის ვაქციეთ განა ბაღნარად!?!

ჩვენს სულში ლაღი არწივი ბუდობს,
გვერჩის გული და არ ვართ ჯაბანნი,
დასავლეთიდან წამოსულ ურდოს
ჩვენც ვხვდებით, როგორც მამაპაპანი.

და ხმა ქართლიდან წასული სარდლის,
წინ გვიხმობს: მაგრად დავკრათ,
შეებათ!
თან გვახლავს თქვენი გმირობის
მადლიც,
როგორც იმედი და გამხნევება!

არ აოხრდება ჩვენი მთაბარი,
მზე და ნათელიც არ ჩაგვიქრება —
წინ გვიძღვის დიდი მხედართმთავარი
და გამარჯვება ჩვენი იქნება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჟუთათელი

პირისპირ

ომის შედეგები*)

„ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძაღლმან ნახოს, — პირი ჰკიდოს...“
დავით გურამიშვილი—„დავითიანი“.

სადგურის მოედანზე მომხდარმა თვითგასამართლებამ, მიტინგმა და სომხეთთან ომმა კდევ ერთხელ დაარწმუნა კორნელი, რომ მის ოცნება-მისწრაფებასა და სინამდვილეს შორის დიდი ზღვარი იყო გათხრილი.

კორნელის პირადი ცხოვრება, ისე როგორც ყოველთვის, საზოგადოებრივი ხასიათის ამბებით დაიჩრდილა. მაგრამ ეხლა იგი სკოლიდან გამოჩეკილი და **ფეხის ხმას აყოლილი ჭაბუკი** როდი იყო, რომელსაც თავისი საკუთარი აზრი და გამოცდილება არ მოეპოვებოდა.

უცხო ძალასთან და, განსაკუთრებით კი, ოსმალეთთან ომმა კორნელი სავსებით დაარწმუნა ქართველ და სომეხ ხალხთა თანხმობის და სოლიდარობის აუცილებლობაში, ამიტომ სომხეთთან ომი მისთვის გაუგებარი იყო. მიუხედავად ამისა ომი მაინც მძვინვარებდა.

დეკემბრის ბოლოს ქართული ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და ფრონტიდან თბილისში დაჭრილი მებრძოლებით სავსე მატარებლებმა იწყეს ჩამოსვლა.

კორნელის ძმა — დოსტაქარი ევგენი მხეიძე დღისით და ღამითაც მუშაობდა ლაზარეთში.

მოკლულთა რიცხვი მატულობდა.

სხვათა შორის, დათას მოყვარე—ჯვებე მიქელაძე შულავერზე იერიშის დროს იქნა მოკლული. ახოვანი ვაჟკაცი ლიანდაგზე გაშოლტილი იპოვეს. შაშხანის ტყვია მკერდში მოხვედროდა.

ლამაზი ჭაბუკი ისე იწვა კუბოში, თითქო მშვიდად სძინავსო და არა მარტო მშობლები და ჭირისუფლები, არამედ დაკრძალვაზე მოსული უცნობნიც კი თვალს ვერ უსწორებდნენ და ცრემლით იღვრებოდნენ. ვარდო, ელო და ნინო, ჯვებეს ნაცნობი და უცნობი ქალები ისე სტიროდნენ, თითქო საკუთარ შვილსა და ძმას დასტირიანო.

ჯვებე მიქელაძის დაკრძალვის დღეს სამხედრო მინისტრი და მთავრობის ზოგიერთი წევრები მოვიდნენ. სამხედრო მინისტრის გვერდით ვექილი ესტატე მაყაშვილი, სენატორი გიორგი დადვაძე, პოეტი პლატონ მოგველაძე, დირექტორი დათა მიქელაძე, პროფესორები და საზოგადო მოღვაწენი იდგნენ. დაკრძალვას თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია დაესწრო. ფრონტიდან ჩამოსული, მაზარაში გამოწყობილი ჟურნალისტები — ერემო გოდებანი-

*) იხ. „მნათობი“, № 3.

ძე და გენადი ქადაგიშვილი გლოვით მოკლულ ჯვებეს მშობლებთან ბრძანდნენ, სამძიმარი უთხრეს და მერმე კუბოში ჩასვენებულ მებრძოლს ისეთი ტრაგიული და მწუხარე სახით დააცქერდნენ, თითქო საქართველოს საშინელებას სჭვრეტენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბოში ჩასვენებული ამხანაგის დანახვისას კორნელის ახალქალაქთან ბრძოლა მოაგონდა, როცა ქვემეხების გრიალის დროს, იქვე ორთვალაში მძინარი ჯვებე გაალვიძა. სოფელ ვარევანიდან მთელ ღამეს მოგზაურობით დაქანცულმა ამხანაგმა თვალი დააჭყიტა, კორნელის და გიგა ნახუცრიშვილს შეეკითხა: ომი დამთავრდაო? გიგამ დაიძახა: მებრძოლიც ასეთი უნდაო და მან და კორნელიმ ჯვებეს ფეხში ხელი წაავლეს და ორთვალიდან ჩამოათრიეს...

ეს მოაგონდა კორნელის და ცრემლით გაიგუდა. მაგრამ სომხეთთან ომში მოკლული ამხანაგის გამო გამოწვეულმა მწუხარებამ ვერ შესცვალა კორნელის პირვანდელი გადაწყვეტილება — არ წასულიყო მოძმე ხალხთა შორის გაჩაღებულ ამ სამარცხვინო ომში.

ელომ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ერემო გოდებანიძე და გენადი ქადაგიშვილი რომ დაინახა, ომში წასული ქმარი — ვანო მოაგონდა და ნინოს უჩურჩულა:

— მთელი ქართველი ინტელიგენცია ჯარში ჩაეწერა. მალე ალბათ ესტატე და პლატონიც კი ომში წავლენ და, შეხედე კორნელის, როგორ არხეინად დამჯდარა შინ, თითქო სამშობლოს და თბილისის დაცვა მას არ შეეხებოდეს!

— ძალიან მიკვირს, — მიუგო ნინომ. ვერ მოითმინა, დრო შეარჩია, კორნელისთან მივიდა და შეეკითხა:

— კორნელი, რატომ თქვენ ფრონტზე არა ხართ?

კორნელი დაიბნა და სიტყვა ბანზე აუგდო:

— მე ფრონტზე არა ერთხელ ვყოფილვარ. მე სიკვდილის არ მეშინია. ომში და შინაც იმდენი უბედურება ვნახე, რომ სიცოცხლეს ჩემს თვალში ფასი დაეკარგა.

— მერმე სამშობლო რა შუაშია? — გაკვირვებული შეეკითხა ნინო, ფიქალ ბუბლზე გაწოლილი შავი წარბები გაფრენილ მერცხალივით შეათამაშა და კორნელის დააცქერდა.

— ქართველ ხალხზე და საერთოდ ადამიანზე მე უფრო კარგი წარმოდგენის ვიყავი. იმედი გამიცრუვდა... — დინჯად მიუგო კორნელიმ, მაგრამ ნინოს ცრემლიან თვალების გამოხედვას ვერ გაუძლო. საყვარელი ასულის ეგ მშობლიური, ლამაზი და მისთვის ესოდენ ნაცნობი და სანუკვარი სახე ასე ახლოს რომ იხილა, ნინოსთან სამიჯნურო შეხვედრები მოაგონდა, გული სევდით ჩაუწყდა და ქალს თავი შეაცოდა:

— თქვენთან განშორების შემდეგ, გულს ისეთი სევდა და კაეშანი შემომაწვა, გული ისე დაცარიელდა, რომ ეხლა არც სიძულვილი და არც სიყვარული არ შემიძლია. ეხ, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, რომ ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო... — ილია ჭავჭავაძის ეგ ტრაგიული და კაეშნით სავსე სიტყვები ისეთის მღელვარე ხმით, მწუხარებით და გრძნობით წარმოსთქვა კორნელიმ, რომ ნინო შეკრთა, გაფითრდა. კორნელი შეეცოდა და ნარნარის ხმით შეეხვეწა:

— კორნელი, ნუ ამბობთ მაგას...

კორნელიმ ცრემლიანი თვალებით შეხედა ნინოს, თითქო სულსა და გულში უძვრებაო და მიუგო:

— აბა, რა არის ჩემი ცხოვრება! რასაც ვეტრფოდი, ტრფიალად ვერ ჭლირდა... ვინც თავზედ უფრო მიყვარდა და ვეთაყვანებოდი, მტრად მომეკიდა. რატომ და რისთვის, ალაჰმა უწყის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინომ დანაშაული იგრძნო და თავი ჩაჰკიდა.

— ნინო, — ნაცნობის ხმით დაუძახა კორნელიმ და ისე უცნაურად ჩაჰბედა ქალს თვალებში, თითქო ნუსხავსო და მერმე ნელა და დაჟინებით შთაგონა: — რაღაა ჩემი ცხოვრება. მომიკვდა ეჭვ ქვეშ მაცხოვარი, თვით სასოება... ეხლა ომში თუ წავალ, მხოლოდ იმისთვის, რომ ტყვია გავაცივო და ჯვებესაებრ სამუდამოდ მოვისვენო.

კორნელიმ მიზანს მიაღწია. ქალი გადნა. კორნელის მიეტმასნა, პალტოს ჯიბეში ხელი ჩაუყო, ხელი ხელზე მოუჭირა და უთხრა:

— ჩვენ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— სად და როდის?

— მე შეგატყობინებთ.

— დაგელოდებით.

ნინო მთვარეულივით წავიდა მშობლებისაკენ. კორნელის კი მღელვარების გამო სუნთქვა შეეკრა, ქუჩაში გავიდა და მთელი უბანი შემოირბინა. ხალხი გაოცებით აჩერდებოდა და, როდესაც ჭაბუკი დაცხრა, პროცესიას დაეწია და სასაფლაოსკენ გაჰყვა. „ნინომ პირველმა გადმოდგა ჩემკენ ნაბიჯი. ეს კარგი ხიშანია!“ — უხაროდა პატივმოყვარე ჭაბუკს და მომავალ შეხვედრაზე ფიქრი დაიწყო.

ჯვებე სამარის პირას დაასვენეს.

— მამულიშვილნო! — გაისმა მჭექარე ხმა.

სიტყვას გამხდარი, შავწვერა და სათვალებიანი კაცი — ერემო გოდებანიძე ამბობდა. ქუდი და სათვალეები მოეხადა. ყორნის ფრთასავით შავი თმა ბუბლზე გადმოსცვენოდა. ღრუში ღრმად ჩამჯდარი თვალები ნაკვერცხალივით ანათებდნენ. ერემომ ჩონჩხის მსგავსი ხელი სასაფლაოსკენ გაიშვირა. აგზნებით სავსე სიტყვა მისტიურის ხმითა და მოწოდებით დაასრულა:

— თქვენკენ იწევენ საფლავებიდან წინაპართა ხელები და ითხოვენ მამულის გადარჩენას! ყველანი ჯარში, ყველანი ფრონტზე!

ხალხს ტანში ცაცრეოლა. ხალხი შოვინიზმის შხამით მოსწამლა ფანატიკოსმა. კორნელის კლუბი მოაგონდა. სწორედ ასეთივე სიტყვებით მიჰმართავდა ერემო მაშინ სტუდენტებს — ჩაწერილიყვნენ ჯარში და შებრძოლებოდნენ საქართველოს დასაპყრობად ამხედრებულ ოსმალთა ურდოებს.

სომხებისადმი ზიზღი და მძულვარება, რომელსაც ერემო გოდებანიძე ჯვებე მიქელაძის კუბოს წინაშე ჰქადაგებდა, ბევრს აღანთებდა შურისძიებისათვის, ბევრის გონებას ათრობდა და ასეთები უკვე აღარ შედიოდნენ იმის გარჩევაში, რომ ეს დამღუპველი ომი უცხო ძალის, საქართველო-სომხეთის მმართველ პარტიების მიერ იყო გამოწვეული.

* * *

ჯვებე მიქელაძის დაკრძალვის მეორე დღეს, დილით, დეიდა ელენესთან ევგენიმ შეიარა და კორნელის შეატყობინა:

— ჩვენს ლაზარეთში შენი მეგობარი მოიყვანეს. იგი მძიმედ არის დაჭრილი. შესაძლოა ამპუტაცია დასჭირდეს.

— ვინ არის? — ჰკითხა კორნელიმ.

— პეტრე ცხომელიძე. — მიუგო ევგენიმ. დიდრონი, მშვიდი და ფუქანი თვალებით შეხედა.

— რას ამბობ? რა დაემართა? — იყვირა კორნელიმ.

— მარცხენა მკლავი ყუმბარის ნამსხვრევებით აქვს დაგლეჯილი და ხელი ოთხ ადგილას გატეხილი: ხელის მტევნიდან, ვიდრე ბეჭამდე. მკლავი ერთთავად დასახიჩრებულია. მძიმე ჭრილობაა. მოკვეთა სჯობია, მაგრამ ჯიუტი ყოფილა: არ გვანებებს. — მიუგო ევგენიმ.

— საცოდავი. ეს უკვე მეტისმეტია. ჩემი ამხანაგები ზოგი დაჰხოცეს და ზოგიც დასჭრეს, — წამოცდა კორნელის. დეიდას, დათას და ძმას შეხედა და სახეზე გაფითრდა.

ისინი სდუმდნენ. დუმილში კორნელიმ გაიგონა:

— შენ კი შინ ზიხარ.

ეს დათა იყო. კორნელის თავზარი დაეცა.

— დათა, როგორ გეკადრება. ჩემ დისწულს სასაკლაოზე წასვლას ურჩევ და აქეზებ! რას ჰგავს ეს! — შესძახა ელენემ. სახეზე სისხლი მოაწვა და გაავებული თვალები შეანათა: — გესმის რას ჩადიხარ, გესმის?!

დათა გაჯიქდა. გაძვალტყავებული ხელი მაგიდაზე გამეტებით დაარტყა და მიუგო:

— მესმის, ძალიან კარგად მესმის. მე შენზე ნაკლებ არ მიყვარს კორნელი, მაგრამ სამშობლო ჩვენზე უფრო საყვარელია. ეხლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები ფრონტზე იხოცებიან, შინ ჯდომა მე სამარცხვინოდ მიშჩნია! — დათა წამოდგა და იყვირა: — მეც ფრონტზე მივდივარ, მივდივარ დღესვე, მორჩა და გათავდა!

იგი ფანჯარასთან მივიდა და მთებს გაჰხედა, ეტყობოდა ძალზე ჰღელავდა, რადგან დაკვარკნილ შავ წვერებს გამეტებით იწიწკნიდა.

ელენე არ მოელოდა მშვიდსა და უწყინარი ქმრისაგან ასეთ აფეთქებას. ფარცაგი რაღაც მოხდაო, გაიფიქრა და შეშინებულის ხმით ჩუმად ჩაილაპარაკა:

— რა ამბავია. დიდება შენს სახელს, ღმერთო! რა ამბავია. დიდება შენს სახელს, ღმერთო!

პირჯვარი გადაისახა. ევგენის და კორნელის დამბლადაცემულის, გამოლენჩებული თვალებით შეხედა და დადუმდა.

ო, როგორ ჰგავდა ელენე ამ წუთას თავის ძმას — ოტიას, რომელსაც ზედაზენში ქეიფის დროს, ღამით აჯანყებული გლეხები დაესხნენ, სახლკარი აუფორიაქეს, იარაღი წაართვეს, ცოლის ძმა — დამსჯელი რაზმის უფროსი და სტუმრები დაუჭირეს. განიარაღებული და თავზარდაცემული ოტიაც სწორედ ასე იძახოდა მაშინ: დიდება შენს სახელს, ღმერთოო.

ეს მოაგონდა კორნელის. ადგა, თავის ოთახში შევიდა, ისიც ფანჯარასთან გაჩერდა და ფიქრში წასულმა მტკვარს გაჰხედა.

საქართველოსა და სომხეთს შორის მომხდარ კონფლიქტში კორნელიმ ძალადობაზე დამყარებული, თანამედროვე დიდი ქვეყნების პოლიტიკის გამოძახილი დაინახა. ხოლო მენშევიკური საქართველოს და დაშნაკური სომხეთის ურთიერთობა, პოლიტიკა და ამ პოლიტიკის შედეგად მომხდარი ომი მინიატურულ, კომიკურ ამბებად ეჩვენა. მიუხედავად მმართველი პარტიების მოწოდებისა, შოვინისტური აგიტაციისა, შინ და გარეთ ატეხილ საყოველთაო განგაშისა და დათას საყვედურისა, კორნელიმ ომში წასვლა ისევ მიუღებლად ჩას-

თვალა. თუმცა, უმისოდაც, მაშინდელ ხელისუფლებას ფრონტზე გაგზავნილების მოსურნე უამრავი ხალხი აღმოაჩნდა. ომი ისევ გრძელდებოდა და მრავალ ადამიანთა სიცოცხლეს იწირავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს კორნელი პეტრე ცხომელიძის სანახავად წავიდა. გიგოლა ცაგურიშვილის და სანდრო ხოტივარის შემდეგ, პეტრე ყველაზე უფრო ახლობელი მისი ამხანაგი იყო.

პეტრე მუშტაიდის ბალთან, ყოფილ საბრეშუმო სადგურის შენობაში გაშართულ ლაზარეთში იწვა.

ლაზარეთის დერეფანი დაჭრილებით იყო სავსე. ზოგს თავი და ზოგსაც ხელი და ფეხი ჰქონდა შეხვეული. ზოგი კიდევ ყავარჯნებით დადიოდა. ესენი მსუბუქად დაჭრილები იყვნენ. კორნელის მოეჩვენა, თითქო დაჭრილმა ჯარისკაცებმა დაცინვით და ზიზღით შეხედეს მას.

კორნელი ლაზარეთის აფთიაქში შევიდა. გიგო თავაძის დაი—ოლია მოსძებნა და შეეხვეწა: პეტრე ცხომელიძე ეჩვენებინა. შავგვრემანმა და შავთვალწარბა ქალმა მაშინვე დოსტაქართან — სიკო მოსეშვილთან მიიყვანა. სიკო კორნელის ძმის, ევგენის ასისტენტი იყო. დოსტაქარმა თეთრი ხალათი ჩააცვა კორნელის და პეტრე ცხომელიძისაკენ წაიყვანა.

დერეფანი გაიარეს. პალატების კარები ღია იყო და დაჭრილთა კვნესა და ოხვრა ისმოდა. ხანაც — დასაკლავად მოყვანილი ხარის ბღავილი. ბოლოს უკანასკნელ პალატას მიაღწიეს. ეს ყველაზე უფრო პატარა, მაგრამ მყუდრო ოთახი იყო — ოთხსაწოლიანი. შიგ საკმაოდ ბნელოდა და კორნელიმ დაჭრილთა სახეები ძლივს გაარჩია.

ერთს თავი სულმთლად შეხვეული ჰქონდა და ცალი თვალი უჩანდა, ისე უცნაურად ანთებული, თითქო ამ ცალი თვალითაც კარგად ახერხებს საშინელების ხილვასო. იგი არ შერხეულა.

მეორეს თვალები დაეხუჭა და ერთსადაიმავეს იძახოდა: მოვკვდი, მოვკვდიო, თითქო ეგ სიტყვა სახელდახელოდ შეურჩევია, მისი მნიშვნელობა არ ესმის, თუთიყუშსავით გაუზეპირებია და დრო-ჟამის მოსაკლავად იძახისო. იგი მუცელში იყო დაჭრილი და შესაძლოა, ამ ერთი სიტყვის მეტის დაძახება, ტკივილის გამო, არც კი შეეძლო საკოდავს.

მესამეს გაბინტულ მარჯვენა ფეხქვეშ ბიჯგი ჰქონდა შეყენებული. იგი შედარებით უფრო არხეინად გრძნობდა თავს, რადგან ბიჯგზე შემდგარ, ჭერისაკენ აშვერილ და ხელებით დაჭერილ თავისავე დაჭრილ ფეხს დასცინოდა და დოსტაქარს ეკითხებოდა: როგორ მოგწონთ ჩემი საზენიტო ზარბაზანიო. იგი, ალბათ, დოსტაქარის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა და იმიტომ ოხუნჯობდა, თორემ ოხუნჯობის თავი არა ჰქონდა, ვინაიდან, როდესაც დოსტაქარი მის საწოლს მოშორდა, — დაჭრილმა შეშინებული თვალები გააყოლა და ხაფანგში მომწყვდეული მელის მსგავსად დააცეცა. იგი გვარდიელი იყო, ვინმე — ამბაკო კუჭავა.

მეოთხეს—ახოვან ქართველ ჭაბუკს, თავი გადახოტრილი ჰქონდა და გატანჯული სახით დასჩერებოდა ზვინისოდენა, გაბინტულ და გვერდით მდებარე მკლავს. იგი პეტრე ცხომელიძე იყო. ანთებული თვალები მიაშტერა დოსტაქარს და კორნელისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ცოტა ხნის შემდეგ კი კორნელიც იცნო, ნაძალადევად გაუღიმა და უთხრა:

— კორნელი, შენა ხარ, ბიჭო!

კორნელი დაიხარა და ცივი ოფლით შეჟონილ შუბლზე აკოცა.

— უთხარი შენ ძმას, ევგენის, ხელს არ მოგაჭრევინებს-თქო.

— ხელის მოჭრას არც აპირებს, საიდან მოიგონე! — მიუგო კორნელიმ.

— რა ვიცი, კი დაუჩემებია და...—შენიშნა დოსტაქარმა სიკვდილმა.

— **ყურთასმენას კიდეც რომ ეღალატნა, განა მე თვალები არა მაქვს.** — მიუგო პეტრემ და ეხლა ისევ კორნელის უთხრა: — ხელის მოჭრას არავის არ დავანებებ, მორჩა და გათავდა! უხელობას — სიკვდილი მიჯობს. ო, რა კაცი ყოფილა შენი ძმა. წუხელ, ღამით სისხლმა დენა დამიწყო. დავხედე: ბინტი ყაყაჩოს დამსგავსებოდა. ლოგინი სისხლით გაჟღენთილიყო. სისხლში ერთთავად ვცურავდი. შენ ძმას ბინიდან დაერეკნა, თითქო წინასწარ ეგრძნოს ჩემი ასეთი ყოფა. ცოტა დაგვიანება და — სისხლისაგან დავიცლებოდი. შუაღამეს ძოვარდა და საკუთარის ხელით შემიხვია. ო, რა ტანჯვა გადავიტანე. ო, რა ტანჯვა გადავიტანე! — სთქვა პეტრემ; თავი ბალიშზე გადასწია, თვალები დახუჭა და დადუმდა. მერმე ერთბაშად გააღო, გაბინტულ ხელზე ზიზღით დაიხედა და დოსტაქარს უთხრა:—მგონია ჰყარს, ჰყარს ეს ოხერი!

— არაფერიც არა ჰყარს, შენ გეჩვენება! — მიუგო დოსტაქარმა, დაჰყნოსა, პეტრეს შუბლზე ხელი გადაუსვა და მოეფერა:—დამშვიდდი, დამშვიდდი, მეგობარო.

— დამამშვიდე, ეჭიმო, დამამშვიდე! სულერთია. ხელს მაინც არ მოგაჭრევინებთ, არ მოგაჭრევინებთ!—დაიჩემა ისევ პეტრემ. სახე წუხილით დაელმიჭა და მერმე მარცხენა ხელს ისეთი სასოებით დააცქერდა, თითქო ყუმბარის ნამსხვრევებით დაგლეჯილი და აყროლებული ხელი კი არა, ახლად დაბადებული და ჩვრებში გახვეული პირმშო გვერდით უწევს და ჩვილის სიკვდილს და დაკარგვას ვერას გზით ვერ ურიგდებაო.

კორნელის გაუკვირდა მედგარი და უშიშარი მებრძოლის ასეთი გულჩვილობა.

პეტრემ დოსტაქარს და კორნელის შეხედა, თითქო რაღაც მოაგონდაო და იკითხა:

— ფრონტზე რა ამბავია?

— კარგი ამბავი, — მიუგო დოსტაქარმა, — შულავერი და სადახლო აიღეს ჩვენებმა.

— მადლობა ღმერთს! — დაიძახა პეტრემ და კორნელის თვალები მიაპყრო.

კორნელი შეშინდა: ვაი, თუ საყვედური მითხრას, შინ რას უზიხარო, მაგრამ პეტრემ სულ სხვა უთხრა:

— გადაეცი შენ ძმას, კორნელი, თუ ცოცხალი დავრჩი, მის პატივისცემას არ დავივიწყებ... სამაგიეროს გადავუხდი.

— რა პატივისცემა! ეს მისი მოვალეობაა. — მიუგო კორნელიმ და რადგან შეატყო, ამხანაგი ტკივილით იტანჯებოდა და ძალლონეს ჰკარგავდა, დაემშვიდობა: — დაწყნარდი, ნუ ჰღელავ. მე კიდევ განახავ. — უთხრა და დახეთქილ, დასიცხულ ტუჩებში აკოცა.

ჯიუტი მებრძოლის ქერა ულვაშები კორნელის ჯაგარივით შეერჭო. უცნაურად აღზნებულ და ანთებულ პეტრეს თაფლისფერ თვალებში ცრემლი ჩამდგარიყო.

— როგორ არის პეტრეს საქმე? — ჰკითხა დერეფანში კორნელიმ დოსტაქარს.

— კიდევ ორ დღეს ვუყურებთ, მერმე კი ამპუტაციას გავუკეთებთ. ჰყარსო, რომ მითხრა, არ მომეწონა. — მიუგო სიკომ.

კორნელი გულმოკლული გამოვიდა ლაზარეთიდან.

„ნეტავ რისთვის ვხოცავთ და ვანადგურებთ ერთმანეთს სომხები და ქართველები? რა გვაქვს გასაყოფი? თუმცა გასაყოფი ალბათ [illegible] სომხეთის ბურჟუაზია თბილისში ჩაყრილ ფულსა და ქონებაზე ასე [illegible] ბელის აღებას, ეტყობა, აღარ აპირებს. ეს ომი და ზარბაზნების გრიალი სწორედ ამას მოწმობენ. ქართველებიც პირშავად ვექცევოდით სომხებს. საქართველოდან ვერეკებოდით... ეხლა, როდესაც ამიერკავკასიის ჩასაყლაპავად უცხო ძალა კარზედ არის მომდგარი, ერთმანეთს მტრად მოვეკიდეთ. აი, ჩვენი და სომხეთის მმართველი წრეების ბრძნული პოლიტიკა:

„ვით მამალი სხვის მამალსა
ლაჰმტერდეს და წაეკიდოს,
ძას სცემოს და თვით იცემოს,
ლაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძალმან ნახოს,—პირი ჰკიდოს“, —

ფიქრობდა პლეხანოვის პროსპექტზე, სამხედრო სასწავლებლის წინ მიმავალი კორნელი და მყისვე უკნიდან ბარაბნების ბრახუნი და უცხო საკრავთა ხმა შემოესმა. „ქორწილი თუა და დაფა-ზურნას უკრავენო“, — გაიფიქრა კორნელიმ. შეჩერდა. ბარაბნების ბრახუნი ახლოვდებოდა.

ტრამვაიში მყოფი მგზავრებიც წამოსცვივდნენ და პროსპექტს გაჰხედეს.

პროსპექტზე ჯარი მოდიოდა. წინ უცნაური ორკესტრი მოუძღოდა ჯარისკაცებს. პატარა და ვეება ბარაბნები მოჰქონდათ და თავკოპალა ჯოხებს სწრაფად და გამეტებით სცემდნენ, ჰაერში ატრიალებდნენ, თითქო ჟონგლიორები უამრავ ბურთებს მაღლა ისვრიან და ისევ იჭერენო. გაბერილი ფშუტები იღლიაში ტიკჭორებივით ამოეჩრათ და რაჭველ მესტვირეთა საზანდრის მსგავსად მორთულ საკრავებს აჭყვიტინებდნენ. ერთფეროვან და უსიამო ჰანგს გამოსცემდნენ. ეს ჭყვიტინი და, ყურთასმენის წამღები, ბარაბნების ბრახუნი იქაურობას აყრუებდა და ერთთავად აქოთებდა, თითქო თბილისს მონღოლთა ურდოები შემოსევიანო.

კორნელის გაუკვირდა: „ეს კიდევ ვინ ოხრები მოსულან ქალაქშიო!“ მაგრამ ამ უცხო და უმსგავსო ორკესტრის უკან მწყობრად მოდიოდნენ და მოაბიჯებდნენ დარჩეული ვაჟკაცები. მხარზე თასმებით შაშხანები ეკიდათ. თავზე მეზღვაურთა ქუდები ეხურათ, ტანზე კი ხაკის ფრენჩები ეცვათ და კუნთმაგარ, შიშველ მუხლებამდე დაშვებული მოკლე და ჭრელი კაბები. ფეხებზე — ფეხბურთელთა წინდები და ბუცები.

კორნელიმ, როგორც შევარდენმა და მოვარჯიშემ, მაშინვე შენიშნა ამ მუხლმაგარ და ახოვან ვაჟკაცებს ძალონე. ეს მწითური და გაწვრთნილი ვაჟკაცები შოტლანდელი ჯარისკაცები იყვნენ. მაგრამ მათი პრიმიტიული და უმსგავსო ორკესტრი, შიშველი მუხლები და ჩაცმულობა — ქალური კაბა, — ხალხს სასაცილოდ ეჩვენა. ისინი ხალხის თვალში სცენაზე მიმავალ, ბუტაფორულ, ვითომდა ჯარისკაცების შთაბეჭდილებას უფრო სტოვებდნენ, ვიდრე ნამდვილი ჯარისკაცებისას — მაზარაში გახვეულ და ხიშტიან შაშხანებით შეჭურვილ რუსი ვაჟკაცებისას.

განცვიფრებული ხალხი ინგლისელთა ბათალიონს აედევნა.

კორნელი ჯარს ვერის ხიდამდე მოჰყვა და მერმე კი სანაპირო ქუჩაზე გადაუხვია და შინისაკენ გასწია.

დიდი იმედი — აწი რაღა გვიჭირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მიგიხვდი, ჩემო მოხეევ, რა ნესტარითა ... ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე“...
ი. ჭავჭავაძე: „მგზავრის წერილები“.

დათა და ელენე სასადილო ოთახში ისხდნენ და მშვიდად საუბრობდნენ. დათა მშვიდი, წყნარი და უნებისყოფო კაცი იყო. ელენე ბრძანებლობდა. შვილი არ გაუჩნდათ. ალაჰმა უწყის, ჯანსაღი და მსუქანი ელენე მდივნის ქალი იყო უშვილო, თუ ჩხირივით ხმელი, გამხდარი და კაფანდარა დათა მიქელაძე! მიუხედავად უშვილობისა და თავისი ჰასაკისა, ელენე არც ეხლა ამბობდა არშიყობაზე უარს და ბევრ ახალგაზრდასაც სჯაბნიდა. რომელ ქალაქშიც მივიდოდა, მოტრფიალე მაშინვე აღმოუჩნდებოდა. იგი, ამჟამად, ხარსავით კისერჩასქელებულ, ღირსეულ პედაგოგს და ცნობილ ინსპექტორს დიმიტრი ჯანელიძეს ეკურკურებოდა. ინსპექტორმა მიქელაძისას სიარულს მოუხშირა. ინსპექტორის მოსვლისას, ელენე ტუალეტის სარკესთან მივიდოდა, ოდნავ შეჭაღარავებულ თმას ოსტატურად გადივარცხნიდა, სახეზე პუდრს შეიფრქვევდა, ხალიანი, ვარდისფერი ენის წვერით მსუქან ტუჩებს გაილოკავდა და სასტუმრო ოთახში ასე შევიდოდა. ელენემ ჩინებული თავის დაჭერა, მომხიბვლელი საუბარი, პიკანტური ანეკდოტის და ვნების აღმძვრელი ორაზროვანი ამბების თხრობა იცოდა. ინსპექტორს, დროდადრო, მაცდურად გაულიმებდა და ხანგამოშვებით მიანათებდა ხოლმე აღზნებულ შენდისმაგვარ მოცისფრო თვალებს. მაშინ დინჯი ინსპექტორი — დიმიტრი ჯანელიძე წონასწორობას ჰკარგავდა, სახეზე ჭარხალივით წამოწითლდებოდა, ელენესთან მიიჭრებოდა და ფაფუკ ხელზე ხანგრძლივი კოცნით დააცხრებოდა. მსუქანი და ქვირითიანი ქალი — დეიდა ელენე კი გულიანად ჩაიკისკისებდა, წინ დაიხრებოდა, ხანაც გაიმართებოდა, თითქო ძალაზე დგება და ხელის წართმევა სურსო და მერმე, დიდის ბეჯითობით დავარცხნილ, ნახევრად მელოტ ინსპექტორის — დიმიტრი ჯანელიძის თავს კორსეტით აფუებულ, მალალ მკერდს ეშმაკურად შეახებდა და დაიძახებდა: კმარა, კმარა, ბატონო დიმიტრიო!

ელენეს — როგორც თვითონვე იტყოდა ხოლმე — „ინტელიგენტურ, კულტურულ ხალხში ტრიალი უყვარდა“. მისი სიმხნე და ჯანი დათასთანა ჩია ათ კაცსაც კი გასწვდებოდა... დათა გრძნობდა ამას და თავის ბედს შერიგებული იყო. თუმცა, ელენე პატივს სცემდა დათას, თავისებურად უყვარდა იგი და ეცოდებოდა კიდეც. ელენე აფასებდა ქმრის გულკეთილობას, სინდისს და პატიოსნებას, ხოლო ხანდახან თუ არშიყობდა, ეს თავისი მეუღლის—დირექტორის დათა მიქელაძის ღირსებისა და თავმოყვარეობის შემლახველ ამბად როდი მიაჩნდა. როდესაც ელენე დათას მეტისმეტად დაუტკბებოდა და ალერსს დაუწყებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას არშიყი უკვე გაჩენილი ჰყავდა, ან და ახალი საყვარლის გაჩენას აპირებდა. ახლა ინსპექტორი — დიმიტრი ჯანელიძე იყო მისი არშიყი და ამიტომ, დიდ დასვენებისას შინ მოსულ თავის მეუღლეს, უჩვეულოდ ეფერებოდა, ენას უჩლექდა და თურქული ყავით უმასპინძლდებოდა.

კორნელიმ პეტრე ცხომელიძის და შოტლანდური ჯარის შესახებ უამბო მათ:

— ვინ იცის გადარჩება თუ არა საცოდავი პეტრე! ესეც სომხების და ქართველების ჭკუის ნაყოფია: ერთმანეთი იმისთვის გავიტეხეთ, რომ ინგლისელების მონებად ვქცეულიყავით. მიკვირს, ინგლისელებს რა უნდათ ჩვენში! — დასძინა კორნელიმ.

— ჩვენში — შავი ქვა... აზერბაიჯანში კი — ნავთი. — მიუგო დათამ.

— უბედურებაც ეგ არის! — შენიშნა კორნელიმ. — არა ჩვენი ლამაზ ბუნების, არა ჩვენი ლამაზი ხალხისა და ლამაზი თვალებისათვის ექომაგებიან ისინი საქართველოს.

— შენ მართალი არა ხარ, კორნელი. — არ დაეთანხმა დეიდა ელენე. — ინგლისელები რომ არ მოსულიყვნენ, სომხები, თათრები და ქართველები ერთმანეთს შევჭამდით.

— დილა მშვიდობისა! მეც სწორედ მაგას მოგახსენებ: უჭკუო აღმოვჩნდით-მეთქი. ხომ გახსოვთ გურამიშვილის:

„ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძალმან ნახოს, — პირი ჰკიდოს...“

საცოდავი პეტრე ცხომელიძე სულ ამას გაიძახოდა. ნუთუ არა ვართ ღირსი იმისა, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს!? — ჰკითხა დათას და ელენეს კორნელიმ.

— იქნებ ღირსიცა ვართ, მაგრამ ვინ გაცლის! — მიუგო დათამ, და ეხლა თვითონვე ჰკითხა: — ახალი ამბავი თუ გაიგე?

— რა ამბავი?

— ჩვენმა ჯარებმა შულავერი, სადახლო და სანაინი აიღეს. სომხები ისევ ძველი საზღვრების იქით გადარეკეს.

— ეგ ვიცი.

— ომი დასრულდა, ჩემო კორნელი! — კმაყოფილი ღიმილით შეატყობინა დათამ. — სომხეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარება ინგლისელებმა იკისრეს. პირისპირ მდგარ ქართველ და სომეხ ჯართა შორის ნეიტრალური ზონა დააწესეს და შიგ თავისი პიკეტები ჩააყენეს.

— აწი რაღა გვიჭირს! — გესლიანად შენიშნა კორნელიმ. დათა ჩაფიქრდა და მიუგო:

— ინგლისელების მოსვლა და საქართველოზე სომხეთის მუხანათური თავდასხმა რომ ერთდროულად მოხდა, ეს ცუდ ეჭვებს ჰბადებს. მაგრამ ლონდონიდან მოსული ცნობები ამ ეჭვებს აბათილებენ. ვნახოთ შემდეგში როგორ მოიქცევიან ინგლისელები!

— კარგს ნუ მოელით. — მოუჭრა კორნელიმ.

— შე კაცო, — გაუკვირდა დათას, — აბა, ასე ჩვენს ნებაზე, ჩვენისთანა პატარა ერს ვინ გაუშვებდა? ახლა მერყეობის დრო აღარ არის: ან აღმოსავლეთთან, ან დასავლეთთან უნდა ვიყოთ. ინგლისი პატარა ერებს თავისუფლებას ანიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისეთს, როგორსაც ინდოეთს, ეგვიპტეს... შავკანიანებს. ეს დიდი იმედია. — ისევ გესლიანად შენიშნა კორნელიმ.

— მართალი გითხრა, მე თქვენი ვერაფერი ვერ გამიგია. ჩვენ რუსეთთან ყოფნა გვერჩია, მაგრამ რუსეთში ახლა ანარქიაა, ძალლი პატრონს ვერა ცნობს და აბა, რა გზას დავადგეთ? — აღშფოთდა დათა.

— ჩვენ რომ ერთი პირი გვქონოდა, გარეშე მტერი ამიერკავკასიაში ვერ შემოვიდოდა.

— მაინც შემოვიდოდა.

— არა მგონია.

დათამ ყავის ფინჯანი გადადგა. ულვაშები და ტუჩები სალფეთკით გაიწმინდა. სერთუკი გაისწორა და გიმნაზიაში წავიდა.

კარგი პატივით ჩასუქებული, თმაში ჭალარა გარეული დეიდა ელენე კმაყოფილი იყო, ომი რომ დამთავრდა, დათა და კორნელი ომში რომ არ წავიდნენ და შინ ეგულებოდა. ეშმაკურად აუციმციმდნენ თვალები, თითქო რაღაც საიდუმლო იცის და არ ამხელსო. მერმე ველარ მოითმინა, საძინებელ ოთახში შეგოგმანდა, კონვერტი გამოიტანა, კორნელის გაუღიმა და გადასცა:

— ვიღაც შავტუხა, ლამაზმა გოგონამ გიკითხა და ეს წერილი დაგიტოვა. შე ეშმაკო, ახლა სხვა გაიჩინე? ნინოს რას უპირებ?!

კორნელიმ არ უპასუხა. კონვერტი გახსნა და წერილი წაიკითხა.

— რაო? სიყვარულს გიხსნის? — ჩააცივდა კორნელის დეიდა. მოცისფრო, ბედნიერი თვალები შეანათა. იგი სამიჯნურო ამბების და მაჭანკლობის მოყვარული ქალი იყო.

— არა. ჩემი სკოლის ამხანაგი — ლეონ მერაბიანცი დაუპატიმრებიათ და მამამისი მეხვეწება უშველეთო. — მიუგო კორნელიმ.

— მერე?

— უნდა ვუშველო.

— თავი გაანებე, კორნელი. წინად მეც მეცოდებოდნენ სომხები. ბაქოში, სომეხ-თათართა ჟლეტის დროს, რამდენი გადავარჩინეთ, ვინ მოთვლის! ორი ოჯახი მთლიანად შევინახეთ, მერე რა? ძალიან არ დაგვიფასეს! ჭირის დღესავით ვეზარებით. — გააფრთხილა კორნელი დეიდამ.

— ყველა სომეხი ხომ ერთი არაა! მე კარგად ვიცნობ ჩემს ამხანაგს ლეონს, მამამისს — გედეონს, დედას — ანაიდას, მთელ ოჯახს. მათ ქართველები არა სძულთ. პირიქით: ჩინებული ქართული იციან. წესიერი ხალხია. — მიუგო კორნელიმ. თავის ოთახში შევიდა. ჩაიცვა და გედეონ მერაბიანცისაკენ გასწია.

ურარტელთა ნაშიერი

...История царства Урарту имеет большое значение для изучения древнейшей истории нашей страны и, особенно, истории Грузии и Армении".

Акад. В. В. Струве—Ист. Др. Востока. 307 გვ.

გედეონ მერაბიანცი პლეხანოვის პროსპექტზე ცხოვრობდა. კორნელი სამსართულიან ქვის დიდ სახლში შევიდა, ვესტიბული გაიარა და ზარი დარეკა. ლეონის დებმა შუშანიკმა და არფენიამ კორნელის კარები გაუღეს, პალტო და ქუდი ჩამოართვეს და მამის კაბინეტში შეიყვანეს.

წინად სიცილ-კისკისით ეგებებოდნენ ხოლმე ისინი კორნელის. ეხლა კი — ძმის ლეონის დაპატიმრების გამო — მოწყენილი და კაეშნიანი იყვნენ.

შუშანიკს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და, ნინოსთან ერთად, კონსერვატორიაში სწავლობდა. არფენია კი ოპერის ბალეტის მოცეკვავე იყო. მას ლამაზად ჩამოქანდაკებული ფეხები ჰქონდა. უკან — წვივებზე, ბალეტში ვარჯიშობის გამო, მოძრავი კუნთები ბურთებივით აჯდა. ამ მოცეკვავე ქალის აღნაგობაში კორნელის სწორედ ეს კუნთმაგარი, სწრაფი კანჭები და მოქნეული ვიწრო წელის ლაზათიანი მიმოტანა მოსწონდა. არფენია გრძნობდა ამას და კარებთან რომ მივიდა, ვერ მოითმინა, მოტრიალდა, კორნელის შემოჰხედა, ჭაბუკის დაგეშილი თვალები დაიჭირა, გაუღიმა და ოთახში შევიდა.

„ყველაფერი რიგზეა", — გაიფიქრა პატივმოყვარე ჭაბუკმა.

შუშანიკს არფენიასავით შავგვრემანი სახე ჰქონდა, გრძელი წამწამები და აღმოსავლური ვნებით მიბნედილი, გიშრისფერი, უძირო თვალები — გუდიაშვილის ქალთა თვალების მსგავსი. იგი არფენიაზე უფრო დაბალი და ჯუჯა იყო. კორნელის წინაშე დის საქციელი — კეკლუცობა არ მოეწონა. საწერ მაგიდასთან სავარძელში მჯდარმა კორნელიმ შეატყო და ჰკითხა:

— როდის დააპატიმრეს ლეონი?

— გუშინ წინ, ღამით.

— რას ერჩოდნენ?

— რა ვიცი, — მიუგო შუშანიკმა. კორნელის თვალი ვერ გაუსწორა, თავი ჩაჰკიდა და გაიფიქრა: „რადგან სომეხია, ალბათ იმიტომო".

კორნელის ლეონი მოაგონდა — თმახუჭუჭა, ახოვანი ამხანაგი, რომელსაც პოლიტიკისა არა გაეგებოდა რა და ამიტომ პოლიტიკურ ჭიდილშიც არ ერეოდა. ლეონი ეშხიანი ჭაბუკი იყო, კრაველსავით დაკვარკნილი გიშრისფერი თმა ჰქონდა, ბროლივით თეთრი კბილები, სქელი ბაგეები და გაბუშტული პატარა ცხვირი. იგი არაბსა ჰგავდა. მისი უფროსი ძმა — სურენი, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად პარიზში გაემგზავრა. კორნელი ხშირად დაიარებოდა ლეონთან. ბევრი ქეიფი და ნადიმი ახსოვდა ამ ოჯახში.

ლეონის მამა — გედეონი მდიდარი ვაჭარი და საქმის კაცი იყო. ქალაქში მრავალი მაღაზია ჰქონდა: ტყავის, ფეხსაცმელის, ფართლისა და საგალანტერეო. იგი ევროპულ და აზიურ ქვეყნებში ნამყოფი და ნავალი კაცი იყო. საკუთარი, სამსართულიანი ლამაზი სახლი, ირანული ხალიჩებით, ევროპაში შეძენილი ავეჯითა და შესანიშნავი ნივთებით მდიდრულად მორთული ბინა

ჰქონდა. მზარეული, მეკარე, მეეტლე და მეჯინიბე ჰყავდა. თბილისში ჩამოსვლისას, იმხნობით უსწავლელმა და ღარიბმა ჭაბუკმა ამ სიმდიდრეს და ქონებას დიდი შრომითა და ჯაფით მიაღწია. იგი გამხდარი, [illegible] ტანადი, გულჩათხრობილი და სავაჭრო საქმეებით გართული კაცი [illegible] ბავშვების აღზრდას და ოჯახის მართვას მისი ცოლი, — ანაიდა ეწევოდა. მსუქანს, დარბაისელს, გულკეთილსა და განათლებულ ანაიდას შვილებისათვის აღმზრდელი ქალი, გუვერნანტი ჰყავდა დაჭერილი. შვილების ამხანაგებში ყველაზე უფრო კორნელი მოსწონდა, უყვარდა კიდეც და უხაროდა კორნელი რომ ლეონს მეგობრობდა.

ერთ დღეს ანაიდამ კორნელი და მისი ამხანაგი—კუკური ზარანდია მოიხმო. ისინი მაშინ მერვე კლასში იყვნენ. თვალცრემლიანმა და შეშფოთებულმა დედამ მათ საიდუმლო გაუმხილა: „ლეონი მეღუპება და მიშველეთო. ლეონს რუსი ქალი, თქვენი ამხანაგის — პლამენევსკის დაი შეჰყვარებია. ქალს ცოლობაზე უარი უთქვამს და შვილი დარდისაგან ლამის დასჭკნეს. თავის ოთახში არის ჩაკეტილი, არავის ნახვა არა სურს. მეცადინეობა მიატოვა და ორიანები მიიღო. მერვე კლასში მაინც არ იყოს! რამდენიმე თვის შემდეგ გიმნაზია უნდა დაამთავროს და ეხლა სწავლაზე ხელის აღება განა იქნება!? რა უყო, რა წყალს მივსცე თავი, არ ვიცი, ჩემთან ლაპარაკიც კი არა სურს. სულმთლად გამოიცვალა. არაფერი აღარ აინტერესებს. გუშინ წინ, ლოგინში, ბალიშის ქვეშ რევოლვერი ვუპოვეთ“, — სთქვა დედამ, სახე მწუხარებისაგან დაღმიჭა და ცრემლები ვეღარ შეიკავა: „მეშინია, შვილო, ცუდი რამ არ გააკეთოს, თავი არ მოიკლასო“. კორნელი და კუკური განცვიფრდნენ, ამხანაგის დედა შეეცოდათ და დახმარება აღუთქვეს. „მიშველეთ, შვილებო, — დაიწყო ანაიდამ, — თქვენ დარდიმანდი, ყაირათიანი ჭაბუკები ხართ, და ამ საქმეში დამეხმარეთ: დარდში ჩავარდნილი ლეონი გადამიხალისეთო“. — შეევედრა კორნელის და კუკურის ლეონის დედა და უფროსს შვილს—სურენს ქაღალდის ფულის გაუტეხელი პაკეტი გადასცა.

მყისვე მოჰგვარეს ჭაბუკებს გედეონ მერაბიანცის საკუთარი ეტლი, შიგ ლეონი ჩასვეს და ჯიშიანმა ცხენებმა მერვე კლასის მოწაფეები კოჯრისაკენ გააქანეს. იმ დღეს „თეთრ დუქანში“ აქეიფეს ლეონი. მეორე დღეს — საქართველოს სამხედრო გზაზე — „დარიალში“. მერე უფრო შორს გასწიეს — დუშეთი და ფასანაური მოიარეს. არღანი და დაფა-ზურნა არ დაიკლეს. ასე გრძელდებოდა ნეტარებით სავსე დღეები და კუკური ზარანდია ლეონს ემუდარებოდა: „ყელში დანა არ გაგვიყარო, თავი არ მოიკლაო. განა ღვინოზე, დუდუკზე და ქალებზე უფრო უკეთესი, ამა ქვეყნად, სხვა რამე არსებობსო!“

ლეონს გაეცინა და მიუგო: „ახლა ბევრიც რომ მეხვეწოთ, თავს მაინც არ მოვიკლავო“. ლეონის რევოლვერი კუკურის ჯიბეში ედო. ფასანაურიდან გამოსულმა, ნაღვინებმა, საკინძე შეხსნილმა და მეეტლეს გვერდით მჯდარმა ჭაბუკმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, იშიშვლა და არაგვთან ააჭახჭახა. გამოძახილი ცხრამთას იქით გადავიდა. გაქაფული ცხენები დაფრთხნენ, მეეტლეს სადავეები წაართვეს და თბილისისაკენ დაოთხილი წამოვიდნენ. ლეონს მოეწონა ამხანაგებთან ქეიფი, დროსტარება, გადახალისდა და კორნელისა და კუკურისათვის ნეტარებით სავსე და ბედნიერი დღეებიც მალე გათავდა. კორნელი და კუკური მერმე ამის გამო ხშირად ოხუნჯობდნენ. ლეონიც გულიანად ხარხარებდა: „მახლას, მამას ბევრი ფული ჰქონდა და მეც მისი ქონება არ მენანებოდაო!“

ეს მოაგონდა კორნელის და მაშინვე სასადილო ოთახის კარები გაიღო და კაბინეტში გედეონი, ანაიდა და არფენია შემოვიდნენ. კორნელიმ სასადილო ოთახში თავშეყრილ უამრავ ხალხს თვალი მოჰკრა. ისინი შეშფოთებულ თვალებით იშვრიტებოდნენ კაბინეტში და სდუმდნენ. მათი სახეების დანახვისას კორნელის ჯავახელი სომხები მოაგონდა, რომლებიც ასპინძის ომის დროს, ტამალას მიწურ სახლებთან შიშისაგან გაფითრებულნი და აკანკალებულნი იდგნენ და სოფელში ოსმალთა ჯარის შემოჭრისა და ხოცვა-ჟლეტისა ეშინოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ომი გათავებული იყო, თბილისში სომეხ მუშამოსამსახურეების დათხოვნა და სომეხ მოქალაქეთა მასობრივი დაპატიმრება და კონცენტრაციულ ბანაკში მათი მოთავსება, მაინც კარგა ხანს გრძელდებოდა. თბილისში მცხოვრები მრავალი სომეხი შიშიანობას მიეცა და საგონებელში ჩავარდა. მათ და ბოლშევიკებს, განუკითხავად, მენშევიკური ხელისუფლება, ისე როგორც ყოველთვის, საქართველოს წინაშე ღალატს აბრალებდა და სასტიკად უსწორდებოდა.

გედეონი და ანაიდა ისეთი მწუხარე სახეებით შემოვიდნენ და ისე მიესალმნენ კორნელის, თითქო შვილი გარდაცვლიათ და ჭირისუფლებივით იქცევიანო.

ანაიდას — სათნო და სანდომიანი სახის მქონე, ჩასუქებულ და აწ ჭაღარაშეპარებულ ქალს — მხრებზე შავი შალი წამოესხა. იგი ფარდაგდაფენილ ტახტზე დაჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ შუშანიკი და არფენია მოუსხდნენ. ირანულ ხალიჩის ფონზე, მათი მწუხარე სახეების ელფერი სპარსულ მინიატურას მოაგონებდა კაცს.

გედეონი ინდური წითელი ხისგან გაკეთებულ საწერ მაგიდასთან სავარძელში დაჯდა — კორნელის პირისპირ.

გამხდარი და მელოტი კაცი — გედეონ მერაბიანცი ორმოცდა ათი წლისა იქნებოდა, მაგრამ სავსებით ჭაღარა შექმნილიყო და შავი წვერ-ულვაში რომ არ ჰქონოდა, ღრმად მოხუცებული გეგონებოდათ. სახე დანაოჭებული და გაყვითლებული ჰქონდა. თვალები — შავი, დიდრონი და კაეშნიანი. ეტყობოდა ტანში რაღაც სენი შეჰპარვოდა და ის აწუხებდა. გედეონი ღვიძლისა და ნაღველის ტკივილს უჩივოდა. ან კი რად არ ატკივდებოდა ნაღველი, როდესაც ცნობილ სოვდაგარს დიდი ხანია რაც ევროპა-რუსეთთან კავშირი აღარ ჰქონდა, იქედან საქონელი არ მოსდიოდა, ვაჭრობა მოესპო და მაღაზიები დაკეტა. გედეონს ბაქოსა და თბილისში დიდი მაღაზიები და სახლებიც ჩამოართვეს. და ეხლა ლამის უბრალო მეწვრილმანის ბედი ეწვიოს! აღარაფრის ხალისი აღარა ჰქონდა. ზანდუკში შენახული და ნაფტალინგადაყრილი, ინდიგოს ძველი კოსტუმი ჩაეცვა. ძველ მოდაზე და ყაიდაზე შეკერილი, მუხლებამდე დაშვებული და გრძელკალთებიანი ეს სასაცილო პიჯაკი და მოკლე შარვალი კუკური ზარანდიას ძლიერ მოსწონდა: „გედეონს მისი პიჯაკისა და შარვლის თარგის აღება უნდა ვთხოვოო“, — ოხუნჯობდა.

გედეონს ფეხი-ფეხზე გადაედო და მოკლე შარვალიდან გამხდარი კანჭების კოჭის ძვლები უჩანდა.

ქალები, როგორც თავის მხსნელს, ისე მისჩერებოდნენ კორნელის, გედეონი კი თვალს არიდებდა. მარჯვენა ხელი იდაყვით მაგიდაზე შემოედო, ყვრიმალით მუშტს დაჰბჯენოდა და ერთ წერტილს სასოწარკვეთილი დაშტერებოდა.

შუშანიკსა და არფენიას შეეცოდათ მგლოვიარე მამა და თვალზე ცრემლი მოადგათ.

სიჩუმე ჩამოვარდა. კორნელიმ უხერხულობა იგრძნო და დაიწყო:

— თქვენი წერილი მივიღე, გედეონ.

— დიახ, წერილი გამოგიგზავნეთ... — მიუგო გედეონმა, თავი ასწია და კორნელის შეხედა. კორნელის და გედეონის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და მათ ერთმანეთის თვალებში, წამიერად, უნდობლობა ამოიკითხეს.

კორნელი შეკრთა, თვალი მოარიდა და გაიფიქრა: „ვაი, თუ ვეზარები იმიტომ, რომ ქართველი ვარ! განა ქართველებმა არ წაახდინეს ეს კაცი და დაუპატიმრეს შვილი!?"

გედეონმაც მოარიდა თვალი და გაიფიქრა: „ვაი, თუ ამას სომხები ეზარება, ან რად არ შეჯავრდებოდა, როდესაც სომხებმა ქართველების წახდენა და თბილისის აღება განიზრახეს!? მე კი წერილი მივსწერე და შვილის შველა შევთხოვე!"

ორივემ უხერხულობა იგრძვნეს და მიხვდნენ, თუ რა ზღვარი გათხრილიყო სომეხ-ქართველთა შორის. ამან ჩააფიქრა ორივენი წამიერ..

სომეხ-ქართველთა შორის ატეხილ ომის შემდეგ ისინი თავს ისე გრძნობდნენ, თითქო მათაც წილი ჰქონოდათ მიღებული იმ უმსგავსო საქმეში — ერთმანეთის ხოცვა-ყლეტაში.

გედეონი გრძნობდა, რომ სომხებმა და თითქო მანაც ცუდი და რაღაც უმსგავსო გაუკეთეს ქართველებს და კორნელიც გრძნობდა, რომ ქართველებმა და თითქო მანაც ცუდი და რაღაც უმსგავსო გაუკეთეს სომხებს — ძალიან ცუდი, ბოროტი და საზიზღარი, რაც არ უნდა ეგუებოდეს ადამიანის ბუნებას; სახელდობრ — ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლა, ადამიანისათვის ყველაზე უძვირფასესის — სიცოცხლის წართმევა.

ამ სამარცხვინო გრძნობის გამო, მათი საუბარი შეუძლებელი გახდა. ალბათ ამასვე გრძნობდნენ დამუნჯებული და გლოვით მოკლული ქალებიც.

ბოლოს ასეთი ხანგრძლივი დუმილი უხერხული შეიქნა და გედეონმა ნიადაგი მოსინჯა:

— ლეონი დააპატიმრეს, თქვენ კარგი მეგობრები იყავით და ვიფიქრე, იქნებ კორნელი დაეხმაროს, მეთქი. — დაიწყო სასოწარკვეთილის ხმით გედეონმა.

— დიახაც დავეხმარები! — გულზე მოეშვა და ასე მიუგო კორნელიმ, თითქო ლეონის გამოხსნით წაშლიდა ქართველთა მიერ ჩადენილ უმსგავსოებას.

— დავიღუპეთ, შვილო, გვიშველეთ! — დაიძახა დედამ ანაიდამ, ხელები მუხლებზე შემოიკრა, ხელის გულებით მუხლებს დაებჯინა და, გლოვით მოკლულმა ქალმა, კედლის საათის ქანქარასავით ქანაობა დაიწყო.

— რა მოგვიდათ, რა მოხდა ასეთი! — დაამშვიდა კორნელიმ.

— როგორ რა მოხდა, შვილო! — მოთქმით გააბა ანაიდამ. — მენშევიკები სომეხ პატიმრებს ხვრეტენო. გინდა ლაგირში გაგზავნონ, ესეც უარესია — ამბობენ ლაგირში პარტახტიანი ტიფით ხალხი ერთთავად იყლიტებაო...

— დამშვიდდით, დედა! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ლეონისთვის ისეთივე ამხანაგი და მეგობარი ვარ, როგორიც ვიყავი და ყოველგვარ ზომებს მივმართავ — დავიხსნა იგი. — უთხრა კორნელიმ.

— უშველეთ, შვილო! — დაიძახა ანაიდამ.

გედეონმა ქვევიდან აჰხედა კორნელის. სურდა გაეგო მართალს ამბობს, თუ თაღლითობსო. იმერლები მკვეხარები არიან და ბევრი [illegible] დაეჯერებათო. მაინც იანგარიშა ცნობილმა სოვდაგარმა. კორნელიმ დაიცარა ეჭვით სავსე გედეონის გამოხედვა და ეწყინა. თვალი გაუსწორა. გედეონი გატყდა და ეხლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, კორნელი რომ მართალს ამბობდა. კოპებშეკრულ ვაჭარს კუშტ სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მაგიდაზე მდებარე კოლოფი გახსნა, კორნელის პაპიროსი მიაწოდა. ერთი თითონაც აიღო, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. კორნელის თუთუნის გემო მოეწონა და კოლოფს დაჰხედა. კოლოფზე მაიმუნის — ორანგუტანგის თავი ეხატა. მაიმუნი პაპიროსს ეწეოდა. კოლოფის შუა ადგილას, განდაგან ეწერა: „იტელიენ“, მერმე — „უმაღლესი ხარისხის ინგლისური პაპიროსი, ფასი 25 ცალი — 50 კაპიკი“. ქვევით კუთხეში — „კავკაზ“.

— კავკასიის მაიმუნი! — წამოცდა კორნელის და ყველამ გაოცებით შეხედა მას — რას ამბობსო.

— რატომ მოგაგონდათ სახელმწიფო სათათბიროში შავრაზმელის — პურიშკევიჩის მიერ თქმული სიტყვები? — შეეკითხა კორნელის გედეონი.

— აგერ, კოლოფზე მაიმუნი რომ ხატია და ქვევით „კავკაზიო“, რომ სწერია, ამან მომაგონა. — მიუგო კორნელიმ.

— მაგ სიტყვებზე, იმ შავრაზმელს კავკასიის ხალხთა დეპუტატმა — ჩხეიძემ ჩინებული პასუხი გასცა. როდესაც თქვენი წინაპრები ტყეში მხეცებივით დაეხეტებოდნენ, ჩვენი წინაპრები მაშინ დაბადებას და სახარებას სთარგმნიდნენო. ქართველები და სომხები არავის დასაცინი არ არიან. — შენიშნა გედეონმა.

— ეგევე ითქმის ინგლისელი, გერმანელი და ევროპის ხალხთა ზოგიერთ ჯენტლმენების შესახებაც. — დაუდასტურა კორნელიმ და გედეონის შემდგომმა სიტყვებმა გააოცეს, რადგან ამ სიტყვებში გედეონის ნაკითხობა, საქმეში ჩახედულობა და ცოდნა სჩანდა.

— ევროპელებს ავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთი დასავლეთზე უფრო უძველესი, უწინარესი და ულრმესი კულტურის მქონეა. — დაიწყო გედეონმა, — კერძოდ სომხებს და ქართველებს: ურარტელებს და ხეთებს ბაბილონ-ასურეთსავით უძველესი, მდიდარი და კულტურული სახელმწიფოები გააჩნდათ. ქრისტიანობაც სომხებმა და ქართველებმა ევროპელებზე და რუსებზე ადრე მივიღეთ. — ამბობდა გედეონ მერაბიანცი და მისი შავად გარუჯული სახე, გიშრისფერი და სოლივით წაგრძელებული წვერი, დიდრონი თვალები და არწივისებრი მოღუნული ცხვირი ძველ ბარელიეფზე ამოჭრილ — აშურბანიპალის სახესა ჰგავდა; ხოლო მამაც და მედგარ სარდურისა და ურარტელთა ნაშიერს, ჟამთა ვითარების გამო, წინაპართა გადაგვარება დასტყობოდა. მისი დაავადებული ღვიძლი, ნაღველი და ჯიგარი, ფერმკრთალი და მკვდრის მზესავით გაყვითლებული სახე, უზომოდ დიდი ცხვირი, თითქო ამას მოწმობენო. კაეშნიანი, ნაღვლიანი და თავისი ხალხის ტრაგედიის მხილველი თვალები კი, ოდესღაც ძლიერი და მედგარი თავისი ტომის

უბედობას და უბედურებას დასტირიანო; უბედობას იმ ტომისას, რომლის ნაშიერნი, სახელმწიფოებრივი მარცხის შემდეგ, მთელ დედამიწის ზურგზე განიბნენ ლუკმა პურის საძებნელად და ამიერიდან სათაყვანებელი საგნად და კერპად ოქრო დაისახეს, მსგავსად ებრაელთა; და რა ხელობისათვის არ ბრუკიდნიათ ხელი და რამდენი წამება, დაცინვა, დამცირება და ჟლეტა არ განუცდიათ და გადაუტანიათ ძლიერთაგან ამა ქვეყნისა! ასე ფიქრობდა, დაახლოებით, კორნელი, როდესაც გედეონ მერაბიანცის თქმულს უსმენდა ურარტუზე, ძველ სომხეთზე, რომაელთაგან მის დამარცხებაზე, ოსმალეთში მცხოვრებ ახლანდელ სომხების მარცხზე, სირია-მესოპოტამიის უდაბნოებში მათ გადასახლებაზე და ათასობით და ასი-ათასობით მათ ჟლეტაზე. გედეონ მერაბიანცი ბევრის მცოდნე, მხილველი და საინტერესო მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა. იგი ოსმალეთში მცხოვრებ სომხეთის მარცხს მეფის რუსეთისა და ბრიტანეთის პოლიტიკას აბრალებდა.

— ამაყი, უკადრისი, თავხედი და უსამართლო ხალხია ინგლისელები. — დაიწყო გედეონმა. — მათ ნაციონალური ეგოიზმი ახასიათებთ. ბრიტანელები მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვიან. ეს მთავარი მათი მიზანია, ხოლო ამ მიზნისაკენ სხვა ხალხთა სწრაფვას და წარმატებას კი ისინი ვერ ურიგდებიან. მე მინახავს ინგლისელები კალკუტაში და ქაიროში.

— კალკუტაში და ქაიროში ბრძანებულხართ? — შეეკითხა კორნელი.

— როგორ არა. — მიუგო გედეონმა და კალკუტა-ქაიროს გამო საუბარს მოჰყვა, მაგრამ ანაიდას გულს გენია ედებოდა და ქმარი დატუქსა:

— რა დროს ქაირი და კალკუტაა, შე კაცო. შვილი ციხეში გვეღუპება! — მერმე კორნელის ჰკითხა: — როგორ უშველით ლეონს, კორნელი?

— ვუშველით, დარდი ნუ გაქვთ! — მიუგო კორნელიმ.

— ეხლავე უნდა უშველოთ. დაყოვნება არ შეიძლება. — შენიშნა ანაიდამ. — ახლა ციხიდან კაცის გამოხსნა ადვილი საქმე როდია, შვილო!

— მართლა როგორ დაიხსნით ლეონს? ამბობენ კედიას ხელში ვინც ჩავარდება, ადვილად თავს ვერ დააღწევსო. — უიმედოდ ჩაილაპარაკა გედეონმა.

— მე კედიაზე უფრო დიდ ხალხს ვიცნობ. — მიუგო კორნელიმ.

— ესტატე მაყაშვილი განა ციხიდან ვერ გამოაშვებინებს! — დაიძახა ამდენხანს დადუმებულმა შუშანიკმა.

კორნელი შეკრთა, რადგან იცოდა — ესტატეს ამ საქმისათვის ვერ მიჰმართავდა. მაგრამ გედეონს ესტატეს ხსენება ძლიერ გაეხარდა და განაცხადა:

— მართლა, ესტატე მაყაშვილი თუ ინებებს, ამ საქმეს უთუოდ გააკეთებს.

— გვიშველეთ, კორნელი! — შეევედრა კორნელის ლეონის დედა.

კორნელი წამოდგა. საპატიმროდან ლეონის გამოშვება აღუთქვა მშობლებს და ქუჩაში გამოვიდა.

მარგარიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი: აი, იქ ვინ არის?
მეფისტოფელი: კარგა დააცქერდი — ეს ლეონტია.
ფაუსტი: ვინ?
მეფისტოფელი: ადამის პირველი ცოლი. ერიდე მის წარმტაც თმას... რომელიმე ჰაბუკს მან თუ თავისი დაკლაკნილი თმის ნაწნავები მოახვია, გათავდა — აღარ გაუშვებს.
გოეთე: „ფაუსტი" — „ვალპურგის ღამე".

„სად წავიდე, ვის მივმართო?" — ფიქრობდა კორნელი. „ესტატეს? ესტატეს რომ ლეონის განთავისუფლება ვთხოვო, ალბათ კუდით ქვას მასროლინებს. ჩემ ძმას — ევგენის? ევგენი ასეთ საქმეში ბოთეა! დათას? დათას სომხებმა სახლიკაცი — ჯვებე მოუკლეს და ისიც უარს მეტყვის. მაშ, ვის მივმართო? ლეონის მშობლებს სიტყვა მივეცი და რომ არ შევასრულო, პირშავს და ორპირს შემარქმევენო". — ფიქრობდა კორნელი. მას თვითონვე სურდა ახლა კეთილი საქმის ჩადენა, ეს მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო. მოედანზე მომხდარი თვითგასამართლება, ომში მოკლული ჯვებეს დაკრძალვა, ლაზარეთში მოთავსებული, დასახიჩრებული ჯარისკაცების ხილვა, პეტრესთან შეხვედრა, ხალხის მასობრივი დაპატიმრება და ხვრეტა, ყოველივე ეს კორნელში ზნეობრივ განწმენდის სურვილს იწვევდა. „ალბათ ყოველივე ამან იყო რომ ნინოს გულიც გაადნო და პირვანდელი სინაზე, გულთბილობა და კეთილი გრძნობა დაუბრუნა. ჩემთან შეხვედრა, ალბათ იმიტომ უნდა ნინოს, რომ ცოდვა მოინანიოს. ომის, სისხლის ღვრის, კაცთა ქლეტის და წამების შემდეგ, თითქო ყველანი მათ საწინააღმდეგოდ მოიმართნენ, შეიცვალნენ და ცოდვათა მონანიების სურვილი დაებადათ. თითქო ადამიანს სურს დაიძახოს: შევჩერდეთ, შევჩერდეთ, ძმებო, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არისო!" — ფიქრობდა კორნელი. ასეთ ზნეობრივ ფერისცვალებას იქნებ თავისთავში გრძნობდა კორნელი და სხვასაც მას მიაწერდა. ვინ იცის!

იგი კირკის ქუჩას მიუახლოვდა. გერმანული ეკლესიის კარები ღია იყო და იქიდან ორგანის ხმა და მომღერალთა გუნდის გალობა შემოესმა:

„Dies irae, dies illa
Solvet saeclum in favilla"... [1])

კორნელის საწყალობელი ასული — გრეთჰენი მოაგონდა, კათოლიკეთა ეკლესიის სკამზე რომ გულწასული იჯდა და ჩადენილ ცოდვისა და შერცხვენის გამო ხალხში დამალვას ცდილობდა. მიჯნურისაგან შეცდუნებულს და უგულოდ განწირულს, დაღუპულ ძმისაგან, ხალხისაგან და ღვთისაგან დაწყევლილს, ჰიმნის და ორგანის ხმაზე, განკითხვის თავზარდამცემი საყვირები მოესმოდა და გულს უნგმირავდა იგი.

ეს მოაგონდა კორნელის და თითქო თვალწინ ნინოს მწუხარე და ცრემლიანი თვალები დაუდგნენო. ჩუმი, ნარნარი და კაეშნიანი ხმა შემოესმა: „კორნელი, ჩვენ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. ჩვენ უნდა შევხვდეთ.." კორნელის ტანში გააჟრჟოლა. თვალები დაახამხამა. „როდის უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. როდის? რამდენი რამ მაქვს სათქმელი! იქნებ მეც საშინლად დავტანჯე საწყალობელი ნინო!" — გაიფიქრა კორნელიმ და პლეხანოვის პროსპექტზე გადასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს, ეკლესიის გალავნიდან, ვიღაცამ დაუძახა. შებრუნდა. ეკლესიის კიბეზე ჩამოდიოდა არა გულწასული

[1]) დღე რისხვისა, დღე იგი ყოველივეს მტვრად აქცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეძრწუნებული ასული — გრეთჰენი, არამედ მხიარული და მიმზიდველი ქალი — მარგარიტა ლეტც.

კორნელი შეეგება და ხელზე აკოცა.

— სად მიდიხართ? — ჰკითხა ქალმა.

— შინ. — მიუგო კორნელიმ.

— გეტყობათ, თქვენც ჩემს მეუღლესავით შინ ჯდომა გყვარებიათ. ხელი გამიყარეთ მკლავში და ცოტაზე გამაცილეთ. — უბრძანა მარგარიტამ და მერმე ეშმაკურად გაუღიმა.

მარგარიტა ლეტც თბილისში მცხოვრები გერმანელების შვილი იყო. იგი ამჟამად ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. მოწაფეობის დროს მართლაც გოეთეს გრეთჰენს ჰგავდა. დაკვარკნილი ოქროსფერი კულულები, ბავშვური უბიწოებით გახელილი ცისფერი თვალები დღე და ღამეც არ აძლევდნენ მოსვენებას რუსული ენის მასწავლებელს სტეფანე შემანსკის. მაშინ მარგარიტა უკანასკნელ კლასში იყო. სტეფანემ, გიმნაზიის დამთავრებისთანავე, შეირთო იგი. ბავშვსავით დაისვამდა მუხლებზე და უზადო სიყვარულით ხელქმნილი, ათრთოლებული ტუჩებით ჰკოცნიდა ახალგაზრდა ქალის კულულებს. ასე უყვავებდა და რამდენი ლამაზი თქმა არ მოუსმენია ქმრისაგან ცოლს. ვინ მოთვლის. გადიოდა დრო. როდესაც სტეფანე შემანსკი შესაბეზრებელ ზნეობრივ წურთნას დაუწყებდა, მარგარიტა მორცხვი მოწაფის მსგავსად სდუმდა. გულუბრყვილო მასწავლებელი კი ფიქრობდა: „რა გინდ ძალადგარდოვანის და გაუგებარის ენით არ უნდა უქადაგებდე მე ცოლს ძალად ზნეობაზე, ის ჩაწვდება და გაიგებს მაინც მას შეურყვნელი ქალური თავისი ბუნებითო“. მეოცნებე. სუსტი ნებისყოფის მქონე მასწავლებელი ლიტერატურით და ფილოსოფიით იყო გატაცებული. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე დაწერილი იშვიათი წიგნები. ეს წიგნები და მაღალ საგანზე ქმრის დაუსრულებელი საუბარი მალე მოსწყინდა მარგარიტას. არც ქმრის ამხანაგები — ჩანჩურა და არაქათ-გამოცლილი მასწავლებლები მოსწონდა. სამაგიეროდ მას ოფიცრები, მათი ცხოვრება და დროსტარება აჯადოებდა. ოთხი თუ ხუთი წლის ცოლქმრობის შემდეგ სტეფანე აღარ დაჰყვებოდა მარგარიტას: არც კინო-თეატრში, არც კაფე-რესტორანში და არც ნაცნობ-მეგობრებში და ნათესავებში. სტეფანეს არ მოსწონდა ცოლის მშობლები, ნათესავები, მეგობრები და არც რაიმე საერთო ჰქონდა მათთან. ხან დაღლილობას, ხან გაკვეთილებისათვის მზადებას, ან კიდევ სხვა რამეს მოიმიზეზებდა და ქალაქში ცოლს მარტო გაისტუმრებდა. ანჟამად სტეფანე უნივერსიტეტის ლექტორი იყო. მის შინაარსიან და მიმზიდველ ლექციებს ელო, ნინო, მათი ამხანაგები და დიდძალი ახალგაზრდობა ესწრებოდნენ. ელო და ნინო სტეფანეს „ცოდნის საწყობს“ და „მოძრავ წიგნთსაცავს“ ეძახდნენ. მაგრამ მარგარიტას ქმრის ასეთი ღირსებანი სრულიადაც არ ჰხიბლავდნენ და ერთ მშვენიერ დღეს კალაპოტიდან ამოვარდა. პირველი თავისი რომანი მარგარიტამ ცხენოსანი ჯარის ოფიცერთან — რამაზ ვაჩნაძესთან გაბა, ახალგაზრდა და ლამაზ გუსართან. შემდეგ კაპიტან ჯიბო მაყაშვილთან. კაპიტანი ჩქარი ტემპით გადავიდა შეტევაზე და საოპერო თეატრიდან კაფე-რესტორანის კაბინეტებამდე მიმავალი გზა ძალიან მალე განვლო. ხშირად აცილებდა სახლამდე ეტლით. ერთხელ მარგარიტა დილის ექვს საათზე დაბრუნდა შინ. ქმარს დილამდე არ დაუძინია. მის თავში ათასი ეჭვი ტრიალებდა. ბოლოს ზარის ხმა გაისმა. ქმარმა კარი გაუღო

ცოლს. გონიერის და ბევრის მცოდნე თვალებით შეხედა. მარგარიტას ტუ-ჩები დახეთქილი ჰქონდა, გადამთვრალი თვალები ენისლებოდა. ხახიდან ალკოგოლის, თუთუნის ყლარტის სუნი ამოსდიოდა და ... ბორძიკობდა. სტეფანეს არაფერი არ უთქვამს. საწოლზე ... ითინდა: „ყველაფერი დავკარგე. უკანასკნელი ნუგეში და თავშესაფარიო". — ფიქრობდა იგი. ქალი თავს არ იმართლებდა და გაღმა ედავებოდა: „შენ არ-სად არ დამყვები. ჩემთვის არასოდეს არ გცალიაო". ერთხანს სტეფანე ცოლს გაებუტა. მერმე მკაცრ ზომებს მიჭმართა და წინადადება მისცა განქორწინე-ბულიყვნენ, რაზედაც მარგარიტა მაშინვე დასთანხმდა. თავზარდაცემული მე-უღლე მუხლებზე მოეხვია და შეევედრა კვლავ მასთან დარჩენილიყო და არ დაეღუპნა რვა წლის მათი შვილი — პატარა ვოვა.

ამ გამარჯვებიდან მარგარიტამ სათანადო დასკვნა გამოიტანა და ბორო-ტად გამოიყენა იგი. ამ დღის შემდეგ სტეფანე შემანსკი საშინელ დამცირე-ბას იტანდა. თავმოყვარეობას, სინდისს, სახელს და თავის მეობას ცოლს ფეხქვეშ ათელვინებდა. ქალმა უნებისყოფო კაცი ხელში ჩაიგდო და ჩვრად აქცია. ცუდია, როდესაც თავის მეობაში ჩაძირული და მაღალი იდეებით გა-ტაცებული ადამიანი შეირთავს ხოლმე ახალგაზრდა, ლამაზ და მოარშიყე ქალს, რომელიც იდეებზე უფრო ახირებული და თვალსაფრთხილოა.

მსოფლიო ომის და რევოლუციის დროს არსებული ნივთიერი სივიწროვე ხელს უწყობდა მარგარიტას ხრწნას. ეხლა მას არა მარტო ლამაზი და ახო-ვანი ოფიცრები მოსწონდა, არამედ ფულიანი კაცი, სულერთია ვინც არ უნ-და ყოფილიყო იგი — ვაჭარი, სპეკულიანტი, თუ აფერისტი.

კორნელის სტუდენტური ლამაზი პალტო და ტანსაცმელი ემოსა. წარჩი-ნებულ ხალხში ტრიალებდა და მარგარიტას შეძლებული და ფულიანი მშობ-ლების შვილი ეგონა. თანაც, ბიჭადაც მოსწონდა იგი.

— ეკლესიაში ცეცხლს არ ანთებენ და შემცივდა. — უთხრა კორნელის მარგარიტამ. მხრები აიჩეჩა და ხელზე იღლია მოუჭირა.

ტყუილს ამბობდა მარგარიტა — შემცივდაო. თრითინას ტყავიდან შეკერი-ლი, ნაცრისფერი თბილი ქურქი ემოსა და იღლია ღადარივით ცხელი ჰქონ-და. კორნელის ხელის გული ქალის მკვრივსა და ხორცსავსე მკლავს ეხებო-და, ხელის ზურგი კი — მაღალ მკერდს. კორნელი გაირინდა. თავი ჩაჰ-კიდა და ფეხაწყობით გაჰყვა. ისინი მწყობრად მიაბიჯებდნენ. კორნელი აკვირდებოდა, როგორ თანაბრად ჩნდებოდნენ კაბის ქვემოდან პატარა და მოგრძო წვერიანი, ლაიკის ტუფლები. მარგარიტა, კატასავით, ისე ჩუმად და რბილად მიაბიჯებდა, რომ კორნელის გაუკვირდა — ამ მკვრივსა და ზორბა სხეულს ეს პატარა, ფაფუკი და უსახსრო ფეხები როგორ ზიდავენ და ატა-რებენო. მარგარიტამ შენიშნა, კორნელი რომ ფეხებზე აკვირდებოდა და შეეკითხა:

— თქვენ მოგწონთ ჩემი ტუფლები?

— მშვენიერია. — მიუგო კორნელიმ.

— განა ტუფლებზე იტყვიან მშვენიერიაო? — გაუკვირდა მარგარიტას.

— მაშ? — ჰკითხა კორნელიმ.

— მშვენიერი შეიძლება იყოს თვალები, სახე, ბაგე-კბილები, კისერი, ხე-ლი, ფეხები... ტუფლები კი — ელეგანტური, პიკანტური, ჩინებული...

კორნელიმ აღარ აცალა:

— თქვენ ტუფლებიც და ფეხებიც მშვენიერი გაქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარიტამ გაიცინა:

— ო, თქვენც მელა ყოფილხართ. ტყუილს ამბობთ. განა დაგიჯერეთ!

— ღმერთს გეფიცებით.

— თქვენ ღმერთი გწამთ?

— კიდეც რომ მწამდეს, თქვენ განა მაწამებინებთ!

მარგარიტა შეკრთა. მთელის ტანით შეირხა და კორნელისაკენ ისე შეტრიალდა, რომ მაგარი, დოვლათიანი და მსხმოიარე მისი ძუძუ და ღალღასავით მოძრავი მისი ძუძუს თავი ჭაბუკის ხელს დაებჯინა. ქალმა ცისფერი თვალები შეანათა და წყენით უთხრა:

— კორნელი, როგორ გეკადრებათ. მე ეკლესიიდან მოვდივარ. რა აზრით ამბობთ მაგას?

— ისე. ყოველგვარი მოსაზრების გარეშე.

— თქვენ სცრუობთ. აბა, თვალებში შემომხედეთ! — უთხრა მარგარიტამ და კიდევ უფრო მიეტმასნა კორნელის. კორნელის ტანში გააურეოლა. და მარგარიტას ცისფერ შლიაპაზე, ზურმუხტის-მაგვართვლებიანი აბზინდით დამაგრებულ და ფეერიულ ფერებით მოლივლივე უცხო ფრინველის ფრთას დააცქერდა. აღელვებული ქალი კარგა ხანს უცქერდა ჭაბუკს. მისი მომწვანო, შუქიანი და უცნაური თვალები მოეწონა. ერთბაშად მოიღუშა. პატარა ცხვირის ნესტოები დაებერნენ. ლამაზი ქალის სახემ, მისმა ცისფერმა, მიბნედილმა თვალებმა, რომლებიდანაც ნემსის ყუნწის ოდენა შუქი კიაფობდა, ვანოს მიერ დახატული, ვნებააშლილი და გადამთვრალი მენადა მოაგონა კორნელის. მაგრამ კორნელი მაინც ითვრებოდა მარგარიტას ეშხით. მარგარიტა მიხვდა, იამა, თავი დაიჭირა და დინჯად დაიწყო.

— თქვენ რაღაც უცნაური და გულჩათხრობილი კაცი ხართ.

— რა უცნაური?

— მუდამ მოწყენილი დაიარებით. თქვენ თითქო ქალს გაურბით.

— აბა, საიდან მოიტანეთ? — გაუკვირდა კორნელის.

— შეგამჩნიეთ. — მიუგო მარგარიტამ და მოულოდნელადაც ჰკითხა: — **როგორ მიდის სამიჯნურო** თქვენი საქმეები? თქვენსა და ნინოს შორის, მგონია, შავმა კატამ გაირბინა! გინდათ დაგეხმაროთ? — დამცინავის ღიმილით შესთავაზა დახმარება მარგარიტამ.

კორნელი არ მოელოდა ასეთ თავდასხმას და დაიბნა:

— რა სამიჯნურო საქმეები? ყველაფერი რიგზეა. გმადლობთ. — მიუგო კორნელიმ და კაეშნიანი ცალგვერდა ცქერით სადღაც შორს გაიხედა. ასეთი ცქერა გრიგოლ ცაგურიშვილმა იცოდა, როდესაც რამეზე ფიქრობდა. მარგარიტამ ირემივით ყელმოღერებულ ლამაზ ჭაბუკს თავით-ფეხებამდე აჰხედა და უთხრა:

— თქვენ თითქო რაღაც გაწუხებთ. რაღაცაზე ფიქრობთ, თითქო გაქცევას აპირებთო.

— მართალს ბრძანებთ. ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და ის მაწუხებს. — მიუგო კორნელიმ.

— რა საქმე?

— ჩემი ამხანაგი ლეონ მერაბიანცი დააპატიმრეს; მშობლებს მისი განთავისუფლება შევპირდი და ეხლა ვის მივმართო არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესტატეს.

— ესტატეს ვერ გაუცხადებ.

— დადვაძეს?

— დადვაძე ესტატეს ეტყვის და ესტატე გაბრაზდება, ომში წავიდა და ეხლა დაპატიმრებულ სომხების ქომაგობა დაუწყიაო.

— დათას მიჰმართეთ.

— დათას სომხეთთან ომში სახლიკაკი მოუკლეს და მაგ საქმეზე ვერც მას მივმართავ.

— თქვენ ძმას — ევგენის?

— ვერც ევგენის.

— მე რომ დაგეხმაროთ და ის თქვენი ამხანაგი ციხიდან გამოვაშვებინო, მაყარიჩი თუ იქნება? — მოულოდნელად შეეკითხა მარგარიტა.

— მერმე როგორი, რომ იცოდეთ! ლეონი მეტად მდიდარი კაცის შვილია. — მიუგო კორნელიმ.

მარგარიტამ ყურები დასცქვიტა. მის თვალებში ისევ ნემსის ყუნწის ოდენა შუქმა დაიწყო კიაფი. „იქნებ ანკესს ღლავი ამოჰყვესო". — გაიფიქრა ფულის, ჩაცმა-დახურვის, ქეიფის მოყვარულმა და მდიდარი კაცის მაძებარმა ქალმა.

— მოიტათ ხელი! — უთხრა მან კორნელის.

კორნელიმ სიტყვა მისცა და ხელი ჩამოართვა.

— მაშ, წავიდეთ. — დაიძახა მარგარიტამ და ისინი ტრამვაის გაჩერებისაკენ წავიდნენ.

სასტუმრო „ნოეს" მახლობლად, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, ვანო მაჭავარიანი შეეყარათ. ვანომ კორნელი გადაჰკოცნა. მარგარიტას კი ხელზე ეამბორა.

— ბიჭო, — უთხრა კორნელის ვანომ, — სანამ უნდა იყო დეზერტირი? იცი, რა ცხარე ომში მოვხვდი. ოსმალეთთან ომი მიჰქარავს. ბოლოს სომხებს მაინც ტყავი დავატოვებინეთ. საფუძვლიანად რომ დავსხდებით, მაშინ გიამბობ ყოველივეს. — „საფუძვლიანად დასხდომას" ვანო ქეიფსა და ღვინის სმას ეძახდა.

კორნელი ნინოსთან შეხვედრას, ნინოსთან გაწყვეტილი კავშირისა და ურთიერთობის აღდგენას ელოდა და ამიტომ ვანოსადმი ძველი უნდობლობა და ზიზღი ამჟამად აღარ ჰქონდა.

— დავსხდეთ და მიამბე. — მიუგო მან ვანოს.

— ჩვენი საქმე ეხლა კარგად მიდის. — შეატყობინა ვანომ კორნელის. მერმე მოიწკურა, ყურში ჩუმად და ქურდულად უთხრა: — ნინოს უყვარხარ.

ვანომ ნაძალადევად გაიღიმა, თითქო ეს ამბავი უხარიაო და ცხენსავით გრძელი კბილები გამოაჩინა.

— საიდუმლოდ ლაპარაკს თავი გაანებეთ. — შენიშნა ჭაბუკებს მარგარიტამ და ტრამვაის გაჩერებაზე რიგში ჩადგა.

კორნელიმ ვანოს უამბო რა საქმეზეც მიდიოდნენ ის და მარგარიტა და ვანოც მათ გაჰყვა.

ისინი სამხედრო სამინისტროს მახლობლად ტრამვაიდან ჩამოვიდნენ.

მარგარიტა საქმეთა მმართველთან შევიდა. საქმეთა მმართველი იაპონელივით პატარა და ჩია კაცი იყო. ირიბი თვალები ჰქონდა და თვალის უპეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასივებოდნენ. მმართველი დიდის ამბით შეეგება მარგარიტას და ცალი შესთავაზა. ქალმა კორნელი და ვანო გააცნო და სამხედრო მინისტრთან შესვლა სთხოვა. მინისტრს ჯერ არ სცალია და ცოტა ხანს დაიცადეთო — მიუგო მან მარგარიტას. ამ დროს მანქანაზე მბეჭდავი ახალგაზრდა, მაღალი ქალი შემოვიდა და მმართველს რემენქტონზე გადაბეჭდილი ქაღალდები მიუტანა. მარგარიტა რომ დაინახა, გაეხარდა, მობრუნდა და აკოცა. მარგარიტამ ეს ქალიც გააცნო ჭაბუკებს. იცნობდეთ, ჩემი მეგობარი — ქეთო მაღალაშვილი არისო, ვანომ კოხტა და მაღალ ქალს შეხედა და უთხრა: მართლაც მაღალის შვილი ყოფილხართ. ქალი ვანოს და კორნელის თვალს ვერ უსწორებდა, უმიზეზოდ იცინოდა, და მარგარიტას ხელს ეალერსებოდა. მარგარიტა და ქეთო დიდი მეგობრები იყვნენ და მუდამ ერთად დაიარებოდნენ. უერთმანეთოდ ვერ სძლებდნენ და ერთმანეთის საიდუმლო, გულისთქმა და ყოველი წვრილმანიც კი იცოდნენ.

უცბად, მარგარიტამ რედიკული გახსნა, იქიდან პატარა წიგნაკი ამოიღო და კორნელის ჰკითხა: თქვენ ამხანაგს რა ჰქვიაო. კორნელიმ უთხრა და მარგარიტამ მინიატურულ ასოებით ჩასწერა: ლეონ გედეონის-ძე მერაბიანცი. მერმე კორნელი გააფრთხილა: ლეონთან საქეიფოდ ქეთოც უნდა წავიყვანოთო. ჩვენ ოთხივენი იქ ვიქნებითო — მიუგო კორნელიმ. მინისტრის კაბინეტიდან სამხედრო პირები გამოვიდნენ და მმართველმა შიგ მარგარიტა შეუშვა.

კორნელის და ვანოს დიდხანს მოუხდათ ლოდინი. ბოლოს კაბინეტიდან გაწითლებული და მომღიმარი მარგარიტა გამოვიდა და კორნელის უთხრა: შეგიძლიათ მერაბიანცისას წახვიდეთ, თქვენი ლეონი შინ დაგიხვდებათო.

მრავალთავი

„უღრმესი მელანქოლიის გრძნობა მოიცავს ამ წარმოდგენის რეჟისერს, როდესაც იგი ფარდის წინ, სცენაზე ზის და გაჰყურებს ბაზრობას და მის მყვირალა ამაოებას...“

ტ ე კ ე რ ე ი: „პატივმოყვარეობის ბაზრობა“.

მეორე დღეს კორნელი, ვანო, მარგარიტა და ქეთო მაღალაშვილი მერაბიანცებს ვახშმად ეახლნენ.

სევრის იშვიათი სერვიზით გაწყობილი და მდიდრული სუფრა, რომელსაც შუახნის კაცი — ცნობილი ვექილი, გონიერი და მჭევრმეტყველი ბეგთაბეგოვი თამადობდა, გედეონის და ლეონის ნათესავებით და მეგობრებით იყო სავსე. ისინი სასოებით მისჩერებოდნენ ლეონის მხსნელ კორნელის და მარგარიტას და ამ უკანასკნელთა პატივისცემაში ერთმანეთს ეცილებოდნენ.

როდესაც სტუმრები ნაირნაირი, უხვი და გემრიელი საჭმელებით დანაყრდნენ, კახური ღვინითა და შამპანიურით შეზარხოშდნენ, — ვანო მოცეკვავე ქალს — არფენიას ჩააცივდა. ძალიან მოეწონა. „ჩემი გემოვნების ქალიაო“, — უთხრა კორნელის და არშიყობა დაუწყო. ვანო დეკორატორი იყო და არფენია საოპერო თეატრის სცენაზე ჰყავდა ნახული. მათ შორის ბევრი რამ საერთო გამოიძებნა და უმალვე მხიარული საუბარი გააჩაღეს. ლეონს ქეთო მაღალაშვილი მოეწონა. მარგარიტა კი კორნელის არ ეშვებოდა და ისევ თავისი ეშხით და სილამაზით ჰხიბლავდა. შუშანიკი როიალს აგრიალებდა

და უხვი მასპინძლის — გედეონ მერაბიანცის სტუმრები ხელგაშლილი ქეიფობდნენ, იმღეროდნენ და ცეკვობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამადამ სომეხ-ქართველთა მეგობრობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და სკოლის ამხანაგების — კორნელის და ლეონის სადღეგრძელო ჯიხვის რქით დალია. ქართული „მრავალჟამიერიც“ წამოიწყო. მარგარიტას საამო ხმა ჰქონდა, ქართული სიმღერები მანაც იცოდა და თამადას აჰყვა. ჩინებულად მოილხინა და მერაბიანცები ისე მოაჯადოვა, რომ გედეონმა დაავადებულ ღვიძლს არ მიჰხედა, აინუნშიაც არ ჩაადგო, ჭაბუკებთან ერთად, მაღალყელიანი ბროლის ჭიქით შამპანიურის ქაჩვა დაიწყო და გარიჟრაჟზე ლეკურბუქნაც კი დაუარა და თავისი მეუღლე — ანაიდა აცეკვა.

მარგარიტა გედეონის მთელმა ოჯახმა შეიყვარა, განსაკუთრებით კი — ანაიდამ. შინ ეპატიჟებოდა. გერმანულად დაუწყებდა საუბარს. გერმანიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში მოგზაურობაზე უამბობდა. გედეონი და ანაიდა ზაფხულობით ბადენ-ბადენის და კარლსბადის სანატორიუმებში ისვენებდნენ და ექიმობდნენ და ამაზე დაუსრულებელი ლაპარაკი ანაიდას სისუსტეს წარმოადგენდა. ხანშესულ, საბრალო ქალს მეხსიერება ჰღალატობდა და ყოველდღე ერთიდაიგივე ამბების მოყოლით მსმენელთ და მათ შორის მარგარიტასაც სტანჯავდა. სამაგიეროდ ანაიდამ მარგარიტა მდიდრულად დაასაჩუქრა: უცხოეთში შეძენილი, ძვირფასი ზურმუხტის თვლიანი საყურე და ჟენევაში ნაყიდი — მინიატურული ოქროს საათი უძღვნა.

ლეონიც ცდილობდა მარგარიტასათვის სამაგიერო გადაეხადა. კორნელის და მარგარიტას პატივსაცემად შინ გამართულ ვახშამით არც იგი კმაყოფილდებოდა.

ერთხელ ლეონმა კორნელის გაუარა. საღამო იყო. ცივოდა. კორნელი და ვანო ღუმელთან ისხდნენ და ელოს და ნინოს გამო ბჭობდნენ. კორნელიმ ვანოს საიდუმლო გაუმხილა და გაკვირვება გამოსთქვა:

— ნინო ჯვებეს დაკრძალვის დღეს ვნახე. მან ჩემთან შეხვედრა და მოლაპარაკება მოისურვა. იმ დღის შემდეგ ერთი კვირა გავიდა და არ შემატყობინა სად და როდის უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— ეგ სულ ვარდოს ბრალია. — მიუგო ვანომ.

— რა გააჭივრეს საქმე მაყაშვილებმა. შენ ხომ იცი, მე თავმოყვარე კაცი ვარ და თავს არავის წინაშე არ დავიმცირებ. ნინოსთან შეხვედრა მისი საბოლოო აზრის გასაგებადა მწადიან მხოლოდ. ეხლა ლათაიების დრო არ არის. ჩვენ ეპოქას ასეთი გაქეჟილი, მოუთავებელი ამბავი და მეშჩანური კომედია სრულიადაც არ შეეფერება. მე ვგრძნობ ამას, მაგრამ მაინც მეცოდება ნინო. ნინო ცუდი ქალი როდია! — უთხრა კორნელიმ ვანოს.

— მართალია, ელო და ნინო ცუდები არ არიან, — მიუგო ვანომ — მაგრამ ისინი დედისა და დიდედის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ვარდო კი ძველებური შეხედულების ქალია, ვარდო რომ ხელს არ მიშლიდეს, ელოს, ამდენხანს, ჩემებურად მოვთოკავდი. ფრონტიდან რომ ჩამოვედი, პირველ ორ-სამ დღეს ელო კარგად მეპყრობოდა, მერმე კი, ალბათ ვარდომ დაქოქა და, ისევ აიმრიზა. ეხ, — ამოიოხრა ვანომ და განაგრძო — შენ ჯერ არ იცი, რანი არიან მაყაშვილები! აი, როდესაც ნინოს შეირთავ, მაშინ გაიგებ. მართლა, ბიჭო, ამ ოთხი დღის შემდეგ ხომ ნინოობაა, რას აპირებ? — შეეკითხა ვანო კორნელის.

— რას უნდა ვაპირებდე? სანამ ნინოსაგან პასუხი არ მიმიღია, სანამ ჩვენი შეხვედრა და მოლაპარაკება არ მომხდარა, მანამდე მაყაშვილებთან მისვლაზე ფიქრიც კი ზედმეტად მიმაჩნია. მორჩა და გათავდა! — მიუგო კორნელიმ.

— თქვენ ხომ ოფიციალურად წაკიდებული არა ხართ, არც უსიამოვნება მოგსვლიათ და მილოცვას რას ერჩი? ნინო ინახულე. — ასწავლა ვანომ.

— ნინო ხომ დედასთან ცხოვრობს? — შეეკითხა კორნელი.

— დედას შეურიგდი, მოთაფლე. დიპლომატია ყველგან საჭირო ყოფილა, ჩემო კორნელი! — ისევ ასწავლა ვანომ.

— არა, ძმაო. მე მაგ გზას ვერ გავყვები. ყველაზე ცუდი ადამიანისათვის თავმოყვარეობის დაკარგვაა. — მიუგო კორნელიმ და მრისხანედ შეხედა.

ვანომ თვალი მოარიდა და გაიფიქრა: „მაშ, მე ვირი ვყოფილვარ, მაყაშვილები თავმოყვარეობას წამდაუწუმ ჯიბეში რომ მადებინებენო.“

ჯიბეში ხელები ჩაიდო და ოთახში ბორიალი დაიწყო.

ამ დროს ქუჩიდან კორნელის ლეონმა დაუძახა. კორნელიმ ფანჯარა გააღო და შინ მოიპატიჟა.

ლეონს ძვირფასი, ბეწვიანი საყელოთი მორთული შავი დრაპის პალტო ეცვა და ხელზე ტყავის შავივე ხელთათმანი ჰქონდა გაკეთებული. იგი საპირფარეშოდან ახლად გამოსული იყო. გაპარსულ სახეს და კმაყოფილის ღიმილით შეხრილ მსუქან ტუჩებს ინგლისურად შეკრეჭილი შავი კოკობი ულვაშები უმშვენებდნენ. გარეთ თოვდა და პალტოს საყელო და შლიაპა თოვლის ფანტელით გადაჰპენტოდა. და ჯანსაღმა ჭაბუკმა კორნელის ბნელ ოთახში სიცოცხლე და მხიარულება შემოიტანა.

— კორნელი, ჩაიცვი, მარგარიტას და ქეთოს გაუაროთ და მერმე ვივახშმოთ. — უთხრა მან კორნელის.

— მე ვახშმობის გუნებაზე არა ვარ, ჩემო ლეონ. გმადლობ. — მიუგო კორნელიმ.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ლეონი.

— სამაცადინო მაქვს. ესეც რომ არ იყოს — მე რა შუაში ვარ! — მიუგო კორნელიმ.

— როგორ თუ რა შუაშიო. სწორედ მარგარიტამ გამომგზავნა შენთან. ეს მისი სურვილია. — გაიცინა, თვალი უყო და ასე უთხრა ლეონმა.

— შენ სცრუობ.

— ჩემმა მზემ.

— თუ გინდა მართალი იყოს. აკი გითხარი: მე რაღაც ქეიფისა და არშიყობის გუნებაზე არა ვარ. — უთხრა კორნელიმ.

— რა მოგივიდა? რა ცხვირი ჩამოგიშვია? შენც ჩემსავით შეყვარებული ხომ არა ხარ. თავის მოკვლას ხომ არ აპირებ? გახსოვს რომ დამცინოდით? მაშინ სხვა დრო იყო და მეც ყმაწვილი ვიყავი. ეხლა რა დროს რომანტიკაა! ადე, ადე, ჩაიცვი, თუ კაცი ხარ. წამომყე და გუნებაზე მე მოგიყვან.. — აცივდებოდა ლეონი.

— კაცო, როგორ წამოვიდე! სხვა რო არა იყოს რა, აი, მე სტუმარი მყავს. — მიუგო კორნელიმ და ვანოს შეხედა.

— განა ვანო ვერ წამოვა! — დაიძახა ლეონმა. ეხლა ვანოს მოჰხვია ხელი. გაიცინა. მაგრა შეანჯღრია. მერმე, თითქო რაღაც მოაგონდა, ჩაფიქრდა, შუბლზე ხელი მოისვა და სთქვა: — ვანოც წამოვა, მაგრამ მაშინ მესამე ქა-

ლი დაგვჭირდება. დაიცა, დაიცა. ჰო, ნუ გეშინიათ — არის! მე ოპერის თეატრში შევივლი და არფენიას ამხანაგს — ბალეტში მოცეკვავე ქალს, ზინა დრაჩენკოს წამოვიყვან. იცი, რა ქალია? — გაიცინა ლეონმა. ცერი ჰაერში შეისროლა, მაღლა ამართა, — აჰაო, — დაიძახა და ასე უჩვენა.

ვანოს, კორნელის მსგავსად, თავპატიჟი არ დაუწყია. სათვალეები გაისწორა, თითქო ზინა დარჩენკო ლეონს ხელზე უზისო, ჰაერში შემართულ და წელში გაზნექილ ცერს დააცქერდა, კმაყოფილებით ჩაიხვიხვინა, ცხენსავით გრძელი კბილები გამოაჩინა და კორნელის შეეხვეწა:

— ჩაიცვი, ბიჭო! რა დროს მეცადინეობაა?

— როგორ მალე დასთანხმდი, ვერან! — უთხრა სხვის ხარჯზე ქეიფის მოყვარულ მხატვარს კორნელიმ. — ვახშმის შემდეგ შინ რომ მთვრალი დაბრუნდები, ელოს არ გეშინია... „ტუფლით თავი რომ გაგიტეხოსო“ — უნდოდა ეთქვა კორნელის, მაგრამ შეიბრალა.

— თავი გამანებე, ბიჭო! ელოს და ნინოს რომ დაუჯეროთ, მაშინ მე და შენ მონასტერში ბერად უნდა აღვიკეცოთ! — მიუგო ვანომ.

კორნელიმ დიდხანს იძალა, მაგრამ ამხანაგები არ მოეშვნენ. ადგა, პირი დაიბანა, მოეწყო და მერმე ყველანი მარგარიტა ლეტიცის ბინისაკენ გაეშურნენ.

ლეონმა ეტლი დაიჭირა. მარგარიტა ესტატე მაყაშვილის ბინის გვერდით ცხოვრობდა და ამიტომ კორნელი და ვანო საოპერო თეატრთან გადმოხტნენ და აქ დაელოდნენ.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირებიათ. მალე ლეონმა ეტლით მოიყვანა ქალები. მარგარიტას ისევ ციყვის ტყავისაგან შეკერილი ნაცრისფერი ქურქი ემოსა და ცისფერი ფეტრის შლიაპა ეხურა. ოქროსფერ კულულებზე და გრძელ წამწამებზე თოვლის ფიფქი სცვივოდა. ქალმა ოდნავ მოჭუტულ. ეუჟუნა და ცისფერ თვალებით გაუღიმა კორნელის და მადლობა გადაუხადა, თხოვნა რომ შეუსრულა და ლეონს წამოჰყვა. მარგარიტას სიცივის გამო ლოყები გასწითლებოდა და ოცი წლის გოგონას ჰგავდა. კორნელის მოეწონა, მიესალმა და მაგრა ჩამოართვა ხელი.

— თეატრში შესვლას აპირებთ? — შეეკითხა მარგარიტა.

— არ ვიცი. — დაიბნა კორნელი.

— გინდათ, ერთი ან ორი აქტი მოვისმინოთ და მერმე ვივახშმოთ. — კორნელის მაგიერ მიუგო ლეონმა.

— დღეს რა მიდის? — დაინტერესდა მარგარიტა და აფიშისაკენ გაიხედა.

— აიდა.

— ვინ მღერის?

— ბოკოვა და ზალიპსკი.

ოპერას მოვისმენ და ვახშამსაც ვჭამო, იანგარიშა მარგარიტამ, მის მიერ გაწვრთნილ მეგობარ ქალს — ქეთოს თვალი უყო, ასე ანიშნა დასთანხმდიო და მერმე შეეკითხა:

— პირველი ორი აქტი მოვისმინოთ. შენ რას იტყვი, ქეთო?

ქეთო მაღალაშვილს საყელოზე შელის ტყავი შემოეხვია, თავით შიგ ჩამძვრალიყო და მარტო თვალები უჩანდა.

ლეონი ახლოს მივიდა, თვალებში ჩაჰხედა და მანაც ჰკითხა:

— თქვენ რას იტყვით, ქალბატონო?

— რასაც უმრავლესობა გადასწყვეტს, მეც იმის მომხრე ვარ ბი. — შეამიტად მიუგო ქეთომ, თითქო უმრავლესობის და არა მარგარიტას ბურჯილი იყო მისთვის კანონი. თავი ასწია და უცნაურად ანთებულ[illegible] [illegible]ული მუქი-თაფლისფერი, ლამაზი თვალები ლეონს შეანათა.

— არის! — დაიძახა ლეონმა და თეატრის ვესტიბულში ბილეთების შესაძენად შევიდა.

მარგარიტა ქეთოსთან მივიდა და საიდუმლოდ ჩურჩული დაუწყო. ვანომ ამ შემთხვევით ისარგებლა, კორნელის მხარი წაჰკრა და უთხრა:

— ბიჭო, მარგარიტა და ყველანი უნდა გავაფრთხილოთ, რომ ელოსთან და ნინოსთან არაფერი არ წამოცდეთ, თორემ ვაი, მაშინ ჩვენს გაჩენის დღეს!

— რა თქმა უნდა. — დაუდასტურა კორნელიმ და თანაც გააფრთხილა: — შენ თავად არ წამოგცდეს.

ვანომ იწყინა. ჯიბეში ხელები ჩაიწყო. კორნელის წინ გადაეღობა. განიერი მხრები ასწურა. თავი განზე მოიქცია, ირიბად და ჯიქურ შეხედა ამხანაგს, თითქო ბუღა გაბრაზდა, რქენას და დატაკებას აპირებსო. მერმე კორნელისთან ახლოს მივიდა და უთხრა:

— არა გრცხვენია, ბიჭო! ჩემში ეჭვი შეგაქვს. მაგას თავი გაანებე. შენ ეგ მითხარი, ბიჭო, — ჩუმად განაგრძო ვანომ, — ვაი, თუ ლეონს ის მესამე ქალი — ზინა დრაჩენკო არ გამოჰყვეს!

— იქნების! — არ ანუგეშა კორნელიმ.

— მაშინ მე ლეონს ქეთოს წავართმევ.

— უხერხულია, ლეონი ხომ მასპინძელია.

— მართალია, უხერხულია: მაშინ მონასტერი აირევა და ვერაფერს ვერ ვიზამთ. — დაეთანხმა კორნელის ვანო.

— რა უნდა ვქნათ? — გაუკვირდა კორნელის.

ვანომ ერთი შეხედა კორნელის, გაუღიმა და მიუგო:

— პაჩიკოს უნდა ვითამაშოთ.

— პაჩიკოს რა არის?

— პაჩეს, პაჩიკოს არ იცი სომხურად რას ნიშნავს? — შეეკითხა ვანო კორნელის.

— არა, — მიუგო კორნელიმ.

— პაჩეს — მაკოცე. პაჩიკოს — კოცნაობის თამაშია სომხური, — დაიძახა ვანომ და ისეთი გადიჭიხვინა, რომ ვესტიბულში გაჩერებულმა ხალხმა გაკვირვებით შეხედა. ვანოს ცხენსავით გრძელი კბილები გამოუჩნდა. ზედ ხელი აიფარა, კედლისაკენ შებრუნდა და ასე დაიწყო ხვიხვინი. კორნელისაც წაცდა სიცილი, თავი ჩაჰკიდა და სახეზე წამოწითლდა.

— რა მოგვივიდათ? — დაიძახა მარგარიტამ და კორნელის მივარდა.

— ჩვენი სკოლის ერთი ახირებული მასწავლებელი მოგვაგონდა და გაგვეცინა. — იცრუა კორნელიმ.

მარგარიტას თავის მეუღლე-მასწავლებელი, სტეფანე შემანსკი მოაგონდა. იქნებ იმას დასცინიანო, — გაიფიქრა და სახეზე ღიმილი შეაშრა.

ამ დროს ლეონიც მოვიდა, ხელში პირველი რიგის ბილეთები ეჭირა და ყველანი თეატრში შესასვლელ კარებისაკენ წაიყვანა.

მეორე აქტის შემდეგ, მარგარიტა და ქეთო, კორნელი და ვანო ფარიეში პაპიროსის მოსაწევად შევიდნენ, ხოლო ლეონი სცენაზე წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ბალეტში მოცეკვავე ქალი — ზინა დრაჩენკო „მეოცვანა“ — ზინა ტანმორჩილი, ფართო ბეჭებიანი და მკვრივი ქალი იყო. ფეხ-ფეხზე ეფეთვალები — ნაცრისფერი, ცხვირი — მაღლა აწეული და ტუჩები — განიერი ჰქონდა. კორნელის არ მოეწონა, ვანომ კი ირგვლივ შემოუარა და თავითფეხამდე შეამოწმა. ზინა თუმცა დაბალი ქალი იყო, მაგრამ ტანის აღნაგობა ჰარმონიული ჰქონდა. მაღალი მკერდი, განიერი ბეჭები და ჩამოსხმული, სწორი კანჭები უმალვე მოეწონა ვანოს. ზინამ იგრძნო, ვანო რომ თვალით სინჯავდა, ცალფეხზე სწრაფად შემოტრიალდა, ქალებთან მივიდა, კედელს ზურგით მიაწვა და ვანოს გაუღიმა.

კორნელის მაშინვე ქუთაისის ცირკში მავთულზე მოსეირნე რუსი ქალი მოაგონდა. ვარჯიშობის შემდეგ აივანზე რომ ჩამოხტა, „ჰოპ-ლაო“ — დაიძახა, კოკობზიკა, მოკლე კაბა აეწია, რევერანსი გააკეთა, ვანოს და კორნელის გაუღიმა, შეკოპწიალდა და არენიდან ასე გაიქცა.

ვანომ კორნელის ყურში უჩურჩულა:

— ქუთაისის ცირკის ქალს არა ჰგავს?

— სწორედ იმ ქალსა ჰგავს. — მიუგო კორნელიმ და საოცრად გაუკვირდა, ამ წუთას ვანოსაც ის ქალი რომ მოაგონდა.

სასტუმრო „ნოესთან“ ორი ეტლი გაჩერდა. ეტლიდან ჩამოსულნი ტატიანის ქუჩით, გვერდის კარებიდან შევიდნენ სასტუმროში. ჟღალ-წვერა და ახმახ მეკარეს მოკრძალებით გაეღიმა, დიდის ამბით მიესალმა სტუმრებს და მერმე ისე დაფაცურდა, თითქო დიდის ხნით სხვაგან წასული მისი ბატონი და ბატონის ოჯახობა ჩამოვიდაო.

სასტუმროს გამგე ადრევე ჰყავდა გაფრთხილებული ლეონს, — ცალკე დიდი კაბინეტი შეენახა მისთვის და განსაკუთრებული ვახშამით გამასპინძლებოდა.

კაბინეტში სუფრა უკვე გაწყობილი იყო და მის ირგვლივ ორი ოფიციანტი ტრიალებდა.

კაბინეტი ორი ოთახისაგან შესდგებოდა. ერთი — სასტუმრო და სასადილო, ხოლო მეორე კი — საძინებელი იყო. ოთახები ერთურთისაგან ყვითელ ფოჩიანი, ცისფერი დიდი ფარდებით განიყოფოდა. სასტუმრო ოთახის იატაკზე ფართო ფარდაგი იყო დაფენილი. კედელზე დიდი სურათები ეკიდა — „ირმებზე ნადირობა“, „ნატიურ-მორტი“ და სხვა. საძინებელ ოთახში კი — შიშველი ქალების ნაირნაირი სურათები. სასტუმრო ოთახის კუთხეში პიანინო და გრამაფონი იდგა და იქვე ფირფიტები ეწყო. კაბინეტში ფეჩი ენთო და თბილოდა.

ქალები საძინებელ ოთახში შევიდნენ და სარკის წინ კოხტაობა დაიწყეს. როდესაც მორთვა და მოკაზმვა დაამთავრეს, ჯერ მარგარიტა გამოვიდა გულამოჭრილ სუროსფერ ხავერდის კაბით. იგი ლამაზი, დინჯი და წარმოსადეგი ქალი იყო. მაგიდასთან რომ მივიდა, შემოტრიალდა და უკან, დაგრაგნილ ოქროსფერ და ხუჭუჭა თმის მურგვში ჩარჭობილ ფართო სავარცხლის თვლები მზის სხივებივით აუციმციმდნენ. მერმე მაღალ კანჭებზე ირემივით შემდგარი ქეთო მაღალაშვილი გამოჩნდა. მასაც გულამოჭრილი ხავერდის კაბა ეცვა, ხოლო თრიოთინას ტყავის ფერი. მაღალ დაკუთხულ მის შუბლზე გრძლად გაწოლილი წარბების ქვემოდ მუქი თაფლისფერი თვალები ანათებ-

დნენ. შუაზედ გაყოფილი მუქი წაბლისფერი თმის დალალნი გარდიგარდმო გადასცვენოდნენ. შინაურნი ამ ქალს „ჩხებიანს“ ეძახდნენ და იგი ბოთლაც ირემსა ჰგავდა. ქეთოს ზინა დრაჩენკოც გამოჰყვა. მას გულისპირგადაგულ ელექტრიკის ფერი კოფტა და ინგლისური მუქლურჯი, [illegible] ქვედა-წელი ეცვა. ქერა თმა ჭაბუკის მსგავსად გაკრეჭილი და ინგლისურად გვერდზე გაყოფილი ჰქონდა. ზინა ისეთის ტანის რხევით და მსუბუქად მოაბიჯებდა, რომ მაშინვე იტყოდით მოვარჯიშე ან მოცეკვავე არისო.

კორნელი მარგარიტას გვერდით, ლეონი ქეთოს, ხოლო ვანო კი ზინას გვერდით დაჯდა.

ვახშამი ხიზილალით, სარდინით, ხრამულით და სალატ-ოლივიეთი დაიწყო. ამას შემწვარი დურაჯები და მერმე სუკის მწვადები მოჰყვა. ბოლოს ფორთოხლები, ვაშლები, ხმელი ხილი და ფსტა მოხალული... შამპანიურსა და ლიქიორებს სვამდნენ. ვანო ჩინებული თამადა იყო. პიკანტური ანეკდოტებით, ორაზროვანი ამბების მოყოლით ქალებს აცინებდა და სუფრაზე მხიარულება გააჩაღა. როდესაც ყველანი შეზარხოშდნენ, ადგა, პიანინოსთან მივიდა, ზედ დაუკრა და ბოშური რომანსების სიმღერა დაიწყო. ქეთოს ისე მოეწონა ვანო, რომ ლეონის ხათრი დაჰკარგა, ლეონს ზინა შეატოვა და თვითონ ვანოსთან გადაჯდა. ლეონს ეწყინა, მაგრამ მასპინძელი იყო და თავი შეიკავა. ნახევრად წამოწოლილი მარგარიტა და კორნელი რბილ ტახტზე საუბრობდნენ. ლეონი მაგიდასთან მივიდა, ჭიქა ასწია, მეგობრობა შეჰფიცა კორნელის და მარგარიტას და სიტყვა დასდო არასოდეს განშორებოდა მათ.

უეცრად, რატომღაც ვანოსაც აუჩუყდა გული და კორნელის სიყვარული გაუმეღავნა. მეგობრობა შეჰფიცა, გადაჰკოცნა და დამსწრეთ უთხრა:

— იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენ სულ მალე ქვისლები გავხდებით. ქვისლები, ქვისლები.. — დაიჩემა ვანომ და მერმე ტირილი დაიწყო.

ქეთომ ხელი მოჰხვია და დაწყნარება დაუწყო.

მარგარიტას გაუკვირდა და კორნელის შეეკითხა:

— ნუთუ თქვენ ქალის თხოვას აპირებთ?

— ვანო დაითრო და რას ამბობს, თითონაც არ იცის. რა დროს ქალის თხოვაა! — მიუგო კორნელიმ.

— მეც ასე მგონია. მე ყოველთვის ვფიქრობდი: კორნელი განა ქალს შეირთავს-მეთქი! თქვენისთანები ცოლშვილისათვის არ არიან შექმნილნი. — ეშმაკურად გაუღიმა მარგარიტამ.

— მაინც როგორები? — დაინტერესდა კორნელი.

— მერმე გეტყვით.

— ეხლა მითხარით. — შეეხვეწა კორნელი.

— ახლა ვერ გეტყვით.

— მითხარით, ძალიან გთხოვთ.. —ჩააცივდა მარგარიტას კორნელი. ხელზე აკოცა. მარგარიტა კი სდუმდა. კორნელიმ ისევ შეხედა და მაშინ ქალმა ხელი მოუკრა ხელზე, ჭაბუკის ხელი მკერდისაკენ მიიზიდა, ზედ მაგრა მიიკრა და ჩურჩულით უთხრა::

— თქვენ უცნაური და ძალზე თავმოყვარე ადამიანი ხართ. თქვენ მოჰკლავთ იმ ქალს, რომელსაც თქვენ შეიყვარებთ თუ მან სხვაზე გაგცვალათ.

კორნელის ჭკუაში დაუჯდა ქალის პასუხი. ქალი განაგრძობდა..

— ამიტომ გეშინიათ თქვენ ქალისა, კი არ გეზიზღებათ...

— შიში რას მიქვიან, იქნების მეზიზღება. — მიუგო კორნელიმ.

— არა, არა ხართ თქვენ მართალი. აბა, რისთვის, რისთვის ამბავ-ეზიზღებოდეთ თქვენ ქალი!

— ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, მაცდურები და ვერაგები არიან. — მიუგო კორნელიმ და მის წინაშე ბალიშებზე წამოწოლილ ხორცსავსე და ჯანსაღ ქალის შიშველსა და მარმარილოს ქვასავით თლილ მკერდს დაჰხედა და ტანში გააჟრჟოლა.

— აკი გითხარით, აკი გითხარით ქალის გეშინიათ მეთქი. — შენიშნა მარგარიტამ და გულითადის ხმით განაგრძო: — განა ყოველი ქალი მაცდური და კერაგია? მე ვუღალატე ჩემს ქმარს. მე ვერაგულად მოვექეცი ბევრ მამაკაცს. მაგრამ თქვენ ვერასოდეს ვერ გიღალატებდით მე.

— მე ვითომ რატომ?

— ვერც თქვენ შესძლებდით გეღალატნათ ისეთ ქალისათვის, რომლის სიყვარულისა და ჯადოს ქვეშ იქნებოდით მოქცეული. რისთვის იღიმებით? — უთხრა კორნელის მარგარიტამ. — ნუთუ ეს მართალი არ არის?

— მე სხვა რამეზე გამეღიმა. — მიუგო კორნელიმ.

— მაინც?

— ჩვენ ისე ვსაუბრობთ, თითქო შეყვარებული ვიყოთ ერთმანეთში.

— მე თქვენთვის სიყვარული არ ამიხსნია. — შენიშნა მარგარიტამ. ხანგრძლივ შეაცქერდა კორნელის მომღიმარ სახით და მერმე ჰკითხა:

— მითხარით, თქვენ ლექსებსა სწერთ?

— არა.

— არც მოთხრობებს? იქნებ ხატავთ? ან იქნებ მუსიკას სწერთ?

— არა.

— არა მჯერა. შეუძლებელია.

— რატომ? — გაუკვირდა კორნელის.

— თქვენ ისეთი უცნაური თვალები გაქვთ, თქვენ „ვუნდერ-კინდს" გიწოდებთ ჩემი მეუღლე. კორნელიზე ნიჭიერი მოწაფე მე არ მყოლიაო. — მიუგო მარგარიტამ.

— ვუნდერ-კინდები ხშირად იდიოტობაში ათავებენ თავიანთ ცხოვრებას. — შენიშნა კორნელიმ.

— პლატონ მოგველაძეც გაოცებულია თქვენით! — დაიწყო მარგარიტამ.

— პლატონს ნუ მომაგონებთ.

— საბრალო ჩემო კორნელი. იმ ყალბ კაცსა და პოზიორში გაგცვალათ თქვენ იმ თავქარიანმა გოგონამ, — მოულოდნელად შენიშნა მარგარიტამ.

— არა მგონია... საიდან იცით? — აენთო კორნელი და უკვე მზად იყო ხელი ეშვა ქალისათვის, მაგრამ ქალი მთელის ტანით მიეტმასნა მას, თვალებში შეჰხედა და უთხრა:

— ნუ ფიცხობთ. მე მითხრეს. ალბათ ჭორია. თუ გინდ მართალიც იყოს. მერე რა. ნუ იდარდებთ. თავი გაანებეთ თავქარიან და გამოუცდელ გოგონებს. თუ გნებავთ თავსაც ნუ გაანებებთ, მხოლოდ ხელთათმანივით გამოიცვალეთ ისინი. ეხ, თქვენ გეტყობათ ჯერ კიდევ არ იცით საკუთარი თავის ფასი. ჩემი ხნის ქალმა კი იცის. თქვენ შეგიძლიათ მოაჯადოვოთ და მერმე დაჰღუპოთ ქალი...

— ეგ რა საკადრისია. — სიტყვა შეაწყვეტინა კორნელიმ. — მაგრამ ქალი მთვრალივით განაგრძობდა ჩურჩულს:

— მიბრძანეთ და მე თქვენი მონა გავხდები. მე ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის. განა მე არ გაგიკეთეთ ლეონის საქმე.. — ქართულს ამტვრევდა გერმანელი ქალი.

— მართალია. — მიუგო კორნელიმ და გაოცებით დააშტერდა ქალს. ქალი ისევ ბალიშებზე იწვა. სახესა და შიშველ მკერდზე ჭერიდან დაშვებული აბრეშუმის აბაჟურიანი ლამპა ანათებდა.

უცბად ქალმა ხელი იტაცა მარცხენა ძუძუზე, თითქო ბებუთის წვერით შეეხენო, უცნაურად გაიზმორა და მწუხარე ხმით გამოსცა:

— ო, როგორ მიცქერით თქვენ. ღამე შავია თქვენი თვალები და დღისით კი მწვანე, არა — ამეთვისტოსფერი. ძვირფასო ჩემო ბიჭუნავ, თავბრუ მეხვევა. მაგრა მომხვიეთ ხელი.

კორნელიმ ხელი მოჰხვია. ქალი ტახტიდან წამოიწია, ცისფერი თვალები განაბა. ცხვირის ნესტოები დაებერნენ, გაუფითრდნენ და ისე აუთრთოლდნენ, თითქო რიყეზე დავარდნილი, ერთი ციდა კალმახის ლაყუჩები მალიმალ მოძრაობენო. ბროწეულის ყვავილისფერი ენის წვერით მსუქანი ტუჩები გაილოკა და კორნელის მაშინვე მოაგონდა, თითის ჭრილობაზე მომდგარი სისხლი რომ გამოსწოვა მას ამ ქალმა მაყაშვილთა ბინაში. ცხელი ტუჩების და ენის შეხება გახურებული შანთივით იგრძნო მაშინ კორნელიმ, თითქო გველის ნაკბენი მოსწვესო და ჭაბუკის ძარღვებში ტკბილი და საამო დენი ჩაიღვარა. ლამაზი ქალის სახემ, შიშველმა მარმარმა მკერდმა, ქალის ცისფერმა მიბნედილმა თვალებმა, რომლიდანაც ნემსის ყუნწის ოდენა შუქი კიაფობდა, კორნელი მოაჯადოვეს და თავბრუდაახვიეს. ჭაბუკი ჯერ შამპანიურით, მერმე კი ქალის ეშხითა და ალერსით — ორმაგად დაითრო.

ქალი მიხვდა. უმალვე წამოიჭრა ტახტიდან და, როცა ვანომ — ჩქარის ტემპით — პიანინოზე ვალსი დაუკრა, — ჭაბუკთან ცეკვა დაიწყო.

კორნელიმ მაგრა მოჰხვია ხელი და შმაგი როკვით წრე შემოატარა.

დიდხანს ცეკვობდნენ ისინი და მერმე ფარდას დაეჯახნენ. უმალ შეირხა და ალივლივდა ყვითელი ჯინჯილებითა და ფოჩებით შემოქობილი მძიმე, ატლასის ცისფერი ფარდა, მოცეკვავენი შიგ გაეხვივნენ, თითქო ზღვის ტალღებში შესცურეს და ჩაიძირნენო. ბოლოს, გაუჩინარდნენ კიდეც...

აღარ ტოკავდა და ლივლივებდა ფართო, ცისფერი ატლასის ფარდა, თითქო ზღვის ზედაპირი დაწყნარდა და საამურად დამშვიდდაო.

თოთხმეტ იანვარს. ქართველთათვის ტრადიციულ დღეს, ესტატე მაყაშვილმა ნინოობა გადაიხადა.

პლატონ მოგველაძე, შეპირებისამებრ ბაქოდან თბილისში ვეღარ ჩამოვიდა. კორნელი კი ნინოს პასუხს ელოდა და ისევ ღელავდა.

თოთხმეტ იანვარს, დღისით ნინოს სანდრო ხოტივარმა ვიზიტი გაუკეთა. თავისი და კორნელის საჩუქარი მიუტანა — ტორტი და ყვავილებით სავსე კალათი. კალათი კორნელისა იყო და შიგ მისი წერილიც იყო. ნინომ კალათი ისევ როიალზე შემოსდო.

როდესაც სანდრო წავიდა, დედამ შვილს სთხოვა: კორნელის წერილი მაჩვენეო.

„ძვირფასო ნინო, დიდად ვწუხვარ, რომ დაბადების დღეს პირადად ვერ გილოცავთ. იყავით ბედნიერი ქალი. ნახვამდის. ვნახავთ და შეცხადებით კი ერთმანეთს? სად ან როდის? ველი თქვენს ცნობას. ბევრი [illegible] თქვენთვის სათქმელი. ნახვამდის. იყავით ბედნიერი. მარად თქვენი ერთგული: კორნელი“.

ვარდოს შავი ხავერდის კაბა ეცვა. ხავერდის ფონზე, მისი მარმარი მკერდი, კიდევ უფრო მეტად ფიქალი და თეთრი სჩანდა. უცბად, ვარდოს მკერდზე, ყელსა და სახეზეც წითელი ზოლები დააჩნდნენ, თითქო ცეცხლი წაეკიდა და ალის ენები ულოკავენო. წერილი დაკეცა და კალათაში ბრაზით ჩააგდო. მერმე სავარძელში მოცელილივით დავარდა, სახე უსიამოდ დაელმიჭა, ნინოს გაოცებით შეხედა და საყვედური უთხრა:

— რა არი, ღმერთმანი, ვერ გამიგია! რა გააჭირვა იმ კაცმა საქმე! თავმოყვარეობა სულ არ ჰქონია! რა უნდა შენგან, ვერ გამიგია?!

ნინომ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან სასტუმროში ამ წუთას ელო შემოვიდა, იგი საჭორაოდ იყო მოსული. ვარდოსთვის უნდა ეთქვა: კორნელის მარგარიტა მოსწონებია და დღედაღამ ერთად არიანო, მაგრამ დედისა და მისი ქალის სახე რომ დაინახა, შეშინდა, კედელს მიეკრა და გაირინდა.

ნინო ციებაშეყრილივით ცახცახებდა. კორნელის წერილს ჰხევდა, ნაკუწნაკუწად აქცევდა, ზიზღით უცქერდა და თანაც გიჟივით გაიძახოდა:

— აი, მოისვენეთ. აი, დამშვიდდით. უსინდისებო!

— ნინო, როგორ მიბედავ!? — გველნაკბენივით იკივლა ვარდომ.

— მეტის ღირსიცა ხართ. კმარა, მე ამდენი ტანჯვის ატანა აღარ შემიძლია! დავიღალე! — ისტერიულად დაიძახა ნინომ. სახეზე ისე წამოწითლდა, თითქო აღდგომის კვერცხივით შეუღებნიათო.

ვარდოს და ელოს ენა ჩაუვარდათ და ეხლა განცვიფრებული და შეშინებული მისჩერებოდნენ ნინოს.

ნინოს გამხდარ მხრებიდან მოსასხამი ჩამოუვარდა. როიალთან მიიჭრა, ყვავილებით სავსე კალათს ხელი მოავლო, სასადილო ოთახისაკენ გაისროლა და კედელს შეანარცხა. დალეწილი ყვავილების ფურცლები იატაკზე მოიბნა. ნინოს ბოღმა და ცრემლი ყელში მოებჯინა, სახეზე ხელები აიფარა, მთელის ტანით ისევ აცახცახდა, უცნაური რაღაც ხმა გამოსცა, თითქო ყელში თოკი წაუჭირეს და ახრჩობენო და იატაკზე გაშლილ, მალაღურისფერ ყვითელ მოსასხამზე უგრძნობლად დაეცა და უმწეოდ გაიშალა.

სასტუმროში დაფეთებული გამდელი შემოვარდა. მან და ვარდომ გულწასული ნინო ასწიეს, ოთახში შეიტანეს და საწოლზე დაასვენეს.

ასე დაიწყო მაყაშვილთა სახლში ნინოობა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

მე ძმა ვარ შენი

ნოველა

ეს ამბავი ქვემო სვანეთში მოხდა, ჩოლურსა და ჭველიერს შორის. თვით სოფლები დაქანებულ ფერდობზე სახლობენ, ცხენის წყლის ხეობაში. პირქუშია ბუნება ამ მთიურ სოფლებში, მოსახლენიც პირქუშები და გულჩათხრობილნი არიან. ადამიანთა ვარამია ამ ამბავში მოთხრობილი. ისინი უტეხნი იყვნენ, ტყვიასავით პირდაპირნი და სატევარივით ორლესილები.

ყარამან გარდაფხაძე ტანადი, მუხლმაგარი და მარჯვე მკლავის ყმაწვილი იყო. კეხიანი ცხვირით და გამოხედვით ორბს მოგაგონებდათ, უკარი სიმტკიცე ემჩნევოდა მის ფართო შუბლს და განიერ ნიკაპს. სოფელში რომ ჩაივლიდა იტაცებდა კაცის თვალს, არ ისმოდა მისი ფეხის ხმა, გეგონებოდათ ნიავი მიქრისო, ჩოხის კალთები თუ შრიალებდნენ მხოლოდ.

უყვარდა ნადირობა. გაზაფხულიდან შემოდგომამდე მთაში და ტყეში დადიოდა. ჰკლავდა ჯიხვსა და დათვს. შემოდგომიდან ქეიფში ატარებდა დროს. მთელს მთაში იცნობდნენ მას, ზემოშიც და ქვემოშიც, ლატფარის იქითაც და აქეთაც. მამასა ჰგავსო, ამბობდნენ მასზე, ლევან გარდაფხაძესო. ისიც მასავით ქვის გულისა არისო, დაუნდობი და თავნება. ეს მისი მამა იყო ლევან გარდაფხაძე. არც ერთი ქორწილი ისე არ ჩაივლიდა პირველი ღამის სიამე თვითონ არ განეცადა. მეორე დღეს კი ხარხარითა და ულვაშის გრეხით იტყოდა ხოლმე:

— უხარია პატარძალს პირველ ღამეს გლეხუჭასთან კი არა, ჩემთან რომ ატარებს!

გლეხები ყურმოჭრილები იყვნენ. არაფერი უკვირდათ გარდაფხაძეებისგან. ქალის მოტაცება და ხარის წართმევა. ბატონის კარზე უსასყიდლო შრომა და მათრახი. გულჩათხრობილები იყვნენ მხოლოდ. კრინტს არ სძრავდნენ. წლები: ათეული და ასეული შურისგების წყურვილით იკეცებოდნენ ამ მთიური ბუნების ხალხში, თითქოს რისხვა გროვდებოდაო.

ეს ამბავი მოხდა მეჩვიდმეტე წელს, მეოცე საუკუნის მეჩვიდმეტე წელს, მრისხანე წელი იყო მეჩვიდმეტე წელი. მთაშიც აიჭრა მისი ხმა. მოაგონდა ხალხს ცხრაასხუთი წელი. ახსოვდათ გარდაფხაძეების შავი რაზმი. არ დავიწყებოდათ გარდაფხაძეებისაგან შამშე გელოვანის ვერაგულად მოკვლა.

სოფლები წამოიშალნენ, ფეხზე დადგნენ. ხალხმა იარაღს (მოჰკიდა ხელი.

— გარდაფხაძეების ყმობა აღარ გვინდაო, მოვიცილოთო თავიდან!

— მათი მიწები ჩვენი ბაბუების ოფლით არის მორწყულიო, ჩვენ გვეკუთვნისო!

ამბობდნენ და მიიწევდნენ გარდაფხაძეების სახლკარზე. წინ მიუძღოდნენ რაზმელები, მეთაურობდა ჯაბაატ მუკბანიანი. ახალგაზრდა, აქამდე უჩინარი და ყოველთვის უტყვი ადამიანი. სოფელს არ ახსოვს ჯაბაატის ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი სიტყვა. ოცდახუთი წლის ისე შეიქმნა, ადამიანისშვილისთვის არ უწყენინებია. მუშა-ხარებსაც უყვავებდა. ეს ნამდვილი ალერსი ყოფილა, როდესაც სახნავებში გაისმოდა მისი ტკბილი — „ხიი, მა-მოოوهو ...

თითქოს ჯაბაატიც დრომ გამოალვიძა, სითამამე და პირდაპირობა შთაებერა. ხალხი ვერ სცნობდა მას. იმდენი რისხვა და სიძულვილი ეხატა მის სახეზე, რომ ხალხიც აენთო იმავე გრძნობით.

გარდაფხაძეები შეერთდნენ და მამაპაპური ციხე კოშკები მონახეს, შიგ ჩაიკეტნენ. სათოფურებიდან თოფის ტუჩები გადმოჰყვეს.

„არ გაგვეკაროთო ახლოს, სისხლს დავაქცევთო“, — გადმოსძახეს მათ.

შემკრთალი იყო ყარამანი. მისი გული შიშს შეეპყრო. არც ეს გავდა მის ბუნებას. ყოველთვის უტეხი და დაუდეგარი დღეს დაბნეული შესცქეროდა მამას, ლევანს, რომელსაც ნახევარი საუკუნის სიმძიმე წვერულვაშზე და სახის ღარებით დამჩნეოდა. ყარამანი განცვიფრებული იყო, ეს რა ჰხდებაო, ურყევი ეგონა მემკვიდრეობა, უკვირდა.

— არ მოიღუნოთ, არ გატყდეთ! — არიგებდა ლევანი თავის გვარიშვილებს, — სახიფათოა პირველი ღელვა, უცბათ მოვარდნილი ტალღები რომ ჩაივლიან, წყალი კალაპოტში ჩადგება. დღეს თავი უნდა გავიტანოთ, მიწყნარდებიან და მერე მე ვიცი!

— რას გვემართლებოდით, გამოდით და გვიპასუხეთ! — შესძახოდნენ გლეხები კოშკებში გამაგრებულ ბატონებს. არ ეშვებოდნენ ჩამწყვდეულებს, სდარაჯობდნენ, წყალი მაინც დასჭირდებათო და გამოვლენო გარეთ.

მაგრამ ბატონებს საჭმელიც ბევრი ჰქონდათ და სასმელიც. წყლის ნაცვლად ღვინოსა სვამდნენ. ღვინოს კი მუდმივ მღელვარედ ჰყავდა ისინი. ჩახმახზე შემდგარ თოფებივით იყვნენ, ახლოს არ იკარებდნენ მოდარაჯეებს.

ჯაბაატმა შეუთვალა:

— გამოდით და შემოგვფიცეთ რომ ამიერიდან აღარას გვერჩით, ჩვენ ჩვენთვის დაგვაყენეთ და თქვენ თქვენთვის იყავით!

არ ენდო ლევანი, ეშმაკობა არ იყოსო, გარეთ არ გაგვიტყუონო, შეუთვალა: „გლეხუჭას როგორ გენდოვო!“

ეს ღამეს კი ნათესავებს ეთათბირა თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ისინი ისხდნენ ბნელ ციხე-კოშკში, მხოლოდ ჭრაქი ანათებდა მათ სახეებს და თითქოს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებდათ თავს, ისე ქანაობდნენ ჩრდილები. ამ კოშკებში კარგა ხანია ღამურები ბუდობდნენ და ღამურები ბრმებივით ეხეთქებოდნენ ჭრაქით განათებულ კედლებს. იდუმალ თრთოლვაში და სიწყნარეში გაისმოდა მათი ფრთების ფარფატი.

გვარისშვილებს ფარდაგი გაეშალათ, ზედ დაეწყოთ სულგუნი, შაშხის ნაჭრები, მჭადები, ხელადებით ღვინო.

ლევანმა წითელი ღვინით კათხა აივსო, წვერულვაშზე ხელი გადაისვა, კარგა ხანს უცქირა ღვინოს, მერე სახეშეწითლებულმა რამდენიმეჯერ თვალი დაახამხამა, თითქოს ამით უნდოდა შეენელებინა ის სიმწვავე, რომელიც ყელში მოაწვა და სთქვა:

— ვინც ჩვენს შორის პირველი მოკვდეს, მისი გამარჯვებისა დავლიოთ. სიკვდილის დროსაც სწორუპოვარი იყვეს და სიკვდილთანაც მტკიცე და ულმობელი. ერთიც რომ დარჩეს ჩვენგანი ცოცხალი, ის დანარჩენთა საფლავებზე მივიდეს და ჩასძახოს, გარდაფხაძეთა გვარს ვაგრძელებო!.

ლევანის ხმა იყო დაბალი, დინჯი, ოდნავ მთრთოლვარე და მწუხარე.

— ამინ! — სთქვეს დანარჩენებმა და მდუმარედ გამოსცალეს ყანწები.

არც ერთი წვეთი შიგ არ ჩაუტოვებიათ, თითქოს საკუთარი სულსხლი ამოსწურესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ღამეც აქ გავატაროთ და დილით გავიდეთ. მინელდა მათი სისხლის ღელვა, ველარაფერს დაგვმართავენ! — პატარა ხანს გაჩუმდა, ფიქრიანად მიაყურადა ერთ-ერთ სათოფურს, საიდანაც მხოლოდ ბნელი ღამის სიცალიერე იცქირებოდა და ხელის ჩაქნევით დაუმატა, — მოსახდენი მოხდეს!

განთიადი კი ისეთი მზიანი და ისეთი ცხოველმყოფელი დადგა, რომ ადამიანს იმედისა და სიხარულის მეტს არას აგრძნობინებდა. მხოლოდ გაზაფხულმა იცის ასე, გაღვიძებისას...

და გარდაფხაძეები ციხე-კოშკიდან გამოვიდნენ.

*

* *

ჭველიერის ეკლესიაში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. სასიქადულო და უცნაური ამბავი ხდებოდა სოფლად. ლევან გარდაფხაძეს, სოფლის ამ ქედმაღალ ბატონს, მთელი თავისი მოგვარეებით ძმობა და მეგობრობა უნდა შეეფიცა ხალხისათვის.

გლეხები ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. უხაროდათ, ჩვენი ხარი ჩვენივე იქნებაო, ჩვენი ყანა ჩვენს ბეღლებს აავსებსო, ჩვენს ნაამაგარს ბატონი აღარ შეგვედავებაო. ბედნიერების ღიმილი გადაჰკროდათ სახეებზე. სჯაბაასით ერთობოდნენ მოხუცები, იგონებდნენ ძველ დროს და გაკვირვებულნი მკერდზე მჯიღს ირტყამდნენ, ეს რას მოვესწარითო, რა დღე ადგათ ბატონებსაო.

აი, ჩამოიარა ლევანმა მღიმარედ და მხიარულად, გვერდში მოჰყვებიან მოგვარეები: ალი, სემინარ, ყარამანი, შვილები, ძმები, ბიძაშვილები. შვენით ჩოხა-ახალუხი ვერცხლის ქილებიანი და ვერცხლის ქამარ-ხანჯლიანი.

ჯაბაატი რაზმელებით განდგომილივით იდგა. მოუსვენრობდა. ხანდახან შეერეოდა გლეხებში და მოხუცებს ეკითხებოდა:

— როდისმე გახსოვთ ამათი პირიანობა?

— მაცხვაარის ხატს არ უმტყუნებენ!

— თავათ ხატი შერისხავს! — პასუხობდნენ მოხუცები.

ლევანი ეკლესიის კართან შეჩერდა. შეტრიალდა. თვალი გადაავლო ცალკედ განდგომილ ახალგაზრდების ჯგუფს და მშრალად გადასძახა:

— თქვენ რატომ არ მოდიხართ ფიცში, ყმაწვილებო?

— ჩვენ წმინდათ არა ვართ! — უპასუხა შუბლშეკრულად ჯაბაატმა.

— მე ცოლი მყავს ფეხმძიმედ! — სთქვა ერთმა.

— ჩემი ქალი წუხელის გაიყვანეს ბოსელში! — წაილუღლუღა მეორემ.

— ჩემი კი... — აღარ დაამთავრა მესამემ. მიხვდნენ მის სათქმელს.

— რა გულითაც თქვენ ლაპარაკობთ, ეს თვითონ ხატმა განსაჯოს, — სთქვა ლევანმა, ულვაშზე ხელი გადისვა, ჩოხის კალთა გვერდზე მოიგდო და ხატისკენ გაემართა. იჭვით და ბრაზით გაივლო გულში: „ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, ვნახოთ ვინ ვის აჯობებს!“

ეკლესიის კართან მაცხოვრის ხატი გამოიტანეს, ხატის ორივე მხარეს შანდლები იდგა, შანდლებში ორი ოქროს ზოლებიანი კელეპტარი ენთო და ღვენთებოდა.

ლევანი პირველი მივიდა ხატთან, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხმადაბლა, ფიქრიანად სთქვა:

— ამ წმინდა ხატის წინაშე ვფიცავ, რომ დღეიდან თქვენი ბატონი აღარ ვიქნები, — თვალი მიანათა ხალხს და ისევ მაცხოვარს მიუბრუნდა, — თუ მე ეს ფიცი დავარღვიო, თვით ამ წმინდა ხატმა დამსაჯოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანი წამოდგა და იქვე მდგომ პირველსავე გლეხს ხელი ჩამოართვა.

ლევანს წაბაძა მთელმა მისმა საგვარეულომ. ისინი გულჩახვეულად და ნაძალადევი სასოებით იწერდნენ პირჯვარს, დაჩოქილი ამტერდებოდნენ ხატს, წინა დაფიცულის ნათქვამს იმეორებდნენ და თვითაც სდებდნენ ფიცს.

იმ საღამოს გარდაფხაძეების დარბაზში ბევრი ღვინო დაილია, ბევრი არაყი, მრავალი თხა დაიკლა, შიშხინებდა მწვადები და იწვებოდა სულგუნები, ღომის ოშხივარი მსუბუქ ნისლივით ადიოდა სუფრაზე.

ჯაბაატი აქ არ იყო, „არა მწამსო ბატონების ფიცი“ — ამბობდა ის, — ღმერთმა ქნას მგლებმა ცხვრები შეიბრალონო“. არც ლევანი დარჩენილა სუფრაზე დიდხანს. თავის ტკივილი მოიმიზეზა, გულში კი ფიქრობდა: რა მექეიფებაო, გრძნობდა რომ თავზე ენგრეოდა დიდების ცა.

„ეს რა ჰხდება ჩემს თავს, რა ხდება?!..“ — უსიტყვოდ ეკითხებოდა მისი გულის შინაგანი ხმა და წამდაუწუმ ეცვლებოდა ფერი, ყელში სისხლი აწვებოდა.

დაილია დღე და გათავდა ქეიფი.

მეორე დილას ლევანმა საკუთარი ხელით შეკაზმა ცხენი, მარჯვედ მოახტა და გზას გაუდგა. შინ დაუბარა, ქუთაისს მივდივარო, თავს გაუფრთხილდითო.

ქორაანის გზაზე გადაუხვია, ვიწრო ორღობეში ჩაიარა. მარჯვნივ პატარა ტყიანი გორაკი ცურავდა ნისლში, მარცხნივ კი, ღობესთან, სახნავებში გასული გლეხი ზურგში იკაკვებოდა.

აშ დროს ერთმა ხარმა დაიღმუვლა.

ხარის ღმუილი ნაღვლიანია, თითქოს პირუტყვი რაღაცას სწუხსო. არ ესიამოვნა ეს ღმუილი გზად მიმავალ ლევანს, შუბლი შეიჭმუხვნა, სახეზე ღვარძლი და რისხვა გამოეხატა. იმავე წამს აღვირი მოსწია, შეაჩერა ცხენი.

— ეს რა არის, შენმა ხარმა დამნავსა, ვინ იცის რა შემემთხვეს გზაში?! — წამოიძახა ლევანმა.

— რა ბრალი მიმიძღვის, ბატონო, პირუტყვია!

რაღაც ბობოქარმა ღელვამ გაუარა ლევანს, წამის განმავლობაში ცხენი ხარებთან მიაგდო, იძრო ხმალი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოიქნია. ხარს კისერი აუჩეხა. ლევანმა გასისხლიანებული ხმალი ჯერ კიდევ ფეხზე მდგომ ხარზე გასწმინდა და ქარქაშში ჩააგო. ცხენს ქუსლები ჰკრა.

ხარი წაბარბაცდა და დაეცა.

— უსიტყვოვ და უპიროვ, მაცხვაარის ხატმა შეგრისხოს! — იღრიალა გლეხმა. მისმა ხმამ ხნულებზე გადაიარა და რამდენიმე წამში სოფელი წამოიშალა.

მორბოდა ჯაბაატ. მოჰყვებოდნენ ამხანაგები. თოფი ჩახმახზე ეყენათ.

თავზარდაცემული მიჰქროდა ლევანი. სოფლის ყიჟინამ და ღრიანცელმა გამოარკვია, სინანულში ჩაადო:

„ვაჰ, მე, ვაჰ, მე, მაცხვაარის წმინდა ხატო, ისევ შენ მიშველე“ — ფიქრობდა ის.

რაზმელებმა გზა გადაუჭრეს. დაუხვდნენ წინ. იქექა თოფმა. დაჭრილი ლევანი ცხენიდან გადმოხტა და ცალი ხელით ღობეს ჩაეჭიდა. [illegible] დიდრონ, ახლა უფრო გაფართოებულ თვალებით, სწრაფად შემოიხედა [illegible] ლივ, რომ ენახა თავს საიდან დამესხნენო და იარაღი იძრო. მეორედ გავარდა თოფი. ლევანს ხელიდან იარაღი გაუვარდა. ახლა მეორე ხელითაც ღობეს ჩაეჭიდა. ებრძოდა სხეულში ჩამჯდარ ტყვიებს, წაქცევა არ უნდოდა.

— ბეჩავ ლევან, როგორ სისხლაუღებლად კვდები! — წაილუღლუღა თავისთვის. მერე რაც ძალი და ღონე შერჩენოდა, ღობე მოსწია, გადმოლუნა, გადმოამტვრია და წაიქცა.

გარდაფხაძეების სახლკარიდან მოგვარეები გამოცვივდნენ. მოქროდა ალი გარდაფხაძე, არც იმას დააცალეს სიცოცხლე. რამდენიმე თოფი ერთდროულად გავარდა და უსულოდ დაეცა ძირს.

მორბოდა ყარამანი, იქნებ მამის გადარჩენა შეიძლებაო.

გზაში ჯაბაატი შემოეყარა. ჯაბაატს თოფი მომარჯვებული ჰქონდა.

— არ მომკლა ჯაბაატ, მე ხომ ფიცი არ დამირღვევია!

ჯაბაატმა მაინც ისროლა. ყარამანი მხარში დაიჭრა. გაფითრებული, ტანჯული სახით ყარამანი მუხისკენ წაბარბაცდა, მიეყრდნო და ხელმეორედ შესძახა:

— არ მომკლა ჯაბაატ, მე ძმა ვარ შენი!

— ძმაა?! — თავზარი დაეცა ჯაბაატს, — როგორ? საიდან? — განცვიფრებული შეეკითხა.

— შენ ეს არ იცოდი. პირველი ღამე... შენც მამიჩემის შვილი ხარ! — ამ სიტყვებში ისმოდა მუდარაც და ღვარძლიც.

ჯაბაატმა წამში წარმოიდგინა მშობელი დედა, შეურაცხყოფილი და გათელილი. უფრო მეტი მქენჯნავი გრძნობა და სიძულვილი ჩაეწვეთა და ბრაზმორეულმა თოფი ისევ მხართან მიიგდო.

— ეგ მასეც რომ იყვეს, მე მაინც სხვა ვარ, სულ სხვა დედის, სულ სხვა ძუძუ მიწოვია! — სთქვა და ისროლა კიდეც, თითქოს ამით წაშალა ყოველი ლაქა და ჭუჭყი, გულში რომ ჩაეწვეთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკინთე ლისაშვილი

მეგობრები

1.

— მე განვიკურნე შენი ხელით. სიკვდილისაკენ ვიხედებოდი, სიცოცხლის შუქი დავინახე შენს მზიურ სახეზე, შენს ცისფერ თვალებში და გავიღვიძე... განა შემიძლია შენ არ მიყვარდე? ახლა მივდივარ და გული მრჩება. კვლავ დავიჭერი. ეს ჭრილობა თითქოს სამაგიეროდ მივიღე შენგან. არა. ეს ჭრილობა კი არა, სხვა რამაა... ის უფრო მწვავეა და თანაც ტკბილი. მხოლოდ ერთ სიტყვას, შენი მადლიანი ტუჩებით თქმულს, შეეძლო ჩემი კვლავ განკურნება. შენ კვლავ იცინი?

ასე ეუბნებოდა ფრონტისპირა ლაზარეთიდან გამოსული, უკვე სავსებით განკურნებული უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ შვილდაძე მედიცინის დას, სახე-ნათელ ლიზა ბერეზინას, რომელიც ვახტანგის პირდაპირ ხის ძირას იჯდა, მოციმციმე ცისფერი თვალებით ბედნიერების შუქს აფრქვევდა ვაჟს და იცინოდა... მისი სიტყვა-პასუხიც ეს იყო მხოლოდ.

ოქტომბრის თვე იყო. ჩრდილოეთის მიწას მზე ოდნავ სწვდებოდა, ველარ ათბობდა. ფოთლები რაღაც იდუმალის ჩურჩულით ეცემოდნენ მიწაზე, რომ ზამთრის მოახლოვება არავის გაეგო...

საავადმყოფოს კარებში გამოჩნდა ფედია ჟაროვი, აგრეთვე უფროსი ლეიტენანტი.

— აჰა, ფედიაც მოდის! — წარმოსთქვა ვახტანგმა, ფედიას გახედა და გულში გაიცინა: „მეგობარო, ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით“.

— შეყვარებულებივით ზიხართ აქ! — სთქვა მათთან მისულმა სახე-გაღიმებულმა ფედიამ, მერე ვახტანგის გვერდით მერხზე ჩამოჯდა და ფეხით ააშრიალა დაცვივნული ფოთლები. — მოსაწყენია ეს შემოდგომა. ცვივა ფოთოლი, მაგრამ ამ მოწყენაშიაც რაღაც დიდი სილამაზეა, მით უფრო, როცა ლიზა აქ არის...

ლიზამ გადიკისკისა და თავის მაღლა აქნევით თმა უკან გადაიყარა. მის სახეზე იგივე მუდმივი ღიმილი დარჩა.

— აი ვამბობდი, — წარმოსთქვა ვახტანგმა, — შენთან არ ვფარავ, ფედიავ, მიყვარს ლიზა. მაგრამ ლიზას ვინ უყვარს? ნუთუ არავინ?

— ლიზას შენ უყვარხარ, ვახტანგ. განა ვცდები? — იკითხა ფედიამ და ლიზას მიაჩერდა.

ლიზას სიწითლე შეეპარა სახეზე და ფეხზე წამოდგა...

წამოდგნენ ვაჟებიც.

— ოჰ, თქვენ, ორივენი, ბავშვები ხართ, ბავშვები! მეგობრებო, გთხოვთ დამიჯეროთ: ყოველივე ეს ნაადრევია. მეტი რა უნდა ვთქვა? შემდეგ ყველაფერი თავის-თავად გამოირკვევა. — ეს სთქვა ლიზამ და მის ტუჩებს ღი-

მილი მოსწყდა, მის ცისფერსა და ღრმა თვალებში რაღაც მეტის-მეტად მნიშვნელოვანი გააზრების კვალი გამოისახა...

— რადგან შესაძლოა ცოცხალი ველარ დავბრუნდე, საჭირო — თავისთავად გამოირკვევა... ჰო, მართალი ხარ, ჩემო ლიზიკო... მშვიდობით! — უთხრა ვახტანგმა და ხელი გაუწოდა.

ლიზამ თრთოლვით მიაგება თავისი ხელი.

— არა, საქმე მაგაში არ არის, ვახტანგ... მაგრამ განა მშვიდობით? არა, მხოლოდ ნახვამდის, მეგობრებო, მხოლოდ ნახვამდის! — მიუგო ლიზამ და ფედიასაც მიაწოდა თლილი თითები.

— მადლობას არ გეუბნებით, ლიზიკო, მადლობა ძალზე მცირეა. ნახვამდის!

წავიდნენ.

ლიზა გასცქეროდა განშორებულ მეგობრებს, პირველად თვითონაც იქითკენ გადასდგა რამდენიმე მსუბუქი ნაბიჯები, მაგრამ უცბად შესდგა და ვახტანგისადმი გულში გაივლო: „ეჰ, ჩემო ვახტანგ, განა მხოლოდ თქვენ, მამაკაცებს, გეხერხებათ თავის გაწირვა?“ — და დიდხანს გასცქეროდა ლიზა. ქარი ოქროსფერ თმას უშლიდა, კაბასა და სარტყელს ეჭიდებოდა, ჰაერში არხევდა.

ლაზარეთის ეზოში შესული ვიღაც ახალგაზრდა ქალი მივიდა ლიზასთან.

— ლიზა, რა მოგდის?

— მარინა, შენა ხარ? — მიუგო ლიზამ და ხელი მოხვია.

2.

რამდენიმე დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ვახტანგის ნაწილი ერთ პატარა დაბაში ისვენებდა.

იმ დილით ხმა გავრცელდა: ფრონტიდან ვიღაც დაჭრილი მედიცინის და მოიყვანესო. ვახტანგმა ვერ მოისვენა. ამ ხმის კვალს გამოედევნა და ბოლოს ერთი სანიტარული ავტოს გამოღებულ კართან შემკრთალი შეჩერდა... ნუ თუ ის არის?

— ლიზა, ლიზა! — ჩასძახა მან საკაცეზე პირაღმა გაწოლილ ლიზას, რომელსაც თვალები დაეხუჭა და თითქოს აღარც სუნთქავდა. მისი სახე თლილ მარმარილოსავით ელვარებდა უძრავად.

აი ლიზამ ცისფერი თვალები გაახილა, მერე ისევ დახუჭა.

ლიზას ამ გამოხედვაში ვახტანგმა თითქოს ამოიკითხა: „ამ ქვეყნად მხოლოდ შენ მიყვარდი, ვახტანგ“.

— სიზმარში ვარ, ჩემო ღვთაებავ! ნუ თუ შენა ხარ? — კვლავ ჩასძახა ვახტანგმა, მაგრამ ლიზა თვალს არ ახელდა.

— როცა ოცდამეხუთე დაჭრილი გამოჰყავდა ცეცხლიდან, ფაშისტების ტყვიამ მოუსწრო და მკერდში დასჭრა... ეს არის ეხლა წამოვიყვანეთ. გმირი ქალია!

გამყოლი ქალის ეს სიტყვები თითქოს სიზმარში მოესმა ვახტანგს, — თითონაც დაჰკარგა თვალში სინათლე, ისე გაშეშდა.

ბოლოს გამოერკვა, მიმოიხედა, ლიზა სად არის? წაუყვანიათ? წასულა ავტო, იქ აღარავინ არის...

იმ დღეს ეძება, ვერსად იპოვნა. მთელ დღეს თვალწინ ედგა ლიზას, თითქოს მარმარილოსაგან გამოთლილი უძრავი სახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

ის კვლავ ფრონტზეა.

ფეხის ყოველ გადადგმაზე სქდებოდა ყუმბარა. ტყვიები ცხრილავდნენ მიწას და ზმუოდნენ გაბრაზებულნი.

ომის ცეცხლში შესული ადამიანთა სახეები აქა-იქ გაიელვებდნენ, ვიღაც შესძახებდა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ შეიძლებოდა.

ქვევით ყუმბარებისა და ტყვიების ცეცხლი მოსჩანდა, ხოლო ზევით, ცაზე, მრისხანედ იზლაზნებოდა შავი კვამლი.

— მტკიცედ, ბიჭებო! — გაისმა ვახტანგის ძახილი, რომელიც სანგარზე დახრილიყო და თითონაც ესროდა ახლოს მისულ მტერს.

გაბრუნდა მტერი.

მეთაური რევოლვერით ხელში სანგრიდან ამოიჭრა და „ურას“ ძახილით იერიშზე წაიყვანა თავისი ნაწილი... მაგრამ აგერ დაეცა, თუმცა წინ წასულ მებრძოლთა „ვაშა“ ისევ ისმოდა.

მეთაურმა გრძნობა დაჰკარგა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა, თითქოს საიდუმლო რამეს ამბობსო.

აჰა, ვახტანგმა თვალები გაახილა, მიმოიხედა. გუგუნი მოესმა. შენიშნა მტრის სულ ახლოს მისული ტანკები, რომლებიც სწრაფად მოიწევდნენ წინ... „უნდა გამსრისონ ოო, რა მძიმეა სხეული! თითქოს ათასი ფუთი აწვება მარტო ხელებსო.“ შეეცადა, მაგრამ ვერ წამოდგა, მხოლოდ თავი ასწია ოდნავ და შენიშნა მკაცრი გუგუნითვე მოახლოვებული საბჭოთა ტანკები. „რომელი მოუსწრებს, რომელი მოუსწრებს?“ — მხოლოდ ეს ერთი აზრი უტრიალებდა თავში, რადგან სხვაზე ფიქრის დრო აღარ იყო. თითქოს ახლა მის ხელსაც ვიღაც უჩინარმა მოხადა სიმძიმე და იქვე, მიწაზე დავარდნილ რევოლვერს სტაცა ხელი.

აი მოაღწიეს საბჭოთა ტანკებმა და ბრძოლა დაიწყო. ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი შეტაკების შემდეგ მტრის ტანკებმა პირი იბრუნეს და უკან გაიქცნენ. ბრძოლის ველზე მტრის ათამდე დამსხვრეული ტანკი დარჩა. ერთი იმ დამსხვრეული ტანკიდან, რომელსაც ცეცხლი მოედო, გამოძვრა გერმანელი ტანკისტი. მიწაზე გაწვა და საბჭოთა მებრძოლებს სროლა დაუწყო. იქვე, მახლობლად, საბჭოთა ტანკი შეჩერდა. გერმანელმა სროლა შესწყვიტა და გაიტრუნა.

ერთი ტანკისტი გამოვიდა შეჩერებულ საბჭოთა ტანკიდან. ეტყობოდა, ტანკის უფროსი უნდა ყოფილიყო, იგი დაჭრილებს უთვალთვალებდა. ამ დროს მიწაზე განრთხმულმა გერმანელმა რევოლვერი მიუღირა საბჭოთა ტანკისტს.

ვახტანგმა შენიშნა ეს, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და რევოლვერი ესროლა. გერმანელს აწეული თავი ჩამოუვარდა.

— ფედია, ფედია! — მიაძახა ვახტანგმა საბჭოთა ტანკისტს და ხელი აღმართა.

ფედია შეაკრთო ნაცნობმა ხმამ, შემდეგ ერთბაშად მოსწყდა ადგილს და ვახტანგთან მიიჭრა:

— შენ იყავი, ვახტანგ, შენა ხარ?!—იყვირა ფედიამ და გადაეხვია მეგობარს.

— ფედია, ლიზა მძიმედ დაჭრილი ვნახე. ამას გთხოვ მხოლოდ: გაიგო ეგებ, სად არის ახლა, თუ ცოცხალია....

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიტყვა გაუწყდა.

4.

ორი თვე გავიდა.

ქვეყანას გულმოდგინედ ბარდნიდა თოვლი. ეს მიდამოები თვენახევრის განმავლობაში გერმანელების ტყვეობას იტანდნენ. სამი დღის წინად იქ საბჭოთა ჯარი შევიდა. თოვლმა გერმანელთა ბინძური კვალი საბოლოოდ წაშალა.

ამ დილით ყველაფერს ახლადშობილის უმანკო სახე მიეღო.

.... ისინი თოვლით შემოსილ ნაძვნარის ტყეში შევიდნენ.

წინ ფედია მიდიოდა, უკან ვახტანგი.

ვახტანგი სწორედ ამ დილით დაბრუნდა თავის ნაწილში.

ახლად ჩაცმული ჩექმებივით ჭრიალებდა მათ ფეხქვეშ თოვლი, ხოლო ციდან ჩამოცვივნული ფიფქები ფუტკარივით შესეოდათ. ფედია მტკიცედ მიაბიჯებდა, სჩანდა, აქ მისთვის ყოველი ხეც ნაცნობი იყო. ვახტანგი ღელავდა. ფეხის გადადგმა უძნელდებოდა, აკრთობდა იმ ადგილის სიახლოვე, საითკენაც ის მიდიოდა.

— კარგად მახსოვს, ვახტანგ: აი აქ არის, წყვილი ნაძვის ხე რომ აშოტილა. აი ხომ ხედავ? — წარმოსთქვა ფედიამ.

ვახტანგი შესდგა. გულმა ძგერა დაუწყო.

— ნას ჩვენს მაგიერ წყვილი ნაძვი უდგას დარაჯად. დღისით და ღამით ისინი განუყრელად დარჩებიან ჩვენს მეგობართან და ნიავის ყოველ შეხვერვაზე სიყვარულს ჩასჩურჩულებენ.... — განაგრძო ფედიამ.

— მან მზესავით ჩაანათა მიწაში... მიწამ ასე როგორ დაჩრდილა... მაგრამ რას ვამბობ? სულელი ვარ, — რამდენმა მზემ ჩაანათა მიწაში?! მეტი რაღა უნდა ვთქვა: ვიძიებთ შურს! სიყვარული მაინც არ მოკვდება! — წარმოსთქვა ვახტანგმა და მეგობარს მიეყრდნო.

— ვახტანგ, გეყოფა, ცხოვრება უფრო საიმედო თვალით გვიცქერის! — უთხრა ფედიამ და შორს მიუთითა:—აი შეხე, აქეთკენ მოდიან... ორნი არიან. ერთ მათგანს მარინა ჰქვია. საუცხოო ქალია და მას შეეთვისე. მისმა მეგობარმა, რომელიც ახლა თან ახლავს, გამაცნო მარინა.

ვახტანგმაც შენიშნა თოვლში ქალები, რომლებიც სწრაფად ახლოვდებოდნენ... როცა უფრო მოუახლოვდნენ, ვახტანგი შეკრთა. მერე დაიბნა, ბოლოს ყვირილით მივარდა:

— ლიზა!

თავის მხრივ ლიზაც ხელგაშლილი მიიჭრა ვახტანგთან:

— ჩემო არწივო! — შესძახა მან.

გადაეხვივნენ ერთმანეთს, მათი მხურვალე ტუჩებიც შეერთდნენ.

ფედია იცინოდა, იცინოდა მარინაც. ფედიამ საცილითვე მიმართა ვახტანგს:

— ჰა, მაშ რა გეგონა? ტელეფონით საფლავს ვეძახდი თუ? ეე, ვახტანგ, ვახტანგ, განა მზეს მიწა ჩააქრობს?

ქვეყანას ისევ გულმოდგინედ ბარდნიდა თოვლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ლიახვის პირას*)

გიტამ საჩქაროდ გასწია, დაეწია მოჯამაგირეს, რომელიც ნელ-ნელა მიაბიჯებდა, წიგნებით დატვირთული, და გულში ფიქრობდა: ეს ღა მაკლდა, პავლიას ბიჭის მსახურადაც გადავიქეცი. გიტამ მოასწრო სასტუმროში ანგარიშის გასწორება და მესამე ზარზე შესდგა ფეხი ვაგონში. ყველაზე წყნარი ადგილი მონახა, თავით საკვოიაჟი მიიდო და მიწვა. სანამ მატარებელი ავჭალას არ გასცილდა, აღარ წამომდგარა. იქ კი რაღაც გულს მოწოლილმა სევდამ აღარ დააყენა და ზეზე წამოდგა. კონდუქტორს ფანჯარა გააღებია. მცხეთის შემდეგ აანთეს სანთლები. როგორღაც დააინტერესა თუშელიშვილის წერილმა. ნეტავ რასა სწერსო. პირობაც ასე იყო თქმული, გიტას იმ წერილიდან უნდა გაეგო ბარძიმის ნაფიქრი, და წერილი ამოიღო.

თუშელიშვილი სწერდა ელიზბარს:

„თავადო ელიზბარ!

პირველად მოგიკითხავთ თქვენი ძვირფასი ცოლ-შვილით. რასა იქთ, როგორა ხართ? მოიღეთ მოწყალება და გვაღირსეთ ერთი წერილი, ამის საპასუხოდ მაინც, რადგან თქვენი დიდი ხნის სურვილის დაკმაყოფილების წამალი ვპოვე. გიშოვეთ შესაფერისი კაცი, აგრონომი, რომელსაც შეგიძლიანთ მამულის მართვაც მიანდოთ. როგორც მახსოვს, საჰიპოტეკო ბანკიდან მიღებულ სესხებზე სწუხდით: თავიანად დაბანდება სჭირდებაო ამ ფულს. ეს კაცი ამ საქმისათვის ყოველმხრივ შესაფერია. უმიზნოდ ერთ კაპიკსაც არ დახარჯავს, უბარაქოდ ხელს არ გაანძრევს. ახედ-დახედეთ საქმესა. თუ მოგეწონათ, ხელიდან ნუ გაუშვებთ. აგრონომი მანდაურია. თქვენი ნაყმევი, ახლა სრულიად თავდახსნილი გლეხი გახლავთ მისი მამა. იქნება იცნობთ კიდეეაცა — პავლია მეზვრიშვილს. ეგეთი გონიერი და გამრჯე გლეხი მანდ ბევრი არ არის და ოჯახიც ცალიერი არ უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება იმის შვილს აგრონომ გიტას, ამ ბარათის მომტანს, გთხოვთ იცნობდეთ და წყალობას ნუ მოაკლებთ, როგორც ჩვენ ყველას თქვენ მორჩილთ და მსახურთ.

სამაგიეროდ ერთი თხოვნა შემისრულეთ: თქვენსას მამითქვენისეული ძუკნა ძწევარი არის დარჩენილი, გაზაფხულზე ვნახე. მაკეთ იყო. ის ძუკნა თქვენს ძოურავ პოზუა ქინქაძესა ჰყავს ადევნებული, შეჩვეული და თავისად ასაღებს. ძე კი ძალიან კარგად ვიცი, ვისიც არის და რა ჯიშიც აქვს. ნეტავ განახვა, ის რომ კურდღელს ან მელიას თვალს მოჰკრავს და მინდორს გაეკვრის! მწევარს ლეკვები ამაღლებამდის უნდა დაეყარნა. თუ ეს ასე მოხდა და ლეკვები გადარჩნენ, ერთი ძუკნის ფერფარდის შემინახვინებინებთ, ვით თქვენთვის. თუ თქვენ არ ჩაერევით, პოზუა ქენქაძე ლეკვს არ გაიმეტებს.

ბარძიმი“.

მხოლოდ მესამე დღეს გამოცხადდა გიტა ელიზბართან და მიუტანა გაგზავნილი წერილი.

---

*) იხ. „მნათობი“, № 3.

თავადი დაღლილი იყო. თბილისიდან ჩასვლის უმალვე მოურავ პოზუა ქენ-ქაძესთან ერთად ცხენებით მამულს შემოუარა, რაც იმ სოფელს გარდა, სადაც სასახლე ჰქონდა, მთელ ქართლში იყო გაბნეული — ზოგი დედის ნამზითვი, და ცხენზე ჯდომისაგან დანჯღრეულ-დაშლილი ხან ნეკნებზე ეკიდებოდა ხელს და ხან ბარძაყების ძვლებს ისინჯავდა, ხომ მთლადა მაქვსო. ნერვიულობდა, ედავებოდა და არიგებდა მოურავს, რომელიც, ავს იტყოდა თუ კარგს ელიზ-ბარი, ყველაფერზე თავს უჩანჩალებდა, ემოწმებოდა და მლიქვნელურად ეუბ-ნებოდა: მა, ბატონო, ეგრეა, თავს გეფიცებით, ის მზე ნუ დამიჭრებაო ცაზედ. ხოლო მოაცილებდა თუ არა თვალს პატრონს, თავისთვის იტყოდა: ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, და ყველაფერი თავისებურად ძველებუ-რად მიჰყავდა.

პოზუა ქენქაძემ მოახსენა ელიზბარს, ვილაც „სუდენტი" მიღებასა გთხოვსო.

— ვინ უნდა იყოს? — იკითხა თავადმა, რადგან არავის მიელოდა, და იქვე უბრძანა — სთხოვეო.

პოზუა ქენქაძე გაბრუნდა, შეიყვანა გიტა მეზვრიშვილი და მოახსენა:

— ახლა ვიცანი, ბატონო, ძლივს: ქვეუბნელი პავლია მეზვრიშვილის ბიჭი გახლავთ.

— მერე ასეთი შვილი ჰყავს ვინმეს აქაურს? — გაიკვირვა თავადმა, წინ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა და ხელი უთავაზა. გიტაც თავაზიანად მიესალმა და ბარძიმის წერილი გადასცა. ელიზბარმა გამოართვა, ადგილზე შეჩერდა, ამოიღო ბარათი, ჩაიკითხა, ორჯერ ირიბად გახედა აგრონომს და ბოლოს უთხრა:

— მოხარული ვარ, გიორგი პავლეს-ძევ (ეს რუსულად უთხრა), — და ისევ ხელმეორედ ჩამოართვა ხელი. მიიხედ-მოიხედა, სადღაც, ეზოს ბოლოში, სკა-მი დაინახა, წავიდა, თავისი ხელით მიიტანა, თავის სკამის პირდაპირ დაუდგა, ჯერ გიტა დასვა და მერე თვითონაც დაჯდა.

საუბარი რუსულად გააჩაღეს.

პოზუა ქენქაძე, რომელიც პირველ შეხვედრისას აგდებულად მოექცა გიტას, ახლა მოლბა, სამი ნაბიჯის მანძილზე აეყუდა და ამაოდ ცდილობდა თუნდაც ერთ სიტყვას მიხვედრილიყო სტუმარ-მასპინძლის საუბრიდან და მასლაათი-დან. რუსულად მხოლოდ მშობლის გინება ესმოდა.

ამიტომაც სიმწრით თავი გადაიქნია. იმ რამდენიმე რუსულით ღვიძლიანად შეუკურთხა ჯერ თავის გაჩენის დღეს, მერე საკუთარ მშობლებს. შურით გა-დახედა პავლიას ბიჭს ასეთის ყოფით, რომ მიიღო თავადმა და სიხარბით ავ-სილი ეუბნებოდა თავის თავს:

— იჰ, ნეტავ რა წითელი კვერცხი გახდა ასეთი პავლიას ბიჭი? თავადი პრისტავსაც სალამს არ აძლევს, შინ სტუმრად არ იღებს, ამას კი თანატოლი-ვით მოექცა?

ბევრი ასეთი რამეები იფიქრა პოზუამ და, როგორც იქნა, დაასკვნა: უთუოდ „უჩიტლობას" ან მწერლობასა სთხოვს სადმე სოფელში ან „მიროვოი პოსრე-დნიკის" კანცელარიაში თუ ფოსტაში ჩინოვნიკობასო. ასე კი დაასკვნა, მაგ-რამ იქვე დაეჭვდა: ამოდენა მიღება და მარაქაშში ჩაგდება მაინც რაღად იყო საჭიროო და ინატრა: ნეტავ უფლება მომცა, ეს მატრაკვეცა ფეხქვეშ გამაგ-დებინა, რაც სიგრძე აქვს, ის სიგანე მიმაცემინა დიდოური ნაბადივითაო. ამ სოფელში, გლეხკაცი ჩემზე უფრო დაახლოვებული თავადთან რად უნდა გა-მოჩენილიყო ვინმეო.

— დაღალული გახლავართ, აგრონომო, ცხენოსნობას გადაჩვეული, მაგრამ არაფერია. ეს არას დამიშლის ახლავე დავიწყოთ საქმე, შემოუარეთ, ახლო-მახლო აგარაკებს. საზღვრებს გიჩვენებთ, ღვთის მადლით ... — უთხრა უკვე ქართულად ელიზბარმა გიტას და წამოდგნენ.

— შემოუაროთ, მზად გახლავართ, ერთ კვირაში კი უსათუოდ მიწის მზომ-ლები მომაშველეთ. ერთი კალოს ოდენა მიწაც რა არის, ისიც უნდა ვიცო-დეთ, როგორ მდებარეობს და რაში გამოიყენება.

— ოლონდაც მიშველეთ, უხელმძღვანელეთ და ვინ ოხერი, ორ დღეში არ ამოიყვანს მიწისმზომელებს. — პოზუას მიუბრუნდა და უბრძანა: — მოგვგვა-რეთ ცხენები.

პოზუა ეზოდან საჯინიბოსაკენ გაემართა.

ჯერ ჭისკართან არ იყო მისული, ელიზბარმა მოაბრუნა და პავლია მეზვრი-შვილის ბიჭი გააცნო:

— იცნობდე, მოურავო, დღეის ამას იქით, სანამ მე კვლავ სხვა რამე არ მიბრძანებია, მეცა და შენც აგრონომ გიტა მეზვრიშვილის მორჩილნი ვართ. დღეიდან ის ჩემი მამულის მმართველი, დირექტორი და გამგებელია. ამრი-გად, დღეის იქით მამულების მართვა-პატრონობა მხოლოდ აგრონომის სურ-ვილისამებრ იწარმოებს და შენ მას სიტყვისშეუბრუნებლად დაემორჩილები ისევე, როგორც მე.

— რა გაცნობა მინდა, ბატონო, ვიცნობ, აკი თვითონ მოგახსენეთ, ვინაც ბრძანებულა. ქვეყანამ იცის, პავლია ჭკვიანი კაცია და აგერა შვილიც კარ-გი გამოსვლია. მთელი სოფელი მაგის ქებაში გახლავთ.

თქვა პოზუა ქენქაძემ, ქუდი მოიშვლიპა და მორჩილების გამოსაცხადებლად გიტასთვის ხელი უნდოდა კვლავ ჩამოერთმია, რომ ელიზბარმა შეაჩერა:

— პოზუა, ბატონ აგრონომს ასეთებით მხოლოდ თავს მოაბეზრებთ და მე-ტად ცუდი ბოლო ექნება სიფლიდეს.

მოურავი თავშიჩაკრულივით შეკრთა და დაიბნა. აღარ იცოდა, დამალუ-ლიყო თუ აქ ასე გაშეშებულივით მდგარიყო. და ავი იყო თუ კარგი, ისევ ელიზბარის ბრძანებამ გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან:

— წადი, პოზუა, მეჯინიბემ ცხენები მოგვართვას.

მოურავი უეცრად დაუბრუნდა თავის თავს და ჰკითხა ელიზბარს:

— აგრონომს რომელი, ბატონო?

— წრევანდელი გახედნილი ულაყი.

— თქვენა?

— შენი საჯდომი იაბო.

— მენა იქნება მიბრძანებთ, შინ დავრჩე?

— არა, შენც წამოდი, კვიციან ჭაკზე შეჯექი.

— ულაყი საშუალებას არ მოგვცემს ერთმანეთს მოუსმინოთ! — შენიშნა გიტამ.

— მაშინ იაბო ინებეთ, მე ჭაკზე შევჯდები — უთხრა ელიზბარმა.

— მენა, ბატონო? — კიდევ იკითხა მოურავმა.

— შენა ამჯერად ნავთის მზიდავ ჯორზე შეჯექ და გამოგვყევი. აბა ჩქა-რა! — უბრძანა ელიზბარმა კითხვებით თავმობეზრებულმა, და, პოზუა რომ იქაურობას მოსცილდა, განაგრძო:

— თავის საქმეში როდია აგრე ყეყეჩი. ისეთი ადგილ-მამული შეიძინა და ზედ სახლკარი წამოიჭიმა, რომ ზოგიერთ აზნაურს კი არა, წვრილფეხა თავადსაც დარჩება ზედ თვალი. მოკიდეთ მაგრა ხელი, აგრონომი, ბაბაცას, გასაქანს ნუ მისცემთ, უნიათო როდია. არ დაგიფიცავ, ხელიდან არის წასული უუფროსობისაგან, მე ხომ სამეათედოდაც არა ვარ აქ, მამულში.

გიტა გაკვირდა. რად უწოდა პოზუას ყეყეჩი ელიზბარმა? დაკვირვებულმა პოზუა ქენქაძემ ელიზბარისათვის მოსაბეზრებელ კითხვებით თავისი მომავალი მდგომარეობა მოხერხებულად გაარკვია და დაინახა: დღეის შემდეგ ელიზბარის თვალში პოზუა ნავთის მზიდავ ჯორის მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყო აქ, მამულში, და რომ ეს ასე იყო, პოზუამ მოხერხებულად გამოსტყუა, ათქმევინა პატრონს.

აქედან გიტამ დაასკვნა: მოურავ პოზუა ქენქაძეს სახით საკმაოდ გაქექილ, გაცვეთილ კაცთან ექნებოდა მას საქმე, ხოლო ელიზბართან საკმაოდ ლათაიების მოყვარულ პატრონთან. და რომ არც პირველს და არც მეორეს ეს ხასიათები მასთან ურთიერთობაში არ დასჩემებოდათ, უბის წიგნაკი ამოიღო და გამომძიებელივით დაჰკითხა ელიზბარს:

— ბატონო ელიზბარ, რამდენი ნაჭერი გაქვთ აქ, სოფლად, სასახლესთან?

— სულ შვიდი.

— ხილიანი ბაღები?

— ძველი, მამის გაშენებული, სამ ნახევარი დესეტინა.

— სხვა?

— ახალიც იქნება ორნახევარი დესეტინა, სულ ნამყენი ვაშლი, აქა-იქ მსხალიც ურევია, საზაფხულო ჯიშები. რიგებშუა მოყოლებული აქვს ყვითელი, აქაური, სახრავი ატამი. სულ ძველი და ახალი ხეხილი ექვს დესეტინას შეადგენს.

— ვაზი?

— ნახევარი დესეტინა, მეტი ვერ გავბედე, ძლიერ შრომის ტევადი გახლავთ.

— ბოსტანი?

— ეგეც ერთი მეთექვსმეტედი.

— ხორბლეული?

— ოცდაათამდე დესეტინა სარწყავში მითესია. ამას გარდა, ათი დესეტინა ქერი და შვრიაც მაქვს — ურწყავში.

— სიმინდი?

— ეგ იმერლების სეფისკვერი თუშელიშვილის რჩევით დავათესინე ორი დესეტინა. მაგასვე აკრავს ნახევარი დესეტინა განაფუზვრებული კომბოსტო, ერთი მეოცდაოთხედი ჭარხალი და ერთი მეთექვსმეტედი ხახვი და ნიორი.

გიტა დაკვირვებით იწერდა ყველაფერს და როცა ჯამი გამოუყვანა ბაღვენახებით და სათეს-ბოსტნებით დაკავებულ დესეტინებს, მოღუშულად ჰკითხა:

— თავადო, ხომ არ იცით, მთელ სოფელს რამდენი უჭირავს სულ და ამუშავებს?

— პოზუას თქმით, ამის ნახევარიც არა, — კმაყოფილი ღიმილით მიუგო ელიზბარმა, თავი მაღლა ასწია და ცას დაუწყო ყურება.

— სოფელში კი ას ორმოცამდე მოსახლეა, თავადო. თქვენ უთუოდ გეცოდინებათ, რომ თუ ლიახვის ხეობის მიწის ხარისხს მხედველობაში მივიღებთ,

მარტო ამ სოფლის საკუთრებით ხართ დიდი მემამულე. სხვა ხომ, თქვენივე თქმით, ათჯერ მეტიც ყოფილა. გაცემული ნათესიც გქონიათ.

— მაქვს, ვიცი. უბედურება ის არის, ერთხელ რომ მამული ... დავამუშავო, ორი დესეტინა მიწა მაინც უნდა გავყიდო და ფული დამუშავებას მოვახმარო. მამულიდან მონაგარი და მოწეული მოსავალი თავს ვერ აუდის, დამუშავება უფრო ძვირი მიჯდება, ვიდრე მთელი მოსავალი. გლეხს ბეგარა აღარ მართებს, ალოზე ცოტა აქვს თუ ბევრი, თავისაში მუშაობს, ქირაზე ვერ გამოიყვან. უალოდ კი ქირა მამულს ანადგურებს.

პოზუა ქენქაძემ ცხენები მიიყვანა. ელიზბარი და აგრონომი შესხდნენ, პოზუა ქენქაძე ჯორით წინ გაუძღვა და გაჰყვნენ საზღვრებს და სამანებს.

გიტა აკვირდებოდა ნათესს და ბაღებს, ზვარსა და ბოსტნებს. აკვირდებოდა და რუსულად ეუბნებოდა ელიზბარს:

— მეურნეობის ასე უხეიროდ წარმოებისთვის კულტურულ ქვეყანაში თქვენ, თავადო, დაისჯებოდით ან ბანკროტად იქნებოდით ცნობილი.

ელიზბარ უსმენდა გიტას და ათას რამეს იგონებდა თავის გასამართლებლად.

მოუვლელობისა, დაუმუშავებლობისა და უყურადღებობისაგან ნათესები და ბაღ-ბაღჩები მოცდენის საშიშროების წინაშე იდგნენ. ამინდისა კი უკეთესის ნატვრაც არ შეეძლო მიწის მუშას.

— ამბობენ, ყველაზე უკეთ მაინც მე მაქვს დამუშავებული ქართლელ მესაკუთრეთაგან მამული. ამას ლიტონ სიტყვას არ გეუბნებით, აგრონომო, მე თვითონ შემოუარე ზოგიერთ ნაცნობებს, იქნებ მათგან რამე გადმოვიღო-მეთქი. თურმე მათა აქვთ საქმე ჩემთან მოსასვლელად, — დაიტრაბახა ელიზბარმა (გიტას იგი ტრაბახად ეჩვენა).

ნამდვილად კი ელიზბარი მართალს ამბობდა. მისი მამული, მეზობელი მესაკუთრეების მამულებთან შედარებით, მართლაც უკეთ იყო დამუშავებული.

ჰქონდა სხვა უპირატესობაც: სხვები რომ ვალებში იხრჩობოდნენ, ელიზბარს კაპიკიც არავისი ემართა, გარდა საჰიპოტეკო ბანკში გახსნილ კრედიტისა, რის უზრუნველსაყოფადაც თბილისის უძრავ-მოძრავი ქონება ჰქონდა წარდგენილი.

— ახლა მე წარმომიდგენია, როგორ აქვს დამუშავებული მამული ყველაზე ცუდს მეურნეს თქვენ შორის, თავადო. ნუ თუ არ გეშინიანთ, ერთ მშვენიერ დღეს ისეთი ვინმე გამოჩნდეს ქვეყანაზე, რომ მამულის დამუშავება თავს იდოს და უთაურებსაც გზა გიპოვოთ? — უთხრა სიცილით აგრონომმა.

— მართალს ამბობთ, აგრონომო, ჩვენ ამას ვგრძნობთ. სწორედ ამაზე გვქონდა ლაპარაკი საგუბერნიო მარშალთან შეკრებილ მემამულეებს. იქ ერთმანეთს სიტყვა მივეცით, როგორმე გამოვიდეთ ამ ვიწროდან, მამულები უდეფიციტოდ დავამუშაოთ. ეს გახლავთ ჩვენი უახლოესი ამოცანა. და თუ თქვენი მოწვევა რამე შედეგს გამოიღებს, პირველი მე ვიქნები, რომელიც ყველა სხვას მაგალითს მივცემ.

შინიდან უზმოდ გავიდნენ და საღამომდე იარეს აქეთ. მოგვიანებით დაბრუნდნენ. ეზოში პავლია დაუხვდათ. მას ნაშუადღევს დაენებებინა თავი სამუშაოსათვის, აქ ამოსულიყო შვილის ამბის გასაგებად.

ელიზბარი ტოლივით მიეგება პავლიას. მოწიწებით მიიწვია დაგვიანებულ, სამხრად ქცეულ სადილზე. პავლიამ ზრდილობიანად იუარა, მაგრამ ჩქარა დასთანხმდა და სიამოვნებით მიუჯდა მაგიდას. დანა-ჩანგალს გამოცდილად

ხმარობდა და როცა მისი შვილი და ელიზბარი ქართულად ლაპარაკობდნენ, ისიც ამბობდა თავის ნაფიქრს, მოხდენილად და შესაფერ დროს, განსაკუთრებით როცა ლაპარაკი ხვნა-თესვას და მიწის დამუშავებას შეეხებოდა.

ელიზბარს პავლია ისე მოეწონა, რომ თქვენობით მიმართავდა, სასახლეში გიტას წინააღმდეგაც იმოწმებდა.

გაბოროტდა პოზუა ქენქაძე, კინაღამ ბავშვივით ხმამაღლა ტირილი მოართო. გულის გასაქარვებლად იქ აღარ გაჩერდა, სოფელში ჩავიდა, ნათლიმამისას შეუხვია და ჭირნახულის ხარკი არაყით გამოთვრა.

წლები გაატარა ელიზბართან სამსახურში და აღდგომასაც არ ახსოვდა ერთხელ მაინც მასთან ერთად პური ეჭამოს.

პავლია და მისი შვილი კი ჯერ შინ არ შემოსულიყვნენ, ელიზბარმა ზემოთაროზე წამოსჭიმა შანდალივით.

ნათლიმამიდან პოზუა სოფლის შარას დაჰყვა მძიმე ნაბიჯით და მკერდში მუშტის ცემით გულში ემუქრებოდა პავლიას:

— ეჰ, პავლია, პავლია, შემდექ გულზე და დადიხარ! იარე, იარე, შვილოსა. აბა სადამდე ივლი ამასაც ვნახავ. გაიგე, რომა მე და შენ ერთად ამ მიწაზე ვერ დავეტევით, როგორც ორი ყარფუზი ერთს ხელის გულზედა. ეჭვი არ არის, ერთი და ერთი უნდა გადავარდეს და გასკდეს.

ელიზბარისას კი აგრონომის და მემამულის საუბარი მწვავე ხასიათს ღებულობდა. პავლია ხან შვილს დააწევდა ბანს, ხან ელიზბარს. აგრონომი არც ერთს უთმობდა და არც მეორეს.

— მოგწონთ თუ არ მოგწონთ, თავადო, ჩემი აზრები, ეს სხვა საქმე გახლავთ. ეს კი იქნება, თუ აქ ჩემი მუშაობა და შედეგის დანახვა გინდათ, მამულის პატრონობის საქმეში არ ჩამერევით, სანამ დათხოვნის ბრძანებას არ გასცემთ.

ელიზბარი მოიხიბლა აგრონომის ენერგიულობითა და ცოდნით. ზოგ რამეში იმიტომ ეკამათებოდა, ედავებოდა და არ უჯერებდა, რომ აგრონომის აზრი მოესმინა და იქავე, მეორე სიტყვაზე დასთანხმებოდა.

ნასადილევს ელიზბარმა სასახლის ორი ოთახი ჩააბარა გიტას პირად საცხოვრებლად, სთხოვა, როგორც სურდა, ესარგებლნა ჯერ კიდევ ციციანოვის თანამედროვე პაპისაგან და მას შემდეგ მის ჩამომავალთაგან გულმოდგინედ ნაგროვები ბიბლიოთეკით, რაც დიდ ოთახში იყო მოთავსებული უკატალოგოდ.

გიტას თვალი აებნა: იქ იყო იშვიათი გამოცემანი ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად, პოლონურად და ქართულად.

ამის შემდეგ თავადმა, რა კი ღა თავი ქუდში იგრძნო, მსახურს უბრძანა, ეტლი შეება გორში გასამგზავრებლად. ერთი თვეც იყო ცოლშვილი იქ უცდიდა და ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ზაფხული შვეიცარიაში გაეტარებინა თუ იტალიაში.

როგორღაც ამისი რჩევაც ჰკითხა გიტას. აგრონომი საზღვარ-გარეთის წინააღმდეგ წავიდა.

— ძალიან გთხოვთ ამ ზაფხულ სურამ-ბორჯომით წახვიდეთ იოლად, — სთქვა მან. — წაიყვანეთ პოზუა ქენქაძე გორში და რაც გეუა ჩარექოვს საწყობში პარიზის ფხვნილი, შაბიამანი და კირი აქვს, თუნდაც ვალით გამომიგზავნეთ. თბილისიდან მოსაწამლავი მანქანები მომაშველეთ. შვეიცარია კი

არსად გაიქცევა, სცხოვრობენ ხომ ამ ჩვენს ქვეყანაში ისე, რომ ერთხელ არ უნახავთ შვეიცარია და ნუ თუ ამ ჩვენს მთებში ჰაერი გამქრალა!

— გემორჩილებით, გემორჩილებით, გიორგი პავლეს-ძეს! — ეუბნებოდა ელიზბარი, რაც ძალიან აკვირვებდა პავლიას.

ფიქრობდა და ვერ გაერკვია: რად ემორჩილებოდა თავადი ელიზბარი მის შვილს. რა საქმე ჰქონდა ელიზბარს გიტასთან, რას ჰგავდა მათი დამოკიდებულება? რად იყო გაბერილი, თვალებდაბღვერილი, სახათრო, ანგარიშში ჩასაგდები და საშიშარი პოზუა ქენქაძე? რას ფიქრობდა შვილი სამსახურში გამწესებაზე? ან აქ, სასახლეში, ღამე რად უნდა დარჩენილიყო, როცა ქვეუბანი აქედან რაღაცა ერთი ვერსით იყო დაშორებული და იქამდე ჩასვლა სამი წლის ბალღისთვისაც არაფერს წარმოადგენდა თუნდაც უმთვარო ღამეში.

გიტამ მამა იმ ღამესვე აღარ გაუშვა შინ. აქ, ჩემთან, იყავიო, შეეხვეწა და როგორც თვითონ მოისვენა, ისე მამაც ხალიჩაზე და მუთაქაზე მოასვენა.

საქმის შინაარსის უვიცმა მამამ აგორებულ ქვასავით იტრიალა გათენებამდე, ოხრავდა, და ხვნეშოდა. დილით კი შვილი ვეღარსად დაინახა. ეზოში გავიდა, ნამძინარევმა მოჯამაგირეებმა უთხრეს:

— აგრონომი მამულში წავიდა, ზვრის ბოლოს იქნებაო.

— აი ახლანდელი ნასწავლიცა! — ჩაიდუდუნა პავლიამ. — კაცს ფოსტის ჩინოვნიკისაც კი მეშინიან, ერთი ფარი, ხმალს ვინ ჩივა, მთელ სიცოცხლედ გამხდომია. ეს ნაბატონარს დაუდგა! — და ხელი ჩაიქნია. — როგორც უნდა, ისე ქნას, ალბათ, აგრე სჯობიან, — სთქვა ბოლოს და გაუდგა გზას შინისაკენ გაურკვეველმა, მაგრამ შინაგანის სიამაყით ავსილმა შვილის წარმატებით.

დილის ათ საათამდე გიტამ ისევ შემოიარა ზოგიერთი ნაჭერი. გადახაზა ისინი ქაღალდზე, შეადგინა სარწყავი არხების და რუების გაწმენდის გეგმა.

ასე გადადგა პირველი ნაბიჯი გიტამ სიცოცხლის იმ ხანაში, საიდანაც იწყებოდა შრომა, მოღვაწეობა და რისთვისაც აქნამდე ემზადებოდა ჯერ თბილისში, მერე იალტაში.

ელიზბარის სახლკარი და ძირითადი მამული, სამკვიდრო, თვალის მისაწვდენზე იყო დაცილებული გორს. სასახლე სოფლის შუაგულში თითქოს ხელოვნურად შემაღლებულ, ნამდვილად კი ნიადაგიდან ამოჩრილ ტინზე იდგა.

სასახლიდან უღრუბლო დღეებსა და მთვარიან ღამეებში გარკვევით მოსჩანდა ქართლის გულზე ვერცხლის ბუზმენტებივით გადაკრული დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი, მეჯუდა, ყვითელ-ქაფიანი მტკვრის სარკე, ძველი შვიდსარტყლიანი ტონთიო, კვერნაკები, ქართლის მაღლობი ქიმები, ტინიხიდთან რომ იწყება და ლიხს ებჯინება.

მორჩებოდა თუ არა აგრონომი მამულში მუშაობას, შეადგენდა თუ არა მომავალი დღის სამოქმედო თადარიგს, გეგმებს და განაწესებს, ბიბლიოთეკაში იჯდა დიდხანს, სანამ კითხვით თვალები არ მიელულებოდა.

ხანდახან, მთელი დღის შრომის შემდეგ, ჩაწოლის წინ, ადიოდა სასახლის სახურავზე ხანძრის სამეთვალყურეოსავით წამოდგმულ ჯიხურზე.

იქიდან სულგანაბული გასცქეროდა ქვემოთ, ვაკეზე გაშლილ შავი ღვიძლივით და ერბოთი სავსე ქილასავით ნოყიერ ქართლის ველებს და უკვირდა: თურმე როგორის სიძლიერით უყვარდა ეს ადამიანის უნიათობისაგან გაუ-

ღორძინებელი, დათრთვილული ყვავილივით ჩამომჭკნარი სამშობლო. ბრუნდებოდა იქიდან პრომეთეს დარდით გულში და თითქმის ყოველთვის იტყოდა ხოლმე ხმამაღლა: „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის ვარ ძალიანაც“.

თავი V

ელიზბარი გორში დაბრუნდა. ცოლშვილი მზად დაუხვდა შვეიცარიაში გასამგზავრებლად. თებერვალში შეთანხმდნენ, სამი თვე ლაგო-მადჟიორესის სანაპირო ქალაქში გაეტარებინათ.

მეუღლეს ნებართვაც კი ხელში ჰქონდა. ამოსარჩევი იყო მხოლოდ გზა: პოლონეთ-გერმანიით თუ შავი ზღვით და ადრიატიკით.

ელიზბარმა ორი დღე მოანდომა ამის გარკვევას. გადასწყვიტეს, ემგზავრათ ზღვით.

კნეინა თეკლე წინასწარ იქმნიდა წარმოდგენას ბოსფორზე, დარდანელზე, ეგეის ზღვაში გაბნეულ კუნძულებზე, მაგრამ როდესაც ყველაფერი მზად იყო, ელიზბარი ლოგინიდან ვეღარ ადგა, ჯერ მაგარი სურდო შეხვდა. მერმე წელსა და ბარძაყებზე წაივლო ხელი. კვნესოდა, ხვნეშოდა, განუწყვეტლივ ეწეოდა თამბაქოს, სტუმრებს აღარ იღებდა. თეკლე შეშინდა, გამგზავრებაზე ფიქრი და გადაწყვეტილება შეერყა.

მხოლოდ მეხუთე დღეს წამოდგა ელიზბარი და თბილში ჩაფუთვნილმა ოთახებში გაიარ-გამოიარა.

ქალაქიდან ჩასულმა ექიმმაც დაადასტურა: საშიში არაფერია, თამამად შეიძლება გამგზავრებაო.

— თეკლე, ერთი სათხოვარი მაქვს, ჯერ მომისმინე, შემდეგ უსათუოდ შეგისრულე, — უთხრა ერთხელ ელიზბარმა ცოლს.

— ოღონდ შევიძლო და თუნდაც ათასს მოგისმენ და ამდენივეს შეგისრულებ, — მიუგო თეკლემ ქმარს და მის პირდაპირ ჩაეშვა სავარძელში.

ელიზბარმა მეორე სავარძელი ახლოს მიიტანა, გვერდით მიუჯდა, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ნელის ხმით დაიწყო:

— დაჰკვირვებიხარ თუ არა ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას?

— კიდევ ვალები! — აენთო ცოლი.

— ვალი ერთი კაპიკიც აღარა გვაქვს, მაგრამ არც ნაღდი გვიჩანს ხელში. ვალიდან და ვახშიდან, ღვთით, საბოლოოდ გავთავისუფლდით. მამულიც, მგონია, ფეხზე დავაყენოთ, მეზვრიშვილი მარჯვე, თავგზიანი კაცი სჩანს, მაგრამ, მაგრამ...

— მითხარი და გაათავე, თუ კაცი ხარ! — ვეღარ მოითმინა თეკლემ.

— დაეხსენ, თუ ქალი ხარ, წელს შვეიცარიაში გამგზავრებას. მამულთან მინდა ახლოს ვიყო, მომავლისთვის რაღაც დავსახო, შევქმნა. ბავშვები წამოგვეზარდნენ.

თეკლეს ფერმა გადაუარა, ტანში მოეშვა. ელიზბარი ქუხილის დასახვედრად მოემზადა. მოტყუვდა, ჰქის მაგივრად ლურჯი ცა გაჩნდა. თეკლემ გაიღიმა, წამოდგა, ქმარს ხელები მხრებზე დაადო და გულის ბორგვით დინჯად დაიწყო:

— გული არც თუ ძლიერ მიმწევდა. მომბეზრდა, ღმერთმანი, ყოველ წელიწადს აყრა და თრევა ბოშებივით. ბავშვები, თორემ ჩემი თავი ერთის წუთითაც არ მაფიქრებს. მე შენთან მირჩევნიან, თუნდაც ყარაიაში.

ელიზბარმა ხელები მოხვია მეუღლეს და გულში ჩაიკრა.

— აქ ხომ მაინც სადმე! — უთხრა ქალმა.

— აქ სადაც მოისურვებ, ოღონდაც მამულთან ახლოს. ... ნათესაობა გვყავს. დროა მივცეთ საშუალება გვინახულონ და დავიახლოვოთ.

— სურამში? — ჰკითხა თეკლემ.

— ძალიან კარგი!

— თუ მომჭირნეობის დრო დაგვიდგა, დაე მომჭირნეობა იყოს. წავიდეთ სურამში, ოღონდაც ეტლი დაიბარე მამულიდან. ახლო-მახლო სოფლებში დღეობაზე გავიდეთ ხოლმე. აკი შენ გიყვარს ხალხური გართობა და ჭიდაობა, — უთხრა ცოლმა.

ელიზბარმა მარჯვენა ხელი მოსტაცა ცოლს, ტუჩებთან მიიტანა, ემთხვია, მერე ორივე ხელი დაუჭირა, მკერდში ჩაიხუტა. საამური ბარიტონით უთხრა:

— გმადლობ, თეკლე, გმადლობ!

— ისევ უნდა გავხსნა ბარგი და ყუთები, — გულდაწყვეტით სთქვა თეკლემ, როცა ქმარს მოსცილდა და გადიოდა მეორე ოთახში, სადაც ბავშვებს ეძინათ.

ელიზბარმა-კი პიჯაკი გაიძრო, მოიქნია და მსახურს უხმო. ნახევარ საათს ისმოდა ელიზბარის განკარგულება:

— წადი სურამში, ინახულე ჩემი დეიდაშვილი მერმანიშვილი, ჩემ მაგივრად უთხარი, დამიქირაოს ზინდისში, მაღლობ ადგილას, ყველაზე სუფთა და ლამაზი აგარაკი. ქექაძემაც ეტლი ორი ცხენით და ერთი საჯდომი იაბო ამომგვაროს თავის საყოფი თივა-ქერით.

*
* *

რკინიგზას პარალელურად მისდევს ნაცარ-დაყრილივით მტვრიანი შარაგზა და უხვევს ურბნისის ბორნისკენ. გზაზე ოცამდე კამეჩის ურემი მირახრახებს. გლეხები კოფოებზე სხედან. მკვდრისა და ცოცხლის გინებით უტკაცუნებენ ზანტ გავაზე სახრეებს კამეჩებს.

მეურმეებმა გეუა ჩარექაშვილის ხორბალი ჩაიტანეს ქირით ქარელში. დაცალეს ურმები. შარშანდელი ხორბალი იყო. ლარის ფასად ნასყიდი. მეურმეებმა ქირა იქვე დახარჯეს. ივაჭრეს ნავთი და მარილი, ასანთი და ურმის საპოხი. ორ-ორი ბოთლი ღვინოც დალიეს იმერელ ალფეზა ჩხეიძეს სამიკიტნოში და ახლა შინისაკენ მიეჩქარებათ.

აგერ პირდაპირ გზაც გათავდა. გადუხვევენ და, ჯეჯილები რომ დაილევა, ბორანიც გამოჩნდება მტკვრის რიყეზე. მოწინავე ურემმა შეუხვია კიდევაც, რომ უკანიდან ორთქლმავლის ხრიალი და კივილი გაისმა. მეურმეები ჩამოხტნენ კოფოებიდან. ვინ ფარაჯა გაიძრო, ვინ ტომარა ამოიღო ურმიდან და კამეჩებს გადააფარა რქებზე თვალის ასახვევად.. დადგნენ სახრე-მომზადებულნი უღლებთან და მიაჩერდნენ მატარებელს. წყვილ საბოლავ-მილიანი „ფერლა“ მოფრინავდა და მოჰქონდა ცარიელ ცისტერნების უთვალავი დგინება.

მიატანა თუ არა ქარავნის ბოლოს, ორთქლმავალმა უეცრად სვლას მოუკლო. მერე ისევ გაილაწუნა და დაიძრა. კამეჩები დაცოფიანდნენ. კინაღამ დაჰგლიჯეს აპეურები, დალეწეს ტაბიკები. ურჩხულივით გაიარა მატარებელ-

მა. უკანასკნელი ქვაბი რომ გასცილდა იქაურობას, ზედ რკინიგზის ხაყარზე მეურმეებმა დაინახეს უცნობი კაცი, რომელმაც უკანასკნელ ქვაბზე კონდუქტორს ქუდი მოუხადა დამშვიდობებისა და მადლობის ნიშნად. მიხედ-მოიხედა და მათკენ გასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა თქვენი! — დაიძახა უცნობმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — ყველას მაგივრად უპასუხა იორდანე ბალითიაშვილის ბიჭმა იაგორამ მოწინავე ურმიდან.

უცნობს ახედ-დახედა, დაასკვნა: „ეს სუფთად ჩაცმული, უცნაური კაკარდიანი კაცი გლეხი არ არის, მაგრამ არც ჩინოვნიკი უნდა იყოსო". ხოლო მატარებელი რომ გაუჩერეს შუა გზაზე, დაასკვნა: „უბრალო ვინმე მაინც არ არისო".

ამიტომ მოასწრო უცნობს და ჰკითხა:

— აქეთ საით მიბრძანდებით?

— თქვენა ხართ, ჩარექოვის ქირა რომ ჩამოიტანეთ?

— ისინი ვართ. თქვენ საიდან იცით?

— თქვენსკენ წამოსვლას ვაპირებდი, ქარელში ვიკითხე. მითხრეს: აგე ახლა წავიდნენო. დავაჯექ ამ ქვაბებს და მოგწვდით კიდევაცა, — მიუგო უცნობმა.

— ვისთან მიბრძანდებით?

— თავადის მამულში!

— ჰო, ჩვენი მგზავრი ყოფილხარ. მოდი ურემზედა, — უთხრა იაგორამ.

უცნობსაც მეორედ თქმა აღარ დასჭირებია, ჭალს ხელი მოავლო, შეევიდა ურემზე და მარილის ლოდზე დაჯდა.

ცხელოდა. უცნობმა ჩექმები და პიჟაკი გაიძრო, ქუდი ჭალზე ჩამოაცო. იაგორა ძალზე დააინტერესა ტყავის ქუდმა. სწვდა, შეატრიალ-შემოატრიალა ხელში, კაკარდაზე გამოხატული ორთქლმავალი იცნო, და გაიღიმა, ულვაშები გადაისწორა, ქუდი ისევ ჩამოჭკიდა. წამოდგა, კოფოდან ხალიჩასავით სქელი ტომრები აიღო, მარილის ლოდებზე დაუგდო და უთხრა:

— ჰაგე, მოეწყე!

— ჩქარა მივალთ? — იკითხა უცნობმა.

— პირველადა ხართ თუ?

— ჰო, პირველად.

— საღამომდე არ მოუნდებით, თუ ბორანმა დროით გაგვალაგა გაღმით. სამ-სამი ურემი რომ მაინც დავეტეოდეთ ზედა... ნამყენი ხომ არ უნდა დაიბეოთ მამულში?

— ნამყენს ზურგზე ხომ ვერ დავირგამ, სოფელში არაფერი მაქვს, — სთქვა უცნობმა.

— ხელოსანი ხარ?

— ჰო.

— მაინც რა ხელოსნობისა?

— მაშინისტი.

— ის მაშინა ხომ არ დაგყავს, აგე რომ ჩაგვიარა?

— ჰო იმაზე. ახლა ვისვენებ.

იაგორამ კამეჩებს სახრე გადაჰკრა, თითქოს მოაგონა, ნაბიჯი არ შეანელოთო. კოფოზე გვერდულად დაჯდა.

— მაშინისტი ყოფილა, — გადაულაპარაკა უკანა მეურმემ თავის უკანას, და სიტყვა ბოლომდე მივიდა.

— ისე სადაური ბრძანდებით? — განაგრძო კითხვები იაგორამ.

— არადელი. კამკამიძე, — მიუგო უცნობმა და მოსალოდნელი კითხვაც მოიშორა.

— „არადელი, კამკამიძე", — გადასცეს ერთმანეთს მეურმეებმა.

დასიცხულმა კამეჩებმა ფშნებისაკენ გასწიეს. ატყდა ყვირილი, სახრეების ტკაცუნი. მეურმეები სახეში სცემდნენ პირუტყვებს. ძლივს აკავებდნენ. მტკვარგალმა მებორნემ ორთაყვირს მოუსვა, დასძრა და მდინარის ქაფმოდებულ შუაგულში შეაგდო ნავი.

ორ საათს იწვალა მებორნემ. წყვილ-წყვილად გაჰკრიბა ურმები ურბნისის ფრიალო ნაპირზე. კამკამიძე და იაგორა გადაიყვანა პირველ წყვილში. ურემქვეშ შეაფარეს თავი ჭრია სიცხისაგან. კამკამიძეს თვალები მოეხუჭა.

— დაღლილი ხარ? — ჰკითხა იაგორამ.

— ორმოცდარვა საათი ვიმორიგე, — უთხრა მემანქანემ და დაიძინა.

ნასამხრევს დაიძრნენ ადგილიდან. დასვენებულმა, გაგრილებულმა კამეჩებმა ეტლივით აირბინეს აღმართი. ფრიალოს თავზე ურმები ისევ შეჩერდნენ.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — დაიძახა იაგორამ. ურმიდან გადმოხტა და გზის პირას ვიღაცას გადაეხვია.

კამკამიძემ მიიხედა. ჯარისკაცი დაინახა. ჯარისკაცს თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა და დიდიხნის მოუპარსავ წვერზე წვეთავდა. ცალი ფეხი მოკაუჭებული ჰქონდა. იღლიებში ებჯინა ფარაჯაში დამალული დასაყრდენი ჯოხები. ზურგზე ეკიდა ჯარისკაცის ჩანთა და ცალი, იუხტის გაცვეთილი ჩექმა. მეურნეებმა ჯარისკაცის გარშემო მოიყარეს თავი. გადაჰკოცნეს. მოიკითხეს. კამკამიძეც მივიდა, სალდათი დაჭრილი იყო. საერთო ნაცნობი აღმოჩნდა.

— დილაადრიან ჩამოველ ქარელიდან და მეტი ვერ გავიარე. — ჩიოდა ჯარისკაცი.

იაგორამ ურემი მიუყენა, კამკამიძე მოეხმარა, დასვეს მარილის ლოდებზე.

— ძლიერ ხარ დაჭრილი? — ჰკითხა იაგორამ.

— ორი ტყვია მარჯვენა ბეჭში მაქვს მოხვედრილი. ეგ არაფერია, მორჩა, ეი, ხელსაც ვამუშავებ. — ჯარისკაცმა ხელი თავისუფლად აამუშავა. — ფეხის საქმე მაქვს ცუდადა. სნარიადის ნატეხი მომხვდა, სავარცხელს იქით გამაგდებინა ტერფი და თითები. სისხლისაგან დავიცალე. ძლივს გადავრჩი. აგე ექამდე მოვატანე. ეს ურბნისია. თუნდაც შინ მივსულვარ.

— რომელ ბრძოლაში? — ჰკითხა კამკამიძემ.

ჯარისკაცმა დაასახელა რაღაც ჩინური, ძნელად გამოსათქმელი ქალაქი. მერე განაგრძო:

— ბრძოლა კი არა, ჯოჯოხეთი იყო. შეგვყარეს შიგა და გაგვწირეს. მერე რა შორ ქვეყანაში! თელი თვე მოვდივარ მატარებლითა. აქ რომ ღამეა, იქ დღეა, ხორველაც ვერ დახოცდა იმდენ ღვთის გაჩენილ კაცსა.

ვიღაცამ ნახევარი შოთი მოიტანა. ჯარისკაცმა გამოართვა, ერთი ლუკმა მოტეხა, ახედ-დახედა, ჩაილაპარაკა თონის პურიო, პირჯვარი გამოისახა, აკოცა ლუკმას და პირში ჩაიდო. დანარჩენი პატრონს დაუბრუნა ისევე. გახედა სოფელს და კვლავ ჩაილაპარაკა:

— ასე მგონია, საიქიოდან ვბრუნდები, ცოცხალი ვარ არ მჯერა.

— დამარცხდა განა ჩვენი ჯარი? — ჰკითხა იაგორამ.

კამკამიძემ ყურები სცქვიტა.

— როცა მინისტრი და გენერალი ღალატობს, სალდათს რა მეუძლიან? გაგვცეს. ზღვაში გემებიც გაჰყიდეს, ჩაგვძირეს, ხელები დაგვაჭრეს, გზა დაგვიბნიეს. თორემა იაპონია რა ვაჟკაცია! ჩვენ კაცს როგორ გაუძლებდა. ჩვენებური დაუვაჟკაცებელი ბიჭის ოდენა ძლივს იქნება მათი სრული ვაჟკაცი.

— მაშ ბევრი დაიხოცა? — ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— მაშ ბევრი... ჩათიბულივით ეყარა მკვდარი სალდათი. რუსი, ქართველი, ლემენცი, სომეხი, რამდენს ჩამოთვლი? ვისაც არ უნახავს ომი, ბედნიერია.

ჯარისკაცი დადუმდა. ხანდახან მხოლოდ ამბობდა: ახლა ამ სოფელში მივალთ, მას შემდეგ კი ის სოფელიაო. მეურმეებმა იცოდნენ ეს, მაგრამ მაინც ესიამოვნებოდათ ჯარისკაცის პირიდან ამის გაგონება. ყოველ-მათგანს მის ადგილას საკუთარი თავი ჰქონდა წარმოდგენილი.

შაბათი საღამოს მწუხრი დარეკეს და ურმებიც გავიდნენ ლიახვში.

კამკამიძემ ურემზე ჩაიცვა ჩექმები. ძირს ჩავიდა.

დაგლიჯა ბალახი, შეჰკრა, გაწმინდა შარვალი და პიჟაკი. ჩესუჩის ხალათი გაისწორა, პიჟაკი მხრებზე მოიგდო, ქუდი დაიხურა და ბუჩქებში გადაუხვია.

ამას იქით თავათ გავაგნებ გზასო, უთხრა მეურმეებს. მზის ჩასულს ურმის ქარავანი დაიფანტა სოფელში.

*
* *

ნაწირვევს იაპონიის ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს სოფელი გარს ეხვია სათემოზე, მუხებქვეშ, და უსმენდა ბრძოლის ამბავს. ჯარისკაცი არ აჭარბებდა. ყოველი ამბის დასასრულს ამბობდა: გენერლებმა და მინისტრებმა გაგვყიდეს, გვიღალატეს, გაგვცესო. შუადღისას დაუკრეს ზურნა. გაჩაღდა ცეკვა. გუშინდელმა მეურმეებმა ამ ცეკვა-თამაშში ადვილად იცნეს არადელი კამკამიძე. ის უპიჟაკოდ იყო. ჩესუჩის ხალათით და ტყავის ქუდით იწონებდა თავს. ამაყად დააბიჯებდა. განუწყვეტლად ცეკვობდა, მედოლეს კროლა აბაზიანს ესროდა. არვის სტოვებდა გამოუთამაშებელს: გოგოსა და ბიჭს, მოხუცსა და ახალგაზრდას.

იაგორა ბალთიაშვილი მხოლოდ მაშინ დაინტერესდა კვლავ კამკამიძეთი, როცა შენიშნა, რომ მისი გასათხოვარი ქალი სონა, გამოითამაშა ჭემანჭანემ და მანამდე იხტუნეს წრეში, სანამ ერთი იქით, ხოლო მეორე აქეთ არ წაიქცნენ.

— ახა, ღმერთო, ნეტავ ვისთან არის მოსული? — იკითხა მან.

— ნიკალა ჯინიუზაშვილის ცოლიძმაა, აგე იმისი, ელიზბარის მენარდე მუშების თავკაცისა, — სთქვა ვილაცამ.

იაგორა ადგა, ხალხი გაარღვია, კამკამიძეს ხელი ჩამოართვა და უსაყვედურა: ნიკალას ნათესავი თუ იყავი, რად არ მითხარი გუშინვეო.

კამკამიძეს ეტყობოდა ნასვამობა. ცეკვისა და ღვინოსაგან კიბურასავით უღაღაუებდა სახე. იაგორას საყვედურზე ხელი ჩაიქნია და ისევ გადახტა წრეში. ვიღაც იქაურელ ბიჭს გაშლილ მხრებში შეუვარდა, გაავდო წრიდან და დაიმარტოხელა იაგორას სონა. რამდენს არ ეცადნენ სხვა ბიჭები, მაგრამ არწივის ფრთებივით გაშლილ მხარ-მკლავებში ვერ შეუვარდნენ მტაცებელ კამკამიძეს. სამაგიეროდ სონას გამოუჩნდა მოღალატე. წრიდან გამოიტა მუშტივით ჩაფსკვნილი, კუპრივით შავთმიანი თალიკო და ისე მოხერხებულად წაართვა სონას მოტრფიალე, რომ სიცილ-ხარხარი ასტყდა.

„ნეტა სიძედ მომაკიდებინა“, გაივლო გულში იაგორამ და გადახედა წრეს. სონამ დრო უხელთა თალიკოს, ქორივით შევარდა შუაში და მოჩვენებასავით გაუსრიალ-გამოუსრიალა ვაჟს. მანაც მკლავები მომართა, ფეხები უკანუკან მოუსვა და ხალხისაგან შემდგარ წრეს რომ მიუახლოვდა, თითქოს უკან დასახევი მოედანი აღარ არისო, ცერებზე შეტრიალდა. სონა ეკვე გაფრენილიყო. კამკამიძე ცეკვა-ცეკვით გამოუდგა.

ვიღაცამ სცადა შეცილება. მას ხელი წაავლეს, არ გაუშვეს, ცეკვა წახდებაო, კარგი წყვილიაო.

დოლმა დაუწია. სონამ მიაღწია საზღვარს. საცაა, მისწვდება მოტრფიალე, მოუსვამს ფრთებს... მაგრამ სონა დაასწრებს შემოტრიალებას.

— ეჰ ნეტა...

— შენც აქა ხარ, ქალო? — შეაწყვეტინა იაგორამ სიტყვა ცოლს.

— კაცო, ჰანდე რა ბიჭია!

იაგორამ შეხედა ცოლს, გატრიალდა, გასწია მუხებისკენ, საიდანაც დაფქვიაანთ ქვრივის ენდუსიას კისკისი ისმოდა.

— ენდუსია, ერთი აქ მო, ქალო, — დაუძახა მას იაგორამ.

ენდუსია მივიდა: იდაყვი ხელით დაიჭირა, სვეტივით აყუდებულ ხელისგულზე ნიკაპჩამოდებული გაჩერდა.

— ქალო, ენდუსიავ, მითომ რა იქნება, რომ ერთი ჩემსკენაც მოიხედო? რავისზე ნაკლები გოგო მყავს გასათხოვარი, ჰა? — გულმოსულივით მიაყარა იაგორამ.

— ქათამივით საბუდარი რომ დაგჭირდებათ, მაშინ გახსენდებათ ენდუსია. როცა მიჭირს, მაშინ სადა ხართ? ან ხარი მოგიკვდებათ, ან ჯამბარა გაგიწყდებათ, ან რუში წყალი დაგიშრებათ.

— ცალი კამეჩი ვისიც არის, თითონ იცი. ჩემმა მზემ, კალომდე მაცალერა გახდა ი შენი ნახევარი ჩარექი? შეგიბავ, მოგიხნავ, ჩაგიფარცხავ და ჩაგითესავ კიდევაც.

— ჩაგიწყდეს ეგ ხმა, შე მოუპირაო, შენა! ბარეს აგე, ემ შენ გამხმარ დედაკაცს ჩაუფარცხო და ჩაუთესო!

— ქალო, მე მართლა გეუბნები.

— აბა, სთქვი რა გინდა?

— ეგ ბიჭი გამირიგეი გოგოთვინ, სონათვინ. წისქვილზე აბა ვინ გიფქვავს? ცხინვალში რამდენჯერ ამიყვანიხარ ურმითა, ვაშლი ვისი ხარით ამოზიდე ბაღიდან? შენი თუ გახსოვს, ჩემი მგელმა ხომ არ შესჭამა?

— ცარიელას წაიყვანს ვითომა?

— ცარიელას რად გაუშვებ, შვილი არ არის თუ? ნეტავ აგეთი ჩვეულება არ იყვეს, თორემ ვაჟებს მირჩევნიან.

— სულს აქეთ არაფერი გააჩნია მაგ არადელსა, ცარიელ-ტარიელია, ეგ აბრეშუმის ხალათია და მეტი არაფერი, თორემა შენზე წელმაგრებმაც მთხოვეს. არა ისე დაგიყდნენ გოგოები, რომ რომელსაც არ დაადოს ... არ არის. ჰო, ჩემმა თვალის სინათლემა!

— ერთი ჩემ გოგოსაც შეხედე, შე თვალ-დასათხრელო! — გამწარდა იაგორა. ქონება უხსენეს, მტკივანზე დააჭირეს.

— ეგ რომ არ იყვეს, ხომ ზედაც არვინ შეხედავდა, — უთხრა ენდუსიამ და იქითკენ მიიხედა, სადაც ჩესუჩის ხალათი გოგოებს და ბიჭებს რევდა სიმღერით, გარმონზე დაკვრით და ცეკვით. უყურა, უყურა და მიაწყევლა: — ი მოჰკვდი, გაჰქრი შენა! (იაგორას ხელი მოავლო) აბა, შეხე სონასა? ლამის არის შიგ კლანჭებში ჩაუვარდეს.

— მიშველე, ენდუსი, მიშველე, ერთი ეგ შემომიყვანე სიძედ სახლში და მერმე თუნდაც ქოჩრით მათრიე, კალო ჰქენი ჩემს კისერზე, — შეეხვეწა ენდუსის ჩუმად მისული იაგორას ცოლი.

— აბა, ენდუსი, დატრიალდი, გაარიგე და აქა ვარ. ერთი მოჯამაგირედ ვერ დაგიდგები, თორემა... დანარჩენი ჩემს კისერზე იყოს.

ნიკალა ჯინიუზაშვილი მივიდა, იაგორას მკლავში ხელი მოავლო, ხალხს მოაშორა და უთხრა:

— ახლავე შაობი ურემი, ხაშურში ჩადი, იარმუკაზე თვითონ მოგნახავს კაცი, ვინც იქნება, შენი საქმე არაა.

VI

თავად ელიზბარისაგან დასვენების გეგმის შეცვლას, ზაფხულზე საქართველოში დარჩენას მეგობრები სიხარულით შეხვდნენ. ყველამ პირმიცემულივით შეატყობინა... „სადაც შენ, იქ ჩვენცაო“.

ზინდისში, იმერულ ოდისმაგვარ, ცისფერად შეღებილ სახლში ელიზბარი პირველ ზაფხულს ატარებდა საქართველოში.

ყველაზე ადრე მის მაგალითს დეკანოზმა მიჰბაძა. მან ელიზბარის პირდაპირ დაიქირავა ორი მოზრდილი ოთახი ფართო აივანითა და ეზოთი. ერთ კვირაში ამოიყვანა თბილისიდან გადაბერებული დები, ქალიშვილი და ჩაასახლა შიგ.

თვის თხუთმეტში გამოჩნდა მთავარ ქუჩაზე მთვრალი თუშელიშვილი. ინახულა მეგობრები, მოუწონა აქ დაბინავება და თვითონაც გადასწყვიტა, დარჩენილიყო აქვე. ხელად მოძებნა შესაფერი ბინა. იმ დღესვე ნაცნობ გლეხს ურემი შეაბმევინა. დაუდო ზედ ორმოცფუთიანი ბოჩკა და რიკოთის მთით გაგზავნა ვერტყველში, ციციშვილებში, ციცქისა და კრახუნის ღვინისთვის. ბარძიმი ფრთხილი კაცი იყო. არ ავიწყდებოდა ქალები: დიდ ბოჩკას გაადევნა ხუთფუთიანი ბოჩკაც რკოს ჯიშის ვაზის ქალების საამურ სასმელ ღვინისათვის.

ჩქარა გამოჩნდა გოგოსაშვილიც. ნოტარიუსს უკანასკნელ ორ წელიწადს ბედი სწყალობდა. სანოტარო კანტორა დღე და ღამ მუშაობდა. ახლა ზაფხულს მანაც სურამს მიაშურა. იქ იყვნენ მთავარი კლიენტები და სხვებიც, თუ კი საქმეს არ დაიზარებდა.

ელიზბარს ამოუვიდა მამულიდან დაბარებული ეტლი და იაბი. აგრონომის ხელი დასტყობოდათ ცხენებს. დასუქებულიყვნენ, ტყავში აღარ ეტეოდნენ. ამინდები კარგი იდგა, სააგარაკო ქალაქი გაივსო მოაგარაკეებით. ძილის გასეირნების შემდეგ, როცა თეკლე სტუმრების მიღებას, სადილს და ხამუადღევის ძილს მორჩებოდა, მეგობრები თავს იყრიდნენ ელიზბარის აგარაკში ქლიავების და ალვის ხის ჩრდილოებში, გვიან ვახშმობამდე ერთობოდნენ ნარდისა და ქაღალდის თამაშით.

ხანდახან გოგოსაშვილს არა სცალოდა. გორელი ნოტარიუსი სურამელ ებრაელებსაც სჭიროდათ. მაშინ მაგიერობას ნარდის თამაშში რუსუდანი უწევდა.

გაშმაგებით თამაშობდა რუსუდანი. ხანდახან ერთი ერთმანეთზე ამარცხებდა მამაკაცებს, აიძულებდა თავი დაენებებინათ თამაშისათვის და მაგიერი ჩანაცვლებოდა.

დღითი-დღე მშვენიერდებოდა ქალი. სურამში გატარებულმა ერთმა კვირამაც იმოქმედა. დასრულდა, გახალისდა. საზაფხულო ტანსაცმელში სრულქმნილი სხეული ისე ძნელად იმალებოდა, რომ თეკლეს თვალსაც კი შეუნიშნავი არ დარჩა გასათხოვარი ქალის იშვიათი მოყვანილობის მაცდურება. გამოხატავდა ხოლმე კიდეც თეკლე მის აზრს. „ან გათხოვდება რუსუდანი ამ ზაფხულს ან არასოდესო“. მის ახლოს ყოფნა ახარებდა თეკლეს. აწყობდა ისე, რომ რუსუდანი მის გვერდით ტრიალებდა განუწყვეტლივ. თეკლე თვითონ იყო გასათხოვრობის დღიდან, აგერ ხანში შესვლამდე უმშვენიერესი ქალი. ამიტომაც არა შურდა მისი, რუსუდანის სილამაზის. მამაშვილურის გულით უყვარდა რუსუდანი ელიზბარსაც.

მარტო ნოტარიუსი გოგოსაშვილი არ უყურებდა კეთილის თვალით. ამაში ცოტაოდნად რუსუდანიც იყო დამნაშავე. ნარდსა და ქაღალდში უმოწყალოდ უგებდა ბოროტ ბერიკაცს, უგებდა ნიშანს, აპამპულებდა, ამასხარავებდა ნესვივით ჩასუქებულ უფლებათა დარაჯს. ხან მაგიდის ქვეშ გააძვრენდა, ხან ქოშინით გორას შეახეთქებდა, ხანაც ნახშირით ყეენივით გათხუნავდა გადააქცევდა ქვეყნის სასაცილოდ და თვითონაც კისკისებდა.

ძილის წინ გოგოსაშვილი ყოველთვის აღთქმას აძლევდა უფალს: აღარ ეთამაშნა რუსუდანთან, მაგრამ ქლიავის ძირებში მრგვალ მაგიდაზე გაშლილ ნარდს დაინახავდა თუ არა, როგორც თაგვი დამწვარ ნიგვზის სუნზე, მორჩილად აიტუზებოდა მაგიდის გვერდით კამათლით ხელში.

ხანდახან ეთამაშებოდა ბარძიმსაც. სწორედ მაშინ, როცა გოგოსაშვილი კანტორაში იყო და იქ ასვლის დრო არა ჰქონდა, სწერდა, ამოწმებდა საღერბო ქაღალდებზე პირობებს, ანდერძებს, ნასყიდობებს. ეთამაშებოდა და გოგოსაშვილის დანაკლისს ბარძიმს ახდევინებდა. აუხირდებოდა: რად არ ეტევი ჩოხა-ახალუხში, ამოდენა აგანგალა ულვაშები რადა გაქვსო. შენი ხმელი ხასა რასა იქმს, ქალია თუ მოლოზანიო. ხანდახან კი ნოტარიუსს და ბარძიმს ერთად აიგდებდა სასაცილოდ და თეკლესაც აიყოლებდა.

ღვარძლით ივსებოდა გოგოსაშვილი. ცდილობდა ისეთი რამ მოეგონა, რომ სამაგიერო გადაეხადა რუსუდანისათვის, დაეოკებინა, მოეტეხნა. ცდილობდა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხა. ბოლოს გადაწყვიტა, მიემართნა უკანასკნელ ხერხისათვის, ოღონდაც როგორმე აეცილებინა მუდმივი დაცინვა.

კვირას ხაშურში წავიდნენ ბარძიმი და გოგოსაშვილი. ბარძიმი იქ ლამისყანიდან ამოსულ ხასას ხვდებოდა ორი გლეხით ნასყიდობის ქაღალდის დასაწერად. შეხვდნენ კიდევაც. დასწერეს. ხასა დაბრუნდა სოფელში. თუშელიშვილი და გოგოსაშვილი სამიკიტნოში შევიდნენ და გამოძღნენ, როგორც თუშელიშვილი იტყოდა — რჯულზე. მობინდებულში ებრაელის ეტლი დაიქირავეს და სურამში გასწიეს.

მუცლით დამძიმებული მეგობრები თავიანთ ფიქრებში იყვნენ გართულნი, როცა გოგოსაშვილმა ჩაიბურტყუნა:

— არ მესმის, რად გადაჰკიდებიხარ იმ ხმელ ჯოხსა?

— ვის? —ჩაიღმუვილა კადნიერებით გაკვირვებულმა ბარძიმმა და კამეჩივით შეუბღვირა.

ნოტარიუსი არ დაიბნა, გადაიწია, თვალები მოჭუტა, ულვაშები ააცმაცუნა, ბოროტად გაიღმინჭა და გაიცინა.

— ვისა და იმ ხმელ ჯოხსა, შენს ხასას. მართალს არ ვამბობ თუ?

ბარძიმი მოლბა. საზურგულს მიაწვა.

— მოვალე ვარ. სანამ ცოცხალი ვარ, ვერ დავტოვებ.

ნოტარიუსმაც ამოიხვნეშა. დაფიქრდა. მართალს ამბობდა ბარძიმი. მოვალე იყო. იმერეთიდან ცარიელ-ტარიელი გამოვიდა ქართლში. ბრჭყვიალა ნაფურთხი აბაზიანი ეგონა. იმ ხასიდან დაიწყო საქმე და ახლა საშუალო შეძლებას გადაბიჯებულ მემამულეთა რიცხვში ითვლებოდა. უეცრად გადაიხარხარა.

— რა გაცინებს? — შეუტია ბარძიმმა.

— აი რა: ვალი გაწუხებს თურმე, ხა-ხა ხა! სწორედ არ მოველოდი: ასე მხოლოდ ისინი მსჯელობენ, ვისაც ჯერ სისულელე მთლად არ დაღვრიათ თავიდან. სისულელეა მაგის ფიქრი, მა რა? მისი მამულით დაიწყე? მე ყველაზე უკეთ ვიცი. ხომ არ გაგიყიდნია? არა. მაშ, თავისი გამოუყავ ისევე და მოიშორე. მაგ მოვალეობის გულისათვის თავს რად უნდა უთხრა უარი სიამოვნებაზე, რაც შეგიძლიან გქონდეს ერთხელ მხოლოდ სიცოცხლესავით. უკეთეს შესაძლებლობას წიხლი რად უნდა ჰკრა უჭკუო ცხოველივით?

— დამისახელე ეს უკეთესი, ნოტარიუსო? —მოსთხოვა ბარძიმმა და თვითონვე გაუკვირდა, როგორ აჩქარდა.

— აი თუნდაც ეგა, დეკანოზის ქალი.

— ვინ, ვინ? — წამოიძახა ბარძიმმა.

— ვინ, ვინ! ვინა და დეკანოზის ქალი, რუსუდანი, დიაღ, რუსუდანი. ასე მგონია, ხელში კალამი მიჭირავს, ვწერ პირობებს და თომას ანდერძს.

ბარძიმი დაფიქრდა, თითი მოკაკვა და შუბლზე დაიკაკუნა. იყო დრო, თითონაც ფიქრობდა ამაზე, გამხილება კი ვერ გაბედა.

— ჰო, რუსუდანი, კარგად დაუკვირდი. ორშვილს მოასწრობ და მეტიც არ გინდა. მართლაც, ვის უნდა დარჩეს შენი ადგილ-მამული?

— ხასა!

— ყეყეჩო! — მიუგო ნოტარიუსმა. მერე განაგრძო: — ვეცდები თეკლე დავიხმარო ამ საქმეში. შუაკაცობას ვიკისრებ.

ბარძიმმა ხელი დაუჭირა გოგოსაშვილს, ბინამდე მიიყვანა და ეტლი ვაგზლისაკენ მიაბრუნა, გასწია თბილისისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ეტლით და ცხენით გასეირნება სამშაბათისთვის გადასდო თეკლემ. ძახამდე იქნება ამინდი დადგესო. ორშაბათს ნოტარიუსი აღარ გამოჩენილა. დეკანოზიც არ გასულა გარედ. თბილისიდან ბერი ავიდა. სახარება აიტანა, გვერდებად შეკრული. დეკანოზი ამზადებდა ყდისა, ფორზაცისა და მთავრულების პროექტს. კითხულობდა საკონტროლო კორექტურას.

რუსუდანი მთელ ორ დღეს მკერავთან ტრიალებდა. ორშაბათს მხოლოდ ნასადილევს მიირბინა დაბლადული კაბით თეკლესთან, და საათნახევარი იტრიალეს ქალებმა სარკესთან. თეკლე კმაყოფილი არ იყო ნაჭრის ფერით. მით უმეტეს, იგი არ ამხელდა ამ აზრს, რა კი რუსუდანი ყოველ გადაცმაზე ამბობდა: სწორედ ისეთი ფერია, როგორიც მინდოდაო. თეკლეს ძალიან უნდოდა მიხვედრილიყო, სადა ჰქონდა ძირები მორუხო ფერის ნაჭრის მოწონებას. თეკლეს თვალიდან არა სცილდებოდა რეპინის ცნობილი სურათი „შემოდგომის თაიგული". სწუხდა გულში: ნუ თუ ყვავილმა იწყო ჭკნობაო.

ელიზბარი წნულ სავარძელში იჯდა. წინ ედო წიგნები—ჩერნოვი, მიხაილოვი, ლოსკის მიერ თარგმნილი კანტის „წმინდა გონების კრიტიკა" და ებრძოდა თეორიებს.

გათენდა სამშაბათიც. დაპირებულ საათს შებაჯბაჯდა ნოტარიუსი. გაუხარდათ დამხდურებს. გოგოსაშვილს ყოველთვის მოეპოებოდა უცნაური ამბების მარაგი და მას, თუნდაც ჭორს, სიამოვნებით უსმენდნენ.

— ბარძიმი სადღაა? — ჰკითხეს მას, რადგან იცოდნენ: კვირას ერთად იმგზავრეს ხაშურში, იქ ხასას შეხვდნენ. მას შემდეგ ბარძიმი ქუჩაში აღარ გამოჩენილა.

— გაიჭრა ტყესა და ველში, მთასა და ბარში. ოჰ, ათასი ეშმაკი უზის ბარძიმს ახალუხის ჯიბეში! — სთქვა ნოტარიუსმა.

— ჰა? — დაინტერესდა თეკლე.

— მოგეხსენებათ, ბატონებო, რკინას ჟანგი სჭამს, კაცის გულს კი დარდიო, — გააცხოველა ეჭვი ნოტარიუსმა.

— ბარძიმის გულს დარდი სჭამს! როგორ გავიგოთ?

— რაო, რაო? — ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— დარდი, დიაღ, დარდი! — დაიჟინა ისევ ნოტარიუსმა.

— საინტერესოა, — სთქვა ელიზბარმა.

— რა დარდი? — იკითხა დეკანოზმა, რომელიც ქალიშვილს გაჰყვა ბოდიშის მოსახდელად, გასეირნებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, ბერი მაჩქარებსო.

— ბარძიმი და დარდი! — წამოიძახა რუსუდანმა და გადიხარხარა.

— დიდი დარდი ხრავს მის გულს. ნამდვილად ვიცი. ტყუილად როდი გახლავართ ნოტარიუსი. სამწუხაროდ, ჩვენი ვალია სამარეზე უფრო დავიცვათ სიჩუმე და საიდუმლო.

რატომღაც ყველამ ერთმანეთს შეხედეს, მერმე კი ყველამ ერთად — რუსუდანს.

მსახურმა განაცხადა: ეტლი და ცხენი მზად არისო. ელიზბარმა გადასწყვიტა, ეტლში ჩამჯდარიყო მეუღლესთან და ნოტარიუსთან ერთად. ხვდებო-

და: ნოტარიუსი საიდუმლოებას ვერ შეინახავდა. ქალბატონმა თეკლემ რუსუდანს შესთავაზა საცხენოსნო, შარვალივით შეკერილი ქვედაწელი. რუსუდანმაც იგი სიამოვნებით მიიღო. ჩაიცვა. მოევლო იაბოს და გაჭენებულა ცოცხნარისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეეტლემ ცხენები გარეკა. ფიჭვნარის თავი კარგა მანძილზე იყო მოშორებული ზინდისს. ამინდიც აიშალა. რიკოთის მთაზე, ფონასა და ქოჩორაზე გაწეწილი მატყლივით გაეკიდა ჭვარტლისფერი ღრუბელი. კარგად რომ მოსცილდნენ შენობებს, თეკლე ჩააცივდა ნოტარიუსს:

— აბა ახლა მარტონი ვართ, გვითხარი რა დარდი აქვს ბარძიმს!

— ვაჟკაცის დარდი, ვაჟკაცის დარდი, — დაიყვინა ნოტარიუსმა.

მეეტლემ ცხენებს მოსწია, შეაჩერა. მიაჩერდა მდინარეს. სხვებმაც კისრები წაიგრძელეს. რუსუდანმა ცხენს წკეპლა გადაუჭრა და გადაევლო სურამულას.

— ეგ არის მისი დარდი! — სთქვა მოულოდნელად ნოტარიუსმა.

— შეუძლებელია, შვილად შეჰფერის! — აღშფოთდა ელიზბარი.

— ეგ რა სთქვი, როგორ გეკადრებათ! გამიგონია, თომა და ბარძიმ ტოლები არიან! — გამწარდა თეკლეც.

— მეც მიჭირს წარმოდგენა, მაგრამ სჩანს, ქალბატონო, სიყვარულმა...

მეეტლემ ისევ შეაჩერა ცხენები. ზეზე წამოცვივდნენ. ჯეჯილიდან კურდღელი წამოხტა. რუსუდანის გაქანებულ ცხენს შეეფეთა, უგანა და გვერდზე გაჰტა. იაბო აიყალყა, უკანა ფეხებზე ბზრიალასავით შეტრიალდა და უნაგირ მოქცეული უგზოუკვლოდ გაჭენდა მხედარმკვდარი მერანივით. ელიზბარი გადმოხტა. გაიქცა მისაშველებლად.

— ქვას შენი ბედით ავი თვალი! — შეუღრინა თეკლემ ნოტარიუსს და ისიც გადახტა. ქმარს გამოუდგა.

თვალებ მიმტკნარებული რუსუდანი ჯეჯილზე ეგდო გულაღმა. ელიზბარი სწვდა, მოხვია ხელი და ასწია. თეკლემ კალთაში ჩაისვენა. გაუხსნა კაბის გულისპირი. მარცხენა ბეჭზე შედედებული სისხლი დასდიოდა. გრძელი და ხშირი თმა ჯეჯილზე დაეფინა.

— აი როგორი ხალხი გვყავს გარშემო, თეკლე! — ჩაილაპარაკა ელიზბარმა.

— მომცილდი თავიდან! — შეუტია თეკლემ მართვ-მოტაცებული დედალი არწივივით ქმარს და ცრემლების ღაპაღუპით წამოიძახა:

— დაიწვას ქალის გაჩენის დღე, მისი უბედური ბედი!

ელიზბარი ისევ მიეშველა, მაგრამ თეკლე ცოფიანივით უღრენდა:

— მომცილდი, მომშორდი! შენა გგონია, სხვაზე უკეთესი ხარ? ერთის ბეწვითაც არა! — თან მკერდს და მაჯებს უზელდა, ნეკებზე ჰკბენდა გონდაკარგულ რუსუდანს, იქნებ თვალები მაინც გაახილოსო.

ბოლოს მაინც საჭირო იყო ვინმე მოხმაროდა თეკლეს. ელიზბარმა პიჟაკი გაიძრო, ქალი ასწიეს და ეტლში ჩასვეს.

მეეტლემ გაიხსენა: ცვრიანი ჯეჯილი დაჰგლიჯა, რუსუდანს ალმურმოდებულს ახეზე მოუსვა და თვალები გაახელინა.

მთელი გზა თეკლეს ეჭირა, მკერდზე მისვენებული. რუსუდანი შინ შეიტანეს. დეკანოზი უეცრად ვერ მიხვდა, რა მოხდა. კარგა ხანს ეგონა: რუსუდანი

ჩვეულებრივად ხუმრობსო, მაგრამ, როცა გაიგო სინამდვილე, ღმერთს მადლობა შესწირა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

საბედნიეროდ ქალს მოტეხილი არაფერი ჰქონდა. [illegible] მამაკაცები მეორე ოთახში გარეკა, რუსუდანს ფრთხილად ტანთ გააძრო, ორიოდე ცრემლი გადმოყარა და კარი გაიხურა.

კიბის ბოლოს, ქუჩაში გასვლის წინ, თეკლე გოგოსაშვილს მიუტრიალდა და ქმრის გასარკვევად გადაწყვეტილად უთხრა:

— ნოტარიუსო, ქვას შენი ავი და ბედითი თვალი, დღეიდან ჩემი ოჯახის გზა არ იცით. აღარ დამენახოთ! — თავი დარდიანად ჩაჰკიდა, შინისკენ მიტრიალდა და ნაბიჯი გადადგა. ცოტა მოშორებით ისევ წამოიძახა: — ბავშვებო, დამეხსენით, მამათქვენთან ერთად წამოდით! — თეკლემ მარტოდ-მარტომ გასწია შინისაკენ.

რუსუდანი დიდხანს მისჩერებოდა მობნელო კუთხეში მრგვალ მაგიდაზე უცნაურად აყუდებულ საგანს. ეგონა მეჩვენებაო და მხოლოდ ამიტომ ჰკითხა მამას, რა იყო ის უცნაური საგანი.

მამა წამოდგა, საგანს ხელები მოხვია და შვილს მიუტანა. რუსუდანმა გამოართვა ძვირფასი ფაიფურის ჩინური ლარნაკი და ხარბად დაუწყო თვალიერება. უეცრად ყურადღება მიაქცია ფსკერის ნაპირებზე შემოვლებულ ოქროს არშიას, რაც უთუოდ დამატებული ჰქონდა და რასაც ჩინურის ხელოვნებისა არაფერი აჩნდა. ოქროს არშიაზე მისი ყურადღება მიიპყრეს მოსევადებულმა ასოებმა. ამოთვალა კიდევაც ისინი: „მოდი, მომკალ, გაქვს სრული ნება. ბარძიმ“. ლარნაკი ცივად დადგა იატაკზე. წამოიწია და გამოშტერებულ მამას დაყვავებით ჰკითხა:

— საიდან გაჩნდა ლარნაკი?

— ბარძიმმა გიძღვნა, — აცნობა მამამ.

— და შენ, მამი, გამოართვი, მიიღე?

— . . . . .

— დარწმუნებული იყავი, გამახარებდა?

— ეგ არა, — გამოუტყდა მამა. — ეგ არა, მაგრამ...

— მაშ რა?

— ადრე იქნება თუ გვიან, ქალი უნდა გათხოვდეს. ჩემის აზრით, უკვე დროა.

— მამილო, შენ მაშინაც არ ფიქრობდი, როცა...

თომა დეკანოზი წამოვარდა, წარბები ერთმანეთში გაუყარა.

— დროა გათხოვდე. გაჰყვე კაცს და არა... მეზვრიშვილი ჩვენი ფარდი არ არის.

— მეზვრიშვილი ჩვენი ფარდი არ არის? მე კი დღემდე ვიცოდი, რომ ვისაც გავყვებოდი, ეს მხოლოდ ჩემი საქმე იყო.

— დღეის იქითაც ეს შენ საქმედ რჩება, მაგრამ ჩემის დასტურით და თანხმობით.

— მამი, შენი ეგ თანხმობა და დასტური გამოთქმული იყო.

— გამოთქმული იყო მაშინ, როცა მე მხოლოდ დეკანოზი თომა ვიყავი, ბევრი არაფერი მებადა, ჩემი ანაფორისა და ეპისკოპოსის მფარველობის გარდა.

— დღეს?

— დღეს სხვაა. რახან ეგ საქმე აქამდე არ მოხდა, გონიერება მოიხმარე, დასძლიე საკუთარ სურვილებს და გაჰყევი იმას, ვისაც მამაშენი ეტყოდა.

— ვის? ბარძიმს? — რუსუდანმა ლოგინიდან წამოიწია. — მე, ბაბალო, მაშინაც ასე სასტიკი იყავი, როცა ანაფორას იცვამდი: ამოიჭამე დედაჩემი, დახოცე ჩემი უმცროსი დები და ძმები, რომლებიც უნდა დაბადებულიყვნენ, დედაჩემს გასჩენოდნენ.

— ბოდავ! — წამოიყვირა დეკანოზმა.

ქალი ვეფხვივით წამოვარდა: მამას გულის პირში ჩაავლო ხელი და გამწარებით აწივლდა:

— თვითონ ბოდავ, მამავ! ცოდო გიჭერს ყელში ხელს, გახრჩობს და გაბოდებს. ახლა სხვა ქალები მოესხა ქვეყანას, ჩვენი დედები აღარა ვართ, მათ შეეძლოთ უსიტყვოდ, მუნჯად სიკვდილი, ჩვენ კი ეს აღარ შეგვიძლიან. მე გიტა მიყვარს, დედი-ჩემის საფლავთან მითქვამს მისთვის მე ეს სიტყვა „მიყვარს“ და მას უკან არ დავიბრუნებ. გავთხოვდები? ჩემი ბედი ის არის. თუ არა და...

გაშტერებული დეკანოზი უკან-უკან იხევდა. კედელს მიეყუდა. გასაქცევიც აღარ იყო. რუსუდანმა ხელი უშვა, დასწვდა ჩინურ ლარნაკს, გააღო ფანჯარა და გადისროლა.

თავი VII

ზვრისა და ვენახის დაკვირვებამ გიტას იმერეთში გამგზავრება გადააწყვეტინა. ვაზი მარტო მოუვლელობას არ დაეჩაგრა.

ფოთოლი ჭრაქს დაეცხავებინა, ფესო ფილოქსერას დაეხრა და დაემუწუკებინა. იმერეთში ზესტაფონელებს დიდი გამოცდილება ჰქონდათ ვაზის ჭლექთან ბრძოლისა.

ზესტაფონიდან ქუთაისში ჩასვლას ფიქრობდა. იქ იმ დროს ცხოვრობდა იმერლების სათაყვანებელი სტაროსელსკი, საქარის სანერგეს დამაარსებელი და ფილოქსერასთან ბრძოლის გამოცდილი ხალხოსანი. სტაროსელსკიზე ბევრს ლაპარაკობდნენ მთელს საქართველოში.

იგი არ მიეკუთვნებოდა იმ რუს ჩინოვნიკთა რიცხვს, რომლებიც საქართველოში ისე იქცეოდნენ, როგორ კოლონიურ პროვინციაში.

გიტამ ტანისამოსი ჩაალაგა. ქუთაისში დარჩენას ორ-სამ დღეს აპირებდა. მოემზადა გასამგზავრებლად. გააფრთხილა მშობლებიც. ამ დროს იპოვა სამუშაო მაგიდაზე გეზად დადებული ქაღალდი. გაშალა, წაიკითხა. ხელმოუწერელი ბარათი იყო. იდუმალი კორესპონდენტი სთხოვდა: ასულიყო ხაშურში, შეხვედროდა მას ოთხშაბათ საღამოთი, შვიდ საათზე, სადგურის პერონზე. სახელბარგო, დასავლეთ პაკჰაუზის მახლობლად. კორესპონდენტი ჰპირდებოდა, რომ თვითონ იცნობდა და გამოეცნაურებოდა.

გიტამ გამგზავრება გადასდო. მხოლოდ სამშაბათ საღამოთი გასწია გორზე გავლით ხაშურში. ღამე სასტუმროში გაატარა. დილით მოგვიანებით ადგა. საღამოს შვიდ საათამდე ბევრი დრო იყო და რადგან სხვა საქმე არა ჰქონდა, რკინიგზის საკვანძო სადგურის მტვრიან ბაზარსა და ქუჩებში ბორიალს მოჰყვა. ხაშურსაც პირველად ეწვია. ხალხი ცოტა იყო. მუშები დეპოში მუ-

შაობდნენ. ვაჭრები დუქნების წინ ისხდნენ ვენურ სკამებზე და აქთქნარებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაქმური მეეტლეები კოფოებზე სთვლემდნენ.

საბორიალოც შემოელია.

გაახსენდა: იქნება სადმე სამკითხველო იყოსო. მიიკითხ-მოიკითხა. ვერავინ ვერაფერი უთხრა. ხაშურელებს არც გაეგონათ ასეთი დაწესებულება.

ცოტა ხანს საპარიკმახეროში გაერთო. სანამ მისი ჯერი მოაღწევდა, გადაიკითხა ერთი გაზეთი და ჟურნალი „ეშმაკის მათრახი," რაც დალაქებს გამოწერილი ჰქონდათ უფრო მუშტრის შემოსატყუებლად, ვიდრე კულტურულ მიზნებისთვის.

იქიდან რომ გამოვიდა, თონესავით სიცხე იდგა. მზე უწყალოდ აცხუნებდა. ვერ გაჩერდებოდა კაცი ვერც შინ, ვერც გარედ.

გიტა თავქვე დაჰყვა და მტკვრის პირას ჩავიდა. სიცხე აქ უარესი იდგა, მაგრამ მდინარის ნიავი აგრილებდა ცოტათი. ტანთ გაიძრო და მდინარეში გადაეშვა. მხარულით გადიოდა ნაპირიდან ნაპირზე. სილაზე ნებივრობდა. ბოლოს ესეც მოსწყინდა. მდინარეც აირია. ტალახიანი წყალი მოვიდა. უთუოდ ბორჯომის მხარეზე სწვიმდა სადმე მესხეთის ღრმა ტაფობში.

უკვე ჩაცმული იყო. ჰალსტუხს ისწორებდა, როცა რიყეზე შეამჩნია: ბეგემოტებივით ბლაგვი და დასუქებული კამეჩები მოძანძალებდნენ პირდაპირ მდინარისაკენ. სიცხისაგან გაბოროტებული ცხოველები საშინლად ყროყინებდნენ. კამეჩები მიცვივდნენ და გიტას შორი-ახლო მდინარეში ჩაეშვნენ მძიმე ლოდებივით. თავები ღა უჩანდათ. გიტა გაერთო მათ ყურებაში. უყვარდა ეს უშნო, მაგრამ გამრჯე, დამჯერე და შრომაში საიმედო ცხოველები. ბავშვობისას თვითონ გამოეზარდნა ნიკორა კამეჩი. მივიდა კამეჩების პატრონი გლეხიც, მდინარის პირად ჩაცუცქდა. ფარაჯა რიყეზე დააგდო, დაჯდა და წინდები და ქალამნები გაიხადა. მერე ფეხები ამოიბანა. მზეზე გაიშვირა გასაშრობად და წამოწვა ძირს გაფენილ ფარაჯაზე.

გიტამ ახლოს გაუარა გლეხს. გლეხი წამოდგა და გაუღიმა. ნაცნობი გამოდგა. ელიზბარის მეზობელი იაგორა ბალთიაშვილი. გაუკვირდა გიტას. ლიახვის ხეობელი გლეხი ხაშურში იშვიათად დადის ქირაზე. გორი, ქარელი და ცხინვალი უფრო დასახრისია მათთვის.

გაუკვირდა და ნიშნეულად ეჩვენა. კითხვა დაებადა: რაღა მაინცა და მაინც დღეს შეხვდნენ აქ? არ იცოდა, როგორ გამოლაპარაკებოდა და სიტყვის გულისათვის ჰკითხა მხოლოდ:

— როდის ამოდი, იაგორ?

— აგერა მეორე დღეა. — მიუგო მან.

გიტას უცნაური ბარათი მოაგონდა. თითქოს მისი იქ მაგიდაზე დამდები უნდა აღმოაჩინოსო, კითხვები განაგრძო:

— ქირა ამოიტანე?

— ქირას ხაშურში არ ვეზიდებით ჩვენა, ურემი ხე მინდოდა, მთაში უნდა ავსულიყავით, ამოგვერჩია თელა. კაცი არ დამიხვდა შინა. აგე ორი დღეა ვიცდი. ის ღა მოვიმოქმედე, თვალები შემოვჭედე. ი კაცი ჯერაც არა სჩანს. მგონია, ხვალაც აქ დავრჩე, — უკმაყოფილოდ მიუგო იაგორამ და ისევ დაჯდა, წინდები გაბერტყა და ჩაიცვა.

იცრუა იაგორამ. იცოდა გიტამ: ლიახვის ხეობელი ასე შორს ურმის ხისთვის არ წამოვიდოდა. ურმის ხეებს ლიახვისპირელები გაუფთლებისა და საცხენეთლებისაგან ყიდულობენ. კიდევ გაახსენდა ხელმოწერილი ბარათი. დასტოვა იაგორა მტკვრის პირად და მოჩქარებით [illegible] ბანობას ემოქმედნა. მადა მოუვიდა. პირი ნერწყვით ევსებოდა. ათი ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, იაგორას ხმა მოესმა:

— ბატონო, ცოტა მომითმინეთ!

გიტა შედგა. მიტრიალდა მისკენ.

— დილით დეკანოზის ქალი შემხვდა ბაზარშია, თქვენი ამბავი მკითხა. მოვახსენე, რომ კარგადა და მშვიდობით ბრძანდებით. ეგ კი აღარ ვიცოდი, აქ თუ იქნებოდით, თორემა...

— დეკანოზის ქალი? ვისთან იქნება ჩამოსული, ნათესავი ხომ არავინა ჰყავს აქა?

— მაგისი არა ვიცი რა, ცოტა შეუძლოდა ვარო და სურამში ვარ დაჩაზედაო. ასე მითხრა, მამაც თან ახლდა. სხვა არა უთქვამს რა.

— ქალაქში ხომ არ წავიდოდა, თუ იცი?

— ქალაქში, არა მგონია, მას შემდეგ, რაც მე ის შემხვდა, ქალაქში არა წასულა რა.

— გმადლობ, იაგორა!

გადაუხადა გიტამ მადლობა. გაბრუნდა და მოჩქარებით გასწია სადგურისაკენ. პერონზე ხაშურ-ბორჯომის სააგარაკო მატარებელი დადგა. საღამომდე კიდევ ბევრი დრო რჩებოდა.

გზაში მოიფიქრა: წერილი უთუოდ რუსუდანისა არისო. იქავ დაეჭვდა: თუ მისია, ხელმოუწერელი რადაო ან ხელი რატომ ვერ ვიცანიო. შვიდამდე ოთხი საათი მაინც უნდა ეცადა. ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა სურამში ასვლა და ჩამობრუნება. ჩიხებში დაუწყო თვალიერება სურამის ვაგონებს. ვერსად შენიშნა. მორიგე აგენტს ჯერ განკარგულებაც არ გაეცა მის ჩამოსაყენებლად. ატრიალდა ბაქანზე. ვერ გადაეწყვიტა. გული მისწევდა სურამისაკენ. იგივე გული იქვე ჯაჭვავდა. პაკჰაუზი მოსჩანდა. შვიდ საათზე იმ ადგილას უნდა გახსნილიყო საიდუმლოება. ვინ იბარებდა?

მაზუთის ავაზანებთან ორთქლმავალი შენიშნა. ავაზანის ბაქანზე მუშა იდგა. ონკანის მკლავი ეჭირა. ხორთუმი ტენდერში ჩაეშვა. შავი მასით ავსებდა ორთქლმავლის ბაკს.

მემანქანეს ბაკის მუშა ედავებოდა. მაგარ-მაგარებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. ამ მაგრებმა გიტას ყურადღება მიიქციეს. ორთქლმავალს ახედ-დახედა.. ჩვეულებრივი მანქანა იყო. შავი, ჭვარტლით გამურული, ზინზლიანი, წყვილსაბოლავიანი. მემანქანისა და ბაკის მუშის გარდა, საფეხურებთან შენიშნა მესამეც — მემანქანის თანაშემწე. ის გოგრებს, კრიალა ბერკეტებს, ცილინდრებს ათვალიერებდა. წმენდდა, ასუფთავებდა ორთქლმავლის ფეხებს. ჩურჩხელასავით იყო ამოვლებული მაზუთში და მენახშირესავით გაშავებული.

უეცრად ის, მესამე, ორთქლმავლის საფეხურებთან დადგა, დოინჯი შემოიყარა და შავად გამურულ სახეზე თეთრი კბილები გამოაჩინა. უცნობმა უტიფრად დაუწყო გიტას ცქერა. თვალი თვალში გაუყარა. გიტა ადგილზე გაშეშდა. ეს უტიფარი თვალები ეცნობოდა. ათასჯერ ენახა: ნეტავ სად? და

უეცრად, თითქოს რამდენიმე წელიწადს ყურში ჩარჩენილი ბგერა გაიმეორდაო, გაიგონა:

— გიტავ, ველარ მიცან განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოლავ! — წამოიძახა გიტამ, ისკუპა, ლიანდაგს გადაევლო, ორთქლმავალთან მივარდა და მაზუთში ამოვლებულ თანაშემწეს გადაეხვია.

გოლა კამკამიძე იყო. სემინარიელი ამხანაგი, ჩუმი ეშმაკი ბიჭი, გიტასავით ოთხიანი რომ გამოჰყვა ატესტატში.

— ჰა, გიტავ, ხედავ სად შეგხვდი! — ამბობდა ის.

გიტა კვლავ გადაეხვია. ერთხელ კიდევ გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

— როგორ მოეწყე, გოლა? — ჰკითხა გიტამ.

— რასაც ხედავ, ეს არის. ჩემი საქმე შენსავით არ მოეწყო. მღვდელიც ველარ გავხდი. ვზივარ ამ საცეცხლურზე.

ბაკის მუშამ ონკანი მიაბრუნა. ტენდერი სავსე იყო მაზუთით. მემანქანემ გიტას და გოლას გადახედა. ულვაშებში ჩაიცინა: გადახვევის კვალი გიტას თეთრ კოსტუმს მაგრად დაკრულ ბეჭედივით აჩნდა.

— დაგყავს, დაგყავს ეს საცეცხლური, ჰა?

— ჰო-დე, დამყავს, დავაქროლებ.

— რა ხარ, გოლა, მღვდელი თუ დიაკვანი ამ საცეცხლურზე?

— მღვდლად საკურთხევლად წარდგენილი დიაკვანი.

მემანქანემ კვლავ გადახედა მათ. თვალით ანიშნა გოლას, ეს უცხო ვინ არისო.

— მორიგეობას უშენოდ დავასრულებ, წადი შინ, გოლა, — უთხრა მემანქანემ გოლას და ტყავის ქუდი გადმოუფრიალა ზემოდან.

გოლამ ქუდი დაიჭირა. დაიხურა. საზეთავი თუნუქები ორთქლმავლის ბაქნებზე (შეჰყარა, მერე გოლა და გიტა სადგურის მთავარ შენობისაკენ გაემართნენ, მესამე კლასის ბუფეტში შევიდნენ და იქ პატარა მაგიდას მოუსხდნენ.

გოლამ საჭმელები შეუკვეთა.

გიტას ძალზე მოშივნოდა, არც გოლა იყო ნაკლებ მადაზე. მთავარი კი სიხარული იყო, რაც მეგობრებს მადასაც უღვიძებდა და ხალისსაც უძლიერებდა.

*
* *

იაგორამ კამეჩები დაბანა. თითონაც ჩავიდა მდინარეში. ცურვა არ იცოდა, ლომას კუდს მოეჭიდა და კარგა ხანს ნებივრობდა წყალში. ცოტა რომ აგრილდა, კამეჩები გამორეკა წყლიდან. გაუბა ურემში, დაჯდა კოფოზე და გადაჭრა სახრე. დასავლეთის სემაფორთან საურმეზე გავიდა და ლობის კალთაზე მიფენილ სოფელ ტეზერს გახედა. გამოიანგარიშა: დაბინდებულში კამეჩებს სოფელს გარედ გამოუშვებდა მინდორზე. მერე თავი ჩალუნა და დააღიღინა მწუხარი, მაგრამ გულის გამამხნევებელი, დარდის გამქარვებელი ურმული. ალო ალალო.... ალო... ოო....

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სადილი დიდხანს არ გაგრძელებულა. ხელდახელ დანაყრდნენ, ორიოდეთელი ღვინო გამოსცალეს. გოლა კამკამიძე წინ წავიდა. ბევრი ჰპატიჟა გიტა, შინ გამომყევიო. გიტა ცრუობდა: ახლავე სურამში უნდა წავიდე, იქ ავადმყოფი მყავს სანახავიო.

მოსაღამოვდა. პერონის თავსა და ბოლოში, გადახურულ ბაქანზე გაზის ფარნები ააბდღვრიალეს. მწყემსებმა სადგურის უკანა ქუჩით ჩაატარეს ნახირი, ძროხები ბღავილ-ბღავილით მირბოდნენ.

სადგურზე საღამოს სააგარაკო მატარებლებიც ჩამოდგა. გიტა დასავლეთის პაკჰაუზის მახლობლად აბორიალდა. მუშები სავსე ურიკებით გარბოდნენ. როხინებდნენ საბარგო ვაგონის კარები და ბოქლომები.

ფეხებში ებლანდებოდა მუშებს. ამიტომ ზედ პაკჰაუზთან მყუდრო კუთხე ამოირჩია, დადგა და დაიწყო ცდა.

— ხორბალი! — შემოესმა გიტას. ეს სიტყვა პაროლი იყო, ხელმოუწერელ ბარათში აღნიშნული. მიიხედა. გამოწყობილი გოლა კამკამიძე დაინახა. კეპი ეხურა. გაღეღილ პიჟაკში მოუჩანდა სუფთა ტილოს გადაფენილ საყელოიანი ხალათი, ჰალსტუხის მაგივრად გადაფსკვნილი გუჩუჩიანი ზონარით. ფეხზედაც გაპრიალებული შტიბლეტები ეცვა. რკინის სვეტებივით იმედიანად ჩამკვრივულ თეძოსა და ბარძაყებზე პიჟაკის ნაჭრის შალის შალვარი ეცვა.

— რაღად მაწვალე? — უსაყვედურა გიტამ.

გოლა იცინოდა. გიტას ეჩვენა: ასე გაუჩენია განგებას — გოლას კბილებს ტუჩები ვერა სწვდებიანო.

— მაგისი დრო არ არის! — უთხრა გოლამ და უბრძანა: — მომყე!

გოლა დასავლეთის სემაფორისკენ გაქანდა. სადღაც შორს, ზედ შეღმართის ძირას წითელ ვაგონებს ფერლა მობმოდა. მანქანა ქშუოდა, ქშინავდა, ორივე მილიდან სქელი კომლის ღრუბელში ხვევდა საკვანძო სადგურს, ურჩხულივით იბერებოდა და ემუქრებოდა რაღაცას. ვესტინჰაუზის ტორმოზის სასულე კი მონოტონურად კვნესოდა. ტფუ, ტფუ, ტფუ!

გიტა ფეხდაფეხ მისდევდა ამხანაგს. ლიანდაგებს შორის ჩამდგარ მაზუთის გუბესა და ჭოჭში ფეხი უვარდებოდა. ჭუჭყი სახესა და ტანსაცმელზე ესხმოდა.

ფერლას საფეხურებს მიაღწიეს. გოლა ჩამორჩა, გიტა წინ გაატარა, ერთის ჯიკავით შეაგდო მაღლა და თითონაც შეჰყვა. მერე ყველაფერი დაბნელდა, ორთქლსა და ბოლში გაეხვივნენ. ეშმაკიც კი ვეღარ მიეკარებოდა მანქანას. გიტა კუთხეში მიიკუჭა. შეშინებულივით მოიზღარბა და სული გატვრინა.

გასცილდნენ თუ არა ჩიხებს, გიტამ იცნო გოლას მემანქანე და ახალი ცეცხლფარეში. ისინი აკრძალულ თამაშზე წასწრებულ ბავშვებივით იცინოდნენ. გიტას თვალს უშვრებოდნენ. უმატებდნენ ცეცხლს ორთქლმავალს.

მძიმე ტვირთი იყო. ბევრი ორთქლი სჭირდებოდა მანქანას შეღმართში. შემადგენლობა ნიავისაგან გატაცებული ბუმბულივით მიჰქროდა. მემანქანე გარეთ იცქირებოდა, გზას უყურებდა. თავმომწონედ ამბობდა:

— ეს, ძმაო, ნაღდი მანქანაა, ღონიერი. კამპჰაუნდს კი არა ჰგავს. ახლა, მოხვეულებში როგორ იცის შემადგენლობის გაყვანა!

გოლას გული არ უთმენდა, ხან ცეცხლფარეშს მიეშველებოდა, ხან მემანქანეს. თეთრად გაქათქათებული ხალათი, სამაჯურები და საყელო მაზუთით გაესვარა.

— რაღად ჩაიცვი, თუ კი გასაჭუჭყიანებლად გინდოდა? — ეკითხებოდა მემანქანე.

შუა გზაზე მემანქანემ შემადგენლობა შეაჩერა. გოლა და გიტა ჩამოხტნენ. ტეზრის შესახვევის შეღმართს შეუდგნენ. მატარებლის კუდის ვაგონი ღა მოსჩანდა.

— აღარ მკითხავ, სად ეშმაკში მიმყევხარ? — ჰკითხა გოლამ გიტას.

— მივალთ ადგილზე და გავიგებ! — მიუგო გიტამ.

მაღალ ფიჭვთან შეჩერდნენ. გოლა მიტრიალდა, გიტას თვალი გაუსწორა და უთხრა:

— გიტა, ამდენი ხანია არ მინახიხარ. იმ იმედით მიმყავხარ, რომ დარწმუნებული ვარ, ისეთივე ამხანაგი დარჩებოდი, როგორიც სკოლაში იყავი.

— შენა? — ჰკითხა გიტამ.

— მე, ხომ ხედავ, მღვდელი კი არა, კაცი ვარ! — ჩაილაპარაკა მან და ერთი ისეთი გაიღიმა, თითქოს ტუჩები კი არ გახსნა, პიჯაკს ხელი გაიკრა, პერანგი გაიფხრიწა და გული გამოაჩინა. ჰა, თუ არა გჯერა, შიგ ჩაიხედე და გაიგე, რაცა ვარო.

ბნელოდა. ეზოში ვიღაც ნავთურით დადიოდა. ახლოს მივიდნენ. ნავთურიანს ხელში გვერდულად თეძოზე მოდებული გოდორი ეჭირა. კამეჩებს ბზეს უყრიდა ბარში. გიტამ თვალებში ჩახედა ნათურიანს; იცნო. იაგორა ბალთიაშვილი იყო. თვალები ერთმანეთს მიაშტერეს, შესცინეს ერთსა და იმავე ბეღელში საქურდლად შესული ორი ქურდივით და უსიტყვოდ გაჰყვნენ გოლას.

ტეზრელი გლეხის სახლში, სადაც გიტა შეიყვანეს, ერთი სხვა ნაცნობიც აღმოჩნდა. თბილისელი იყო, კომიტეტის მიერ მივლენილი ამხანაგი.

გიტა მას იალტაში წასვლამდე იცნობდა. არ იცოდა მხოლოდ, თუ პარტიულ დავალებებს ასრულებდა.

სახლის პატრონი, მასპინძელი, მაღალი, ხშირულვაშიანი და მუხასავით მძლავრი ვაჟკაცი, ხშირად გარბოდა გარეთ, სიბნელეში. დარაჯობდა საკუთარ სახლს და თვალ-ყურს ადევნებდა ეზოში შესასვლელ გზებზე დაყენებულ დარაჯებს.

იქვე იყო მასპინძლის მეუღლე, ქმარივით სრული, გულმკერდმოღერებული, ამაყი შესახედაობის, საამური სანახავი დედაკაცი. გიტას უეცარი დასკვნით, იგი ისეთი ქალი იყო, რომლის ერთხელ ოჯახში გავლაც კი ოჯახისთვის ბედნიერება იქნებოდა. გრძელი, ხშირი და ანტრაციტივით შავი თმა ბაგირის კანძებივით ელაგა მხრებზე, ხოლო ფართო და მრგვალი მოძრავი ნესტოებით ისე მძლავრად სუნთქავდა, თითქოს რაც ლიხში ჰაერია, მარტო მას არ ეყოფაო.

დიასახლისმა მარტო გიტას ჩამოართვა ხელი. სხვები დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ და ისინიც ისე შინაურულად, ძალდაუტანებლად ეპყრობოდნენ მას, როგორც დიდი ხნის ნაცნობები და ნათესავები. იყო პატარა ბიჭიც. ასე თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა. მამასავით გარუჯული და ძარღვიანი, დედასავით მოცისფერო-თვალება. პირწავარდნილ მშობლებს გამოსახავდა. ბიჭი კომიტე-

ტიდან მივლენილის გვერდით იჯდა. ხმას არ იღებდა. მოწიწებით ადევნებდა თვალს ყველაფერს. გრძნობდა: დიდ საქმეში გაურიეს უფროსებმა.

მეორე ბავშვს ტახტზე გაშლილ ლოგინზე ეძინა. ჩჩვილი [illegible] ის მაშინ შენიშნა, როცა ბავშვი ზეზე წამოდგა, ლოგინიდან, [illegible] კარული არა ჰქნა, თავი შეიმაგრა, პატარა მუჭებით სინათლისაგან აჭრილი თვალების სრესა იწყო და უეცრად წამოიძახა:

— სისი, სისი...

დედა იმ დროს ოთახში არ იყო. გოლა მიეხმარა. გადაიყვანა ძირს, სოხანზე...

მერე ისევ ჩააწვინა ლოგინში, მიაფარა საზაფხულო საბანი და დოდღინა ბანით ნანა უთხრა.

ჩჩვილმა უცნობი ხმა გაიგონა თუ არა, შიშით თვალები დახუჭა. სწრაფად მიიძინა.

კომიტეტიდან მივლენილმა და გიტამ გადალაპარაკება მოასწრეს. გაეცნენ ხელმეორედ.

ამ დროს მასპინძელიც შევიდა. ულვაშებზე ხელი გადაისვა და განაცხადა: მეტს აღარავის მოველითო.

ყველანი ტახტზე ჩამოსხდნენ.

მხოლოდ კომიტეტის წევრმა მონახა სკამი და მათ პირდაპირ დაჯდა. კარი გაიღო. დიასახლისი შევიდა. ერთი იღლია თეთრ ტილოში შეხვეული შოთი დასდო საფენ გადაფარებულ მაგიდაზე, რაზედაც მანამდე მარტო სამარილე და შავტარიანი დანა იდო. მერე ისიც ქმრის გვერდით ჩამოჯდა ტახტზე, ყურებზე გადმოფარებული თმის კავებისაგან საყურიანი ნიჟარები გაინთავისუფლა და ბროლივით ჩამოქნილი, იდაყვებამდე შიშველი მკლავები დამალა.

მასპინძელი უხერხულად შეიშმუშნა. კომიტეტიდან მივლენილმა ყურადღება მიაქცია და იკითხა:

— რა ამბავია? რაშია საქმე?

— არაფერი, — მიუგო მასპინძელმა და ცოლს მიმართა: — ქალო, სათონეში მაიცადე, ჩვენ სულ ჩქარა მოვრჩებით.

ქალი გაწითლდა, ნაკვერჩხლივით აენთო. კომიტეტიდან მივლენილმა და სხვებმა გაიცინეს. მერე ყველამ ერთად ქალს შეხედეს.

— ქმარი აქა მყავს და შვილები, მე სათონეში რა მინდა? სადაც თქვენა, იქ მეც, — დარცხვენით ჩაილაპარაკა და წასვლის მაგივრად ქმარს უფრო მიეკრა გვერდში. მერე ითქოს ეს სიმაგრე საკმაოდ სანდობი არ არისო, შვილს მოავლო ხელი და მეორე მხარეს მოისვა, იღლიაში ჭუჭულივით შეიხუტა. ქმარმა თავი დახარა.

დაწყნარდნენ. მივლენილმა საქმიანად დაიწყო:

— ყველამ ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ. ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი ჩვენი ნაბიჯი ისე იქნება თქმული და გადადგმული, რომ რევოლუციას თუ ზღვა არა, თუ გრიგალი არა ერთი წვეთი წყალი და ერთი ფრთა ნიავი მაინც უნდა მივაშველოთ. ჩვენ მხოლოდ რევოლუციისათვის ვართ, თავის წილად. იარაღს იაგორა წაიღებს სოფელში. ღამით ივლის, დღით შეეფარება. ამ იარაღს გიტა და გოლა გაუნაწილებენ სანდო ხალხს. გოლა იცნობს მათ. ჩვენ მათთან ვმუშაობდით, გიტას მამულში მისვლამდე. ახალ მათ სათითაოდ გააცნობენ გიტას გოლა კამკამიძე და იაგორა. იარაღს მარტო ჩვენ კი ნუ

მოგვთხოვენ. ვისაც შეუძლიან, თვითონ შეიძინოს. იარაღი, იარაღი და კიდევ იარაღი! შეიარაღებული ბრძოლა, დაუნდობელი ბრძოლა! აი ყველაფერი, რაც უნდა გადმომეცა თქვენთვის კომიტეტის სახელით, ამ სიტყვებით და წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიტამ ხელი გააპარა. ქალამნის ტყავივით ხერხეშა იაგორას ხელს ხელი ჩაავლო და მოუჭირა, შესცინა. იაგორამაც გახსნა შუბლი. გაუღიმა. მეგობრებად გადაიქცნენ, ძმებზე უფრო მახლობელ ადამიანებად. მანამდე იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ რა ცნობა იყო ის? აგერ სულ რამდენიმე საათის წინად, ხაშურში, ერთმანეთისა არა ესმოდათ-რა, ეგონათ: შემთხვევით გადაეყარნენ.

გახარებული გიტა თვალს ვერ აშორებდა გოლა კამკამიძეს. გული და ძარღვები შეუპოვრობით ევსებოდა. ამხანაგებს ის არა თუ დავიწყებოდათ, არამედ მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებას და ისევ რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმას, უკვე პრაქტიკულად, იარაღით ხელში.

ის რომ ნეტარ ფიქრებში იყო, დიასახლისი მაგიდის გარშემო ტრიალებდა. ავსებდა მაგიდას პურით, ღვინით, მწვანილით და შემწვარით.

მასპინძელს კი, რომელიც მაგიდას ჯერჯერობით მარტო მისჯდომოდა, ბარძაყზე ხარა დოქი ედგა და სასმისებს სინჯავდა.

ნავახშმევს ერთად გამოვიდნენ. იაგორა და მასპინძელი ცალკე წავიდნენ. იაგორა იარაღით დატვირთავდა ურემს ფიჭვნარის წვერზე, სადაც იგი შენახული ჰქონდათ რევოლუციონერებს თივის ძირებში. გიტა, გოლა და მივლენილი ამხანაგი ვარვარინოს სადგურისკენ წავიდნენ. იქ დაემშვიდობნენ ერთმანეთს. გოლა და თბილისელი ამხანაგი ხაშურში დაბრუნდნენ, გიტამ კი რბილი ვაგონის ბილეთი აიღო და ქუთაისის მატარებელს გაჰყვა იმერეთში.

საკმაოდ მოქანცულ გიტას ძილი არ მიეკარა. ზესტაფონის დალმართზე მატარებელი საშინლად ჯანჯღალებდა. ბუფები ჯახუნებდნენ, გადასაბმელი ჯაჭვები ჩხარუნებდნენ. ორთქლმავალი წამდაუწუმ უსტვენდა: აცნობებდა კონდუქტორებს, მუხრუჭებს გაფრთხილებოდნენ.

გვირაბს იქით ფანჯარა ჩამოუშვა. გახედა მთვარით განათებულ მიხვეულ-მოხვეულ გზასა და მთებს. ფიქრმა წაიღო.

აი ის პავლიას ბიჭი, სტაროსელსკისთან მიდის ქუთაისს. ფილოქსერასთან ბრძოლის პრაქტიკულად დაყენება უნდა შეისწავლოს იმერლებისაგან. დაბრუნდეს, შინ ქართლში, ელიზბარის მამულში იშრომოს, ოფლი ღვაროს, გაამდიდროს ელიზბარი და გაუმაგროს მას საფუძველი. მერე, ვინ უნდა ჰქნას ეს? მან, გიტამ, პავლიას ბიჭმა, რომელსაც მთავრობამ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება არ მისცა. მან, გიტამ, რომელმაც ეს-ეს არის იარაღის გაგზავნაში მიიღო მონაწილეობა და სოფლად გლეხობაში მუშაობა იკისრა.

მერე რად? ნუ თუ ეს მისი გზაა? არა, ეს მისი გზა არ არის.

გიტა გლეხის შვილია. იმისთანა ხალხის შვილი, რომელსაც ხელით ახრჩობენ, რომ სწავლა არ მიიღოს, რომ მუდამ მონობაში იყოლიონ, რომ თავში სცემონ და არ მოასვენონ.

მაშ როგორ მოიქცეს?

ისევე უნდა მოიქცეს გიტაც, როგორც მისი ამხანაგი, გოლა კამკამიძე იქცევა. გოლასაც დაჰყავს ორთქლმავალი. დაჰყავს და იმ ორთქლმავალიანად გოლა ხალხისა და რევოლუციის იმედია.

ასე უნდა დააყენოს გიტამაც თავისი საქმე, თავისი შრომა. იმუშავებს, დღესა და ღამეს გაასწორებს, ისე კი, რომ ელიზბარის მამული გოლას ორთქლმავალივით რევოლუციის ხელში აღმოჩნდეს. ამ დღეს იქით ბიბა ჩარგავს ვაზსა და ვაშლს, დასთესავს ხორბალს მხოლოდ რევოლუციისათვის, თავის მშობელი ხალხისათვის.

ზესტაფონში ინათა, რიონში გათენდა. ბაღდადის მთების მწვერვალებს მზე იხვევდა მკლავებში.

ქუთაისის დილა იყო. ცვრიანი, წყნარი. მზის სხივებით და ყვავილების სუნით გათანგული.

საღორიის ტყის მუხნარის რტოები ელამუნებოდნენ ვაგონის ფანჯრებს. გვერდით მიშხუოდა რიონი, აქაფებული, შეგორგილი, მთვრალი დათვივით რუხმოშაო და აბორგებული.

გიტა იმერეთსაც პირველად ხედავდა. ვაგონი სავსე იყო მკვირცხლი იმერლებით. მიჩერებოდა მათ გიტა თვალებში და ყოველგანში სურდა დაენახა აკაკი და ნ. ნიკოლაძე.

ჩავიდა საფეხურებს. ქუთაისი მზეზე ნებივრობდა. ხალხი ირეოდა სადგურსა და ქუჩებში. რიონს ქალაქი შუაზე გაეპო. ეტლი დაიქირავა. პირდაპირ გასწია გუბერნატორის კანცელარიისაკენ.

პირველი წიგნის დასასრული

ალფონს დოდე

ბელიზერის გერმანელი

ამ კვირაში მონმარტის სამიკიტნოში ერთი ამბავი მოვისმინე. ამ ამბის კარგად მოყოლისთვის დამჭირდება ოსტატ ბელიზერის გარეუბნული ლექსიკონი, მისი დიდი სადურგლო წინსაფარი და ორი ან სამი ჭიქა მონმარტის თეთრი ღვინოს გემოზე გადაკვრა. ეს ღვინო მარსელელსაც კი პარიზულ კილოს მისცემს. ამის შემდეგ დავრწმუნდებოდი, რომ თქვენ ისეთივე თრთოლვა აგიტანდათ, როგორიც მე განვიცადე მაშინ, როდესაც ბელიზერი თავის ამხანაგებს სუფრაზე ამ სამწუხარო და ნამდვილ ამბავს მოუთხრობდა.

„... ეს ამბავი დროებითი ზავის მეორე დღეს მოხდა. ჩემმა ცოლმა მე და ბავშვი ვილნევ-ლა-გარენისკენ გაგვგზავნა იმ პატარა ფარდულის დასათვალიერებლად, რომელიც იქ, სენას პირად, გვქონდა. ფარდული ალყის შემორტყმის შემდეგ აღარ გვინახავს. ამ ტინგიცის წაყვანა მაბრაზებდა. ვიცოდი, რომ გერმანელებს შევეხეჩებოდი, და რადგან პირისპირ მათ ჯერ არ შევხვედროდი, მეშინოდა, რაიმე ხიფათს არ გადავკიდებოდი. მაგრამ ჩემ ცოლს ამის შესახებ საკუთარი აზრი ჰქონდა.

— აბა, გასწი! ბავშვი სუფთა ჰაერს გადაყლაპავს.

მართლაც, ბიჭუნას ჰაერი სჭირდებოდა. ხუთი თვე ალყაშემორტყმულნი ვიყავით. დავობდით.

გავსწიეთ ორმა, მინდვრები გადავიარეთ. არ ვიცი, ბიჭუკელა კმაყოფილი იყო თუ არა, რომ ხელახლა ხედავდა ხეებს, ფრინველებს და დახნულ მიწაზე ფეხების თხლაშუნით გულს იჯერებდა. მე კი გუნებაზე არ ვიყავი. გზებზე ბევრი წვეტიანი ჩაჩქანი ეყარა. არხიდან მოყოლებული კუნძულამდე სხვა არაფერი გვხვდებოდა. უდიერნი!.. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ფეხი არ მეკრა... მაგრამ ნამდვილი სიბრაზით მაშინ ავინთე, როდესაც ვილნევში შევედი და დავინახე მთლად განადგურებული ჩვენი საბრალო ბაღები, კარ-დაღებული, გაძარცული სახლები, შიგ დაბინავებული ბანდიტები, რომელნიც ფანჯრიდან ფანჯარაში ერთმანეთს გასძახოდნენ. ჩვენს ლობეებზე საცვლები გაეფინათ გასაშრობად. საბედნიეროდ, გვერდით ბავშვი მომყვებოდა, და ყოველთვის, როდესაც ხელი მეტისმეტად მომექავებოდა, პატარას შევხედავდი და ვფიქრობდი:

— კლოდი თან გახლავს, ბელიზერ! ფრთხილად ვიყოთ, ბიჭუნას ფათერაკი არ შეემთხვეს.

მხოლოდ ეს მაკავებდა, რომ რაიმე სისულელე არ ჩამედინა. მაშინ მივხვდი, ცოლმა ბავშვი რატომ გამომატანა.

ფარდული სოფლის ბოლოში იყო, მარჯვნივ, მდინარის ნაპირას. იგი, როგორც სხვა ფარდულები, სულ დაეცალიერებინათ. არ დაეტოვებინათ აღარც ავეჯი, აღარც ფანჯრის მინები. დამხვდა მხოლოდ ჩალის რამდენიმე კონა და დიდი სავარძლის ერთი ფეხი, რომელსაც ბუხარში ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. გერმანელი ყველგან იგრძნობოდა, მაგრამ არსად არა სჩანდა... ბოლოს თითქოს რაღაც ფაჩუნი მომესმა სარდაფში, სადაც კვირაობით ჩავდიოდი და წვრილმანი ნივთების კეთებით თავს ვირთობდი. ბავშვს ვუთხარი, დამიცადე მეთქი. და ქვემოთ ჩავედი სარდაფის დასათვალიერებლად.

კარი გავაღე თუ არა, ერთი ახმახი გერმანელი ჯარისკაცი შემომეფეთა. ბურდღუნით ბურბუშელიდან წამოდგა, ჩემსკენ წამოვიდა თვალებ-გადმო-

კარკლული, თან ჩემთვის გაუგებარ გინებას სეტყვასავით მაყრიდა. ამ პირუტყვმა, ალბათ, ცუდი სიზმარი ნახა. სიტყვის თქმა ვერც-კი მოვასწარი, რომ ხმალი იშიშვლა.

სისხლი ამემღვრა, დაგუბებული ბოღმა თავში ამივარდა. ... ... საჭრელს ხელი დავსტაცე და დავარტყი... ამხანაგებო, თქვენ იცით ბელიზერის მკლავის ძალა, მაგრამ იმ დღეს, როგორც ეტყობა, მისი მუშტი მეხად იქცა. პირველი დარტყმისთანავე გერმანელი დაწყნარდა. გაითხლარშა. ვიფიქრე: გაბრუვდა მეთქი, დიახ! მაგრამ... მან, ჩემო ბავშვებო, თქვენი ჭირი წაიღო. თავისთვის უნდა მეშველა.

ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომიკლავს, ტოროლაც კი, მაგრამ ამოდენა მუდრეგი ჩემს წინ გაშხლართული რომ დავინახე, მაინც სასაცილოდ მეჩვენა... ლამაზი, ქერა ვაჟკაცი იყო, ღმერთმანი, მისი პატარა რბილი წვერი ბურბუშელასავით ხუჭუჭი იყო, გერმანელს დავცქეროდი და მუხლები მიკანკალებდა.

ამასობაში ბავშვს მაღლა მოსწყინოდა და მთელი ძალით გაჰკიოდა:

— მამა, მამილო!

გერმანელები გზაზე მიდი-მოდიოდნენ. სარდაფის სასულედან მათი ხმლები და დიდი ფეხები მოსჩანდა. უეცრად აზრმა გამიელვა:

— რომ შემოვიდნენ, ბავშვი დაიღუპება... დაგვხოცავენ.

გათავდა. აღარ ვკანკალებდი. თვალის დახამხამებაზე გერმანელი დაზგის ქვეშ შევკუჭე. მივაყარე ყველაფერი, რაც კი იქ მოიპოვებოდა: ფიცრები, ბურბუშელა, ნახერხი. მერე ბავშვთან ავედი.

— წავიდეთ!

— რა მოგსვლია, მამილო, როგორ გაფითრებულხარ?!

— გასწი, გასწი!

სულ მეჩვენებოდა, რომ ვიღაც უკან მომდევდა, მეძახდა. ერთხელ მომესმა, თითქოს ჭენებ-ჭენებით ცხენი წამოგვეწია. ასე მეგონა, ელდისაგან წავიქცეოდი. მაგრამ ხიდს რომ გავსცდი, ნელ-ნელა გონს მოვედი. სენ-დენი ხალხით იყო გაჭედილი. იქ საშიში აღარაფერი იყო. ამ ბრბოში ვეღარ მოგვაგნებდნენ. ახლა მხოლოდ ჩემი საბრალო ფარდული მენანებოდა. გერმანელები ამხანაგის გვამს რომ ნახავდნენ, შურის საძიებლად ცეცხლს წაუკიდებდნენ. ამასთან გამახსენდა ჩემი მეზობელი ჟაკო, თევზის ჭერის ზედამხედველი, ამ კუთხეში ის ერთადერთი ფრანგი იყო. მის მახლობლად მოკლულ ჯარისკაცს რომ აღმოაჩენდნენ, შეიძლება ჟაკო დაღუპულიყო. ასეთი თავის გადარჩენა, მართლაც დიდი ვაჟკაცობა არ იყო.

ჟაკო უნდა გამეფრთხილებინა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით პარიზს, მით უფრო მტანჯავდა ეს აზრი. გერმანელის ჩემს სარდაფში დატოვებაც მაწუხებდა. მიწაყრილთან თავი ვეღარ შევიკავე.

— შინ წადი, შვილო, — ვუთხარი პატარას, — სენ-დენში მე ერთი მუშტარი მყავს.

ბავშვს ვაკოცე და გავშორდი. გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, მაგრამ თავს მაინც არხეინად ვგრძნობდი, ბავშვი თან რომ აღარა მყავდა.

როდესაც ვილნევში შევედი, უკვე ღამდებოდა. თვალს ვაჭყეტდი, ფეხებს ფრთხილად ვადგამდი. თუმცა მიდამო საკმაოდ მიწყნარებული იყო, ფარდული თავის ადგილს დამხვდა, ნისლში გახვეული. სანაპირო ქუჩასთან გრძელი შავი ლობე მოსჩანდა. ეს გერმანელები ბრძანდებოდნენ. სიას კითხულობდნენ. კარგი შემთხვევა იყო. ფარდულში არავინ იქნებოდა. ლობეებს მივყვე-

ბოდი. ჟაკო ეზოში დავინახე, სათევზაო ბადეებს ჰფენდა... როგორც სჩანდა, ჯერ არაფერი იცოდნენ.

ფარდულში ვარ. სარდაფში ჩავდივარ. ხელს ვაფათურებ: [illegible] იქვეა, ბურბუშელის ქვეშ. ორი მსუბუქი ვირთაგვა მის ჩანჩქერ-ძირშია. თავზარი დამეცა: მომეჩვენა, თითქოს ჩაჩქანი მოძრაობსო. ერთ წამს მეგონა, რომ მკვდარი ცოცხლდებოდა... მაგრამ არა, თავი დამძიმებული და ცივი იყო. ერთ კუთხეში მივიმალე და დავიცადე. გადავწყვიტე: როდესაც გერმანელები დაიძინებენ, გვამს სენაში გადავაგდებ-მეთქი.

არ ვიცი, მკვდრის სიახლოვემ გამოიწვია თუ არა, მაგრამ ამ საღამოს გერმანელთა ბუკის ხმა ძალიან ნაღვლიანი მომეჩვენა. ბუკი ძლიერად ყღერდა სამ-სამჯერ: ტა! ტა! ტა! სწორედ გომბეშოს მუსიკა იყო. არა, ამ ჰანგზე ისინი, ჩვენი ქვეითები, დაძინებას არ მოისურვებდნენ...

ხუთი წუთის განმავლობაში მესმოდა, როგორ მიათრევდნენ ხმლებს გერმანელები, როგორ აჯახუნებდნენ კარებს. მერე ეზოში შემოვიდნენ და დაიწყეს ძახილი:

— ჰოფმან! ჰოფმან!

საბრალო ჰოფმანი კი ბურბუშელის ქვეშ ბრძანდებოდა, ძალიან მშვიდად... ყოველ წამს ველოდი, რომ სარდაფში შემოვიდოდნენ... მკვდრის ხმალი ავიღე და იქვე დავრჩი უძრავად. ჩემთვის ვამბობდი:

— თუ ამას თავი დააღწიე, ჩემო პატარა მამილო... ბელვილის წმინდა ჟან ბაპტისტს შენი სიგრძე სანთელი უნდა დავუნთო...

როდესაც ჰოფმანს კარგა ხანს უძახეს, ჩემმა მობინადრეებმა გადასწყვიტეს შემოსულიყვნენ. მესმოდა დიდი ჩექმების კიბეზე ბრახუნი. ცოტა ხნის შემდეგ ხვრინვა მომესმა. მთელი ფარდული სოფლის ზარივით გუგუნებდა. ამას ვუცდიდი მხოლოდ, რომ გარეთ გავსულიყავი.

მდინარის ციცაბო ნაპირი უდაბური იყო. ყველა სახლში სინათლე ჩაექრათ. სწრაფად ჩავდივარ ისევ ქვემოთ. ჩემს ჰოფმანს დაზგის ქვეშიდან გამოვათრევ, ფეხზე დავაყენებ და ზურგზე მოვიდებ... რა მძიმე იყო ის ავაზაკი... შიშმა ამიტანა, დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩამიდვია. ვშიშობდი, მდინარემდე ვერ მივატანდი. ნახევარი გზა რომ გავიარე, ვიგრძენ, უკან ვილაც მომყვებოდა. მივბრუნდი — არავინ იყო. მთვარე ამოდიოდა. თავს ვუთხარი:

— ფრთხილად, გუშაგები სროლას აგიტეხავენ...

თითქოს იმისთვის, რომ მეტი სიამოვნება მიმეღო, სენას ნაპირი წყალნაკლი აღმოჩნდა. გვამი რომ გადამეგდო, თითქოს ვარცლშიაო, იგი იქვე, ნაპირზე დარჩებოდა... წინ მივიწევ. წყალი ნაკლებად მხვდება... მეტი აღარ შემეძლო. სახსრები მტკიოდა... ბოლოს, როდესაც დავრწმუნდი, რომ საკმაოდ ღრმა წყალში შევედი, ჩემს მოკეთეს ხელი გავუშვი... გაისეირნე, მეგობარო! მაგრამ, დახეთ, ლამში ჩაეფლო. ღონე აღარ მყოფნიდა მის დასაძირავად... ხელი ვკარი... უჰ, გასწი, მოშორდი აქაურობას! საბედნიეროდ, აღმოსავლეთის ქარი ამოვარდა. სენა მაღლა იწევს და ვგრძნობ, გვამი წყნარად იძვრის ადგილიდან. გზა მშვიდობისა! მთელი სურა წყალი გადავყლაპე და ციცაბო ნაპირზე სწრაფად ავვარდი.

როდესაც ვილნევის ხიდზე გავდიოდი, შუა სენაში რალაც შავი გამოჩნდა. შორიდან პატარა ბორანს გავდა. ეს ჩემი გერმანელი იყო, რომელიც არჟანტუელის მხრიდან წყლის დენას მიჰყვებოდა“.

თარგმანი ფრანგულიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. გავაშელაშვილი

ქალის მდგომარეობა ფაშისტურ გერმანიაში

საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კლასობრივი საზოგადოების გაჩენიდან დღემდე ყოველთვის არსებობდა ბრძოლა ქალის განთავისუფლებისათვის. ქალის განთავისუფლება და მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში პროგრესიული კაცობრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს და ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური დონის მაჩვენებელია. კაცობრიობის მოწინავე ადამიანები მუდამ იბრძოდნენ ქალთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის მამაკაცებთან.

მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ. სამოქალაქო ომების, ინტერვენციისა და რევოლუციის დროს ქალები ყოველთვის დიდ ძალას წარმოადგენდნენ, ისინი ისხამდნენ იარაღს და ქმრების, მამებისა და ძმების გვერდით იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისა ან რევოლუციური მონაპოვრის და სამართლიანობის დასაცავად. თუ თვალს გადავავლებთ წარსულს, დავინახავთ, რომ ქალებს თავიანთი მამაცობით და გამბედაობით არა ერთი და ორი სასახელო ფურცელი ჩაუწერიათ ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. საუკუნეების მანძილზე ბრძოლით და სისხლით მოიპოვეს ქალებმა თავისუფლება. თავი დააღწიეს მათ შუასაუკუნოებრივ მონობასა და კარჩაკეტილობას. მაგრამ ქალთა უფლებებმა დემოკრატიული პროგრესის მწვერვალს მიაღწიეს მხოლოდ საბჭოთა კავშირში, სადაც ქალებმა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მოიპოვეს თანასწორი უფლებები მამაკაცებთან.

მაგრამ გერმანიის ფაშისტებმა საათი უკან გადასწიეს.

მათ დაიპყრეს ევროპის სახელმწიფოები, ვერაგულად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს და ცეცხლითა და მახვილით სპობენ იმ დიად უფლებებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე პროგრესიულმა კაცობრიობამ ბრძოლით და სისხლით მოიპოვა. ფაშისტები დასცინიან ქალების მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქალის მთელი საქმიანობა, ამ ბანდიტების აზრით, მხოლოდ ბავშვის აღზრდით ამოიწურება. ძველად გერმანიაში გაბატონებული აზრის თანახმად ქალის საქმეს წარმოადგენდა „სამზარეულო, ეკლესია და ბავშვი". კულტურის ახლანდელმა ჯალათებმა, ფაშისტებმა გადააჭარბეს თავიანთ წინაპრებსაც-კი და უფრო შორს წავიდნენ. „ჩვენი ქალის იდეალი, — ამბობს ჰიტლერი „ჩემს ბრძოლაში" — მდგომარეობა იმაში, რომ მას შეეძლოს ჯანსაღი მამაკაცების ახალი თაობის მოცემა". ფაშისტების აზრით, ქალის მოწოდებაა — დაბადოს არიელი „სრულფასიანი" ბავშვი, მოუაროს ოჯახს, დაამზადოს საჭმელი და უსიტყვოდ დაემორჩილოს ქმარს. პირსისხ-

ლიანმა ფაშისტთა ბანდამ გერმანია გადააქცია უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად, მოსპო გერმანელი ხალხის პოლიტიკური და კულტურული მონაპოვარი.

მეორე იმპერიალისტური ომის შემდეგ, მუშა ხელის ნაკლებობის გამო, ფაშისტებმა აიძულეს ქალები წასულიყვნენ ფაბრიკა-ქარხნებში და 14-15 საათი ემუშავნათ ფაშისტთა ჯოჯოხეთური უღლის ქვეშ. აი რას სწერს ერთ-ერთი ფაშისტი ეკონომისტი:

„თუმცა ქალების დიდი რაოდენობა ქარხნებში წავიდა, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ომის შემდეგ ისინი მრეწველობაში განაგრძობენ მუშაობას. ქალების დანიშნულებაა — შობონ ბავშვები. სხვა რაზე მათი საქმე არ არის“.

ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებათ ქალებს ქარხნებში მუშაობა. 14-15 საათის სამუშაო დღე იმას ნიშნავს, რომ ქალები სახლიდან მიდიან დილა ადრიანად და ბრუნდებიან ღამით. შემდეგ კი მთელი დღის მუშაობით დაღლილ-დაქანცული იძულებულნი ხდებიან ხელი მოჰკიდონ საოჯახო საქმეს, მოუარონ ბავშვებს, დაამზადონ საჭმელი და სხვა. მაგრამ ქალის ხელფასი მაინც არ არის გათანასწორებული მამაკაცის ხელფასთან იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალები მამაკაცებს სცვლიან სამუშაოზე, როცა ისინი ასრულებენ იმავე ნორმას და უფრო მძიმე სამუშაოს. ისინი ერთი-ორად ნაკლებს იღებენ. გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებში ქალთა შრომის მძიმე და აუტანელ მდგომარეობას ცხადჰყოფენ ის წერილები, რომლებიც ტყვე გერმანელ ჯარისკაცებს ალმოაჩნდათ. ეფრეიტორ გერმან მეცკერს თავისი ძმა პაული შტრიგაუდან სწერს:

„ამ დღეებში მე შენიანებს ვეწვიე. ლუიზა ის-იყო დაბრუნდა შინ ფაბრიკიდან. მას კიდევ ალმოაჩნდა ჩემთან საუბრის ღონე. იგი ამბობს, ფაბრიკაში ასეთი დამქანცავი მუშაობის შემდეგ წერილის დასაწერადაც აღარა მყოფნის ძალაო. მისმა გამომეტყველებამ დამაღონა, თუმცა მისებრ უბედურ ადამიანებს ყოველდღე ვხედავ“.

გერმანელ ქალებს იძულებით ამუშავებენ ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც მათ მუშა პირუტყვად ხდიან, დასცინიან და აბუჩად იგდებენ ფაშისტი ავაზაკები. მაგრამ ქალთა სიძულვილი თანდათან იზრდება ჰიტლერის ჯოჯოხეთური რეჟიმის წინააღმდეგ.

უკვე სამი წელიწადია იბრძვის ფაშისტური გერმანია. ამ ხნის განმავლობაში მან ამოსწურა და გაანადგურა თავისი ნედლეული. იზრდება გერმანიაში შიმშილი და სიღატაკე. გერმანელ ქალს უფრო და უფრო უძნელდება ოჯახის გამოკვება. საშინელ ტანჯვაში, წამებაშია იგი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, საკუთარი თვალით ხედავს. თუ როგორ შიმშილობენ მისი პატარა ბავშვები, რომელთათვისაც არავინ ზრუნავს.

პროდუქტების უქონლობის გამო ჰიტლერელი ბანდიტები მოსახლეობას დარიგებას აძლევენ — ნუ გადაყრიან პურის, კარტოფილის ქერქებს და სხვა ნასუფრალს, მოაგროვონ ისინი და გამოიყენონ საჭმელად. ტანისამოსს და ფეხსაცმელს ბარათებით იძლევიან, მოსახლეობას ურჩევენ, შეეჩვიონ შიმშილს, სიტიტვლეს და ფეხშიშველობას.

აი რას გადმოგვცემს ამის შესახებ ჟურნალი „დეიტჩე ბერუფსცეიტუნგი“ (1940 წ. 8 სექტემბერი): „ნედლეულის უკიდურესი მომჭირნეობით გამოყენების საჭიროება ხელსაყრელ საბაბად უნდა გადაიქცეს იმისათვის, რომ ხალხის ფართო მასები შევაჩვიოთ ფეხშიშველა სიარულის ჯანსაღ ჩვეულებას.

დადგა დრო, როცა საჭიროა კავშირი გავწყვიტოთ მშვიდობიანი დროის შეხედულებებთან და ჩვეულებებთან. ჩვენი ბუნებრივი ფეხისგული ყოველგვარ ხელოვნურ ლანჩაზე უკეთესია. მაშინ, როდესაც ტყავის ან კანფასი ლანჩა და ფრიად ელასტიური რეზინის ქუსლი დროთა განმავლობაში იცვითება, ჩვენი ბუნებრივი ფეხის გული პირიქით, მაგრდება. ამრიგად, შეძლებისადაგვარად ყველანი უნდა შევეჩვიოთ ფეხშიშველა სიარულის ჯანსაღ ჩვეულებას".

გერმანიის მოსახლეობას უფრო და უფრო ხშირად მოუწოდებენ პროდუქტების მომჭირნეობისა და სულიერი სიმშვიდისაკენ. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ამას წინათ ფაშისტურმა გაზეთმა „ბერლინერ ლოკალარაიგერმა" დაბეჭდა წერილი, რომლის მიზანსაც გერმანელების დამშვიდება შეადგენდა. „ქალები ხშირად ცარიელი კალათებით ბრუნდებიან შინ, — სწერს გაზეთი, — და სჩივიან: დღესაც არ არის კარტოფილი. ხალხი ღელავს კარტოფილის უქონლობის გამო. რა აღელვებს? ხომ არავინ მალავს იმის **ფრიად დამაჯერებელ** მიზეზებს, თუ რატომ არ არის კარტოფილი დუქნებში". შემდეგ ჰიტლერული ფურცელი იუწყება პოპულარული კინო-ფილმის გამოშვებას, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დაზოგონ კარტოფილი.

ამრიგად, ჰიტლერელები გერმანიის მოსახლეობას, რომელიც შიმშილით იხოცება, ურჩევენ, დაკმაყოფილდეს სურსათის უქონლობის მიზეზის ახსნა-განმარტებით და პოპულარული კინო-ფილმებით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ველურივით ჩაუცმელ-დაუხურავმა, ფეხშიშველმა უსაკვებოდ და გაერთოს კინო-თეატრებში ახალახალი სურათების ნახვით, რაც დროებით მაინც დააავიწყებს სმა-ჭამასა და ჩაცმა-დახურვას.

ასე მიაქანებენ ფაშისტები შუასაუკუნოებრივი სიბნელისაკენ ევროპის კულტურულ ხალხებს. ისინი მოუწოდებენ გერმანელ ხალხს მკვლელობისა და **ძალმომრეობისაკენ**, ავაზაკობისა და ბარბაროსობისაკენ, სიბნელისა და უკულტურობისაკენ. „დავგმოთ ყოველივე კულტურული, დავუბრუნდეთ შუასაუკუნოებრივ სიბნელესა და უვიცობას", ამბობენ ფაშისტები, რადგან „გერმანელებმა წარსული ომი იმიტომ წააგეს, რომ ისინი მეტისმეტად განათლებულნი იყვნენო".

საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დახურვასთან ერთად მკვეთრად შემცირდა მოსწავლე ახალგაზრდა ქალთა რიცხვი. 1935 წლის ცნობით, გერმანიაში სტუდენტი ქალების რიცხვი, წინა წლებთან შედარებით, თითქმის ნახევარზე მეტად შემცირდა. ქალებისათვის, რომლებიც გამორეკეს სასწავლებლებიდან და რომელთაც არა სურთ მოემწყვდნენ სამზარეულოს კედლებში, გახსნილია ერთი შესაძლებლობა კიდევ — შრომის ბანაკები, სადაც ქალებს ასწავლიან სამხედრო საქმეს, რათა ომის შემთხვევაში ჰიტლერის საზარბაზნე ხორცად გადაიქცნენ.

ერთადერთი ადგილი, სადაც ფაშისტურ გერმანიაში ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან, არის საპყრობილე და საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც მოთავსებული არიან ძირითადად ანტიფაშისტი მუშა ქალები, კომუნისტები და მათი ცოლები, რომლებიც ისეთსავე სასტიკ ტანჯვა-წამებას განიცდიან ფაშისტ ბარბაროსებისაგან, როგორც მამაკაცები.

ფაშისტები ახალგაზრდა ქალიშვილებს აიძულებენ იმუშაონ კულაკებისა და მემამულეების სასარგებლოდ. ქალიშვილებს ძალით აშორებენ მშობლებს და გზავნიან სოფლად კულაკებისა და მემამულეების განკარგულებაში. მემა-

მულეები მათ ამუშავებენ მუქთად, არავითარ ხელფასს არ აძლევენ და იმავე დროს აუპატიურებენ და ნამუსს ხდიან, ამის შემდეგ ქალიშვილები პროსტიტუციისა და მაწანწალობის გზას ადგებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ფაშისტი კაციჭამიების ველურ და გიჟურ [illegible] საფუძვლად უდევს ჰიტლერისავე „კაცთმოძულეობისა და მხეცობის ქადაგება რასიული თეორიის შესახებ. რასიული თეორია სულელური მსჯელობაა „სისხლის სიწმინდეზე“, პრაქტიკულად კი საუკეთესო საშუალებაა ერთი ერის მეორეზე წასისიანებისათვის, ტერორისათვის, გარყვნილებისათვის, დაპყრობილ ხალხთა სახელმწიფოების განადგურებისათვის. ასეთი რასიული იდეოლოგია გზას უკაფავს ხალხთა დამონების და მათი სახელმწიფოების მოსპობის პოლიტიკას, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენტების მუშა-პირუტყვად გადაქცევას.

მაგრამ გერმანელი ფაშისტების რასიული „თეორია“ უპირველეს ყოვლისა მიმართულია გერმანელი ხალხის წინააღმდეგ. ასეთი რასიული „თეორია“ „საფუძველს“ აძლევს ჰიტლერელებს, დაუნდობლად გაუსწორდნენ თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ფაშისტმა „ფილოსოფოსებმა“ წამოაყენეს თეორია იმის შესახებ, რომ თვითონ გერმანიაშიც კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და, საერთოდ, მდიდართა ფენა ეკუთვნიან „წმინდა“ არიულ რასას, ხოლო მუშები, გლეხები და მშრომელთა სხვა „დაბალი“ ფენები — არაარიულ, „ოსტურ“ (აღმოსავლურ) რასას, რომელიც თითქოს „ჩრდილოეთის“ რასაზე უფრო დაბლა სდგას და ამიტომ მაღალი რასის (ე. ი. კაპიტალისტებისა და მემამულეების) ხელმძღვანელობას საჭიროებს. ისინი დაასკვნიან, რომ „მეცნიერება ჩრდილოელ ბატონებს უკარნახებთ, მთელი ძალლონე და შესაძლებლობა გამოსწოვონ „ოსტური“ რასის წარმომადგენლებს (მუშებს, გლეხებს და ღარიბთა სხვა ფენებს) და როგორც ოთხფეხ ცხოველს, ისე მოეპყრან მათ. „რასიული გამოკვლევის“ ასეთი ბოდვით არის გატაცებული ფაშისტურ გერმანიაში მრავალი ფაშისტური ინსტიტუტი და „მეცნიერი“. გერმანიის ფაშისტების ეს რასიული „თეორია“ დაკავშირებულია ისეთ საზიზღარ „თეორიასთან“, როგორიც არის ერთისა და იმავე რასის ადამიანების სხვადასხვა ფასიანობა, რომ ზოგნი მათგანნი სრულფასიანნი არიან, ზოგნი კი არასრულფასიანნი. ფაშისტი კანიბალები ცდილობენ ამ თეორიებით გაამართლონ ყაჩაღური ხოცვა-ჟლეტა მშრომელთა მილიონებისა, რომელთაც ისე უყურებენ, როგორც მიწის გამანაყოფიერებელ სასუქს „ზეადამიანთა“ განსაკუთრებული ჯიშის გამოსაყვანად. მრავალი ფაშისტი მჯღაბნელი აშკარად სწერს, რომ მშრომელთა ეს ფართო მასები „ისტორიის ნაგლეჯები“ არიან, რომელნიც ნიადაგს ანოყიერებენ, ჰიტლერისა და მისი მსგავსი ფაშისტური „არისტოკრატიული პიროვნებისათვის“.

„სრულფასიანი“ და „არასრულფასიანი“ ადამიანების შესახებ შეთითხნილი სისაძაგლის საფუძველზე ფაშისტებმა გერმანიაში შემოიღეს კანონი „არასრულფასიანი“ ადამიანების ძალდატანებითი სტერილიზაციის შესახებ: ეს კანონი ფაშისტების ხელში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორების იარაღად გადაიქცა. ბარბაროსული კანონი საშუალებას აძლევს მათ ფაშიზმის ყოველი მტერი გამოაცხადონ „ფსიქიურად“ „არასრულფასიან“ ადამიანად და მხეცურად გაუსწორდნენ მას — დაასაჭურისონ იგი. ვის უკეთებენ სტერილიზაციას ფაშისტები? პირველ რიგში თვით გერმანელ მუ-

შებსა და გლეხებს და ყველა არაარიელს, რომელთა გამრავლებას მათი აზრით არავითარი სარგებლობა არ მოაქვს საზოგადოებისათვის.

კანონი სტერილიზაციის შესახებ ფაშისტურ გერმანიაში 1934 წლის დამდეგიდან შევიდა ძალაში. შვეიცარიული გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი" 580 ათასი კაცით განსაზღვრავდა იმ ქალებისა და კაცების რაოდენობას, რომლებიც 1934—35 წლების მანძილზე განიცადეს სტერილიზაცია.

ჰებელსის ორგანო „ფელკიშერ ბეობახტერი" 1935 წელს სწერდა, რომ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც სტერილიზაცია უნდა გაუკეთონ, სულ მცირე ერთ მილიონს მაინც შეადგენსო.

1937 წლის დამლევს ეს ციფრი — ერთი მილიონი — უკვე მიღწეულ იქნა. 1940 წელს მარტო ბერლინში 2.500 „არასრულფასიან" ქალიშვილს გაუკეთდა სტერილიზაცია.

ამერიკული პრესის ცნობით, გერმანელმა ფაშისტებმა ბოლონეთის ოკუპირებულ რაიონებში 1940 წელს სტერილიზაცია გაუკეთეს მრავალ ათასს ქალიშვილს, რომელნიც შემდეგ ჯარისკაცებისათვის გახსნილ საროსკიპოებში გაგზავნეს. გერმანიაში არსებობს აუარებელი თავშესაფარი და საროსკიპო. მათი პატრონები, ფაშისტი კაპიტალისტები, ამ საროსკიპოების შემოსავალით მდიდრდებიან, ხოლო გარყვნილ-გაუპატიურებულ ქალებს ქუჩაში ერეკებიან სამათხოვროდ, როდესაც მათგან შემოსავალს ვეღარ ღებულობენ. ფაშისტები აიძულებენ ქალებს, აკეთონ ის, რაც მათთვის სასარგებლოა. აი მაგალითიც; სანამ გერმანია ირანში თავის დივერსიულ მუშაობას აწარმოებდა, ფაშისტები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ იმისათვის, რომ მოეგოთ ირანის მმართველი წრეების გული. ამ მიზნით მათ ირანში ჩაიყვანეს გერმანელ ქალთა რამდენიმე ჯგუფი. ეს ქალები გამოიყვანეს ბერლინის მესამეხარისხოვან თავშესაფარებისა და საროსკიპოებიდან. მათი ნაწილი ცოლებად მიათხოვეს ყველაზე საჭირო, გერმანოფილურად განწყობილ ირანელებს, ვაჭრებსა და ოფიცრებს, ნაწილი კი ჯაშუშებად და პროპაგანდისტებად გაანაწილეს თეირანის კაფერესტორანებსა და საროსკიპოებს შორის.

ფაშისტები რყვნიან და ბილწავენ ქალის ღირსებას, მის ადამიანურ ღირსებას. ისინი დასცინიან ოჯახს, ქორწინებას, დედობას და მშობლიურ გრძნობას. საროსკიპო სახლებისა და დასაგრილებელი პუნქტების ჰიტლერელი ვაჟბატონები უარყოფენ თანამედროვე ოჯახს და აღტაცებულნი არიან ძველი გერმანელების პირველყოფილი ზნეჩვეულებით, რომელთაც არ იცოდნენ ქორწინება ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის, ე. ი. არ იცოდნენ მონოგამიაზე (ერთქორწინებაზე) დაფუძნებული ოჯახი. ფაშისტი ბარბაროსები ცდილობენ გერმანელ ხალხს დაუბრუნონ ის ველური წარსული, როდესაც ყველა გერმანელი მამაკაცი ყველა გერმანელი ქალის ქმარი იყო, ხოლო ყველა გერმანელი ქალი ყველა გერმანელ მამაკაცს ეკუთვნოდა, როდესაც მამები არ იცნობდნენ თავიანთ შვილებს და შვილები არ იცნობდნენ მამებს. მაშინ მხოლოდ დედას შეეძლო სცოდნოდა თავისი შვილი. მამაკაცები სცხოვრობდენ „ამხანაგობებად" და რაზმებად გაერთიანებული, ქალებისაგან განცალკევებით. აი რასა სწერს ჰიტლერელი „ფილოსოფოსი" ბერმანი: „მონოგამია დამახინჯებაა და იგი იწვევს რასის წახდენას".

ამ გარყვნილებისა და საროსკიპო სახლების „მორალის ფილოსოფიის" თანახმად, ჰიტლერელები ერთქორწინებისა და ოჯახის შექმნის წინააღმდეგნი

არიან. ამ ბრძოლამ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. იგი შეტანილია გერმანიის თანამედროვე კანონებში და სკოლის, ყაზარმისა და ჰიტლერული პრესის პროპაგანდის საშუალებით პრაქტიკულად ხორციელდება.

ჰიტლერული კანონმდებლობა თანდათან ამცირებს ქალს, ... და საზოგადოებრივ ღირსებას. ფაშისტი „თეორეტიკოსი“ როზენფელდი ამბობს: „ჰიტლერმა მიუთითა გზა ქალს, — იგი უნდა იყოს ქმრის მსახური მშობიარე მანქანა, რომელიც მოვალეა სიცოცხლე მისცეს მრავალ ბავშვს, რადგან ქვეყანას ჯარისკაცები ესაჭიროებიან.“

ფაშისტურ გერმანიაში ქალი მოკლებულია ყოველგვარ უფლებას. მას არ შეუძლიან დაიკავოს რაიმე საზოგადოებრივი თანამდებობა, იმუშაოს რომელიმე თავისუფალი პროფესიის დარგში. ჰიტლერელი ბანდიტები ქალს ისე უყურებენ, როგორც გლეხი უყურებს საკუთარ ძროხას, რომელიც მას რძესა და ხბოებს აძლევს.

ჰიტლერმა ქალს წაართვა ქმრისა და შვილების სიყვარულის, ოჯახისა და კერის სიყვარულის უფლება. ქალი უნდა გადაიქცეს პირუტყვივით მშობიარე მანქანად. აი რასა სწერს „ჩემს ბრძოლაში“ ჰიტლერი: „ბავშვის დაბადების პირველივე დღიდან დედა უნდა ზრდიდეს მას, როგორც მომავალ მეომარს. ყველაფერი, დაწყებული ანბანის წიგნით და გათავებული გაზეთით, თეატრით და კინოთი, ბავშვის, ყრმის, ჭაბუკის ცხოვრებაში აქეთკენ უნდა იყოს მიმართული“. ჰიტლერს ვერ გაუბედნია დედას მიანდოს მომავალი კაციჭამია „ქერა მხეცის“ აღზრდა, ამიტომ ბავშვი რაც შეიძლება ადრე უნდა ჩამოშორდეს დედის მზრუნველობას. სამი და ოთხი წლის ასაკის ვაჟებს უკვე აჩვევენ ყაზარმულ ცხოვრებას, ასწავლიან მწყობრში სიარულს; აჩვევენ მონურ დამოკიდებულებას უფროსებისადმი და ასწავლიან ფაშისტურ სიმღერას: „ჯარისკაცები კითხვებს არ იძლევიან, მათი საქმეა სროლა, ხიშტით ჩხვლეტა, ხმლით ჩეხვა“.

სკოლის შემდეგ ახალგაზრდებს ჰგზავნიან შრომის ბანაკებში. რამდენიმე წლის შემდეგ ახალგაზრდა ვაჟი თავის ოჯახს უბრუნდება მორალურად გახრწნილი და გადაგვარებული, ხოლო ქალიშვილი — ნამუსახდილი და შერცხვენილი, რადგან მათ მოსამსახურეებად უყენებენ ადგილობრივ კულაკებს და მემამულეებს, რომელნიც მოიერიშე რაზმებს ხელმძღვანელობენ. ამ ნიადაგზე ბევრი ტრაგედია ხდება.

რას ასწავლიან ახალგაზრდობას სკოლაში? — მშობლების დაცინვას, დედის აბუჩად აგდებას, დედის, რომელიც არ არის მამაკაცთან თანასწორუფლებიანი, რომელსაც არ შეუძლიან იარაღი ატაროს და სიცოცხლე მოუსპოს სხვას.

ჰიტლერულ ახალგაზრდობის ორგანიზაციაში ასწავლიან მშობლების დაბეზღებას, მათი მოქმედებისათვის თვალყურის დევნებას. გესტაპო ავალებს ბავშვებს, შეჰკრიბონ ცნობები თავიანთი მშობლების შესახებ: ბავშვთა ჩვენება გესტაპოსათვის საკმარისია, თუნდაც ბავშვი კანონით დაწესებული სრულწლოვანი არ იყოს. გერმანელი მშობლები შეშფოთებულნი არიან შვილების აღზრდის ასეთი „მეთოდით“, მაგრამ გესტაპოს შიშით ხმას ვერ იღებენ. აი რასა სწერს ამ აუტანელი რეჟიმის შესახებ თავის ბავშვზე ერთ-ერთი მშობელი: „ჩემი ბავშვი ახლა 13 წლისაა, მაგრამ ძლივს-ძლივობით ვეწყობი მას. აი უკვე ერთი წელიწადია, რაც ის „ჰიტლერელი ახალგაზრდობის“ რიგებშია. თუ წინად ის კეთილგონიერი და გამგონე იყო, ახლა თითქმის აუტანელი გახდა. ამას წინად მითხრა: თუ კვლავ ასე მოიქცევი, განვაცხადებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაგაპატიმრონო. თუ დავტუქსავ, თავხედურად მომიგებს: თუ ერთ კბილებს არ ლააჭერ, ჰიტლერთან დაგასმენ, დეე ციხეში ჩაგსვანო".

ფაშისტურ გერმანიაში მშობლები იმდენად არიან საჭირონი, რამდენადაც ზრდიან ქერათმიან ვაჟებს, რომელნიც ჰიტლერს საზარბაზნე ხორცად საჭიროებიან. ამიტომ ოჯახის კვალი უნდა წაიშალოს და მისი ადგილი ყაზარმამ უნდა დაიჭიროს.

ამგვარად, ფაშისტი ავაზაკები ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ შვილები და მშობლები, ჩამოაშორონ ბავშვი ოჯახს და გადააქცევინონ იგი საკუთარი მშობლების მოსისხლე მტრად. თუ რომელიმე მშობელმა გაბედა და ხმა აღიმაღლა ფაშისტურ სკოლასა და ჰიტლერულ ორგანიზაციაში გამეფებული ამ ბარბაროსული რეჟიმის წინააღმდეგ, მას არ ასცდება ციხეში ჩასმა ან საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა. აი რას ამბობდა ჰიტლერი 1937 წლის 1 მაისს: „ჩვენ შორის ჯერ კიდევ მოიპოვებიან ძველი ყაიდის ადამიანები, რომლებიც არაფრისათვის არ ვარგიან, ისინი ფეხებში გვებლანდებიან, როგორც ძაღლები ან კატები. მაგრამ ეს არ გვაწუხებს, ჩვენ ჩამოვართმევთ მათ ბავშვებს. ეს უკანასკნელნი სათანადო სწავლას გაივლიან, ჩვენ მათ არ დავანებებთ აზროვნების ძველ გზაზე დადგომას. წავიყვანთ მათ, როცა ათი წლის ასაკში გადავლენ, და 18 წლისათვის ჩავუნერგავთ ჩვენს სულს. ისინი გვერდს ვერ აგვივლიან".

ამგვარად, ათი წლის ბავშვი უკვე „ფიურერის" ეკუთვნის. მშობლები ვერავითარ წინააღმდეგობას ველარ გაუწევენ. 8 საათიდან 2 საათამდე ბავშვი სკოლაშია, მთელ დანარჩენ დროს იგი „ჰიტლერელი ახალგაზრდობის" განკარგულებაში რჩება. იქ პატარაობიდანვე ასწავლიან ბავშვებს კაცთმოძულეობას, გახრწნილებას და ველურობას. „ომი ყველაზე სასიხარულო საქმეა.—ჩასჩიჩინებენ ბავშვებს;—გაიზრდები, ას მტერს მოჰკლავ". „ფიურერს უყვარხარ შენ და უყვარს ომი", — აი ამას ასწავლიან ბავშვებს ფაშისტი ავაზაკები. „გერმანელ ქალიშვილთა კავშირი" ქალებს ამზადებს „გაბატონებული რასის" მომავალი მძარცველობისათვის. ქალის თავისუფლება ევროპული ცივილიზაციის შედეგია, — ამბობენ ფაშისტები და ამიტომ დასაგმობიაო. ქალის მოვალეობაა, ემსახუროს გერმანელი ფაშისტი მეომრების გართობას, დაუმზადოს საჭმელი, შეუკეროს ტანისამოსი, მოუაროს ავადმყოფობის დროს. მაგრამ ქალის ყველაზე დიდი დანიშნულებაა შობოს ბავშვები და რაც უფრო მეტ ბავშვს შობს, მით უფრო მეტ „საზარბაზნე ხორცს" მოუმზადებს ჰიტლერს მომავალი ომისათვის.

ამ ნიადაგზე აუტანელი მდგომარეობაა შექმნილი გერმანიაში. 13 — 14 წლის ქალიშვილები „არაკანონიერი" შვილების დედები ხდებიან. ქუჩები სავსეა უპატრონო ბავშვებით, შერცხვენილი, მოტყუებული და გაუბედურებული ქალიშვილებით, რომლებსაც მაწანწალობისა და მათხოვრობის მეტი არაფერი დარჩენიათ.

ასეთი გარყვნილების ნიადაგზე „არაკანონიერად" დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ ჩააფიქრა ფაშისტთა ხელმძღვანელები. ჰიტლერული ახალგაზრდობის ყოფილი ხელმძღვანელი ფონ-შირახი იძულებული გახდა გამოეტანა შემდეგი დადგენილება: „ყველა „არაკანონიერად" დაბადებული ბავშვი. ჩაითვალოს კანონიერად".

ფაშისტი „სოციოლოგის" ბულეროს აზრით, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის დაქორწინებისათვის სიყვარული სავალდებულო არ არის, პირიქით, სიყვარული

დაბრკოლებაა რასიული სიწმინდისა და არიული შთამომავლობის ნაყოფიერების მისაღწევად.

ფაშისტები ემყარებიან იმ წარმოდგენას, რომ ბავშვების დაბადებისათვის სავალდებულო არ არის ოჯახის შექმნა და ცოლქმრული სიყვარული, რადგან ქორწინების გარეშე უფრო მეტი ბავშვის დაბადება შეიძლებაო.

ცოლქმრული სიყვარულის ნიადაგზე შექმნილი ოჯახის ნაცვლად, ფაშისტი „ფილოსოფოსები“ იმ აზრს იცავენ, რომ ქალი ყოველგვარი სიყვარულის გარეშე უნდა დაემორჩილოს მამაკაცს, დაემორჩილოს მხოლოდ სქესობრივი ჟინის დასაკმაყოფილებლად. არ ეკითხებიან მოსწონს თუ არა ის მამაკაცი, რომელთანაც სქესობრივი კავშირი უნდა დაიჭიროს. ფაშისტი ხელმძღვანელების მთელი ხროვა, მოიერიშეები, პოლიციის მოხელეები, დამცველი რაზმები და სხვა ფაშისტი ხელმძღვანელები თვითონ ეწევიან სქესობრივ გარყვნილებას. მაგალითად, გერმანიის პროპაგანდის მინისტრის, მახინჯი გებელსის აღვირახსნილი და გარყვნილი ყოფაცხოვრება საყოველთაოდ ცნობილია მთელს გერმანიაში. ასევე გახრწნილი და გადაგვარებულია ავიაციის მინისტრი ჰერინგი. ერთი ამერიკული ჟურნალისტის თქმით, მინისტრს რუდოლფ ჰესს „მადამ ჰიტლერს“ უწოდებენ. გესტაპოს უფროსს ჰიმლერს გახსნილი აქვს ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალების ჰარამხანა. ამ ორფეხა პირუტყვებისთვის არ არსებობს არავითარი ოჯახი, ნათესაობა, მეგობრობა, როგორც ერთგვარი შემაკავებელი მორალი სქესობრივი გარყვნილების და თავაშვებულებისა, რაც განასხვავებს ადამიანს პირუტყვისაგან. ასეთ გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან ამ ფაშისტური ხროვის მიმდევრებიც.

ჰიტლერული ფაშისტების ზეგავლენით, აკრძალულია დაქორწინება არიელ და არაარიელ ქალ-ვაჟს შორის, ხოლო დაქორწინებულ ცოლ-ქმარს ერთმანეთს აშორებენ და ართმევენ უფლებას შვილებზე. გერმანელისთვის აღკვეთილია ქორწინება, მაგალითად, პოლონელთან, ჩეხთან, ებრაელთან, სლოვაკთან და სხვა არაარიელთან. ფაშისტები ართმევენ შვილებზე უფლებას ანტიფაშისტებსაც, თუ გინდ ისინი არიელებიც იყვნენ.

გერმანელ ქალიშვილებს არ შეუძლიანთ თავიანთი სურვილისამებრ აირჩიონ საქმროები, მათ აკრძალული აქვთ მისთხოვდნენ ისეთ ჭაბუკებს, რომელნიც არ ეკუთვნიან ჰიტლერის, გებელსის, ჰერინგისა და სხვა ფაშისტი კაციჭამია მხეცების ჯიშს. იმ შემთხვევაში, თუ გერმანელი ქალი ცოლად გაჰყვება ისეთ მამაკაცს, რომელიც არ ეკუთვნის ამ ავაზაკების ბანდას, მას სამარცხვინო ბოძზე აკრავენ, ისეთი საშინელი ტანჯვა-წამებით უმასპინძლდებიან, რომ საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის ბნელ კანონებსაც კი ჩრდილავენ. ხშირად შეხვდებით გერმანულ ჟურნალ-გაზეთებში დასაშინებლად მოთავსებულ ისეთი გერმანელი ქალების ფოტო-სურათებს, რომლებიც ჭუჩებში თავგადაპარსულნი და მკერდზე განცხადება-მიკრულნი დაჰყავთ. დასცინიან და შეურაცხყოფენ მათ იმიტომ, რომ სქესობრივი კავშირი დაუჭერიათ არაგერმანელ მამაკაცებთან.

ამერიკელ ჟურნალისტ-ქალს **მ. დოდის**, როგორც თვითონ გადმოგვცემს, უნახავს ქალი, რომელსაც ფაშისტების ხროვა ქუჩაში ბარბაროსულად აწამებდა თურმე. ქალს თმა გადაპარსული ჰქონდაო და გულზე პლაკატი ეკიდა შემდეგი წარწერით: „მე დავნებდი ებრაელს“. ასეთი საზიზღარი რეჟიმის შედეგად ქალები ხშირად თვითმკვლელობამდეც-კი მიდიან. ფაშისტურ გაზეთ „ბერლინერ ლოკალ-ანცაიგერში“ 1941 წლის 9 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო

ცნობა იმის შესახებ, რომ „ორმა ახალგაზრდა ქალიშვილმა, დებმა, თავი ჩამოიხრჩეს თავლაში. თვითმკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ მათ ურთიერთობა ჰქონდათ პატიმარ პოლონელ ახალგაზრდა ვაჟებთან და ეს ამბავი შეატყო ხელისუფლებამაო. დაპატიმრების პერსპექტივით შეშინებულმა ქალიშვილებმა თავი ჩამოიხრჩეს“. 1942 წლის 13 თებერვალს სტოკჰოლმის საინფორმაციო ბიუროს ცნობებით, ჰამბურგში „პოლონელ ქალებთან კავშირის დაჭერისათვის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს ორი გერმანელი მუშა“.

ყველაზე მეტი „დამსახურება“ ქალთა საკითხში ჰიტლერელი ბანდიტებიდან მიუძღვის მეცხოველეს, მიწათმოქმედების მინისტრს, ზოოტექნიკოსს დარეს. მის წიგნში „სისხლისა და მიწისათვის“ მოცემულია პირუტყვული შეხედულება ქალზე. ერთ-ერთ სტატიას, რომლითაც წიგნი იწყება, ასეთი სათაური აქვს: „გერმანიის ხალხის მომრავლების ამოცანა“. მოყვანილია გერმანელი ხალხის სწრაფი გამრავლების „საშუალება“ მსოფლიო ბატონობისათვის. ქორწინება არ არის საჭირო — ქადაგებს ეს ზოოტექნიკოსი. დარეს აზრით, ქალები უნდა შეფასდნენ იმდენად, „რამდენადაც ისინი გამოდგებიან, როგორც თავიანთი ბავშვების მომავალი დედები“. „სიყვარულს ჯერ არავისთვის არ აუხელია თვალი, როგორც ცნობილია, იგი უფრო აბრმავებს ადამიანსო“. განაგრძობს დარე და ქადაგებს გერმანიის გადაქცევას პირუტყვთა მოსაშენებელ ფერმად „ბატონთა რასის მოსამრავლებლად“.

ამ შუასაუკუნეების ბნელეთის მოციქულმა წინადადებაც კი წამოაყენა, აღდგენილ იქნას მემამულეთა მამულებში „პირველი ღამის უფლება“, რომელიც ფეოდალური წყობილების დროს არსებობდა. „ქორწინება არ არის თვითმიზანი, — ამბობს ჰიტლერი, — იგი უნდა ემსახურებოდეს უფრო მაღალ მიზანს — სახეობისა და რასის გამრავლება-შენარჩუნებას“. ფაშისტებმა იციან, რომ ძნელია ნებაყოფლობით დაითანხმო ქალი აიღოს ხელი თავის ადამიანურ უფლებებზე და ამ პირუტყვულ, არაადამიანურ გზას დაადგეს, ამიტომ ჰიტლერმა მოუწოდა ფაშისტებს, ძალით გაატარონ ფაშისტური ხაზი რასის აღდგენის საკითხში და „არავითარ ცრურწმენას არ აჰყვნენ“. ჰიტლერელები მოითხოვენ ყოველგვარი ღონისძიების მიღებას იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად გაამრავლონ წმინდა „არიული“ ჯიშის ორფეხა ქერა მხეცები.

გერმანიაში ფაშისტი ბარბაროსების ბატონობის დროს საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის ზრდა. დიდმა მობილიზაციებმა, სამი წლის ომში უამრავი ხალხის ამოჟლეტამ ძალზე შეამცირა გერმანიაში მოსახლეობა. ყველაფერმა ამან ჩააფიქრა ფაშისტი ავაზაკები. დაიწყეს ჟურნალ-გაზეთებში წერა და აგიტაცია: მოუწოდებდნენ გერმანელ ქალიშვილებს — დანებებოდნენ ფრონტზე მიმავალ მამაკაცებს, შობონ მეტი ცოცხალი არსება ფიურერისა და იმპერიის სასახელოდ.

მაგრამ გერმანიის ფაშისტების აგიტაცია-პროპაგანდამ სათანადო ნაყოფი მაინც არ გამოიღო, ქალები ნებაყოფლობით არ დაადგნენ ამ პირუტყვულ გზას. მაშინ ფაშისტები ძალდატანებით შეუდგნენ მოსახლეობის მატების პრობლემის გადაჭრას. 1941 წლის დამდეგს „საიმპერიო გენეალოგიურ უწყებას“ დაევალა, მოემზადებინა მასალა მოსახლეობის შობადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ. შემდეგ ამ საკითხის დამუშავება მიანდეს „რასის სიწმინდის შენარჩუნების საიმპერიო კომიტეტის“ პირველი განყოფილების ხელმძღვანელს დოქტორ რუტკეს. მასალის მომზადების შემდეგ, 1941 წლის ივლისის დამდეგს,

ჰიტლერის სპეციალური მითითებით, შეიქმნა „ცენტრალური სამმართველო მოსახლეობის, მემკვიდრეობის და რასის სიწმინდის საკითხებზე".

ამ წინასწარი სამზადისის ჩატარების შემდეგ მოწვეულ [illegible] ხალხმრავალ თათბირი. თათბირს დაესწრნენ ჰიტლერი და სხვა ფაშისტი [illegible]. მოსახლეობის აღსადგენად და გერმანული სისხლის სიწმინდის დასაცავად თათბირმა საჭიროდ სცნო „საქორწინო პუნქტების" მოწყობა, თუმცა „უგულებელყოფილი არ უნდა იქნას ამ საკითხის გადაწყვეტის სხვა შესაძლებლობანიც" (უქორწინო ცოლქმრობის ფართო პროპაგანდა, ქალთა ხელოვნური განაყოფიერება, ფაქტიური მრავალცოლიანობის შემოღება და სხვა). თათბირის დადგენილების თანახმად 18—35 წლის ასაკის ჯანსაღი არიელი ქალები, რომელნიც მოწყვეტილნი არიან თავიანთ ქმრებს ან რომელთაც ქმრები არა ჰყავთ, განაწილებულ უნდა იქნან „წმინდა რასის" განსაზღვრულ „ჯგუფებში". იმავე დროს გამოქვეყნდა ჰიტლერის ბრძანება „რასიული ქაოსის თავიდან აცილებისა და გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ძალის დაცვის ღონისძიებათა" შესახებ. ბრძანების შესრულება დაევალა საიდუმლო პოლიციის უფროსს ჰიმლერს: მან უნდა შექმნას დასაგრილებელი პუნქტები გერმანიის სოფლებსა და ქალაქებში. გესტაპოს უფროსმა, ობერ-ბანდიტმა ჰიმლერმა დაამუშავა მოსახლეობის ძატების პირუტყვული პროექტი, რომლის თანახმადაც გერმანიაში უნდა მოეწყოს 100 ბანაკი. ყოველ ბანაკში უნდა მოთავსდეს 1000 სუფთა სისხლის არიელი ქალიშვილი. ქალიშვილებთან დაშვებული იქნებიან წმინდა სისხლის არიელი ვაჟები. ასეთი ბანაკები, ფაშისტების გამოანგარიშებით, ყოველწლიურად მისცემენ გერმანიას ნამატს — ასი ათას „წმინდა სისხლის" გერმანელ ბავშვს. დასაგრილებელ პუნქტებზე მიმაგრება უნდა დამთავრებულიყო 1941 წლის 1 აგვისტოსათვის. ამისთვის უნდა აღერიცხათ ორი მილიონი ქალი და 300 ათასი მამაკაცი, რაც მოსახლეობას 50%-ით გაადიდებს. პუნქტებში საკალდებულო წესით უნდა გამოცხადდნენ როგორც უქმრო, ისე ის ქმრიანი ქალები, რომელთაც ქმრები შინ არა ჰყავთ. ყველა ქალმა ყოველთვიურად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. ის ქალები, რომლებიც თავს აარიდებენ და დამაგრილებელ პუნქტებში არ გამოცხადდებიან, ფაშისტური გერმანიის იმპერიის მოღალატეებად ჩაითვლებიან და საკონცენტრაციო ბანაკებში გაიგზავნებიან.

დამაგრილებელ პუნქტებზე მიმაგრებულ უნდა იქნან „წმინდა რასის ჯგუფები", რომლებიც შერჩეული იქნებიან ჯანსაღი გერმანელი მამაკაცებისაგან, უმთავრესად მოიერიშე რაზმებისა და ადგილობრივი გარნიზონების წევრებისაგან, აგრეთვე „წმინდა ჯიშის" გერმანელი მამაკაცებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით დატოვებულ იქნენ ზურგში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დასაგრილებელ პუნქტებზე მისამაგრებლად არ აღმოჩნდა საკმაო რიცხვი „წმინდა არიული სისხლის" მამაკაცებისა, ფაშისტ ბარბაროსებს საჭიროდ მიაჩნიათ მიმართონ ქალის ხელოვნურ განაყოფიერებას. ამისთვის უნდა შეიქმნან „სპეციალური ჯგუფები" ჯანსაღი გერმანელი მამაკაცებისა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ღონისძიებაც არ აღმოჩნდა საკმარისი, ქალის გასანაყოფიერებლად მიწვეულ უნდა იქნან ქმრის მახლობელი ნათესავები. აი რას სწერს ამის შესახებ „წმინდა სისხლის არიელთა" ტრაგიკული ბედით შეშფოთებული მოიერიშეთა რაზმების ორგანო, გაზეთი „შვარცე კოპსინ": „იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში, სადაც ჯანსაღი დედაა, შთამომავლობა არ არის, უნდა მივმართოთ

ხელოვნურ განაყოფიერებას. თუ ამ მეთოდმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ქმრის დასახმარებლად მიწვეულ უნდა იქნას თანაშემწენი — ამ შემთხვევაში ყველაზე უმჯობესია მეუღლის ძმა". აი, საზიზღარი დოკუმენტი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჰიტლერელ პირუტყვებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოჯახებში მატების ბერლინის სახელმწიფო განყოფილება. ხოლენდორფ-პლაცი, 38.

საოლქო განყოფილება ბრაუნშვეიგში.

პატივცემულო ცეიჰან!

ომის გამო გერმანელ მამაკაცთა დიდი რაოდენობა ფრონტზეა და ამიტომ სამოქალაქო მამაკაცთა წინაშე ახალი მოვალეობა დგება: იზრუნონ დარჩენილ ქალებსა და მამაკაცებზე იმისათვის, რომ გაადიდონ შობადობა.

თქვენ ნაყოფიერების აზრით მიჩნეული ხართ განსაკუთრებით უნარიან მამაკაცად. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით შეუდგეთ გერმანიის წინაშე ამ დიდმნიშვნელოვანი, საპატიო მოვალეობის შესრულებას.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ თქვენი ეს მოვალეობა ხალხის წინაშე თქვენს ცოლს თქვენთან გაყრის უფლებას არ აძლევს. ამ მცირე უსიამოვნებას ყოველი ცოლი ხალისით უნდა შეურიგდეს, როგორც ომის გარდუვალ შედეგს.

თქვენ დაგენიშნათ რაიონი, სადაც 9 გათხოვილი ქალი და 17 ქალიშვილია. შემდეგში უფრო დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით. თუ თქვენ სცნობთ, რომ არ შეგწევთ უნარი იმ საქმისათვის, რის შესრულებაც გევალებათ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ ზემოხსენებული მისამართით და მიუთითოთ შესაფერ მამაკაცზე, რომელსაც შეუძლიან შეგცვალოთ თქვენ, და დაურთოთ მოწმობა თქვენი უუნარობის შესახებ, რომელიც ექიმის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი.

უკეთუ შეგიძლიანთ, თქვენთვის დანიშნულ რაიონს გარდა, მიიღოთ მეორე რაიონიც, თქვენ გახდებით მეურვე ოფიცერი და, ნაყოფიერებისათვის განკუთვნილ პრემიას გარდა, მიიღებთ კიდევ პირველი კლასის ორდენს წითელ ლენტზე გვართა განგრძობისათვის.

ამ შემთხვევაში თქვენ ამ დღეებში მიიღებთ იმ ქალების სიას, რომლებთანაც უნდა იაროთ. თქვენი დალოცვილი საქმიანობა უნდა დაიწყოთ დაუყოვნებლივ, ამ წერილის მიღების შემდეგვე. თქვენი საქმიანობის წარმატების შესახებ მოხსენებას წარმოადგენთ 9 თვის შემდეგ, ამისთვის გამოიყენებთ იმ ფორმულარებს, რომლებსაც მიიღებთ.

ოჯახებში მატების სახელმწიფო განყოფილება".

ქალების მიმართ ფაშისტების ამ საზიზღარ და პირუტყვულ დამოკიდებულებას ცხადჰყოფენ ის წერილები, რომლებიც ტყვე და მოკლულ გერმანელ ჯარისკაცებს აღმოაჩნდათ.

ქალაქ ს-თან მოკლულ უნტერ-ოფიცერს ალოის რიუტერს ჩანთაში აღმოაჩნდა წერილი, რომელიც გერმანიიდან 27 აგვისტოს არის გამოგზავნილი. „ანა, — სწერს პაულა რიუტერი თავის ქმარს ერთი საერთო ნაცნობის, ახალგაზრდა ქალის შესახებ, — დღეგამოშვებით ჩამოდის აქ, რადგან საქმელი, რომელსაც იგი ღებულობს, საკმარისი არ არის. კაპიტანმა გამოუცხადა, რომ მალე იგი სულაც უნდა დარჩეს მიუნსტერში, რადგან მას, როგორც ყველა სხვა ქალიშვილს, მშვენივრად შეუძლიან გაათიოს ღამე ჯარისკაცებთან ყაზარმაში... საროსკიპო! იყოს საროსკიპო, რაკი ფიურერმა ბრძანა".

პაულა განაგრძობს:

„აქ შვებულებაში ჩამოვიდა ერთი ქალიშვილი. მან გვიამბო, რომ ყველამ ახლა უნდა მოიხადოს შრომის ბეგარა მთელი წლის განმავლობაში და ყოველმა ქალიშვილმა უნდა შობოს ბავშვი და მიუძღვნას იგი ფიურერს, მათ საკმაო რაოდენობით მიუჩინეს ვაჟები“.

ჰიტლერელმა არამზადებმა სისხლიან ომებში მილიონობით მოსპეს ჭაბუკები და მამაკაცები და ახლა შეშფოთებულნი იმით, რომ მომავალ ლაშქრობაში მათ აღარ ეყოლებათ საკმაო საზარბაზნე ხორცი, შექმნეს ადამიანის მოსაშენებელი ფერმები და ბოსლები, სადაც ჰიტლერელი ბანდიტები აღზრდიან ისეთ ჯარისკაცებს, რომლებიც სიტყვისშეუბრუნებლად იკისრებენ ყოველგვარ ყაჩაღობასა და ავაზაკობას, აკვნიდანვე ჩაუნერგავენ დასაგრილებელ პუნქტებში დაბადებულ ბავშვებს ზნეობრივ სიმახინჯეს, მკვლელობას და სიძულვილს ადამიანების მიმართ.

ამ საზიზღარი დადგენილების შემდეგ ფაშისტმა მოძალადეებმა თვითეულ გესტაპოელზე მიამაგრეს არა 9 ქალი და 17 ქალიშვილი, არამედ 18 ქალი და 24 ქალიშვილი. ასეთ სამარცხვინო მოძალადეობას ფაშისტი პირუტყვები უწოდებენ „გერმანიის წინაშე დიდმნიშვნელოვან, საპატიო მოვალეობის შესრულებას“ და „დალოცვილ საქმიანობას“. ფაშისტი პირუტყვები, რომლებიც თანახმანი არიან წაბილწონ 18 ქალი და 24 ქალიშვილი, გარდა ფულისა, გასამრჯელოდ ამ „საპატიო“ საქმის შესასრულებლად, ღებულობენ ოფიცრის ხარისხს და ორდენს. ობერ-ბანდიტი ჰიტლერი მოძალადე ფაშისტების ხროვას აჯილდოვებს მრუშობისათვის, გერმანელი ჯარისკაცების ცოლების, დების, ქალიშვილების გაუპატიურებისა და წაბილწვისათვის. ერთ-ერთი ფაშისტი პროფესორი, ჰიტლერის ლაქია, ერნსტ ბერმანი თავის „ნაშრომში“ „შემეცნება და მატერიალური სული“ ოჯახის გარეშე შობილთა გამრავლების და დასაგრილებელი პუნქტების შექმნის შესახებ „ფიურერის“ საამებლად სწერს:

„საკმაოდ მოიპოვებიან მსურველნი და შესაფერი ბიჭები, რომლებსაც შეეძლებათ კავშირი დაამყარონ ქალებთან და ქალიშვილებთან. საბედნიეროდ, ერთი წმინდა სისხლიანი ჭაბუკი 20 ქალიშვილს დააკმაყოფილებს. ქალიშვილები კი თავის მხრივ უეჭველია ხალისით დაიკმაყოფილებდნენ სურვილს — იყოლიონ ბავშვები და ამით მოისპობა ცივილიზაციის მიერ წარმოშობილი უაზრო და ხანგრძლივი მონოგამიური ქორწინება, როგორც ისეთი რამ, რაც ყველა ბუნებრივ პირობას ეწინააღმდეგება“.

საეჭვოა, რომ გერმანელ მამაკაცებს, რომლებიც ძალით გამორეკეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, სასიამოვნოდ დარჩეთ დედების, ცოლებისა და დების გაუპატიურება მოიერიშე რაზმელებისა და დასაგრილებელი პუნქტების ბუღების მიერ. მაგრამ ცხადია, რომ უუფლებო და დაბეჩავებულ გერმანელ ქალებსა და ქალიშვილებს ფაშისტი ავაზაკები საპყრობილეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების შიშით აიძულებენ დასთანხმდნენ ასეთ პირუტყვულ და ბარბაროსულ მოქმედებაზე.

მაგრამ გერმანელი ხალხი ვერ მოითმენს ადამიანის ასეთ აბუჩად აგდებას. გერმანელ ქალებში თანდათან იზრდება ზიზღი და სიძულვილი ჰიტლერელ კაციჭამია ავაზაკებისადმი, და ეს სიძულვილი მალე გადაიქცევა გერმანელ ხალხის საერთო რისხვად ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ.

* * *

წითელი არმიის მედგარმა წინააღმდეგობამ თავხედ ჰიტლერელი ფაშისტების წინააღმდეგ, მთელი საბჭოთა ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ, სწრაფი გამარჯვების ჰიტლერული გეგმების ჩაფუშვამ, გაჭიანურებულ [illegible] ომის პერსპექტივამ, ადამიანებისა და მატერიალური საშუალებების უდიდესმა დანაკლისმა, რის შევსებაც შეუძლებელია, — ყოველივე ამან ღრმა კვალი გაავლო გერმანელი ხალხის ცხოვრებაში და საკმაოდ შეანგრია ჰიტლერელთა ყაჩაღური იმპერიალიზმის მთელი სისტემა, რაც თანდათან იწვევს გერმანიის ფრონტისა და ზურგის შერყევას.

გერმანიის სარდლობამ გამოსცა „კრებული ინსტრუქციებისა ჯაშუშობასთან, დივერსიებთან და არმიაში გახრწნილობასთან ბრძოლის შესახებ". იქნებ გერმანიის სარდლობამ გადასწყვიტა ბრძოლა გამოუცხადოს ძარცვა-გლეჯას, ქალების გაუპატიურებას, საზიზღარ მხეცობასა და ძალადობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ? არა, ფაშისტებს სხვა მუცლის ტკივილი აწუხებთ, სახელდობრ ის, თუ როგორ დამალონ გერმანიის არმიისა და გერმანელი ხალხის სულიერი მღელვარება ან გარეშე თვალს როგორ დაუმალონ სიმართლე გერმანიის ფრონტისა და ზურგის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. ინსტრუქციების კრებულის მე-3 — 15 გვერდზე ნათქვამია:

„უცხოეთიდან მიღებულ ცნობებით, ზოგ გერმანელ სამხედრო ტყვეებს უნახეს ნათესავებისაგან მიღებული წერილები, რომლებშიაც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორი განწყობილებაა სამშობლოში, რა სასურსათო დაბრკოლებებია და სხვა. ყველა ასეთ წერილს ფართოდ იყენებს მტრის პროპაგანდა, ამიტომ ასეთი წერილები არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაიღოთ თან მოწინავე ხაზზე. შემდეგ, გამოირკვა, რომ ზოგჯერ ჯარისკაცებს თან აქვთ დღიურები, სადაც ჩაწერილია საიდუმლო ფაქტები, რომლების გამოქვეყნებაც არ შეიძლება. ეს ჩანაწერები დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, თუ მტერს ხელში ჩაუვარდებიან".

რა „საიდუმლო ფაქტებია" ასე უხვად გაბნეული გერმანელ ჯარისკაცთა წერილებსა და დღიურებში?

ეს ფაქტები გებელსის სიცრუის ფაბრიკის გამომჟღავნებაა. გებელსი მთელ მსოფლიოს არწმუნებს, რომ „მოსახლეობის განწყობილება გერმანიაში საუცხოვოა". ხოლო „მესამე იმპერიის" სასურსათო მდგომარეობა — საუკეთესო. თუ ასეა, როგორ შეუძლიან „მტრის პროპაგანდას" გამოიყენოს ჯარისკაცების მიერ ნათესავებისაგან მიღებული წერილები და რატომ არ შეუძლიანთ ჯარისკაცებს თან იქონიონ ეს წერილები მოწინავე ხაზზე?

აი რატომ.

ლენინგრადთან მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ჰანც მიულერს აღმოაჩნდა ცოლთან გასაგზავნი შემდეგი შინაარსის წერილი:

„ძვირფასო და საყვარელო გრეტა! გწერ უკანასკნელ წერილს, მეტს ჩემგან ვერაფერს მიიღებ. ვწყევლი იმ დღეს, როცა გერმანელად დავიბადე, შემაძრწუნეს რუსეთში ჩვენი არმიის ცხოვრების სურათებმა. გარყვნილება, ძარცვა, ძალადობა, მკვლელობა... ჩვენი დანაკლისი უდიდესია. ომი უკვე წავაგეთ. ჩვენ შეიძლება ერთი-ორი დიდი ქალაქი კიდევ ავიღოთ, მაგრამ რუსები მაინც მოგვსპობენ, გაგვანადგურებენ.

ორი საათის შემდეგ ბრძოლაში მივყევართ. თუ რუსების ტყვიასა და ყუმ-

ბარას გადავურჩი, ჩემი განწყობილების მეოხებით გერმანელთა ტყვეთაგან დავიღუპები".

მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ლიუდვიგს მამისაგან გამოგზავნილი შემდეგი შინაარსის წერილი აღმოაჩნდა: „ძვირფასო შვილო! ჩვენ ჭალის ხშირად პასუხს ვერ ვიღებთ,—ფოსტა არ მოდის ან „იკარგება", რათა არაფერი ვიცოდეთ უდიდესი დანაკლისის შესახებ... რუსეთთან ომი ჩვენთვის დიდი უბედურება გამოდგა. ნაცისტებმა მიგვიყვანეს აქამდე. ხალხს კრინტი ვერ დაუძრავს. იგი დაბრმავდა, მაგრამ დადგება, როდისმე ხომ უნდა დადგეს საშინელი გამოფხიზლების ჟამი. კვლავ გირჩევ, შეუმჩნევლად გაიპარე ფრონტიდან, ყოველგვარი საშუალებით აიძულე ამხანაგები მიჰბაძონ შენს მაგალითს".

აღშფოთებული არიან არა მარტო რიგითი ჯარისკაცები, რომლებმაც იციან, თუ რა ძვირად უჯდება გერმანელ ხალხს საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის ხროვის ვერაგული თავდასხმა, არამედ მეთაურთა შემადგენლობის ზოგიერთი წარმომადგენელიც გრძნობს ამ სისხლიანი ტირანიის კატასტროფას. მოკლულ მაიორ ლუნდენდორფის დღიურში ასეთი ჩანაწერი აღმოჩნდა: „ჩვენი მაინც რცხვენოდეთ იმათი, ვინც საკუთარი თვალით ვხედავთ, თუ რად ჯდება ეს „გამარჯვებები". ჩვენი ცოლების, დედების და ბავშვებისა მაინც რცხვენოდეთ, რომლებიც უფრო და უფრო ხშირად იღებენ ცნობებს აღმოსავლეთის ფრონტზე თავისიანების დაღუპვის შესახებ".

ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა დეკლარაციაში ნათქვამია: „ვაი ჩვენ გერმანელებს, თუ ჰიტლერის დამარცხება უჩვენოდ, ჩვენი მონაწილეობის მიუღებლად, ჩვენი აქტიური ხელშეწყობის გარეშე მოხდება! მაშინ არავინ არ დაუჯერებს ჩვენს მტკიცებას, რომ ჩვენ, გერმანელები, პასუხისმგებელნი არა ვართ ჰიტლერელთა ბოროტმოქმედებისათვის. ხალხი, რომლის სახელითაც ჩადენილია საშინელი მხეცობა, რომელიც სდუმს და სიტყვაშეუბრუნებლად ეწევა ომს, ასეთი ხალხი ვერც თანაგრძნობისა და ვერც დახმარების იმედს ვერ იქონიებს".

გერმანელ ხალხს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ მას სიცოცხლედ უჯდება ჰიტლერის ავანტიურა. იგი პასუხს აგებს საბჭოთა ქვეყნის ხალხზე ძალადობისათვის, ძარცვა-გლეჯვისათვის, ქალაქებისა და სოფლების, ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანგრევისათვის. და ამ ნიადაგზე თანდათან იზრდება იმის შეგნება, რომ გერმანიას სათავეში დამნაშავეები და ყაჩაღები უდგანან, რომლებმაც გერმანელი ხალხი ჩაითრიეს საშინელ, სისხლისმღვრელ ომში, რაც ყველაზე უფრო ძვირად თვით გერმანელ ხალხს დაუჯდება. ამ მღელვარების ზრდას ამჟამად ჰიტლერელი ფაშისტი ჰმართველებიც კი ვერ უარჰყოფენ. სწორედ ამიტომ მოუწოდებს გებელსი გერმანელ ხალხს „მოთმინებისაკენ", რაც აშკარა ნიშანია იმისა, რომ გერმანელთა სახელგანთქმული მოთმინების ფიალა უკვე ივსება და გერმანელი ხალხის მოთმინება თანდათან ადგილს უთმობს პროტესტსა და აღშფოთებას.

ლეიტენანტ ტარანჩუკის ქვედანაყოფმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის მიმართულებით მოქმედებდა, ს-ის რაიონში ხელთ იგდო გერმანელთა საველე ფოსტა № 301. ფოსტის საქმეებში აღმოჩნდა გერმანიიდან გამოგზავნილი წერილების დიდი დასტა, რომლებიც ჯარისკაცებისათვის არ გადაუციათ და რომლებსაც ფრონტის ცენზურის შტამპი ჰქონდა შემდეგი წარწერით: „ადრესატს არ ჩაბარდეს. უნდა მოისპოს". გავიცნოთ იმ წერილების შინაარსი, რომლებიც აღმოაჩნდათ ტყვე და მოკლულ გერმანელ ჯარისკაცებს, რათა გავი-

გოთ, თუ რატომ უკრძალავს ცენზურა ნათესავებისა და ოჯახების წერილების ნიღებას. ამასთან გავიგებთ ფაშისტთა სარდლობის შეშფოთების მიზეზებს, და გერმანელ ჯარისკაცთა ოჯახების მდგომარეობას. წერილები, უმეტესად გაგზავნილია დედების, ცოლებისა და დების მიერ.

ეფრეიტორ ოტო ცაგლაუერს დიუსელდორფიდან საცოლე სწერს:

„რატომ სახლში არა გგზავნიან ეს მაიმუნები? მე უკვე ყოველი იმედი დავკარგე და მზადა ვარ გარშემო ყველაფერი დავამტვრიო. ჩვენ ხომ განწირულნი და გაყიდულნი ვართ! ნუ თუ ფიქრობ, რომ ჩვენი მომავალი ვარდისფრად გვეხატება? სასოწარკვეთილება მიპყრობს, როდესაც განვლილ წლებზე ვფიქრობ. რა გვქონდა დღემდე? აბსოლუტურად არაფერი! დილიდან საღამომდე ჯაფა, მცირე საჭმელი, ტანისამოსი კი მხოლოდ ის, რაც ტანზე გვეცვა. და ამას უნდა ვჯერდებოდე... უკვე სამი წელიწადია, შენი თავი მომაშორეს... საუკეთესო წლები გადის, მე კი მხოლოდ მძიმე სამუშაო მინახავს და ვერასოდეს ვერ ვჭამ მაძღრისად. დამშვიდებულ ძილზე ოცნებაც-კი არ შეიძლება. ერთის სიტყვით ისე მომბეზრდა ყველაფერი, რომ ერთი იმედია დამრჩენია, იქნებ ყველაფერი მალე აფეთქდეს. ეს გარდუვალია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ყველანი ჩივიან, გარდა ვაჭრებისა, რომლებიც კვლავ გამორჩენას პოულობენ“.

მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ჰაინცს უპოვეს ცოლის წერილი, სადაც ნათქვამია: „ფიურერმა სთქვა, 1942 წელს უფრო კარგად ვიქნებით შეიარაღებული და წარმატებით შევძლებთ ომის განგრძობასო. ამის შემდეგ ყველა ქალმა ყურები ჩამოჰყარა. ჩვენ ხომ ყველანი იმას მოველოდით და იმის იმედი გვქონდა, რომ ომი 1941 წელშივე დამთავრდებოდა. ამ ამბავმა თავზარი დასცა იმ ფაბრიკის მუშა-ქალებს. სადაც ვმუშაობ. ყველა დამწუხრებული დადის. მხოლოდ ცოტანი, რომელთაც ფრონტზე არავინა ჰყავთ, და ტუტრუცანები თუ მხიარულობენ“.

ტყვე ჯარისკაცს ეფრეიტორ ლუდვიგ ციკმუნდს ლაიპციგიდან დედის მიერ გაგზავნილი შემდეგი შინაარსის წერილი აღმოაჩნდა:

„დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. მე უფროსი შვილი დავკარგე, შენ კი ძმა. მთელი თვის განმავლობაში არ მიმიღია იმისაგან წერილი, 3 დღის წინადაკი ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ ჩვენი ჰენრიხი პეტერბურგთან მოჰკლეს. რა საშინელი უბედურებაა! ამ საზარელმა ომმა მთელი ჩვენი ცხოვრება ააფორიაქა, აწეწ-დაწეწა... ქალაქში ძალიან ბევრი ხეიბარი გაჩნდა. ყველგან ვხვდებით უფეხოებსა და უხელოებს. ესენი ომის ინვალიდები არიან. წარმოიდგინე, შეჰნატრიან კიდეც მათ, მათ ხელი ან ფეხი დაჰკარგეს, სხვებმა კი სიცოცხლე გასწირეს. ქალაქში ძალიან ბევრია ქვრივი და ობოლი.“

აი რაზეა ლაპარაკი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების იმ წერილებში, რომლებსაც ისინი გერმანიიდან და თავიანთი დედების, ცოლებისა და დებისაგან ღებულობენ. იწერებიან სასურსათო სიძნელეებზე, სიმშილზე, ფაბრიკა-ქარხნებში უზომო ჯაფასა, შრომასა და ღატაკურ ხელფასზე, ომიანობის მესამე საშინელ ზამთარზე, ფრონტზე დაღუპულ მახლობლებსა და ნათესავებზე, ომის უპერსპექტივობაზე, საშინელი საჰაერო ბომბარდირების შემაძრწუნებლობაზე. ყველა წერილის შინაარსში წითელი ძაფივით მოსჩანს ომისაგან საშინელი მოღლილობა, უიმედობა და მოქანცულობა.

ამიტომ არის, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობა შეშფოთებულია და თავის ინსტრუქციებსა და საიდუმლო ბრძანებებში მოითხოვს, რომ გერმა-

ნიიდან გაგზავნილი წერილები გატარებულ იქნან სასტიკ ცენზურაში, რომ ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა წერილები ფრონტის მოწინავე ხაზზე არ იქონიონ, რათა ისინი მოწინააღმდეგეს არ ჩაუვარდეს ხელში და არ გამოამჟღავნოს გერმანიის მოსახლეობის აუტანელი მდგომარეობა ახლანდელ ომთან დაკავშირებით.

ეს არის ის „საიდუმლო მონაცემები", რომელთა ფხიზლად დაცვაზე ასე ერთგულად ზრუნავს გერმანიის უმაღლესი სარდლობა თავის ინსტრუქციაში.

როგორც ვხედავთ, შემაძრწუნებელი ფაქტები ხდება ქალთა მდგომარეობის ხაზით გერმანიაში. უდიდესი დანაკლისი და ზარალი, რაც გერმანიას აღმოსავლეთის ფრონტზე მოსდის, აშფოთებს მოსახლეობას. დაჭრილთა განუწყვეტელი ნაკადი, უამრავი ჯარისკაცის დაღუპვა, ტრაგიკული წერილები ფრონტიდან, მესამე მშიერი ზამთარი, — ყოველივე ეს შეშფოთებას იწვევს ფაშისტური გერმანიის მოსახლეობაში. ბევრი დედა და ცოლი, რომლებსაც ფრონტიდან დიდიხანია არ მიუღიათ წერილები და არ იციან, რა ბედი ეწიათ მათ შვილებსა და ქმრებს, თავიანთ მახლობლებს ფრონტიდან ეშელონებად მიმავალ დაჭრილებს შორის ეძებენ. აი რას გადმოგვცემს ერთი შვეიცარელი კორესპონდენტი: „1941 წელს, 12 ოქტომბერს, კენიგსბერგში, დაჭრილებით სავსე რამდენიმე შემადგენლობის გაჩერებისას, ქალებმა სადგურთან გაარღვიეს პოლიციელთა კოლონები და ბაქანზე გავიდნენ. ამდროს მოუსწრეს პოლიციელთ მაშველმა ძალებმა და მრავალი ქალი დააპატიმრეს".

ბერლინსა და გერმანიის სხვა ქალაქებში სასურსათო მდგომარეობა თანდათან უარესდება. მოსახლეობის უმრავლესობა ბავშვებისათვისაც კი ვერ შოულობს ცხიმეულსა და რძის პროდუქტებს. გასაცემი პროდუქტების ნორმები თანდათან მცირდება. მეტწილად სავაჭროებში სრულიად არ მოიპოვება პროდუქტები და ხალხს ტყუილად უხდება რიგებში დგომა. ფაშისტური პრესა ცდილობს მოსახლეობის დამშვიდებას და უნებლიედ აღიარებს მდგომარეობის სერიოზულობას. მაგალითად, გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგი" სწერდა: „ომი განუწყვეტლივ მოითხოვს მსხვერპლს. ამიტომ ახალი შეზღუდვის შემოღების შემთხვევაში არ უნდა აღელდეთ"-ო.

„ქალაქების დამშეული მცხოვრებნი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობენ სასურსათო მაღაზიებთან და საწყობებთან. 2 იანვარს ჰამბურგში დამშეულ ქალთა ჯგუფმა აიკლო 3 მაღაზია და მძიმედ დასჭრა ორი პოლიციელი". იგივე წყარო იტყობინება ბადენიდან, მიუნხენიდან და გერმანიის სხვა ქალაქებიდან, რომ სიმშილობასა და ნერვიულ ვითარებასთან დაკავშირებით დაავადებათა რიცხვი გადიდდა. გერმანიაში აღარა ჰყოფნით ექიმები და მედიკამენტები. „გერმანიაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია ძლიერდება, ავადმყოფების მოსათავსებლად გერმანელთა ხელისუფალნი სასტუმროებისა და დიდი სახლების რეკვიზიციას ახდენენ. არასაკმაო სამედიცინო დახმარების, აგრეთვე ავადმყოფთა დაუძლურების ნიადაგზე სიკვდილიანობა ძალზე გაიზარდა. ამა წლის იანვარს მარტო ჰამბურგში 960 კაცი მოკვდა პარტახტიანი ტიფით. განსაკუთრებით გაიზარდა ტიფიან ჯარისკაცთა სიკვდილიანობა".

ამას ერთვის უამრავი დაჭრილი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ბრძოლის ფრონტზე, აგრეთვე დასახიჩრებულ და დახოცილ ჯარისკაცთა ოჯახების უნუგეშო მდგომარეობა. აღმოსავლეთიდან მატარებლების ჩასვლას ყველა მოზრდილი ქალაქის სადგურზე ქალები უცდიან — ეძებენ თავიანთ ქმრებსა და შვილებს. ხოლო როდესაც აღმოსავლეთისაკენ მატარებლებს ჯარისკაცები

მოჰყავს, ქალები ძალით აჩერებენ მატარებელს და პროტესტს აცხადებენ თავიანთი ქმრებისა და შვილების სასაკლაოზე გაგზავნისთვის. ოთხი იანვრის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობით, „ქალაქ ბერლინის ანჰალტის სადგურზე ქალების დიდი ჯგუფი შეეცადა ხელი შეეშალა ალმოსავლეთ ფრონტზე ორი სამხედრო ეშელონის გაგზავნისათვის. ქალები ორთქლმავლების წინ რელსებზე გაწვნენ. პოლიციამ და ჟანდარმებმა ქალთა ჯგუფი ვერ გარეკეს. გამოიწვიეს „სს“ რაზმი, რომელმაც ტყვიამფრქვევი დაუშინა ქალებს. მოჰკლეს 7 და დასჭრეს 16 ქალი“. დღითი-დღე აძლიერებენ ქალთა პროტესტს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ფრონტზე მილიონობით დახოცილ ჯარისკაცთა ახალ-ახალი სიები. დედები და ცოლები თავიანთ შვილებსა და ქმრებს დასტირიან. აუარებელი ობოლი ბავშვი დადის ქუჩებში უპატრონოდ. მოსახლეობის უმრავლესობა შავებშია გახვეული— გლოვობს თავისიანებს, აცხადებენ ფარულ თუ აშკარა პროტესტს ამ საშინელი სისხლიანი ომებისა და ადამიანთა დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

ერთი შვეიცარიელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ის „მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ მოიკლა თავი გერმანიაში ერთმა ქალმა საიმპერიო კანცელარიის შენობის წინ. ქალმა შესძახა: „ძირს ჰიტლერის ნაცისტური პარტია“ და თავი მოიკლა. ქალის თვითმკვლელობამ სტიქიური დემონსტრაცია გამოიწვია საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგ. დემონსტრაციის რამდენიმე მონაწილე გესტაპომ იქვე დააპატიმრა“. კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ქალს ძაძა ეცვა და სანამ თავს მოიკლავდა, გაზეთის ამონაჭერს იქნევდა, სადაც საბჭოთა ფრონტზე დახოცილ ჯარისკაცთა სიაში მისი ქმრისა და შვილის სახელებიც იყო დაბეჭდილიო.

მიუხედავად გერმანიაში გამეფებული ჯოჯოხეთური რეჟიმისა, გერმანელი მშრომელი ქალები მაინც გამოხატავენ თავიანთ პროტესტს და სიძულვილს ჰიტლერელთა საზიზღარი მმართველობის წინააღმდეგ. გერმანელ ქალებს არა სურთ მათი ქმრები და შვილები ჰიტლერელი ფაშისტური ხროვის საზარბაზნე ხორცად იქცნენ. მათ არა სურთ ფაშისტი ავაზაკების მიერ შექმნილი დასაგრილებელი ფერმების მშობიარე მანქანებს წარმოადგენდნენ. მათ არა სურთ ფაშისტური ბარბაროსული რეჟიმის ყურმოჭრილი მონები იყვნენ.

ისინი მოითხოვენ მშვიდობიანობას, თანასწორუფლებიანობას, ოჯახს, მშობლიურ გრძნობისა და ცოლქმრული ურთიერთობის ადამიანურ უფლებებს. 9 წლის განმავლობაში გერმანელი ქალების ტვინს აბრუებდნენ სიცრუით და მოტყუებით. მაგრამ მათი შეგნება თანდათან იღვიძებს. ისინი ხელს უშლიან ქმრების, მამებისა და ძმების გაგზავნას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, მონაწილეობას იღებენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში.

არის ერთადერთი გამოსავალი, რომ ქალებისადმი პირუტყვულ დამოკიდებულებას და ადამიანთა საშინელ ხოცვა-ჟლეტას ბოლო მოეღოს — ეს გამოსავალი ჰიტლერის დამხობაა. და შორს არ არის ის დრო, როცა გერმანელი ქალების პროტესტი და მღელვარება შეუერთდება გერმანელი ხალხის პროტესტს და გადაიქცევა საერთო რისხვად, რომელიც წალეკავს ფაშისტური პირუტყვების ხროვას და გაანთავისუფლებს გერმანელ ხალხს მიხაკისფერ ჭირისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. კალანდარაშვილი

სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ შესახებ

სოლომონ დოდაშვილი (1804 — 1836) ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. იგი ცნობილია 1832 წლის შეთქმულების მონაწილედ და მის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მისი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით, მიმართული იყო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა მისი მოღვაწეობის მეორე მხარეც. მხედველობაში გვაქვს მისი მუშაობა ფილოსოფიაში, რომლის შედეგს წარმოადგენს მისი თხზულება „Курс философии, часть первая. Логика. Сочинение Соломона Додаева-Магарского. Санкт-Петербург. В типографии Александра Смирдина. 1827 г.“.

ეს თხზულება ავტორმა გამოსცა რუსეთში, ცნობილი ბერის იონა ხელაშვილის დახმარებით. ამ თხზულებამ სამართლიანად მოუპოვა ს. დოდაშვილს ქართველი მოაზროვნის სახელი. მაგრამ დღემდე მისი „ლოგიკის“ შესახებ მხოლოდ გაკვრით თუ გამოთქმულა რაიმე აზრი. ჩვენი მიზანია, ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ნაკლი და ვაჩვენოთ დაინტერესებულ მკითხველებს ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ მნიშვნელობა და ხასიათი.

ა. ზოგადი მიმოხილვა

ს. დოდაშვილის მიზანი ყოფილა თურმე ფილოსოფიის სრული კურსის დაწერა და გამოცემა. ფილოსოფიის სრულ კურსად იგი გულისხმობდა შემდეგ ფილოსოფიურ დისციპლინებს: 1) ლოგიკასა და ფსიქოლოგიას, 2) მეტაფიზიკას, 3) ესტეტიკას, 4) ეთიკას და 5) სამართალს.

ამ დისციპლინებიდან მან მოასწრო მხოლოდ „ლოგიკის“ გამოქვეყნება. არის ცნობა, რომ მან თურმე გადასახლებაში (ქ. ვიატკაში) დასწერა სხვა ნაწილებიც ფილოსოფიის კურსისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ხელნაწერები დაკარგულად ითვლებიან. თვითონ „ლოგიკა“ შემდეგი ნაწილებისაგან შესდგება:

I. შესავალი ლოგიკაში.

II. ლოგიკის ცნება და განმარტება.

III. ლოგიკის მოკლე ისტორია.

თავი I. გონება.

თავი II. აზროვნების კანონები.

თავი III. მსჯელობა.

თავი IV. წესები სხვადასხვაგვარი წინადადებისა.

თავი V. ცნება.

თავი VI. დანასკვი.

თავი VII. დამტკიცებანი.

ასეთია ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ ზოგადი შინაარსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროის ფილოსოფიურ ლიტერატურაში ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ შესამჩნევ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან მაშინ რუსულ-ენაზე სულ თითებზე ჩამოსათვლელი იყო ლოგიკის სახელმძღვანელოთა რიცხვი. ამიტომ ცხადია, ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ გამოცემა დიდი მოვლენა იყო.

ბ. „ ლოგიკის“ ფილოსოფიური საფუძვლები

ავტორის ფილოსოფიური შეხედულებანი დალაგებული უნდა ყოფილიყვნენ მისი „ფილოსოფიის კურსის“ სხვა ნაწილებში. მიუხედავად ამისა, ს. დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებები საკმაო სიცხადით არის გატარებული მისივე „ლოგიკაში“. ამიტომ, სანამ გადავიდოდეთ მის წმინდა ლოგიკურ შეხედულებათა დალაგებაზე, საჭიროა თავი მოვუყაროთ „ლოგიკაში“ აქა-იქ გაფანტულ ფილოსოფიურ შეხედულებებს და სათანადოდ შევისწავლოთ იგი. ამით ჩვენ მივაღწევთ „ლოგიკის“ ფილოსოფიური საფუძვლების ცოდნას და, მაშასადამე, იმ ნიადაგის ცოდნას, რომელზედაც ს. დოდაშვილმა ააგო თავისი შეხედულებანი.

საჭიროა გავიგოთ თუ როგორია ს. დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებანი.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ამ საკითხზე გამოითქვა ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულება. თანახმად პირველი შეხედულებისა, ს. დოდაშვილი კანტის ფილოსოფიის მიმდევარია. ამ თვალსაზრისის დამცველია Я. Колубовский (იხ. Ибервег-Гейнцс. История новой философии, 1820, გვ. 520 და Э. Радлов. Философский словарь, გვ. 186). თანახმად მეორე შეხედულებისა, ს. დოდაშვილი მიმდევარია არა მარტო კანტისა, არამედ ჰეგელისაც. ამ თვალსაზრისს იცავს ზაქარია ჭიჭინაძე (იხ. „ს. დოდაშვილი“, თბილისი, 1883 წ., გვ. 14 — 18).

რომელი აქ მოყვანილი თვალსაზრისია სწორი?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ როგორ გადასწყვიტა ს. დოდაშვილმა ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, ე. ი. საკითხი აზრისა და არსის დამოკიდებულების შესახებ.

ერთი რამ იმ თავითვე გარკვევით მოჩანს: ს. დოდაშვილი მონისტური ფილოსოფიის მომხრეა. ერთ ადგილას ის პირდაპირ ამბობს: „ჭეშმარიტი ფილოსოფია ერთი უნდა იყოს, როგორც ერთია ჭეშმარიტება, როგორც ერთია გონება და როგორც ერთია ადამიანის სულის კანონები“ (გვ. 1). მეორე ადგილას ავტორი აიგივეებს დუალიზმს და ყალბ, შემცდარ სისტემებს (გვ. 7), ე. ი. ამტკიცებს, რომ დუალიზმი ყალბი, შემცდარი შეხედულებაა. აქედან უდავოდ

გამომდინარეობს ის, რომ თვითონ დოდაშვილისათვის მისაღებია მხოლოდ მონისტური და არა დუალისტური პრინციპი. მაგრამ მაშინ საკითხავია: როგორ აქვს მას წარმოდგენილი ეს პრინციპი? აზრის და არსის [illegible] საკითხში მონისტური პრინციპი, როგორც ცნობილია, ან იდეალისტური, ან მატერიალისტური. მაშასადამე, რადგან ს. დოდაშვილი მონისტური ფილოსოფიის მომხრეა, ამიტომ იგი ან იდეალიზმს, ან მატერიალიზმს უნდა იზიარებდეს. მართლაც იდეალიზმს თუ მატერიალიზმს თანაუგრძნობს დოდაშვილი? ამ საკითხის შესახებ შეიძლება წინასწარ წამოყენებული იქნას შემდეგი დებულება: ს. დოდაშვილი მოითხოვს მონისტური ფილოსოფიური სისტემის ჩამოყალიბებას და მხოლოდ ასეთ სისტემას მიიჩნევს ჭეშმარიტად. მიუხედავად ამისა, იგი ღალატობს მონიზმის პრინციპს და ნებსით თუ უნებლიეთ საბოლოოდ დგება მის მიერ დაგმობილი დუალიზმის თვალსაზრისზე. გადავიდეთ ახლა ამ დებულების დამტკიცებაზე.

ერთის მხრივ, ს. დოდაშვილი თანაუგრძნობს მატერიალიზმს. ეს ჩანს შემდეგი მისი შეხედულებებიდან. ს. დოდაშვილი თანაგრძნობით იხსენიებს ინგლისელ მატერიალისტს ფ. ბეკონს. მის უდიდეს დამსახურებას იგი ხედავს იმაში, რომ „მან პირველმა, საშუალო საუკუნოების შემდეგ, გვაჩვენა, რომ მთელი ადამიანური შემეცნება მდგომარეობს იმ საგნების გამოკვლევაში, რომლებიც ჩვენს გარეშე იმყოფებიან“... (გვ. 25). შემდეგ, წმინდა მატერიალისტურია ს. დოდაშვილის შემდეგი განცხადება: „რომელიმე საგნის ჩვენ გრძნობებზე მოქმედებისას, ჩვენი სული ყოველთვის შეიგრძნობს მიღებულ შთაბეჭდილებებს“ (გვ. 25). ასევე მატერიალისტურია ავტორის შემდეგი განცხადება: „როდესაც ჩვენ მოვისურვებთ გონების თვისებათა გაგებას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის, რომ აზროვნების პირველ მოქმედებისას, უკვე უნდა არსებობდეს დაპირისპირება მოაზროვნესა და მოაზრებულს შორის. სული შეიცნობს რა ამ დაპირისპირებას, მიხვდება, რომ მოაზროვნე სავსებით განსხვავდება მოაზრებულისაგან და რომ წარმოსადგენ საგანს არაფრით არ შეუძლია იყოს იმ ქვემდებარეთ, რომელიც მას წარმოიდგენს“ (გვ. 28). ამ განცხადების დედა-აზრი სავსებით ნათელია: „მე“ განსხვავდება გარეშე ქვეყნისაგან. ამ განსხვავების შინაარსი იმაშია, რომ გარეშე ქვეყანა არსებობს „მე“-საგან, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. აი ის მატერიალისტური თეზა, რომელიც გატარებულია მოყვანილ ციტატაში.

ერთი ხაზი კიდევ. ს. დოდაშვილი დიდის თანაგრძნობით ეპყრობა არისტოტელეს ონტოლოგიურად გაგებულ კატეგორიათა მოძღვრებას. აი რას სწერს იგი ამის შესახებ: „თუმცა ამ უკანასკნელ თხზულებაში იგი (ე. ი. არისტოტელე) განიხილავს კატეგორიებს მხოლოდ პირდაპირ ლოგიკურად, მაგრამ მათ აქვთ უფრო მეტი ღირსება მის სისტემაში; ისინი გაგებული არიან როგორც საგნებთან უშუალო ურთიერთობაში მყოფნი. ასე რომ ისინი არა მარტო გონების ცნებებია, არამედ ისინი არიან საგნების თვისებები — ე. ი. ისინი არიან არა მარტო ლოგიკური, ცარიელი, ფორმალური ცნებები, არამედ საგნობრივნი...“ (გვ. 14). რა გამომდინარეობს კატეგორიათა ასეთი ონტოლოგიური გაგებისაგან? ცხადია, ის მატერიალისტური შეხედულება, რომ კატეგორიები არა მარტო ჩვენი სუბიექტური ფორმებია, არამედ ისინი უპირველეს ყოვლისა არიან ობიექტიური ფორმები გარეშე ქვეყნისა. არისტოტელეს ფი-

ლოსოფიის ეს პროგრესიული, მატერიალისტური მხარე ს. დოდაშვილის დიდის სიმპატიითა და თანაგრძნობით სარგებლობს.

ასეთია მთლიანად ის ადგილები „ლოგიკისა“, საიდანაც გამომჟღავნარეობს ს. დოდაშვილის სიმპატიები მატერიალიზმისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მეორეს მხრივ ს. დოდაშვილი თანაუგრძნობს იდეალიზმსაც. ასე, მაგალითად, იგი ღებულობს თელეოლოგიურ მოძღვრებას. აი რას ამბობს იგი ამის შესახებ: „მსოფლიო არის მიმართებათა სისტემა, სადაც ყველაფერი აწონილ-დაწონილია და გაანგარიშებულია: ყველაფერი ერთი მეორესთანაა დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივად, მიზან-საშვალებებით; ყველაფერი დაქვემდებარებულია უცვლელ წესებისადმი; მარადიული კანონებისადმი; ეს არის დაუსრულებელი ჯაჭვი, რომელიც იწყება და თავდება ერთ საწყისში“ (გვ. 2).

ასეთი თელეოლოგიზმი პირდაპირი მაჩვენებელია იმისა, რომ ავტორი გარკვეულად იხრება იდეალიზმისაგან.

ასე და ამრიგად, ერთ თვალის გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ ს. დოდაშვილმა ვერ მოახერხა ან მხოლოდ მატერიალიზმის ან მხოლოდ იდეალიზმის ნიადაგზე თავის შემაგრება. იგი აშკარა დუალიზმის გზას დაადგა და თავის ნააზრევში ადგილი დაუთმო როგორც მატერიალისტურ, ისე იდეალისტურ ნაკადებს.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. უნდა გაირკვეს თავათ ამ დუალიზმის ხასიათი მისი „ლოგიკის“ მიხედვით, ე. ი. უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი დუალისტური ფილოსოფიის მიმდევარია ს. დოდაშვილი. ამ მხრივ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი კანტის დუალისტური ფილოსოფიის ორტოდოქსალი მიმდევარია. ცნობილია, რომ კანტი დუალისტია. როდესაც იგი აღიარებს იმ დებულებას, რომ არსებობს „საგანი თავის თავად“ და იგი ზეგავლენას ახდენს ჩვენზე და ამ გზით წარმოიშვებიან შეგრძნებები — აი ამ მომენტში კანტი მატერიალისტია. ხოლო როდესაც კანტი აღიარებს იმ დებულებას, რომ დრო, სივრცე და 12 კატეგორია ჩვენი ან ტრანსცენდენტალი სუბიექტის ფორმებია — ამ მომენტში იგი დგას იდეალიზმის საფუძველზე. ამრიგად, კანტის ფილოსოფიაში გაბატონებულია დუალიზმი.

აი სწორედ კანტისებური დუალიზმია მოცემული ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ შეხედულებებში. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი საბუთები.

პირველი: იზიარებს რა კანტის მატერიალისტურ შეხედულებას, ს. დოდაშვილიც ამტკიცებს, რომ შეგრძნებები ჩვენში წარმოიშვებიან გარეშე საგნების ჩვენზე ზეგავლენის შემწეობით. ამ აზრით ამბობს იგი: „რომელიმე სხეულის (საგნის) გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებისას, სული მიმართავს მიღებულ შთაბეჭდილებებს“ (გვ. 25).

მეორე: იზიარებს რა აგრეთვე კანტის იდეალისტურ შეხედულებას დროისა, სივრცისა და 12 კატეგორიის აპრიორობის შესახებ, ს. დოდაშვილიც ამავე დებულებას ამტკიცებს. აი რას სწერს იგი ამის შესახებ: „Всеобщие формы или законы представлении, суть двоякие: а) чувственныя, кои свойственны чувственности, или лучше сказать производственному воображению, каковы: пространство и время, из коих первое есть закон для внешнего чувства. Их всеобщностью и необходимостью ясно доказывается их происхождение от ума; основание сей истины должна

показать метафизика. в) Умственные, или, точнее сказать, свойственные разуму, оне не что иное суть как те коренные понятия, кои уже выведены нами из сущности суждения, и кои соответствуют необходимым законам разума“ (54—55).

ამრიგად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მონიზმის მაგიერ „ს. დოდაშვილმა მიიღო დუალიზმი და რომ ეს დუალიზმი არის კანტისებური დუალიზმი.

ასეთია ს. დოდაშვილის მიერ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაჭრა. მაგრამ ეს ცოტაა. უფრო დამუშავებული სახითა აქვს წარმოდგენილი მას ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარის ე. ი. შემეცნების შესაძლებლობის საკითხის გაშუქება-დალაგება. ამიტომ ახლა ჩვენ დაგვრჩენია საქმის ამ მხარის ანალიზი. მართლაც, როგორია ს. დოდაშვილის შეხედულება? შემეცნების თეორიის ძირითადი ამოცანა, ს. დოდაშვილის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ მან უნდა გვაჩვენოს თუ როგორაა შესაძლებელი ბუნების მოვლენათა მრავალგვარობაში ერთგვარობის შემეცნება. ამის შესახებ იგი პირდაპირ ამბობს, რომ „შემეცნებითი ძალა თანდათან ადის სულ მაღლა და მაღლა კერძოობითიდან ზოგადამდე, მრავალგვარობიდან ერთგვარობამდე“ (გვ. 26).

ასეთია ძირითადი საკითხი შემეცნების თეორიისა. მოხაზავს რა ამ ძირითად საკითხს, ს. დოდაშვილი შემდეგ გადადის იმის გამორკვევაზე, თუ როგორ ახერხებს შემეცნება მრავალგვარობაში ერთგვარობის აღმოჩენას და შემეცნებას. სჭირდება სამი ძირითადი პირობა. როგორია ეს პირობები?

პირველი პირობაა — შემეცნების სუბიექტის არსებობა, ე. ი. „არსებობა იმ არსებისა, რომელსაც აქვს თავის თავის ცნობა ან ცნობიერება“ (გვ. 27).

შემეცნების მეორე პირობა, ს. დოდაშვილის აზრით, არის თვითონ შემეცნების საგნის არსებობა (გვ. 27). შემეცნების საგანი კი არის მთელი ბუნება, მთელი მსოფლიო, როგორც კავშირთა და ურთიერთობათა სისტემა (გვ. 2).

მესამე პირობა შემეცნებისა არის სუბიექტის შემეცნებითი დამოკიდებულება მსოფლიოსადმი, ე. ი. ობიექტისადმი, სუბიექტისა და ობიექტის შეერთება და შეკავშირება. ამის გამო ს. დოდაშვილი სწერს: „შემეცნების ყოველ საფეხურზე იმყოფება ერთად საგანიც და სულიერი ძალაც; ყოველი წარმოდგენა არის შემოქმედება შინაგანი და გარეშე ქვეყნისა“ (გვ. 27).

მოკლედ: ა) სუბიექტი, ბ) ობიექტი და გ) მათი შემეცნებითი დამოკიდებულება, — აი სამი ძირითადი პირობა შემეცნებისა. მაგრამ ეს ცოტაა. ს. დოდაშვილს შესაძლებლობა თვით შემეცნებისა? აქვს კი რაიმე საერთო გონებას ვალგვარობაში ერთგვარობის შემეცნების შესაძლებლობას. ვნახოთ ახლა საქმის ეს მხარეც. შემეცნების შესაძლებლობად ს. დოდაშვილი სთვლის შემდეგს: 1) მგრძნობელობას, 2) განსჯას და 3) გონებას. შემეცნების ამ იარაღებს უდიდეს როლს აკუთვნებს ს. დოდაშვილი. მისი აზრით, თითოეულ შათგანს განსაკუთრებული როლი აქვთ დაკისრებული შემეცნების პროცესში. ე. ი. მრავალგვარობაში ერთგვარობის შემეცნების საქმეში. მართლაც, როგორია მათი როლი შემეცნების პროცესში?

მგრძნობელობის ადგილი შემეცნებაში გამოიხატება იმაში, რომ იგი არის რეცეპტული, პასიური ძალა და აქვს უნარი წარმოიდგინოს მხოლოდ შთაბეჭდილებათა მასალა (გვ. 23), ამის გამო ამ საფეხურზე მოცემულია მხოლოდ ბუნების მოვლენათა მრავალგვარობა, ე. ი. „ამ საფეხურზე, ამბობს ს. დოდა-

შვილი, ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი შემეცნებას, რადგან არ არის ერთიანობა; აქ მოცემულია მხოლოდ მრავალგვარობა, დაუბოლოებლობა ისე, როგორც დაუბოლოებულია მოვლენათა რიგი მთელი თავისი ცვალებადობით (გვ. 23).

განსჯის როლი შემეცნებაში, ს. დოდაშვილის წარმოდგენით, სრულიად სხვა არის. განსჯა არის აქტიური და არა ცდისეული უნარი. თავის თავად აღებულს, განსჯას შესწევს უნარი გამონახოს და გამოიკვლიოს ერთიანობა. ერთიანობა და ჰარმონია არის მისი ნაწარმოებიო, — ამბობს ს. დოდაშვილი (გვ. 24). გონების როლი შემეცნებაში, ს. დოდაშვილის აზრით არის სინთეტიური. თუ მგრძნობელობა წარმოგვიდგენს მრავალგვარობას ცალკე და განსჯა კი ერთიანობას ცალკე, მაშინ თვით ერთიანობას ანუ ერთგვარობას მრავალგვარობაში წარმოგვიდგენს და შეგვამეცნებინებს სწორედ გონება. მაშასადამე, ს. დოდაშვილის აზრით, გონების შემწეობითაა სწორედ შესაძლებელი ერთგვარობის შემეცნება მრავალგვარობაში (გვ. 24). ამას გონება აღწევს ს. დოდაშვილის აზრით ორგვარი უნარით: შედარებით და განყენებით (გვ. 26).

უფრო კონკრეტულად გონების ასეთი მონაწილეობა შემეცნებაში ს. დოდაშვილს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი, იგი სწერს: „...познавательная сила должна была рассеяться, если бы действием ума не доставляла им единства, хотя относительного; посему выпуская частные признаки, внимание останавливается только на том, что свойственно многим ощущаемым предметам и таким образом составляет общие представления. Сравнив некоторые из сих последних, оно снова оставляет все то, что в частности каждому из них прилично и, так сказать, схватывает черты, имеющие еще большую всеобщность. Таким образом, по необходимости повторяя сие действие беспрерывно, познавательная сила восходит постепенно выше и выше от частного ко всеобщему, от разнообразия к единству. Сие действие есть мышление, а способность к оному есть разум; сравнение и отвлечение суть два главные его действия; понятие, а потому и суждение и заключение, суть следствия сих действии» (стр. 26).

აი ასეთი გზით ხდება, ს. დოდაშვილის წარმოდგენით, ბუნების ერთგვარობის ანუ კანონზომიერების შემეცნება. მაგრამ ამ აზრთა წყობის განხილვის დროს გაურკვეველი რჩება ერთი რამ: როგორა აქვს წარმოდგენილი ს. დოდაშვილი იძლევა იმის სურათსაც, თუ როგორ გვაძლევს ეს სამი პირობა მრავალ ბუნებას ერთიმეორესთან თუ არა? თუ მათ შორის არის რაიმე საერთო, მაშინ შემეცნების შესაძლებლობა დასაბუთებულია. თუ მათ შორის არაფერი არ არის საერთო, მაშინ შემეცნება დაუსაბუთებელია. ასე უნდა იყოს თითქოს საკითხი დასმული. ამ კითხვებზე ს. დოდაშვილს ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, შეხედულება გააჩნია.

პირველი: იგი სწერს: „ამიტომ გონება წარმოიდგენს საგნებს მხოლოდ ისე, როგორც ისინი გრძნობათა ორგანოებს ეელინებიან, ისე, როგორც ისინი აისახებიან ცნობიერებაში“ (გვ. 27). თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ აზრსა და არსს შორის საერთო ელემენტის გამონახვა არც თუ ისე საჭირო გარემოებაა. გამოდის, რომ ჩვენს გონებას აქვს უნარი ასახოს საგნები და მეტი არაფერი. მაგრამ რაა გარანტია იმისა, რომ ასახული მოვლენა ჭეშმარიტებაა? ამის შესახებ ს. დოდაშვილს პასუხი არ გააჩნია.

მეორე: ჩვენ ვიცით, რომ საგანთა ერთიანობის და საერთოდ ერთიანობის

მრავალგვარობაში შემეცნება, ს. დოდაშვილის აზრით, ჩვენი გონების საქმეა. თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ არსსა და აზრს შორის დაშვებულია საერთო ელემენტი თვითონ გონების კანონზომიერების სახით. ე. ი. მაგრამ სამეცნიერო წარმოიდგინება იმგვარად, რომ არსის კანონზომიერება, ე. ი. ერთგვარობა, თვითონ გონების მიერაა არსში შეტანილი და შემდეგ შემეცნებული მის მიერვე. ამ გზით არსი აზრისებურადაა წარმოდგენილი და, მაშასადამე, შემეცნების შესაძლებლობაც უზრუნველყოფილია. საქმის ასეთი გაგებაც საკითხის მარტივად გადაჭრის წარმოადგენს, რადგან არ არის დასაბუთებული, არსის კანონზომიერება მართლა აზრის მიერაა წარმოებული, თუ არა, და მრავალი სხვა.

ასეა თუ ისე, დასმულ საკითხზე ს. დოდაშვილს ერთი გარკვეული პასუხი არა აქვს.

ასეთია მთლიანად ს. დოდაშვილის შეხედულება შემეცნების პროცესზე. მოვახდინოთ ახლა ამ შეხედულებათა ანალიზი. ერთი რამ იმთავითვე ნათელი ხდება: ს. დოდაშვილი შემეცნების საკითხში საკმაო სიმპატიას უცხადებს რაციონალიზმს. იგი სწერს: „არისტოტელმა თქვა: არაფერი არ არის გონებაში, რაც წინასწარ არ იყო გრძნობთა ორგანოების მიერ მოცემული. ლეიბნიცმა მიუმატა: გარდა თვითონ გონებისაო, და ასეთი მიმატება სავსებით საჭიროა, რათა ამით სავსებით გაირკვას გონების არსება“ (გვ. 24).

მაგრამ ეს რაციონალიზმი ს. დოდაშვილთან, საბოლოო ანგარიშში კანტისებურ გაგებას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებას ს. დოდაშვილი საკმაო სიცხადით ხაზს უსვამს. იგი წერს: „საყოველთაო და აუცილებელი კანონები აზროვნებისა, გონებაში შეიმეცნება აპრიორი“ (გვ. 9).

კანტისებური აგნოსტიციზმითაა აგრეთვე შეფერადებული ს. დოდაშვილის შემდეგი განცხადება: „მოვლენები არ წარმოადგენენ საგანთა არსებას; გონება არ არის განსჯა, ლოგიკა არ არის მეტაფიზიკა. აი ის განსხვავება, რომელთაც შეუძლია გამოიყვანოს ფილოსოფია იმ ლაბირინტიდან, რომელშიდაც იგი იმყოფებოდა კენიგსბერგიელ ფილოსოფოსამდე“ (გვ. 7).

მაშასადამე, ამისდა მიხედვით ს. დოდაშვილი გნოსეოლოგიაში კანტიანელად შეიძლებოდა მოგვენათლა. მაგრამ, გარდა ამისა, მისი შემეცნების თეორია საკმაო გავლენას განიცდის იდეალისტური დიალექტიკისა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ს. დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებანი გერმანული კლასიკური იდეალიზმის ნიადაგზე ჩამოყალიბდნენ. გავარკვიოთ ახლა საკითხის ეს მხარე.

უკვე გავარკვიეთ, რომ ს. დოდაშვილის თვალსაზრისით, მგრძნობელობა იძლევა მრავალგვარობას, განსჯა-ერთგვარობას, ხოლო გონება-ერთგვარობას მრავალგვარობაში. ს. დოდაშვილი იღებს სწორედ შემეცნების ამ მხარეს და მას წარმოიდგენს, როგორც დიალექტიკურ პროცესს. მართლაც, მისი თვალსაზრისით, მრავალგვარობა, მოცემული მგრძნობელობით, არის თეზისი, ერთიანობა განსჯისა არის ანტითეზისი, ხოლო ერთგვარობა მრავალგვარობაში, როგორც გონების შედეგი, არის სინთეზი. სწორედ აზრთა ეს წყობაა ნაგულისხმევი მის შემდეგ განცხადებაში: „... ყოველი წარმოდგენა არის შედეგი შინაგანი და გარეგანი ქვეყნისა; ერთი სიტყვით, ცნობიერების ყოველ მოქმედებაში, რომელიც გონებას ახასიათებს, ისახება: ა) დადგენა (thesis), ბ) დაპირისპირება (antithesis) და გ) ერთისა და მეორის შეერთება (sinthesis)“ (გვ. 27).

ასეთია ის მეტად საინტერესო მხარე, რომელიც გააჩნია ს. დოდაშვილის შეხედულებებს შემეცნების პროცესზე. ქვემოდ დავინახავთ, რომ მისი ლოგიკური შეხედულება სწორედ ამ დიალექტურ მომენტზეა აგებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ლოგიკური შეხედულებანი

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია პირდაპირ გადავიდეთ ს. დოდაშვილის ლოგიკურ შეხედულებათა ანალიზზე. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მასალის თავისებური დალაგება „ლოგიკა"-ში. ასე, მაგალითად, ს. დოდაშვილის „ლოგიკა" იწყება 1) აზროვნების კანონების განხილვით; 2) შემდეგ იგი პირდაპირ გადადის მსჯელობათა ბუნების გარკვევაზე; 3) მხოლოდ ამის შემდეგ არკვევს ცნების რაობას; 4) უკანასკნელად კი განიხილავს დანასკვებს. ასეთია მასალის თავისებური დალაგება ს. დოდაშვილის „ლოგიკაში". ჩვენ ვამბობთ, რომ მასალა თავისებურადაა დალაგებულიო და ჩვენს ამ დებულებას თავის საკმაო საფუძველი აქვს. მართლაც, მაშინდელი დროის ყველა სახელმძღვანელო ლოგიკისა იწყება 1) ცნების რაობის ანალიზით; 2) ამას მისდევს მსჯელობათა ბუნების გარკვევა; 3) უკანასკნელად კი გარჩეულია დანასკვები, ამრიგად, ასეთ დალაგებასთან შედარებით, ს. დოდაშვილის მიერ წარმოდგენილი დალაგება ლოგიკური მასალისა მართლაც თავისებურია.

მართლაც, ძირითადი ფონი, რომელზედაც გაშლილია ს. დოდაშვილის „ლოგიკა", არის დიალექტიკური მომენტი მის მიერ გაგებული შემეცნების თეორიისა და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ აღნიშნულ თავისებურებათა ახსნა და გამართლება.

ვნახოთ, როგორ აგვარებს ს. დოდაშვილი ამ საქმეს.

თავდაპირველად იგი ეხება ე. წ. აზროვნების კანონებს და მას განიხილავს დიალექტიკის თვალსაზრისით. აზროვნების კანონთა სახით იგი ასახელებს შემდეგ კანონებს: 1) წინააღმდეგობის კანონს; 3) გამორიცხულ მესამის კანონს და 3) საკმაო საფუძვლიანობის კანონს.

სამი ეს კანონი განხილულია ს. დოდაშვილის მიერ შემდეგნაირად: „ცხადია, — სწერს იგი, — რომ წინააღმდეგობის, გამორიცხულ მესამის და საკმაო საფუძვლიანობის კანონები, სხვა არაფერია თუ არა დადგინება (thesis), დაპირისპირება (antithesis) და შეკავშირება (sinthesis)" (გვ. 30 — 31).

აქედან ცხადია, თუ როგორ აქვს დიალექტიკის თვალსაზრისით ს. დოდაშვილს განხილული აზროვნების კანონები. სახელდობრ: 1) წინააღმდეგობის კანონს იგი განიხილავს, როგორც თეზისს, 2) გამორიცხული მესამის—როგორც ანტითეზისს, 3) საკმაო საფუძვლიანობის კანონს, როგორც სინტეზისს. როგორც ჰხედავთ, აქ გამოტოვებულია იგივეობის კანონი: A=A, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ს. დოდაშვილის აზრით, ყველა ჩამოთვლილი კანონები მხოლოდ იგივეობის კანონამდე დაიყვანება. მართლაც, იგი სწერს: „ყველა ისინი (ე. ი. წინააღმდეგობის კანონი, გამორიცხული მესამის კანონი და საკმაო საფუძვლიანო-

ბის კანონი) გამოისახება ფორმულაში A=A, ანუ იგივეობის ლოგიკურ საწ-
ყისში“ (გვ. 31).

ამის შემდეგ ს. დოდაშვილი თვით იგივეობის კანონს განიხილავს დიალექ-
ტიკის თვალსაზრისით და იძლევა მის ღრმა გაგებას. აი ეს მეტად საყურადღებო
ბო და საინტერესო ადგილი: ს. დოდაშვილი ამბობს, რომ იგივეობის კანონის
ფორმულაში, ე. ი. A=A-ში, მოცემულია შემდეგი გარემოება: „აქ პირველი
A პირდაპირ დაიდგინება (thesis), მეორე A უპირისპირდება პირველს (antithe-
sis), ხოლო ნიშანი = აჩვენებს, რომ დადგინება და დაპირისპირება შესრულე-
ბულია და ასე ამგვარად, ამ შეფარდების ორივე წევრს ერთიმეორესთან
აკავშირებს (sinthesis)“ (გვ. 31).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ს. დოდაშვილმა აქ მოცემული გაგებით
დაგვანახვა, რომ იგივეობა არის არა მარტო იგივეობა, არამედ იმავე დროს
სხვაობის შემცველია. ამაშია უდიდესი ღირებულება ამ აზრთამსვლელობისა.
ს. დოდაშვილმა დაარღვია ვიწრო ჩარჩოები ფორმალური ლოგიკისა და
იგივეობის კანონი გაიგო დიალექტიკურად და არა მეტაფიზიკურად. ამაშია
სწორედ მისი უდიდესი დამსახურება და ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში მისი
მასწავლებელი იყო არა კანტი, არამედ გერმანული იდეალიზმის სხვა წარმო-
მადგენლები; შეიძლება ფიხტე, ან და შელინგი, ან შეიძლება ჰეგელიც კი.

ამის შემდეგ ს. დოდაშვილი პირდაპირ გადადის მსჯელობის რაობის გა-
მორკვევაზე. თუ რა არის მსჯელობა, ამის შესახებ ფორმალ-ლოგიკაში გარ-
კვეული პასუხი მოიძებნებოდა. ასე, მაგალითად, პორ-როიალის ლოგიკაში
მსჯელობა განმარტებულია, როგორც ისეთი შედარება საგნებისა, რომელთა
შორისაც ჩვენ ვამყარებთ ან მსგავსებას, ან განსხვავებას. ვოლფის აზრით,
მსჯელობა შესდგება ორი ცნებისაგან, ერთია, რომელსაც რაიმე მიეწერება,
ხოლო მეორე, რომელიც პირველს მიეწერება. ჰერბარტი კი ამბობს, რომ
მსჯელობა არის გადაჭრა საკითხისა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა შეერ-
თებულ იქნას ორი ცნება, რომლებიც აზროვნებაში არიან მოცემულნი. ლო-
გიკის ჩამოთვლილ რუსულ სახელმძღვანელოებში მსჯელობა არ გასცილე-
ბია ფორმალურ განმარტებას. იგი გაგებულია, როგორც ორი ცნების შეერ-
თება ან გათიშვა.

ამ განმარტებებს რომ შევუდაროთ ს. დოდაშვილის განმარტება მსჯელო-
ბისა, მივიღებთ მეტად საინტერესო შედეგებს. მართლაც, თვით მსჯელობის
განმარტებისას ს. დოდაშვილი თითქმის იზიარებს პორ-როიალის ლოგიკის
განმარტებას. იგი სწერს: „მსჯელობა... არის... აზროვნება, სადაც ერთი საგ-
ნის წარმოდგენა განისაზღვრება მეორე საგნის წარმოდგენით და ამყარებს მათ
შორის ან მსგავსებას ან განსხვავებას“ (გვ. 34).

მაგრამ არა ამ განმარტებაშია ს. დოდაშვილის ორიგინალობა. იგი აქაც, ამ
საკითხშიაც შეუხრელად ატარებს თავის დიალექტიკურ თვალსაზრისს და ამ
ნიადაგზე სწყვეტს მსჯელობის გაგების პრობლემას. იგი ამბობს, რომ ყოველ
მსჯელობაში არის ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი. სამივე ეს მომენ-
ტი, მისი აზრით, დიალექტიური ტრიადის სახით განილაგება: ქვემდებარე
არის თეზისი, შემასმენელი — ანტითეზისი, ხოლო კავშირი — სინთეზი (გვ.
34). ასე, მაგალითად, მსჯელობა: „ძაღლი არის ცხოველი“, მისი აზრით შემ-
დეგნაირად უნდა იქნეს გაგებული: „ძაღლი“ თეზისია, „ცხოველი“ — ანტითე-
ზისი, ხოლო კავშირი „არის“ — სინთეზი. ამრიგად ს. დოდაშვილის მიერ

გაგება მსჯელობისა ამ პუნქტში საგრძნობლად განსხვავდება მოყვანილ თეორიებისაგან და მას უთუოდ ორიგინალობის ბეჭედი აზის.

მაგრამ ამით არა კმაყოფილდება ჩვენი ავტორი. იქვე იგი [illegible] კანტის „წმინდა გონების კრიტიკაში" მოცემულ მსჯელობათა ცხრილს და [illegible] [illegible]-მოებულ კატეგორიათა ტაბულას და იძლევა ამ უკანასკნელის დიალექტიკურ გაგებას. აქ იგი საგრძნობლად განიცდის კანტის გავლენას და მაინცდამაინც არ იძლევა რაიმე ორიგინალურ აზრებს. ამიტომ აქ შეიძლება იგი გამოტოვებულ იქნას.

სამაგიეროდ ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს ს. დოდაშვილის აზრი ცნების ბუნების შესახებ. საქმე იმაშია, რომ იგი, როგორც ვიცით, ცნების რაობას არკვევს მსჯელობის ბუნების გარკვევის შემდეგ. ამაშიაც ერთგვარ ორიგინალობას იჩენს იგი. მართლაც, ყველა იმდროინდელი ლოგიკოსი ჯერ არკვევდა ცნების ბუნებას, ხოლო შემდეგ მსჯელობის რაობას. ს. დოდაშვილი კი, წინააღმდეგ ამისა, ცნებას განიხილავს მსჯელობის ბუნების გარკვევის შემდეგ. იგი პირდაპირ მიგვითითებს, რომ ცნება არის შემოკლებული მსჯელობაო (გვ. 52 — 53).

დასასრულ, ს. დოდაშვილი განიხილავს სილოგიზმს, ინდუქციას და დედუქციას. ამ საკითხებში იგი იძლევა ყველასათვის ცნობილ განმარტებებს და არავითარ ორიგინალობას არ იჩენს. ამიტომ ჩვენ ამ მხარესაც გამოვტოვებთ...

ასეთია მთლიანად ს. დოდაშვილის ლოგიკური მოძღვრება.

რა შეიძლება მთლიანად ითქვას ამ მოძღვრების შესახებ?

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ს. დოდაშვილი გერმანულ კლასიკურ იდეალიზმიდან შეიარაღებულია დიალექტიკის თეორიით და რუსულ-ქართულ ნიადაგზე ერთი პირველთაგანია, რომელიც არღვევს ფორმალ-ლოგიკის მეტაფიზიკურ კედლებს და იძლევა ახალი, დიალექტიკური ლოგიკის ელემენტებს. ამაშია მისი ძლიერება და, მაშასადამე, მისი დამსახურებაც ლოგიკური აზროვნების წინაშე ჩვენს აზროვნების ისტორიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო გოგრგაძე — „ჩვენი დროშა“

„ფედერაცია“, 1942 წელი.

საბჭოთა ხალხის დიადმა სამამულო ომმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ქართველი პოეტები მოძმე ხალხების პოეტებთან ერთად აღფრთოვანებით უმღერენ დიდი სამამულო ომის გმირებს, ერთხმად მოუწოდებენ ხალხს შურისძიებისაკენ, ჩვენი სამშობლოს საზიზღარი მტრების განადგურებისა და მოსპობისაკენ, გამოხატავენ რა მთელი საბჭოთა ხალხის სულისკვეთებას. მათ ლექსებში შეურიგებლობის, ფაშისტი დამპყრობლებისადმი უსაზღვრო ზიზღისა და ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენაა მოცემული.

პოეტ ვასო გოგრგაძის პატარა კრებულში „ჩვენი დროშა“, საბჭოთა პოეტის ეს მართალი და ვაჟკაცური ხმა ისმის.

უკვე ათმა თვემ განვლო გერმანელი დამპყრობლების მუხანათური თავდასხმიდან, ყოველ ახალ დღეს და ყოველ თვეს გამარჯვება მოაქვს ჩვენთვის.

„სიმართლის დროშა გვყავს წინამძღოლი
და გამარჯვებაც მხოლოდ ჩვენია“.

(„გამარჯვების გზით“).

მთელი მსოფლიო დღითიდღე უფრო და უფრო რწმუნდება ჰიტლერელთა გარდაუვალ განადგურებაში, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო რაზმავს თავის მზარდ ძალებს და თავისი უძლეველი დროშით მიდის წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

„ჩვენ ამ დროშით გადავლახეთ
ომის, ნგრევის დღეები,
პერეკოპი, ხასანის ტბა,
ფინეთის ღრმა ტყეები,
მასში ფეთქავს მძლავრი ტალღა
მილიონთა გულების,
მის სახელთან ფოლადივით
მტკიცედ შეფიცულების...
...ეს დროშაა უძლეველი
ლენინის და სტალინის“.

(„ჩვენი დროშა“)

ამბობს პოეტი და მთელი საბჭოთა ხალხი სასოებით, იმედიანად შეჰყურებს ამ დიად დროშას, ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს დროშას.

ცეცხლის მოწინავე ხაზზე, სადაც უშუალოდ იბრძვება მტერზე გამარჯვება, საბჭოთა პატრიოტებს გამარჯვების რწმენას უნერგავს ჩვენი დიდი მასწავლებლის ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიადი სახელები.

„ახლა, როდესაც, ვით მრისხანე ცეცხლის კედელი
ჩვენს ქვეყანაში დგას ჭუხილი განუწყვეტელი —
მებრძოლებს შენი აფრთოვანებს ნათელი დროშა“.

მიმართავს პოეტი დიდ ლენინს ლექსში „ვ. ი. ლენინის სურათზე“.

ჩვენი დიდი მხედართმთავრის, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა შემოქმედის, ამხანაგ ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს გამოსვლამ რადიოთი 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე,

გამარჯვების ახალი რწმენა შთაუნერგა საბჭოთა ხალხს და, არამარტო საბჭოთა ხალხს, — მთელი მსოფლიოს ჩაგრულმა ხალხებმა თავიანთი განთავისუფლების განთიადი შეიცნეს ბელადის ვაუკაცურ სიტყვაში. პოეტი ვასო გორგაძე გულწრფელი ლექსით ეხმაურება ამ დიდ მოვლენას, გორგაძე აღფრთოვანებული ტონით გადმოგვცემს ხალხის მზადყოფნას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლისათვის:

„შორით მიჰქონდა პასუხი
ნიავს თოვლიან მთისასა“...

ლექსში „მოსკოვი“ პოეტი გორგაძე გადმოგვცემს საბჭოთა ხალხის დედაქალაქის დაცვის ამაღელვებელ სურათს. პოეტს კარგად აქვს გადმოცემული დიდი სტალინის სახე მოსკოვის დაცვისათვის დიად ბრძოლაში:

„ყოველ მოედანს, მოსახვევს თითოს
დიდი სტალინის იფარავს კალთა,
დღეს სარდალია ბელადი თითონ, —
სასოება და იმედი ხალხთა“.

მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა დედა მოსკოვის დასაცავად:

„უკრაინელი, ქართველი, რუსი
მკერდით იცავენ საყვარელ ქალაქს“.

და მოსკოვთან ფაშისტმა დამპყრობლებმა გამანადგურებელი დარტყმა იგემეს. საბჭოთა ხალხმა თავისი უძლეველი მკერდით დაიცვა დედაქალაქი, თავისი უწმინდესი ალაგი.

მთელი ქვეყანა აღსდგა, როგორც ერთი კაცი, საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხე, ყოველი საბჭოთა მოქალაქე ცოცხლობს ერთი აზრით. ეს აზრია ჰიტლერელ დამპყრობელთა განადგურება უკანასკნელ ბანდიტამდე.

„თქვენთან მხარდამხარ ამართულა
კავკასიონი,
კოლხიდის ჭალა, ვრცლადგაშლილი
პონტოსი წყნარი,
ტალღის ხმაურით ესალმება
ნევას რიონი
და ქართულ დაშნას აელვარებს
მრისხანე მტკვარი“.

ლექსების კრებულში პოეტი გორგაძე ლირიკულ სახეებში გადმოგვცემს დიადი სამამულო ომის გმირების ნათელ სურათებს: გასტელოს, პერტახიას, შალამბერიძეს, სოსნოვსკის. საბჭოთა ხალხის საამაყო შვილებს სიყვარულით უმღერის პოეტი.

„ბევრი სახელი საარაკო, გმირი ახალი
რჩეულთა კრებულს, მზით შემოსილს, დღეს ემატება:
არარა არის უფრო დიდი, უფრო მაღალი,
როგორც საყვარელ მამულისთვის თავის დადება“.
(„გმირები“.)

ვ. გორგაძე, აღფრთოვანებული ჩვენი ვაუკაცი ახალგაზრდებით, მგრძნობიერი სიტყვებით მიმართავს მათ:

„რა სიამაყით, რა მღელვარებით
თქვენს სახელს სიმი მღეროდა ქნარზე,
თითქოს მეფინა გულზე ვარდები
და ცა ალმასებს მაყრიდა თავზე“.

ვასო გორგაძის წიგნი „ჩვენი დროშა“ შეიცავს პოეტის მიერ სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაწერილ ლექსების კრებულს და გამოხატავს ავტორის მზადყოფნას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბოლომდე იბრძოლოს ხალხის საქმისათვის, სამშობლოსათვის, ჰიტლერელ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის.

ალ. მეგრელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„თამარ აბაკელია“. — გამომც. „ფედერაცია“. 1941.

დროული და მისასალმებელია ისეთი ოსტატის ნაწარმოებთა რეპროდუქციების ალბომად გამოშვება და პოპულიარიზაცია, როგორიც არის მოქანდაკე და მხატვარი თ. აბაკელია.

თამარ აბაკელიას ნაწარმოებები ცალკე ალბომად გამოსცა „ფედერაციამ“ რ. გვეტაძის რედაქტორობით და გერონტი ქიქოძის წინასიტყვაობით.

წიგნი დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე ფერადი რეპროდუქციებით, შეიცავს სამ განყოფილებას — ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება და შესდგება 26 რეპროდუქციისაგან. წიგნის პირველი რეპროდუქციაა „ბელადი დედასთან“ (1939). მხატვარს მშვენივრად აქვს გადმოცემული ბელადის დედასთან შეხვედრის მომენტი. სუფრა-გადაფარებულ მაგიდასთან სხედან ბელადი (და მისი დედა, რომელთა გვერდით) სდგას ლ. პ. ბერია. ფიგურები მოცემულნი არიან აივანზე გადაზიდულ აყვავებულ ხეხილის ფონზე.

გრძნობა-მორეულ დედას ორივე ხელით მიუკრავს შვილის ხელი მკერდზე. სახეზე კი კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებს, ხოლო თვალებში სიხარულის ცრემლები უბრწყინავს.

სიხარულითაა აღსავსე ბელადის გადაშლილი სახეც, სიყვარულით დასცქერის იგი დედას. მთელი კომპოზიცია აგებულია ე. წ. კლასიკურ სამკუთხედის პრინციპზე. სამივე ფიგურა „დაუშორებლივ“ შედუღებულია ერთმანეთთან, რაც იძლევა დიდ მთლიანობასა და კომპოზიციის მშვენიერ ნიმუშს.

„პორტრეტული“ მსგავსებაც მშვენივრად აქვს მხატვარს გადმოცემული სურათში. გვანცვიფრებს მხატვრის ის დიდი მოთმინება და გემოვნება, რომლითაც არის შესრულებული კომპოზიციაში სხვადასხვა აქსესუარი, მაგ. დედის ქირმანის შალი, ლეჩაქი, სუფრის „მანებიანი“ სახეები, სურა და სხვა.

ნამუშევარში ძლიერია ნახატი. მშვენივრად აქვს მხატვარს შეგრძნობილი ფორმები (სკულპტორის გრძნობა). კუნთთა ჯგუფს მხატვარი ზუსტად ამუშავებს. ჩამოსხმულ კუნთებს ქვეშ ადამიანი გრძნობს მკვრივ სხეულს. ყოველ ნახატში აბაკელია იძლევა საერთო „მასა“-ს. ხაზი დინამიურია და კეთილშობილი.

ფერების მხრივ მხატვარს ახასიათებს ლაკონიურობა. იგი მუშაობს სამი ან ოთხი ფერით: წითელით, მწვანით და ლურჯით (სანგინი ძირითად ფერად რჩება). ხშირად მხატვარი კონტურის შემოხატვის შემდეგ იწყებს შეფერადებას, რის გაშრობის შემდეგაც განაგრძობს სანგინით ან „იტალიური“ ფანქრით მათ დამუშავებასა და დახვეწას. ზოგჯერ კი, პირიქით, უკვე დახატულ კომპოზიციაში შეჰყავს საყვარელი ფერები. ეს ფერები შეაყვარეს მხატვარს, როგორც იგი სწერს, იმერეთის სოფლებმა... სადაც იყო „კრამიტის სახურავიანი ხის ოდები, მწვანე ხავერდისფერი ეზოები, რომელთა ფონზე ზაფრანი, წითელი პილპილის აკიდოები და გამხმარი სიმინდის ტაროები ანათებენ“.

კომპოზიცია განათებულია ნაზი, ლეონარდისებური „Sfumato“-ს სინათლით. ფაქტურისა და ბაცი ადგილების გამოსამეღავნებლად მხატვარი ჩვეულებრივად საშლელსა და პურის ნაჭერს როდი ხმარობს, იგი მიმართავს ახალ ხერხს, იღებს ბასრ დანისებურ იარაღს, ან მინის ნაჭერს და იმითი ამოაქვს სიმუქე ნახატში, რომლის შემდეგაც რჩება შტრიხისებური ხაზები, რომლებიც ზოგჯერ გრავიურის მსგავსი მანერის შთაბეჭდილებას ახდენენ (მაგ., აღნიშნულ სურათში ასეა შესრულებული ხელები, ტანისამოსი, ლეჩაქი, აყვავებული ხეხილის შტოები და სხვ.). მისი ნაზი საერთო ტონალობა „ალ ფრესკოს“-ებური ნამუშევრებისა გვახსენებს ჩვენ ფრესკოებს, განსაკუთრებით სჩანს ეს როგორც აღნიშნულ, ისე სხვა ნამუშევრებში.

შემდეგი რეპროდუქციაა „ბედნიერი ოჯახი“. ორიგინალი შესრულებულია „ნაზი“ და „რბილი“ სანგინისა და აკვარელის ლაქებით. მიუხედავად ამისა, რეპროდუქცია ნათელია, ტექნიკურად კარგად დაძლეული. „ბედნიერი ოჯახი“ (1937 წ.) წარმოადგენს სამ-ფიგურიან კომპოზიციას, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა „კლასიკური სამკუთხედის პრინციპი“. მთელ კომპოზიციას იგი აძლევს ლამაზ კონუსისებურ მოძრაობას, „ვით ზეცას აღმართული ცეცხლის ალი“ (მიქელ-ანჯელო). სურათზე წარმოდგენილია მანდარინის კრეფა. მარცხნივ დახრილ მანდარინის ხესთან დაჩოქილია ახალგაზრდა დედა, რომელიც შიშველა ფუნჩულა ბავშვს აწვდის უკან მდგომ ჩალის ქუდიან მამას. ფონი თითქმის სუფთაა, რომელზედაც უფრო რელიეფურად იხატება სამი ბედნიერი ფიგურა, რაც საშუალებას აძლევს მაყურებელს მშვენივრად გაარჩიოს დაძლეული კომპოზიცია. ფორმები, აქსესუარები სურათზე და-

მუშავებულია საშლელით. გამონაკლისს შეადგენენ ხელები, თმა და სხვ. კომპოზიციურ ლაკონიურობაში და მკვრივ ფორმებში განსაკუთრებით სჩანს მოქანდაკე.

„პირველი ტრაქტორი" (1940) რთული კომპოზიციაა: ცამეტი ფიგურა [illegible] ნაწილია, ხოლო მეორე პლანზე — თოთხმეტი ფიგურაა ტრაქტორითურთ. იმ მიზნით, [illegible] სინთეტიურობა მისცეს, ავტორი მიმართავს ერთ ხერხს: იგი იღებს დაბალ ჰორიზონტს, რის გამო წინა პლანზე ფიგურები იზრდებიან და კომპოზიციას ეძლევა ეშმარიტად მონუმენტალური შთაბეჭდილება. კომპოზიცია აგებულია იმავე კლასიკური სამკუთხედის პრინციპზე. ასეთი სამკუთხედისებური კომპოზიციური ფიგურების ჯგუფი სურათში ორია, მარცხნივ ექვსი ფიგურაა (ოთხი მამაკაცისა და ორი დედაკაცისა), მარჯვნივ შვიდი (მათ შორის ორი დედაკაცია). ასე რომ ორ კომპოზიციას შორის ჩნდება ე. წ. „სული", რომელიც წარმოადგენს უკანა სოფლის მთა-გორიან პეიზაჟს ტრაქტორითა და გლეხების ფიგურებით, რომელნიც ფეხდაფეხ მიჰყვებიან აგუგუნებულ ტრაქტორს. მიუხედავად კომპოზიციის ასეთი გაყოფისა, სურათს და თვით „მთელ კომპოზიციას" მთლიანობა არ ეკარგება. მაყურებელი ერთის შეხედვით შეიგრძნობს და თვალს მიმოავლებს მთელ ფიგურებს. ეს აიხსნება იმ წინა პლანის მიწის ჩრდილის ლაქით, რომელიც ხიდად ვარდება ორივე ფიგურის ჯგუფს შორის და ორგანიულად მათ აერთებს. მთელი საიდუმლოება განათების ეფექტშია (სინათლე შუაში უფრო ძლიერია, ვიდრე გვერდებზე). საინტერესოა ერთი მოვლენა: საზოგადოდ ატმოსფერის, „ჰაერის" გადმოცემა ნახატში (ფერების დაუხმარებლად) დიდ სიძნელეს წარმოადგენს. აღნიშნულ კომპოზიციაში ეს სიძნელე აბაკელიამ ადვილად გადალახა. ამას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო თვით ქაღალდის ფაქტურამ (როდესაც „მარცვლისებური" ხარისხის ქაღალდზე მუშაობთ, ფერია ეს თუ ფანქარი, მთლიანად არ იფარება მისი ასპარეზი, რჩება სუფთა შეუმჩნეველი წერტილები „მარცვლებს" შორის, რაც ნამუშევარს „ჰაეროვნებას" და სინაზეს აძლევს). ნამუშევარი შესრულებულია ნარევი მასალით (აკვარელი, სანგინა). კომპოზიციის „ტემბრად" უნდა ჩაითვალოს ის ორი მშვენიერი, ნაზი ტონი, რომლითაც შესრულებულია წინა პლანზე მჯდომი ორი ქალის ფიგურა. შარცხენა ფიგურებს თავისუფალი მოძრაობა ახასიათებთ, ისინი ლამაზად იხატებიან ნაზ ცის ფონზე. მათ ბაასი გაუბამთ ალბათ, შეძენილ ტრაქტორზე. მეორე ჯგუფი კი გადასულა დაბლობისაკენ და განცვიფრებული უცქერის „გუთან-მანქანას". კომპოზიციაში ნახატი ძლიერია და პროპორციები მშვენივრად არის მოცემული.

„პარტიზანები" (1936) სურათის დეტალია. იგი კომპოზიციურად მოხერხებულად არის გადაჭრილი. რეპროდუქცია გვიჩვენებს ხუთ გურულ შეიარაღებულ ფიგურას, რომელნიც საიდუმლოებით მოცულნი გასცქერიან ბარს. ორი მოხუცია. მოხუცებს სახეზე დაქანცულობა ეტყობათ, ახალგაზრდებს კი, პირიქით, გაუტეხლობა. მათი სახე და თვალები ენერგიას, სიმტკიცესა და სიძლიერეს გამოხატავენ. ფიგურები მოცემულნი არიან ნაზ-ბუნდოვანი ტყის ფონზე. მშვენივრად აქვს რეპროდუქციას გადმოცემული ორიგინალის ყოველი ნიუანსისა და შრტის დეტალები და საერთო მისი მოყავისფერო ტონალობა. აბაკელია აქ იძლევა ისეთ ლამაზ საერთო ტონას (ეს სპეციფიკა მხატვრებისათვის გასაგებია), რომლის სიტკბოსა და სურნელებას ჩვენ მხოლოდ რენესანსის დიდი ოსტატების ნახატებში ვიპოვნით. სინათლე კომპოზიციაზე მოციმციმე „Sfumato"-სებურად არის დაყენებული, რომლის გვერდით თავის ხაზისა და ტონალობის სილამაზით შეგვიძლიან დავაყენოთ მეცამეტე („ქალის პორტრეტი") და მეთხუთმეტე რეპროდუქციები.

კარგია „გლეხებიც", ესკიზი სურათისათვის (1940). შემდეგი რეპროდუქციებიდან კარგია მეხუთე ფურცელი: „ზვიადაური სტუმრად ჭისტებთან" (ვაჟა-ფშაველა). აქ დიდ ინტერესს იწვევენ მაყურებელში როგორც ძნელად დასაძლევი ტექნიკური მხარეები, ისე წმინდა ეტნოგრაფიული მხარეები (კოსტიუმი, ავეჯი და სხვა). კარგია აგრეთვე ნაზი შტრიხისებური მანერით შესრულებული „აბესალომ და ეთერი" (1939, მეექვსე ფურცელი), განსაკუთრებით ესკიზი კინო-ფილმისათვის „არსენა". მშვენიერ ტიპს იძლევა ესკიზში მხატვარი: გაბედულ ვაჟკაცს, სიმართლისა და ხალხის მოყვარულს. ჰარმონიულად არის შეხამებული კოსტიუმის ფერები ერთმანეთთან. ნახატი მთლიანია და მსუბუქი.

ძვირფასს საუნჯეს წარმოადგენენ „ვეფხის-ტყაოსანის" ილუსტრაციები საქართველოს წიგნის სამკაულთა შორის. გიტაცებთ მხატვრის მოთმინება დეტალების დამუშავებაში (სამკაულ-ავეჯის მოდელირება), საუცხოო ფორმების ცოდნა და კომპოზიციები. ილუსტრაციები მეტწილად მოცემულია ერთ ტონაში, მხოლოდ დრო და დრო მხატვარს „ტემბრად" შეჰყავს თავის საყვარელ ფერებიდან ორი ან ერთი ტონი. ალბომში ძვირფას ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს „ტარიელი", „თინათინი", „ნესტანი". ხშირად ფიგურები მოცემულია

ერთი მთლიანი ხაზით, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს და დიდ კულტურას მოითხოვს ოსტატისაგან.

გადავიდეთ გრაფიკის განყოფილების უკანასკნელ ფურცელზე. აქ ერთ მთლიან, სპილოს ძვლისფერ ქაღალდზე დაკრულია „ოთხი ილუსტრაცია“: „მონადირე ტიგრზე“, „ირანელი“, „ორნი“ და „პეიზაჟი“. პირველი, რაც გვიტაცებს ამ პატარა ილუსტრაციების განხილვის დროს, არის მხატვრის დიდი ფანტაზია და განცდა. „მონადირე“ პირობითს ფონზეა მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ მას მხარზე სანადირო თოფი აქვს გადაკიდული და ჩანთასთან მოკლული ფრინველები ჰკიდია, მხატვარი მეტი დამაჯერებლობისთვის გვერდით იძლევა პირობით ამბავს: დახრილ ხის ტანს დამფრთხალი, აფრენილი ფრინველებით.

კარგია „დილა“. ძველებურ მოაჯირებიან აივანზე გამოსულა ახალგაზრდა ქალი და გაწვდილი ხელით ეგებება მზეს. შესანიშნავია „პეიზაჟი“, სავსე რომანტიზმით. მოცემულია იგი „ძუნწი“ ჩრდილ-სინათლით, რაც აღრმავებს რომანტიულ განცდას. ორ ხეს შორის ისვენებს მწყემსი. იგი გასაქერის საშუალო საუკუნეების დროინდელ ციხე-კოშკს, რომელსაც ღრუბლები ახვევია. კოშკიცა და ხეებიც მოცემულნი არიან სილუეტისებურად, მაგრამ არც ერთის ფორმა და ფაქტურა არ იკარგება.

შემდეგი და უკანასკნელი განყოფილება წიგნისა ქანდაკებაა. თამარ აბაკელია უფრო მოქანდაკედ ითვლება, თუმცა სხვა დარგებშიაც იგი ნიჭიერ ოსტატს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ალბომში არ არის შეტანილი ყველა იმ ნამუშევრის ფოტოები, რომლების მეოხებითაც უფრო დეტალურად გაიცნობდა მკითხველი ავტორს. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ჰორელიეფის ფოტო, რომ წარმოდგენა გექონოდა თ. აბაკელიაზე. ალბომში, მაგალითად, არ არის თ. აბაკელიას შესანიშნავი კერამიკული ნამუშევრების ფოტო-რეპროდუქციები.

განსაკუთრებით საჭირო იყო ისეთი ნამუშევრების ფოტოების შეტანა, როგორიც არის აბაკელიას მინარით შესრულებული შემდეგი ნუმუშევრები: „ფხიანი ლანგარი ფიგურებითურთ“ (ი. ნიკოლაძის საკუთრება), „ტორსი“, „შიშველი ნატურა“, „მთესველი“ და სხვ. ფერთა მშვენიერი შეგრძნობა აქვს მოქანდაკეს.

„ქანდაკება“ ალბომში იწყება ბრწყინვალე კომპოზიციით, რომელსაც ავტორმა „კოლმეურნეთა ოჯახი“ უწოდა.

კომპოზიცია სამი ფიგურისაგან შესდგება. კოლმეურნე კაცს წუთით ძირს დაუწყვია სავსე გოდრები და მიბრუნებულა ცოლისკენ, რომელიც მხარზე გადებული დატვირთული კალათით ეშურება სახლისაკენ. იქვე ზის მათი შვილი, ოჯახის სიხარული, პატარა პიონერი.

დანარჩენი რეპროდუქციები დათმობილი აქვთ მოქანდაკის იმ ნამუშევრებს, რომელნიც დღეს იმელ-ის ფასადს ამშვენებენ. ესენი არიან ჰორელიეფები: „სოფლის მეურნეობა“, „პარტიზანებისა და წითელარმიელების შეხვედრა“, „ბათომის დემონსტრაცია“, „საქართველოს მეურნეობა“, „ინდუსტრია საქართველოში“ და „ბედნიერი ცხოვრება“ (1937 წ.).

კომპოზიციები შეიცავენ თექვსმეტ ფიგურაზე არა ნაკლებს და ზოგჯერ მეტსაც. ისინი დინამიურად და ერთ გრძელ ჯაჭვად იშლებიან კედლებზე.

დრო-და-დრო ამ ცოცხალ ფიგურებიან ჯაჭვს სწყვეტენ სხვაგვარი სურათები: ადამიანთა სხვადასხვა შრომა-საქმიანობა. ასეთია მაღაროში მუშაობა, მანქანათმშენებლობა, ქსოვა და სხვა („ინდუსტრია საქართველოში“), იარაღის წმენდა, საქმიანი საუბარი, წყლულის შეხვევა („პარტიზანების და წითელარმიელთა შეხვედრა“), დროშით ხელში სვლა („ბათომის დემონსტრაცია“), მანდარინისა და ყურძნის კრეფა, მეცხვარეობა, მემინდვრეობა და სხვა („სოფლის მეურნეობა“), ფიზკულტურის ელემენტები, ნადირობა, ლხინი, ცეკვა-თამაში, („ბედნიერი ცხოვრება“) და სხვა.

საერთოდ ნამუშევრებში აღსანიშნავია ლაკონიურობა. ჰორელიეფებს დათმობილი აქვთ პატარა ადგილები, რომლებზედაც მოქანდაკე გვიყვება მრავალ საინტერესო და გმირულ-რევოლუციური ამბებით სავსე „ნოველას“. ამას იგი ახერხებს პეიზაჟების ფონით. მაგ., „პარტიზანებისა და წითელარმიელების შეხვედრის“ ფონი სავსეა შიშველი, უფოთლო ხეებით, რაც ცხადჰყოფს ზამთრის პერიოდს. ყურძნისა და ხეხილით დატვირთული პეიზაჟები „სოფლის მეურნეობაში“ გვეუბნებიან შემოდგომაზე და ასე შემდეგ.

აქ მოქანდაკე გვევლინება შესანიშნავი კომპოზიციების ოსტატად. კომპოზიციები სავსეა დინამიკით, რიტმით და შინაგანი სიცოცხლით, რასაც უნდა დაემატოს ავტორის შესანიშნავად ცოდნა ტიპაჟებისა.

ასეთი ხასიათის ალბომები ჩვენში თითქმის არ იცემა. „ფედერაციის“ პირველი ცდა ამ მხრივ მისასალმებელია.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲑᲣᲜᲘᲐ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული კატალოგი“

დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის. — ლ. ბ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის განყოფილების გამოცემა. თბილისი, 1941, პ/მ რედაქტორი ივ. მაილიანი, შემდგენელი ანნა ღვინიაშვილი.

ა/კ რკინიგზის სკოლების განყოფილებას ჩინებული წამოწყებისათვის მოუკიდნია ხელი — გამოსცეს ანოტირებული კატალოგები არა მარტო ქართული, არამედ სომხური, აზერბაიჯანული და რუსული ლიტერატურისა და ამით დახმარება გაუწიოს სკოლას.

პირველი ცდა წარმოებულია კლასგარეშე საკითხავი ქართული წიგნების შიწოდებით. სარეცენზიო წიგნი კარგადაა შედგენილი, მაგრამ, როგორც პირველ ნაბიჯს, ზოგიერთი ნაკლი ახლავს.

ჩვენ გვინდა სწორედ ამ ნაკლზე ვილაპარაკოთ და ჩვენი აზრი გავუზიაროთ წიგნის შესახებ როგორც ავტორს, ისე მკითხველს. ვფიქრობთ, ამით ხელს შეეუწყობთ წიგნის მეორედ გამოცემისას ნებითი თუ უნებლიე შეცდომების თავიდან აცილებას, განზრახული კატალოგების უფრო წესიერად შედგენას.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი სრული არ არის. მართალია, ავტორს არცა ჰქონია ამისი პრეტენზია, როგორც წინასიტყვაობიდან სჩანს, მაგრამ საქმე ისაა, რომ კლასგარეშე საკითხავად გამოსადეგი მაღალხარისხოვანი ლიტერატურა არც ისე ფართოა, რომ შეიძლებოდეს ზოგი მათგანის უგულებელყოფა. ჩვენის აზრით, აუცილებელი იყო ხსენებულ კატალოგში ადგილი დასთმობოდა ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის: 1. დ. გურამიშვილის თხზულებათა კრებული, 2. „შვიდი მთიები“, 3. „სიბრძნე სიცრუისა“, 4. „შაჰ-ნავაზიანი“, 5. „თეიმურაზ II“, 6. „არჩილიანი“, 7. „ამირან-დარეჯანიანი“, 8. „თამარიანი“, 9. „აბდულმესია“ და სხვ.

გარდა ამისა, თითქმის სულ არ არის მოხსენებული ეტნოგრაფიული მასალა (საინგილოზე, სვანეთზე, ხევსურეთზე, ფშავზე). ნაკლებადაა გამოყენებული აგრეთვე ფოლკლორული მასალა.

წიგნის მეორე ხასიათის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მას არ მოეპოება არც სარჩევი და არც საძიებელი: ავტორების, რედაქტორების, მთარგმნელების, მხატვრების, ნაწარმოებების. ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს წიგნით სარგებლობას. ავიღოთ ასეთი მაგალითი: გინდათ შეამოწმოთ, რომელიმე ნაწარმოები არის თუ არა ანოტირებული. ამისათვის მთელი წიგნი უნდა გადაფურცლოთ და გულდასმით წაიკითხოთ ცალკე სათაურები. უფრო მეტიც: რადგან ნაწარმოებთა დიდი ნაწილი ხშირად კრებულშია მოთავსებული, უნდა წაიკითხოთ მთელი წიგნი (რადგან ადვილად ვერ მიაგნებთ ცალკე დარგობრივი ლიტერატურის ანოტაციას).

შემდეგში ასეთ კატალოგებს აუცილებლად უნდა დაერთოს სარჩევი და საძიებლები.

მესამე კატეგორიის ნაკლი: არ არის დაცული ერთიანი პრინციპი ნაწარმოებთა განლაგება-დაჯგუფებისა. წიგნში ტიპიურად გვხვდება ასეთი სათაურები: 1. ქართველი კლასიკოსები; 2. რუსეთის კლასიკოსები, უახლოესი და თანამედროვე მწერლები; 3. უცხოეთის მწერლები; 4. მოძმე რესპუბლიკათა და უცხოეთის მწერლები; 5. ტექნიკურ-მეცნიერული ლიტერატურა და ბიოგრაფიები; 6. ტექნიკურ-მეცნიერული ლიტერატურა, კრიტიკა და ბიოგრაფიები და სხვ.

ა) პირველი და მეორე ანალოგიურად უნდა დაჯგუფდეს; ბ) მეხუთე და მეექვსეც არეულია; გ) გაუმართლებელია რუსეთის მწერლების გამოყოფა მოძმე რესპუბლიკების მწერლებისგან და ამ უკანასკნელის დაკავშირება უცხოეთის მწერლობასთან (4); დ) სწორი არ არის ბიოგრაფიისა და კრიტიკის გაერთიანება ტექნიკურ-მეცნიერულ ლიტერატურასთან; აჯობებდა მათი დაცალკევება, ხოლო ბიოგრაფია-კრიტიკას უნდა მიმატებოდა: მემუარები, წერილები, მოგზაურობა, ბიბლიოგრაფია და სხვ.

არა სჩანს ფოლკლორი, მითოლოგია და სხვა. საჭიროა დაყოფის პრინციპის და დარგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასინჯვა-შესწორება.

ამ განლაგების დროს კერძო ხასიათის ლაპსუსებსაც ვხვდებით: 1. „უცხოელის მწერლების“ რუბრიკაში შეტანილია ი. ერენბურგის „პარიზის დაცემა“ (გვ. 94). ცნობილია, რომ ილია ერენბურგი რუსი მწერალია.

2. ერკმან-შატრიანი ნაწარმოებთა რიგშია მოქცეული (გვ. 94). რადგან პირველ რიგში ყველგან ნაწარმოებებია დასახელებული, ეს პრინციპი აქაც უნდა იყოს დაცული, რის შემდეგ მივიღებდით: გლეხ-კაცის ისტორია — ერკმან-შატრიანი.

3. რუბრიკაში „ქართველი კლასიკოსები“, რაღაც გაუგებრობით შეტანილია „უცხოელი და რუსი პოეტები. თარგმანი — გაჩეჩილაძე, გ.“ (გვ. 91). რატომ მოექცა ეს კრებული ამ გვერდზე, როდესაც მასში არც ერთი ქართველი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერალი არ არის შესული?

4. ამავე რუბრიკაში არიან მოქცეული ქართველი თანამედროვე მწერლები, მაგ.: ლეონიძე, გ., ლორთქიფანიძე, კონსტ., ლორთქიფანიძე, ნიკ., დადიანი, შ. (გვ. 91). რომ შემდგენელს X კლასისათვის რეკომენდირებულ ქართველი კლასიკოსების ქვემოთ (გვ. 91) მოეცა ისეთივე სათაური, როგორიც IX კლასისათვის აქვს წარმოდგენილი (გვ. 82) „უახლოესი და თანამედროვე მწერლები“, ან, უკეთ, თანამედროვე მწერლები, მაშინ ამგვარ გაუგებრობას თავიდან ავიცდენდით.

საკამათოდ მიგვაჩნია მასალის განლაგება კლასების მიხედვით. მაგ.: ა) ნ. ლომოურის „ყოველი მხრიდან“ არ უნდა შედიოდეს მე-5 კლასის მოსწავლეთა საკითხავ წიგნთა სიაში, რადგან იგი პროგრამით იმავე კლასში ისწავლება. ბ) უიარაღოს „მამელუკი“ რეკომენდირებულია მე-9 კლასის მოწაფეთათვის. ეს ნაწარმოები ისეთი გატაცებით იკითხება, ისეთი მარტივი და მხატვრული ენითაა დაწერილი, რომ თამამად შეიძლება მივაწოდოთ მე-6—7 კლასის მოსწავლეებს. გ) გ. ქიქოძის ნარკვევი „ერეკლე II“ მე-9 კლასისათვის განკუთვნილ საკითხავ წიგნთა სიაშია მოქცეული, ხოლო ბ. პატარაიას რომანი „ერეკლე II“—მე-8 კლასისაში. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა ორივე მე-8 კლ. მოთავსებულიყო. ამას გვიკარნახებს მე-8 კლასის საპროგრამო მასალა (ფეოდალური საქართველოს ლიტერატურა). დ) ასევე მე-8 კლასში უნდა გადავიტანოთ შ. დადიანის „უბედური რუსი“ (ახლა X კლასშია). „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლის პროცესში თამარის ეპოქის მხატვრულად აღმწერი რომანის კლასგარეშე წაკითხვა სასარგებლო იქნებოდა მოწაფეთათვის.

ორიოდე სიტყვა წიგნების დალაგების შესახებ. საჭირო იყო ეს დალაგება შემდგენელს ძოეხდინა ავტორთა გვარების წინ გადატანით (როგორც საერთოდ მიღებულია ამგვარი ხასიათის საძიებელ ლიტერატურაში) და „ყურადღების გამახვილება“ (რაზედაც შემდგენელი წინასიტყვაობაში ლაპარაკობს, გვ. XI) სწორედ ავტორთა მიხედვით მომხდარიყო. დამაჯერებელი არ არის შემდგენელის მოსაზრება. რას ეუბნება მკითხველს (რით ამახვილებს მის ყურადღებას) ასეთი სათაურიანი წიგნები: 1. „ლექსები და პოემები“ (გვ. 38), 2. „ლირიკა“ (გვ. 42), 3. „აკაკი წერეთელი“ (გვ. 47), 4. „თხზულებანი“ (გვ. 49), 5. „მოთხრობები“ (გვ. 50), 6. „რჩეული ლექსები და პოემები“ (გვ. 50) და სხვ. აქ ჩამოთვლილ სათაურებს რომ მხოლოდ თითო წიგნი ატარებდეს, მაშინ დასაშვები იქნებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ლექსები და პოემები“, „თხზულებანი“, „თხზულებათა სრული კრებული“ და სხვა მრავალი სხვადასხვა მწერლის წიგნების სათაურებადაა გამოყენებული, ამიტომ წიგნისადმი ყურადღების გამახვილება ამ გზით არ მოხდება; სჯობს ჯერ მწერალი დავასახელოთ, შემდეგ კი მისი ნაწარმოები (და არა წიგნი). მართლაც, ჩვენ ხომ ნაწარმოებისადმი უნდა ვამახვილებდეთ ყურადღებას? მისი შემქმნელია ავტორი, მაგრამ ამა თუ იმ ნწერლის ყველა თხზულება კი არ გვაინტერესებს განსაზღვრულ კლასისათვის (ჰასაკისათვის), არამედ ზოგიერთი. მაგ., მე-8 კლასისათვის განკუთვნილია „თხზულებათა სრული კრებული — თეიმურაზ I“; განა ყველაფერი, რაც ამ კრებულშია მოქცეული, უნდა მივაწოდოთ მოწაფეებს? რასაკვირველია, არა. სრულიად ზედმეტია მათთვის „შვიდთა კრებათათვის“, „ანბანთქებანი“ და სხვა. ამიტომ ჯერ ავტორი უნდა დავასახელოთ და შემდეგ ის თხზულებები, რომლებიც ჩვენი მიზნისთვის გამოდგება.

წიგნში საერთოდ წესიერადაა მოტანილი წიგნის შესახები ყოველი მასალა, მაგ., გამოცემა, თარიღი, გვერდების რაოდენობა, ფასი და სხვა. მაგრამ აქა-იქ მაინც გაპარულა შეცდომა. ნაჩვენები არ არის შემდეგი წიგნების თარიღი: 1. „ლექსები, პოემები, მოთხრობები — ჭავჭავაძე, ი.“ (გვ. 62); 2. „მზია და ფისო“ — მეგრელიძე, ლიდია (გვ. 6); 3. „იავნანამ რა ჰქნა?“ — გოგებაშვილი, იაკ.“ (გვ. 12) 4. „დავით კოპერფილდი“ — დიკენსი, ჩ.“ (გვ. 666) 5. „ღმერთებს სწყურიათ“ — ფრანს, ა.“ (გვ. 95).

არ არის მოსაწონი არც ის ხერხი, როცა ავტორი-შემდგენელი კრებულებიდ შინაარსის ჩამოთვლისას ორ უკანასკნელ ნაწარმოებს „და“ კავშირით ჰკრავს (მართალია, არა ყოველთვის). მაგ. 1. ან. ერისთავ-ხოშტარიას — „მიწა და განთიადი“ (გვ. 63); 2. ან. ...ლდიაძვილის — „პარტიზანები და დირბელი მოყმის ამბავი“ (გვ. 63); 3. ...ბ...ს — „აი, ადამიანი და ენგური“ (გვ. 83) და სხვ. ასეთი დაკავშირება არაბუნებრივია და შეიძლება ხანდახან გაუგებრობა გამოიწვიოს (ზოგიერთი ნაკლებმცოდნე მოწაფე მათ ერთ ნაწარმოებად მიიჩნევს). ბევრად უკეთესია უკანასკნელი ნაწარმოების წინ დაისვას მძიმე, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია და რასაც სხვა შემთხვევაში ჩვენი ავტორიც იცავს.

ახლა ცოტა რამ თვით საანოტაციო ტექსტის არა სწორი, ბუნდოვანი ადგილების შესახებ:

1. „აკაკი წერეთელი“—მახარაძე, აპ. „წიგნში აკაკის ბიოგრაფიაა. გადმოსცემს აკაკის ოჯახს და აკაკის ყოფნას სკოლაში, აღწერს სამოციან, ოთხმოციან და ცხრაასიან წლებს“ (გვ. 47). მსჯელობა გაუმართავია, წიგნის შეფასებას აჩქარება ან ზერელობა ეტყობა.

2. „თხზულებ. სრული კრებული — თეიმურაზ I. . . . ავტორი ააშკარავებს თავის გარკვეულ (?) შეხედულებებს და თავის შეფასებას აძლევს ამა თუ იმ მოვლენას“ (გვ. 73)— აზრი ბუნდოვანია. იქვე: „წიგნს ერთვის ალ. ბარამიძის წერილი თეიმურაზის შემოქმედების შესახებ და გ. ჯაკობიას მიერ შედგენილი ლექსიკონი“ (გვ. 73). ფაქტიური შეცდომაა: წიგნს ახლავს, ხსენებულის გარდა, გ. ჯაკობიას გამოკვლევა „თეიმურაზის თარგმანები“ (თხზ. სრ. კრებული „თეიმურაზ პირველი“. თბ. ფედერაცია. 1934. გვ. 221—284), სადაც მკვლევარი სრულიად ახალ შუქს ჰფენს თეიმურაზის შემოქმედების გარკვეულ ნაწილს.

3. „საბავშვო მოთხრობები — ვაჟა-ფშაველა. — წიგნს ერთვის: ლექსიკონი, ლექსიკონში ხმარებული საანდაზო გამოთქმები და ს. იორდანიშვილის წერილი“ (გვ. 36)“. რას შეეხება წერილი? როგორია?—ცოტა რამ უნდა იყოს თქმული ამის შესახებ.

4. „თხზულებანი — ერისთავი, გ... ამას გარდა, რამდენიმე ნაწყვეტი ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ თარგმანი, „რ. ერისთავის მოგზაურობა და პირადი წერილები“ (გვ. 49). გარდა იმისა, რომ წინადადება სინტაქსურად ვერ არის გამართული, სათაურიც თხზულებისა შეცვლილია. დასახელებული გამოცემის მიხედვით უნდა იყოს „უბედური ჭკუისაგან“. რ. ერისთავი, ნაცვლად გ. ერისთავისა. ეს ალბათ, კორექტორის დაუდევრობას უნდა მიეწეროს.

5. „ტროადის ომი — მიქაბერიძე, ალ... წიგნი იმავე ჰომეროსის ეპიური პოემა „ილიადაა“, მოთხრობილი პროზად“ (გვ. 52). წინადადება უფრო გამართულად უნდა აგებულიყო.

წიგნის გარეკანის უკანა გვერდზე მოთავსებული რუსული თარგმანი წიგნის სათაურისა „Анатированный каталог книг по грузинской литературе“. გარდა იმისა, რომ ეს თარგმანი სწორად არ გადმოგვცემს ქართულ ტექსტს („კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული კატალოგი“), ერთ სიტყვაში დაშვებულია ორი შეცდომა: უნდა იყოს „Аннотированный“.

მიუხედავად აღნიშნული დეფექტებისა, რომელთა გამოსწორება ადვილია, სარეცენზიო წიგნი სათანადო დახმარებას გაუწევს სკოლას.

ლ. მეფარიშვილი,

ლ. ქუთათელაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
დავით სულიაშვილი — მეგობრის სისხლი	3
ალიო მაშაშვილი — სიმღერის ძალა (ლექსი)	32
კარლო კალაძე — თქვენი სიმღერა (ლექსი)	33
გრიგოლ აბაშიძე — გიორგი მეექვსე (პოემა)	35
ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ (რომანი. გაგრძელება)	55
ელიზბარ პოლუმორდვინოვი — მე ძმა ვარ შენი (ნოველა)	86
იაკინთე ლისაშვილი — მეგობრები (მოთხრობა)	91
ბორის ჩხეიძე — ლიახვის პირას (დასასრული)	95
ალფონს დოდე — ბელიზერის გერმანელი (თარგ. ირ. ქავჟარაძისა)	123

ფაშისტურ სამყაროში

ვ. გავაშელაშვილი — ქალის მდგომარეობა ფაშისტურ გერმანიაში	126

აზროვნების ისტორიიდან

გრ. კალანდარაშვილი — სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ შესახებ	143

ბიბლიოგრაფია

ალ. მეგრელიძე — ვასო გორგაძე — „ჩვენი დროშა“	153
გიორგი გაბუნია — „თამარ აბაკელია“	155
ლ. მეფარიშვილი, ლ. ქუთათელაძე — „კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული კატალოგი“	158

ფასი 4 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ